

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა



შორენა წიგნაძე

სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლები და
ექსპრესიული შესაძლებლობები ქართულში
(ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისური ენის მასალის
გათვალისწინებით)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნუნუ გელდიაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი	
აბრევიატურის ჩამონათვალი	4
ანოტაცია	5
Annotation	7
შესავალი	9
თავი I. სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლები	14
1.1. სინონიმების კვლევის ისტორიისა და განსაზღვრებისათვის	
ქართულსა და ინგლისურში	14
1.2. სინონიმთა მორფოლოგიური ასპექტები	20
1.3. სინონიმთა ფორმოზრივ-სტრუქტურული მოდელები.....	27
თავი II. სინონიმთა სემანტიკური და	
ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები.....	35
2.1. სინონიმთა სემანტიკური ასპექტები.....	35
2.2. სინონიმთა სემანტიკური ველები.....	45
2.2.1. სიხარულის/ბედნიერების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	46
2.2.2. სიყვარულის/მოწონების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	50
2.2.3. მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	53
2.2.4. დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	57
2.2.5. შიშის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	59
2.2.6. სირცხვილის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	62
2.2.7. სიცოცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული სემანტიკის მქონე	
სინონიმური ველი	64
2.2.8. წყევლის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	67
2.2.9. ბრაზის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	70
2.2.10. მწუხარების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი	74
2.2.11. შეგრძნებების გამომხატველ სინონიმთა სემანტიკური ველი.....	75
2.3. სინონიმთა სტილისტიკური შესაძლებლობები	78

2.4.ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები	89
--	----

თავი III. სინონიმთა ექსპრესია და მათი გამოხატვის მოდელები ...108

3.1. ექსპრესიის ცნების გააზრებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში.....	108
3.2. ემოციების კვლევის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტები.....	113
3.3. დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები....	120
3.4. უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები....	131
3.5. სინონიმთა ექსპრესიული გრადაცია და მისი მიღწევის საშუალებები.....	140

თავი IV. სინონიმები თანამედროვე დისკურსში149

4.1. სინონიმთა მოხმარების აქტუალურობა თანამედროვეთა დისკურსში და მათი სტილისტიკური ფუნქციები.....	149
--	-----

დასკვნა165

გამოყენებული ლიტერატურა172

N	სახელი
ADJ	ზედსართავი სახელი
NUM	რიცხვითი სახელი
V	ზმნა
ADV	ზმნიზედა
ART	არტიკლი
NUMBER	რიცხვი
DEM	ჩვენებითი ნაცვალსახელი
PRO	ნაცვალსახელი
POSS	კუთვნილებითი ნაცვალსახელი
PERS	პირის ნაცვალსახელი
NEG	უარყოფითი ნაწილაკი
PREP	წინდებული
NP	სახელური შესიტყვება
VP	ზმნური შესიტყვება
VN	საწყისი
CASE	ბრუნვა
Nom	სახელობითი ბრუნვა
Sg	მხოლოდითი რიცხვი
Pl	მრავლობითი რიცხვი
დენოტაცია, კონოტაცია	აქვთ ერთი და იგივე აღსანიშნი (რეფერენტი), არის ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგვარი გამოხატვა
კონოტაცია	(საშ. ლათ conotatio – con ერთად + ვნიშნავ, მოვნიშნავ) ენობრივი ერთეულის დამატებითი, თანამდევითი მნიშვნელობა ან კატეგორიები ენათმეცნიერებაში, მოიცავს სემანტიკურსა და სტილისტურ ასპექტებს, რომლებიც ძირითად მნიშვნელობას უკავშირდება. მნიშვნელობის დამატებითი ნიუანსი.
დენოტაცია	(ლათ. Denotation - აღნიშნული) მნიშვნელობის პირველი თანრიგი, ნიშნის პირდაპირი მნიშვნელობა. იგივეა, რაც რეფერენტი; აზრის განმარტება, სახელის (ნიშნის) საგნობრივი მნიშვნელობა; ის რასაც ეს სახელი ეწოდება, უნიშნო სინამდვილის ობიექტი, რომელსაც მოსაუბრე გულისხმობს, როდესაც საუბრის მოცემულ მონაკვეთს ამბობს, მაგ.: „ჩრდილო პალმირას“ დენოტაცია ქალაქი სანქტ-პეტერბურგი.

ანოტაცია

სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ენათმეცნიერების ერთ-ერთ მეტ-ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერებაში სინონიმების შესწავლას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, სინონიმთა შესწავლა კვლავ აქტუალურია და უფრო იზრდება მათ მიმართ ინტერესი.

სადისერტაციო ნაშრომში, „სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლები და ექსპრესიული შესაძლებლობები ქართულში (ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით), შესწავლილია სინონიმთა მორფოლოგიური ასპექტები და ფორმობრივ-სტრუქტურული მოდელები, სემანტიკა, ლინგვოკულტუროლოგიური ურთიერთმინართებანი ქართულსა და ინგლისურში, ასევე, სინონიმთა მოხმარების აქტუალურობა თანამედროვეთა დისკურსში.

საანალიზო წყაროებად შერჩეულია ქართული და ინგლისური სინონიმთა ლექსიკონები, ფრაზეოლოგიურ და იდიომატურ გამოთქმათა ლექსიკონები, ასევე, თანამედროვეთა მეტყველების წარმოსაჩენად ინტერნეტ სივრცეში არსებული პოსტები და კომენტარები.

დისერტაციის **შესავალში** განხილულია ნაშრომში დასახული მიზანები და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, მიზნებიდან გამომდინარე, განხილულია კვლევის მეთოდები, საანალიზო წყაროები, აგრეთვე, ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის **პირველი თავი** ეძღვნება სინონიმთა ლინგვისტურ მახასიათებლებს. განხილულია სინონიმების კვლევის ისტორია და განსაზღვრა, მორფოლოგიური ასპექტები, ფორმობრივ-სტრუქტურული მოდელები ქართულსა და ინგლისურში.

ნაშრომის **მეორე თავი** ეძღვნება სინონიმთა სემანტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების შესწავლას. განხილულია სხვადასხვა ემოციის გამომხატველ სინონიმთა და სინონიმურ რიგში წარმოდგენილ სინონიმურ

ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ველები, ის სტილისტიკური შესაძლებლობები, რომელსაც სინონიმები ავლენენ, აგრეთვე, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები.

დისერტაციის **მესამე თავში** განხილულია სინონიმთა ექსპრესია და მათი გამოხატვის მოდელები. მიმოხილულია ექსპრესიის ცნების განსაზღვრა სამეცნიერო ლიტერატურაში, ემოციის კვლევის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტები, დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები, გრადაცია და მისი მიღწევის საშუალებები.

ნაშრომის **მეოთხე თავში** მიმოხილულია სინონიმთა მოხმარების აქტუალობა თანამედროვეთა დისკურსში. საანალიზო წყაროდ გამოყენებულია ინტერნეტ სივრცე და იქ არსებული პოსტები და კომენტარები, რომელიც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ანალიზისთვის. განვიხილეთ ბარბარიზმები, ნასესხები სიტყვები თუ ნეოლოგიზმები, რომლებიც გამოიყენება დღეს თანამედროვეთა მეტყველებაში.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საანალიზო მასალაზე დაკვირვების ძირითადი შედეგები, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სინონიმია უნივერსალური მოვლენა, საინტერესოა ენათა შორის არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები, ის სპეციფიკა, რაც თითოეულ ენას ახასიათებს.

Annotation

Synonymy is the component part of lexical-semantic system of the language that represents one of the partially studied fields of linguistics. In spite of the fact that studies of synonyms dates back to more than two centuries in linguistics, it is still urgent nowadays and the interest towards synonyms is rather increased.

The dissertation work - “Expressive Means of Synonyms in Georgian Language (Linguoculturological Analysis by providing English Language Materials)” – deals with the structure and semantics of synonyms, linguoculturological interrelations in Georgian and English languages, urgency of synonym usage in modern discourse as well.

Analytical sources include Georgian and English Dictionaries of Synonyms, Dictionaries of Phraseological and Idiomatic Expressions, as well as, posts and comments existing in online, namely, in facebook for revealing the speech of contemporary society.

The **introduction part** of the dissertation covers the goals and objectives of the work. Research topicality and scientific novelty, theoretical and practical value are defined, research methods, analytical sources, as well as, structure of the work and approbation are discussed according to the goals.

The **first chapter** of the work deals with the linguistic characteristics. The history of synonym researches, morphological composition in Georgian and English languages are included as well.

The **second chapter** of the work comprises studies of semantic and linguoculturological aspects of synonyms. It also considers semantic fields of synonyms expressing different emotions and synonymic phraseologisms (phraseological units) presented in synonymous order, those stylistic potentials the synonyms reveal and linguoculturological aspects as well.

Expression of synonyms and the models of their reflection are considered in the **third chapter** of the given dissertation. Definition of the expression concept in scientific literature, linguistic and psychological aspects of emotion research, expressive models of synonyms revealing positive and negative emotions, gradation and the ways for its attainment are also reviewed in the chapter.

The **fourth chapter** of the work covers the urgency of synonym usage in modern discourse. Internet space, presented posts and comments are used as analytical sources. They turned out to be very interesting for making analysis. We have also considered barbarisms, borrowed words or neologisms, which are broadly used in modern speech nowadays.

The **final part** of the dissertation contains the main findings of the research. According to the findings, it is once more confirmed, that synonymy is the universal occurrence. Isomorphisms and allomorphisms existing among languages and the specificity the languages are characterized with are quite interesting from scientific viewpoint.

შესავალი

ნაშრომის მიზანი და ამოცანები - ნაშრომის მიზანია სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლების წარმოჩენა/დადგენა; ექსპრესიული შესაძლებლობების კვლევა ქართულში და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები: სინონიმურ ერთეულთა ფორმოზ-სტრუქტურული კლასიფიცირება და მოდელების შესწავლა; მათი სემანტიკური ასპექტებისა და სტილისტური ფუნქციების განსაზღვრა; სინონიმთა ემოციური (დადებითი და უარყოფითი) მოდელების შექმნა და ექსპრესიული გრადაციის მიღწევის შესაძლებლობების დადგენა რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე; ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისური მასალის გათვალისწინებით; ასევე, საკითხის სრულფასოვანი კვლევის მიზნით ყურადღება გამახვილდა სინონიმთა მოხმარების აქტუალობასა და მათი სტილისტიკური ფუნქციების შესწავლაზე თანამედროვე დისკურსში.

საკითხის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე - საკითხი, ვფიქრობთ, აქტუალურია, რადგან დღეს არსებულ პირობებში, როდესაც ასე ვითარდება კულტურული ურთიერთობები, განსაკუთრებით აქტიურდება ისეთი ენობრივი ერთეულების შესწავლა, რომელთაც ეროვნული სპეციფიკა აქვთ. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ერთეულებია სინონიმები. ისინი ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ულევ წყაროს წარმოადგენს, მათი სიუხვე განაპირობებს ენის ლექსიკური შედგენილობის მრავალფეროვნებას. ალ. ღლონტის სიტყვებით რომ ვთქვათ: სინონიმური სიტყვები და გამოთქმები ენის ლექსიკის სიმდიდრეა, რომელთა მეშვეობით სიტყვა იძენს მეტ გამომსახველობას, მოქნილობას, ექსპრესიულობას ანიჭებს ენას.

მიუხედავად იმისა, რომ სინონიმების შესწავლას მრავალი ნაშრომი მიემდვნა, თანამედროვე ეტაპზე საკითხის კვლევა განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს (ვგულისხმობთ არამონათესავე ენათა შეპირისპირებით ანალიზს). ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკმარისად არაა შესწავლილი სინონიმები ექსპრესიული და

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია სინონიმების ექსპრესიული და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისურ ენასთან მიმართებით. საკითხის შესწავლის დროს ყურადღებას ვამახვილებთ არა მხოლოდ იმაზე, რაც საერთოა მოცემული სინონიმური მწკრივებისათვის, არამედ იმაზეც, თუ რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. საკითხის ამგვარმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვევლინა ორი განსხვავებული ენის სინონიმებს შორის არსებული სტრუქტურული და სემანტიკური მსგავსება-განსხვავება. ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია სინონიმების ფორმოზ-სტრუქტურული და სემანტიკური, ასევე, ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის შედეგად გაანალიზებული მასალა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა თითოეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. დღეს, ენის სპეციფიკის კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს კომპიუტერული ლინგვისტიკისათვის, რომელიც ქარული ენის ახალ გამოწვევას წარმოადგენს. ვფიქრობთ, ნაშრომის სიახლე მდგომარეობს საკითხის ამგვარად შესწავლის მოკრძალებულ მცდელობაში.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება - ნაშრომის თეორიულ ღირებულებად მიგვაჩნია საკითხის სიღრმისეული, მონოგრაფიული კვლევა, რომელიც წარმოადგენს სინონიმთა ლინგვისტური და ექსპრესიული შესაძლებლობების ანალიზს ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით. სინონიმების ამგვარი შესწავლა გამოავლენს მათ შორის არსებული უნივერსალიებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლებს. რაც, ვფიქრობთ, გაზრდის კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას. მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ლექსიკონებისათვის, კომპიუტერული ლინგვისტიკისა და მანქანური თარგმნისათვის. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმითაც, რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სალექციო/პრაქტიკული კურსების სწავლებისას უმაღლეს სასწავლებლებში.

კვლევის მეთოდები - ნებისმიერი მეცნიერული კვლევა სამ ეტაპს მოიაზრებს, ესაა:

- ა) მასალის მოპოვება, მასალაზე დაკვირვება და სისტემატიზაცია;
- ბ) მასალის ანალიზი-სეგმენტაცია და სეგმენტირებულ ელემენტებს შორის მიმართებათა დადგენა;
- გ) მიღებული შედეგების სინთეზი - ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია.

კვლევის პროცესში ამ მიმართულებებით ვიხელმძღვანელებთ. ჩვენ მიერ დასახული

მიზნის განსახორციელებლად ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: ტიპოლოგიური, შედარება-შეპირისპირებითი, აღწერითი, ანალიზის, სინთეზის, რაოდენობრივი და თვისებრივი.

აღწერითი მეთოდი - თითოეული ენის შესწავლა, უპირველესად, სწორედ აღწერითი მეთოდის საშუალებით ხდება. ამ მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღებთ ქართული და ინგლისური ენების მორფოლოგიურ სტრუქტურათა სურათს, დადგინდება ურთიერთმიმართება სტრუქტურათა შემადგენელ ელემენტებს შორის.

ანალიზის მეთოდი - გვხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის, დანახვის უნარის განვითარებას.

„ტიპოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. მის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ენათა სტრუქტურული იზომორფიზმების დადგენა, იმ ზოგადი პრინციპების კვლევა, რომელიც სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურას უდევს საფუძვლად, ენათა ინვარიანტული მახასიათებლებისა და ლინგვისტური უნივერსალიების დადგენა ენათა სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე“ (მეგრელიშვილი, 1980).

„შედარება, როგორც შესასწავლ მოვლენათა შორის მსგავსება-განსხვავების მეთოდი, კვლევის ძირითადი საშუალებაა, როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში. შეპირისპირებითი გამოკვლევები, რომლებიც მხოლოდ ორი ენით შემოიფარგლება, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მომრავლდა. ამით აიხსნება ტერმინების „შეპირისპირებითი“ („contrastive“) და „შედარებითი“ („comparative“) ლინგვისტიკა (გრამატიკა და ა.შ.) გამოყენება, რომლებიც ენათა შედარებას ემყარება ისტორიულ-შედარებით და შეპირისპირებით ენათმეცნიერებაში. არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შეპირისპირებითმა ანალიზმა ორი ენის როგორც ზოგადი, ისე უნიკალური, ანუ სპეციფიკური ნიშნები უნდა გამოავლინოს“ (გამსახურდია ლ. 1998: 22).

თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ ორ ენაში არსებულ სინონიმურ ერთეულთა ურთიერთმიმართებანი, რამაც მოგვცა საშუალება გამოგვევლინათ თითოეულისათვის დამახასიათებელი უნივერსალები და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

რაოდენობრივმა კვლევის მეთოდმა მოგვცა საშუალება სინონიმთა გარკვეულ ჯგუფებზე დაკვირვებისა და შედეგების განზოგადებისა. აღნიშნულმა მეთოდმა მოგვცა შესაძლებლობა სინონიმების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლების დადგენისა.

ყველა აღნიშნული მეთოდით მიღებულმა შედეგმა ერთმანეთი შეავსო და საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მივიღეთ კომპლექსური ცოდნა.

კვლევის ობიექტი - კვლევის ობიექტად გამოვიყენეთ ლექსიკონები: ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“; კარლო ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“; ვ. ურუშაძისა და ს. ბოლქვაძის ინგლისური ენის „სინონიმების მოკლე ლექსიკონი“; ოქსფორდის სინონიმთა ლექსიკონი; შ. მათეშვილის მიერ შედგენილი „ინგლისურ-ქართულ იდიომთა ლექსიკონი“.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს ერთვის ანოტაცია, გამოყენებული თეორიული ლიტერატურის, ინტერნეტ რესურსებისა და საანალიზო წყაროების სია. ნაშრომის მოცულობაა 179 ნაბეჭდი გვერდი.

დისერტაციის **შესავალში** განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, დასაბუთებულია საკითხის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, გამოკვეთილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ნაშრომის **პირველი თავი** ეძღვნება სინონიმთა ლინგვისტურ მახასიათებლებს. მიმოხილულია სინონიმების ისტორიისა და განსაზღვრის საკითხი, მორფოლოგიური ასპექტები და სტრუქტურული მოდელები ქართულსა და ინგლისურში.

ნაშრომის **მეორე თავში** განხილულია სინონიმთა სემანტიკური ველები, სტილისტიკური შესაძლებლობები და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები.

დისერტაციის **მესამე თავი** დათმობილი აქვს სინონიმთა ექსპრესიასა და მათი გამოხატვის მოდელების განხილვას. მიმოხილულია ექსპრესიის ცნებისა და ემოციის კვლევის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტები, სინონიმთა ექსპრესიული

მოდელები და ის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა გრადაცია.

ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება სინონიმთა მოხმარების აქტუალობას თანამედროვეთა დისკურსში. განხილულია ინტერნეტ სივრცეში არსებული პოსტები და კომენტარები, თანამედროვეთა მეტყველებაში არსებული ბარბარიზმები და ნეოლოგიზმები.

დასკვნითი ნაწილი წარმოადგენს საანალიზო მასალაზე დაკვირვების ძირითად შედეგებს, გამოკვეთილია ორ ენას შორის არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები, თითოეულისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიები.

თავი I

სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლები

1. 1. სინონიმების კვლევის ისტორიისა და განსაზღვრებისათვის ქართულსა და ინგლისურში

სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ენათმეცნიერების ერთ-ერთ მეტ-ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს. სინონიმის შესწავლას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. სინონიმია ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა, რომლის არსი მნიშვნელობათა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს. სინონიმის ცოდნა „ხელმისაწვდომს ხდის ენის გამომსახველობითი საშუალებების უმდიდრეს მარაგს, გვაძლევს მათი სისტემურად წარმოდგენის შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის შესასწავლად“ (ჯორჯანელი კ. 2003:6).

მოდვრებას სინონიმის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. სინონიმებით ფილოსოფოსებისა და მეცნიერლინგვისტების დაინტერესებას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვხვდებით. კერძოდ, სინონიმები პირველად, დაახლოებით 24 საუკუნის წინ, ნახსენები აქვს სოფისტ პროდიკოსს, პროტაგორას მოსწავლესა და სოკრატეს მასწავლებელს.

სწორედ ძველმა ბერძნებმა დაარქვეს სახელი ამ მოვლენას, რაც ბერძნული სიტყვიდან - „sinonimia“ – მომდინარეობს და „თანამოსახლეობას“ ნიშნავს. მას შემდეგ ამ ტერმინით აღნიშნული ენობრივი ფაქტი არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი.

ძველი რომაელი მეცნიერები სინონიმთა შორის არამარტო მსგავსებაზე, არამედ განსხვავებაზეც მიუთითებდნენ. არსებობს ცნობები სინონიმთა ლექსიკონის არსებობის შესახებ ჩინეთში, I საუკუნეში, ხოლო მოგვიანებით - ინდოეთში, XI-XII საუკუნიდან.

ლინგვისტური თვალსაზრისით, სინონიმების კვლევას საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი, სადაც 1718 წელს გამოვიდა აბატ ჟირარის შრომა „ფრანგული ენის

მართლწერა სხვადასხვა სიტყვით, რომლებიც მიიჩნევიან სინონიმებად” (სილაგაძე ჯ. 1981:3).

რუსეთში სინონიმთა ლექსიკონის შედგენა XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო. 1783 წელს გამოიცა დ. ი. ფონვიზინის ნაშრომი „Опыт российского сословника“, რომელშიც ავტორმა სინონიმთა 32 ჯგუფი გამოყო (Фонвизин Д. 1783). უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომიდან აღსანიშნავია ი. აპრესიანის საერთო რედაქციით გამოქვეყნებული „Новый объяснительный словарь синонимов русского языка“ (Апресян Ю. 1957).

ქართულ ენათმეცნიერებაში სინონიმების შესწავლის ისტორიას საფუძველი ეყრება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონით“, სადაც იგი შეეცადა სიტყვების სინონიმებად დაჯგუფებას. სწორედ ამ დიდი ლექსიკოგრაფიული ნაშრომით იღებს სათავეს ქართულ სინონიმთა შესწავლა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას ლექსიკურ სინონიმთა შესახებ რაიმე სპეციალური თეორიული დებულება არ ჩამოუყალიბებია. ლექსიკონში წარმოდგენილი სინონიმური წყვილები მხოლოდ პრაქტიკული მიზნით გამოიყენება და სალექსიკონო ერთეულების განმარტება-დაზუსტებას ემსახურება. სულხან-საბამ სიტყვებს გარკვეული ნიშნის მიხედვით მოუყარა თავი, კერძოდ, გააერთიანა სიტყვები საერთო სემანტიკური ველის, თემატური ჯგუფისა და სინონიმური რიგის მიხედვით. სინონიმური რიგის თავში გამოყოფილია დომინანტი ერთეული, რომელიც მთელი სინონიმური რიგისათვის საერთო მნიშვნელობით, ემოციური და სტილისტიკური ელფერის ნეიტრალურობით, გამოყენების მეტი სიხშირით ხასიათდება (სილაგაძე ჯ. 1981: 7-8).

სულხან-საბასეულ სინონიმურ წყვილებზე პირველი დაკვირვება და ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინის - „სინონიმი“ - შემოღება ნ. ჩუბინაშვილის სახელს უკავშირდება. მან ყურადღება გაამახვილა სინონიმთა წარმოქმნის ისეთ წყაროზე, რომელსაც სალიტერატურო ენასა და დიალექტურ მეტყველებას შორის არსებული განსხვავება ქმნის (ჩუბინაშვილი ნ. 1961).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად აკვირდებიან ქართულ სინონიმთა სემანტიკურ ბუნებას, რომელთა შორის აღსანიშნავი და საინტერესოა პ. კვიცარიძის მოსაზრება ქართულ სინონიმთა რელატიურ ბუნებაზე (კვიცარიძე პ. 1888).

XX საუკუნის დასაწყისიდან სინონიმის ცალკეული საკითხები შესწავლილი და გაშუქებულია ნ. მარის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას შრომებში.

ლექსიკური სინონიმის საკითხის შესწავლას ეძღვნება შ. ძიძიგურის შრომები: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“ და „სიტყვათა სესხება“. მათში ყურადღება გამახვილებულია სინონიმთა წარმოქმნის გზებსა და მეთოდებზე, ასევე, ავტორი, მსჯელობს ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ქმნიან სინონიმურ წყვილებს მსესხებელი ენის ერთეულებთან (ძიძიგური შ. 1941).

1951 წელს გამოიცა ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, რომლის შესავალ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ისეთი საკითხებზე, როგორიცაა: სინონიმთა წარმოშობის გზები, სინონიმებთან დაკავშირებული თეორიული საკითხები და კლასიფიკაციის პრინციპები. ლექსიკონში სიტყვები დაჯგუფებულია აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმებად. თუმცა, როგორც ჯ. სილაგაძე აღნიშნავს, არ ჩანს სემანტიკურ მოცულობათა როგორი ტოლობა ან ნიუანსობრივი სხვაობაა საკმარი მათ განსასხვავებლად (სილაგაძე ჯ. 1981:22). 1961-1978 წლებში გამოვიდა აღნიშნული ლექსიკონის მეორე და მესამე შევსებული ვარიანტები, რომლებსაც აღარ ერთვის სინონიმების შესახებ თეორიულ საკითხებზე მსჯელობა.

სინონიმის საკითხები გაანალიზებულია ჯ. სილაგაძის მონოგრაფიაში „ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები“, რომელშიც ავტორი სინონიმის საკვანძო საკითხებს მიმოიხილავს. ნაშრომში ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებიდან დამოწმებულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია: ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის თეორიული და პრაქტიკული საკითხები; სინონიმთა განსაზღვრის მეთოდები; ლექსიკური სინონიმის საკითხები ძველ ქართულ სამწერლობო ენაში; ძველი ქართული სამწერლობო ენის ლექსიკური სინონიმის თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი; დიალექტები, სიტყვათწარმოება, როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი და მკვებავი წყარო; ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის თავისებურებანი IX-XI საუკუნეებში. ლექსიკური სინონიმის საკითხები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში, სადაც ავტორი ძირითად საანალიზო წყაროდ იყენებს „ვეფხისტყაოსანს“. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის შესწავლისას

გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი; სიტყვათწარმოება, ოკაზიონალური, დიალექტური, ნასესხები ლექსიკა ახალი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში და ა.შ. (სილაგაძე ჯ. 1981).

ბოლო დროს, 2003 წელს, გამოიცა კ. ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“, რომლის შესავალ ნაწილში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სინონიმთა თეორიულ საკითხებზე მსჯელობას, სადაც ავტორს კრიტიკულად აქვს შეფასებული სინონიმის პრობლემა. იგი განიხილავს ლინგვისტიკაში გავრცელებულ სინონიმების მკვლევართა ორ საწინააღმდეგო შეხედულებას. რომელთაგან ერთნი უარყოფენ აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობის სიტყვების არსებობას ენაში. ისინი მიიჩნევენ, რომ ყოველ ლექსიკურ ერთეულს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელფერი და ხმარების სფერო... მეორენი კი - თუმცა აღიარებენ, რომ სინონიმთა საგრძნობ ნაწილს შეადგენენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა-თქმანი, დასაშვებად მიაჩნიათ აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობის სიტყვა-თქმათა არსებობაც.

აღსანიშნავია, რომ სინონიმის საკითხისადმი ინტერესი იზრდება. სინონიმის პრობლემას ეძღვნება ბ. ფოჩუას, ალ. ღლონტის, ზ. ჭუმბურიძის, ბ. ჯორბენაძის, კ. დანელიას, კ. ჯორჯანელის, შ. აფრიდონიძის, მ. აბალაკის, ვ. კვანტრიშვილის, ს. ნიჟარაძისა და სხვათა შრომები.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, სინონიმის თეორიული ასპექტები შესწავლილი აქვს კრუზს (Cruse D. 1973), ედმონდსა და ჰირსტს (Edmonds P. Hirst G. 2002), არნოლდს (Arnold), კრისტალს (Crystal D. 1988), პალმერს (Palmer 1981) და სხვ. ისინი ეხებიან სინონიმთა სემანტიკურ და სტილისტიკურ განსხვავებებს, ასევე სინონიმის და პოლისემიის საკითხებს.

ზოგადად, სინონიმის შესწავლას ენათმეცნიერებაში ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ენათმეცნიერებს მაინც არა აქვთ შემუშავებული სინონიმთა განსაზღვრის ერთიანი მეთოდი. განვიხილოთ რამდენიმე დეფინიცია. დ. კრისტალის განმარტებით სინონიმია ლექსიკურ ერთეულთა შორის არსებული მნიშვნელობის იგივეობის მიმართება (Crystal 1988:378). პალმერი სინონიმს განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელობის იგივეობას (Palmer 1981:88). ჯ. ლიჩის მცდელობას, სინონიმია განსაზღვროს კომპონენტურ ანალიზზე დაყრდნობით, საფუძვლად უდევს ლექსემათა მნიშვნელობის იგივეობა (Leech G. 1974:97). ფ. დოლუხაღს თავის ნაშრომში ტერმინ

სინონიმიასთან ერთად შემოაქვს ცნება სიტყვათა „მსგავსი მნიშვნელობა“ (sameness of meaning) (https://www.researchgate.net/publication/274163890_Synonymy_and_Sameness_of_Meaning_An_Introductory_Note). იგივე აზრს ავითარებს ბოგარდი, რომელიც ასკვნის, რომ, „ვინაიდან აბსოლუტური სინონიმია იშვიათობას წამროადგენს ნებისმიერ ენაში, ის დამოკიდებულია თვით კონტექსტზე. სინონიმურ ლექსიკონებში ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის, ვინაიდან ასეთ ლექსიკონებში სინონიმური ჯაჭვები კონტექსტის გარეშეა მოცემული“ (file:///C:/Users/user/Downloads/SynonymySamenessMeaningDolezal.pdf). დილან გლინის მოსაზრებით „სინონიმია ლექსემებს ან კონსტრუქციებს შორის სემანტიკური ურთიერთმიმართებაა, რომლებიც თანაბრად გამოიყენებიან კონტესტში“ (http://www.linguistics.ath.bielsko.pl/Glynn/Publications/Glynn_2010_Synonymy.pdf)

ნოვიკოვის განმარტებით, სინონიმია ენობრივ ერთეულებს შორის მნიშვნელობათა ნაწილობრივ ან სრულ თანხვედრას გულისხმობს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ერთეულთა ურთიერთჩანაცვლების უნარს და მათი სტილისტიკური შეფერილობის ტექსტში გამოყენების შესაძლებლობას. იგი ახაისთებს ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ, გრამატიკულ, დერივაციულ სისტემებს (Новиков 1990:446.). ო. ახმანოვა, ვ. ვინოგრადოვი და რეფორმატსკი მიიჩნევენ, რომ სინონიმები იდენტური ან მსგავსი ცნების აღმნიშვნელი სიტყვებია, სინამდვილის ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშნავენ, ან გამოყოფენ დასახელებული საგნის სხვადასხვა მხარეს. მათი განმარტებით, სინონიმია არის სიტყვების, მორფემების, კონსტრუქციების, ფრაზეოლოგიური ერთეულების და ა. შ. ძირითადი მნიშვნელობის თანხვედრა.

ანალოგიურად განსაზღვრავენ სინონიმიას როზენტალი და ტელენკოვაც. ისინი გამოყოფენ: 1. სიტყვათწარმოებით (აფიქსალურ) სინონიმიას, რომელიც მოიცავს: ა) აფიქსების სინონიმიას, ბ) სუფიქსების სინონიმიას - ასეთებია, მაგ.: მოქმედების პროცესის გამომხატველი სუფიქსები, სინონიმური სუფიქსების მქონე ზედსართავი სახელები და ზმნები; 2. დაბოლოებათა სინონიმია - მყარდება იმ სიტყვათა შორის, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მნიშვნელობის შეფერილობით ან სტილისტიკური დატვირთვით, მაგრამ გამოხავატენ ერთსა და იმავე მნიშვნელობას. ეს სიტყვები ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ; 3. გრამატიკული სინონიმია, რომელშიც მოიაზრება მეტყველების ნაწილთა კატეგორიების სინონიმია, მაგალითად, არსებითი სახელის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის, ზმნის დროის,

კილოს, გვარის და პირის ფორმები; 4. წინდებულთა სინონიმია; 5. კავშირების სინონიმია; 6. ფრაზეოლოგიური სინონიმია - ფრაზეოლოგიური ერთეულების საერთო მნიშვნელობა; 7. სინტაქსური სინონიმია (Розенталь, Теленкова, 1985, 278-280).

გალავანოვა სინონიმების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად სემანტიკურ სიახლოვეს და ურთიერთმონაცვლეობას მიიჩნევს, რომელიც მას განასხვავებს სხვა ლექსიკური მოვლენისაგან. ა. ბულახოვსკის თანახმად, სინონიმების სახელწოდებას ატარებენ სიტყვები, რომელთაც შესწევთ უნარი, აზრობრივად დაახლოებულ კონტექსტში, შეცვალონ ერთმანეთი შესამჩნევი განსხვავების გარეშე.

თ. გამყრელიძე სინონიმებს განსაზღვრავს, როგორც „საერთო საგნობრივი მიმართების, ანუ ერთი და იმავე დენოტატის მქონე ლექსემებს, ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვა სახელწოდებას“ (გამყრელიძე თ. 2003:365). იმავე მოსაზრებისაა გ. ნებიერიძე, რომელიც სინონიმებად ისეთ სიტყვებს მიიჩნევს, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან რეფერენციული მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან დიფერენციალური მნიშვნელობით, ანუ გამოხატავენ სხვადასხვა ცნებას, ერთსა და იმავე რეფერენტს სხვადასხვა თვალსაზრისით ახასიათებენ (ნებიერიძე გ. 1991:219). ავტორი განიხილავს ორ სიტყვას „ტუჩი“ და „ბაგე“. იგი აღნიშნავს, „ტუჩი“ და „ბაგე“ ერთ რეფერენტს მიემართებიან, მაგრამ განსხვავდებიან დიფერენციალური მნიშვნელობით, სემანტიკური კომპონენტებით, სინტაგმაში აზრობრივი შეკავშირებით. დასაშვებია „დოქის ტუჩი“, მაგრამ არა „დოქის ბაგე“. დიფერენციალური მნიშვნელობა რეფერენტის სხვადასხვაგვარ დახასიათებას გულისხმობს (ნებიერიძე გ. 1991: 226-227), თვით რეფერენტის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა (აფრიდონიძე შ. 1988:283).

აღნიშნული დეფინიციების განხილვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხილული მიდგომები ურთიერთგამომრიცხავი კი არ არის, არამედ ავსებს და აზუსტებს ერთმანეთს. თითოეული მათგანი სინონიმური დამოკიდებულების ერთ რომელიმე, თუმცა არსებით ნიშანს ეყრდნობა. მათი გაერთიანებითა და სიტყვის მნიშვნელობის ცნების გათვალისწინებით სინონიმური განსაზღვრება შემდეგ სახეს მიიღებს: „სინონიმები მსგავს (ენობრივ) ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებია. მათ აქვთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ კონტექსტში ურთიერთშენაცვლების უნარი“ (სილაგაძე ჯ. 1981:32).

ლექსიკური სინონიმები ქმნიან მიკროსისტემებს - სინონიმურ რიგებს. ლექსიკურ ერთეულთა ეს მცირე გჯუფი გამოიყოფა თანაბარმნიშვნელობის საფუძველზე. სინონიმური რიგები განსხვავებული რაოდენობის ელემენტებს შეიცავს. ერთ-ერთ ლექსემას რიგში დომინანტის სტატუსი აქვს. იგი გამოირჩევა ყველაზე მაღალი სიხშირით, ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით. მაგალითად, უყურებს, უცქერს, უმზერს, უჭკრეტს... სინონიმურ რიგში დომინანტია უყურებს (გამყრელიძე 2003, 366).

1.2. სინონიმთა მორფოლოგიური ასპექტები

სინონიმები ყველა ენის ლექსიკურ მარაგში დასტურდება, ამდენად, იგი უნივერსალურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება. ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ ბგერითი შედგენილობით, მაგრამ მნიშვნელობა ერთნაირი ჰქონდეთ ან ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკურ სინონიმთა წარმოქმნის რამდენიმე წყაროზე მიუთითებენ. კერძოდ, ისინი შეიძლება წარმოიქმნას დიალექტური ან ნაირსახოვანი სიტყვების თავმოყრით, მნიშვნელობის ცვლილებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სესხება, სიტყვათწარმოება და სხვა.

სინონიმების შესწავლის დროს ყურადღებას ვამახვილებთ არა მხოლოდ იმაზე, რაც საერთოა მოცემული სინონიმური მწკრივებისათვის, არამედ იმაზეც, თუ რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა შემდეგი საკითხი - ძირითადად რომელი მეტყველების ნაწილები ქმნიან რაოდენობრივად სინონიმთა ყველაზე დიდ გჯუფებს? რა ვითარებაა ამ მხრივ სრულიად განსხვავებული სისტემის მქონე ორ ენაში? კითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, საანალიზოდ შეირჩა ლექსიკონებში არსებული მასალა.

ორივე ენაში დადგენილი წესის შესაბამისად სინონიმური მნიშვნელობის მქონე ერთეულები დავაგჯუფეთ მეტყველების ნაწილთა მიხედვით.

ქართული ენის საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო სინონიმური მნიშვნელობის მქონე: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები, სახელზმნები, ზმნიზედები და შორისდებულები.

არსებითი სახელები: შიში / ელდა; სევდა / დარდი / ვარამი; ჭკუა / გონი; რიდი / კრძალვა; სენი / ჭირი; ალერსი / ლამუნი / ლაციცი; მტერი / დუმმანი; ბედი / ილბალი / სვე / ყისმათი;

ზედსართავი სახელები: ავი / ანჩხლი / კაპასი; ავენა / ენაბოროტი / ენაღვარძლიანი / ენაგესლიანი; ბოროტი / გულბოროტი / ავკაცი; ნავსი / თარსი; ავყია / ენამწარე; სევდიანი / დარდიანი / ჯავრიანი; კარგი / მშვენიერი; ყბედი / ლაქლაქა / ენალაქლაქა / ენაგრძელი; ავენა / ენაბოროტი / ენაგესლიანი / ენაღვარძლიანი; დარდიანი / ჯავრიანი; გულდარდიანი / გულჯავრიანი; ბედიანი / ილბლიანი; ზნეობიანი / კეთილზნეობიანი; ბედნიერი / სვებედნიერი; გულადი / გულოვანი; ძალგულიანი / ძალგულოვანი; თვალ(ებ)მოციმციმე / თვალ(ებ)ციმციმა. უბედო / უიღბლო / უყისმათო; შეუხედავი / ულამაზო / უშნო; გაუხარელი / უსიხარულო; უიღბლო / უბედური; ულამაზო / უსახური; ბილწი / უწმინდური; სახუმარო / საოხუნჯო / საკვიმატო; საუბედურო / საბედშაო; სადარდებელი / სადარდო / საჯავრო / სანაღვლო; გასაცინარი / სასაცილო და ა.შ.

ზმნები: ტირის / ქვითინებს / ქვითქვითებს / სლუკუნებს / ფშლუკუნებს; აკანკალებს / აცახცახებს / ამაგმაგებს / აბაბანებს / ათრთოლებს; აუკანკალდება / აუცახცახდება; ატირდება / აქვითინდება / ასლუკუნდება; იქვითინებს / იქვითქვითებს; აზმუკუნდება / აზლუქუნდება; აუციმციმდება / აუჟუჟუნდება; აუმგერდება / აუფანცქალდება / აუტოკდება; გააცინებს / ააკისკისებს / აახითხითებს / აახარხარებს...

განსაკუთრებით ვრცელია ზმნური სინონიმური ლექსიკა, რაც უდაოდ განპირობებულია ზმნის სემანტიკური სტრუქტურით, რომელიც სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით უფრო ტევადი და მოქნილია. ზმნას აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა საშუალებებით წარმოქმნას ახალი ლექსიკური ერთეულები, რითაც ხდება მისი სემანტიკის გამრავალფეროვნება.

სინონიმური მნიშვნელობის ზმნებში განსაკუთრებული ფუნქცია ზმნისწინებს აკისრიათ, რომელთა გამოყენებითაც ხდება მსგავსი ძირებიდან ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ლექსემათა წარმოქმნა. ზმნის წარმოქმნა შესაძლებელია ორი გზით:

სახელის ან სხვა თანრიგის სიტყვებისაგან, ან თვითონ ზმნის ფუძისაგან. ზოგი სიტყვაზე სათანადო პირის ნიშანთა და საწარმოქმნო აფიქსთა მიმატებით მიიღება, ზოგი კი - თვით ზმნის ფუძისაგან იწარმოება. წარმოქმნილ სინონიმურ ფორმებში დერივატის ფუნქციას ზმნისწინები, გვარის, ქცევისა და კონტაქტის ნიშნები ასრულებენ (ლლონტი ალ. 1964:98).

ცალკე გამოვყავით სახელზმნის შემცველი სინონიმური ლექსიკა, რადგანაც მათ ახასიათებს როგორც სახელის, ასევე, ზმნის ზოგიერთი კატეგორია.

სახელზმნები: კრთომა / კანკალი / კავკავი; სამულველი / სამაგელი; ენატკბილი / სიტყვატკბილი; სახეგაცისკროვნებული / სახეგაბრწყინებული; შეყვარებული / გამიჯნურებული; მოხითხიე / მოკისკისე; სამულველი / სამაგელი; შემკრთალი / დამკრთალი; მცინარი / პირმცინარი / პირმომლიმარი; მოლხენილი / დალხენილი / დალხინებული; ენატკბილი / სიტყვატკბილი; მოწყენილი / დამწყურებული / შეწყურებული; თავსიცილი / დაციწვა; სახეგაცისკროვნებული / სახეგაბრწყინებული; შეყვარებული / გამიჯნურებული; პირგაბადრული / გაღიმებული; მოსიყვარულე / მოტრფიალე; მლანძღველი / შეურაცხმყოფელი; ულმობელი / შეუბრალებელი; შემინებული / შემკრთალი / დამკრთალი; მცინარი / პირმცინარი / პირმომლიმარი და სხვ.

განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა სხვადასხვა გვარისა და დროის მიმდებარე ფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვნებითი გვარი. გვხვდება პრეფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი ფორმები.

სინონიმთა შედარებით მცირე ჯგუფს ქმნიან ფორმაუცვლელი სიტყვები.

ზმნიზედები: მორცხვად / საშინლად / საზარლად; გულშემზარავად / შემადრწუნებლად / თავზარდამცემად / კომმარულად; მორიდებით / მორიდებულად / რიდით / მოკრძალებულად / მოკრძალებით / მოწიწებით / განკრძალვით; მორცხვად / დარცხვენით / დარცხვენილად და ა.შ.

შორისდებულები: ოხ, ოჰ; ოხმე, ოჰმე; ფუჰ, ფუ; ყოჩაღ, ბარაქალა, აფერუმ...

მსგავსი სურათი გვიჩვენა ინგლისური ენის სინონიმთა ლექსიკონებში არსებულმა მასალამაც. გამოიკვეთა არსებით სახელთა, ზედსართავ სახელთა, სახელზმნათა, ზმნიზედათა და შორისდებულთა ჯგუფები.

არსებითი სახელები:

love, affection, devotion, fondness, friendship, passion, tenderness, attachment, amity, adoration, attraction, regard, admiration - სიყვარული, კეთილგანწყობილება;

danger, jeopardy, peril, hazard -საფრთხე, საშიშროება, რისკი;

terror, horror, dread, hatred, revulsion, detestation, abhorrence, distaste, dislike - ძლიერი შიში, თავზარი;

grief, anguish, suffering, agony, misery, wretchedness, pain, hurt, sadness, sorrow, dejection, depression, despondency, melancholy, unhappiness, woe, torment, desolation, heartbreak - დარდი, ვარამი, მწუხარება, დანადვლიანება, გულისტკივილი, სევდა; უბედურება, ფატერაკი, ხიფათი;

malice, wickedness - ბოროტება, ღვარძლი, სიაცე და ა.შ

grace, elegance, gracefulness, suppleness, finesse, refinement, ease, polish - მიმზიდველობა, სანდომიანობა, გრაცია, სიკობტავე, სინარნარე, მოხდენილობა;

hospitality, graciousness, courtesy, courteousness, friendliness, amicability, cordiality, warmth, congeniality, sociability - სტუმართმოყვარეობა, სტუმართმოყვარეულობა, პურმარილიანობა, პურადობა.

Howler, blunder, mistake, error, gaffe - მოტირალი, მოზარე;

ზედსართავი სახელები:

sad, unhappy, melancholy, downcast, dejected, depressed, low, sorrowful, gloomy, morose, glum, lugubrious, mournful, heartsick, crestfallen, chap-fallen, disheartened, downhearted, blue, despondent, broken-hearted, heartbroken, woebegone, miserable, wretched - მოწყენილი, იმედგაცრუებული, გულგატეხილი;

terrible, horrible, awful - საშინელი, საზარელი, შემადრწუნებელი;

Beautiful – charming, cute - ლამაზი, მომხიბვლელი, საყვარელი;

brave- courageous, heroic, fearless- მამაცი, გულადი , გმირული, უშიშარი;

saint- holy, pure- წმინდა, სუფთა;

sweet- delicious, luscious - ტკბილი, გემრიელი , ჩასატკბარუნებელი;

merciless, ruthless, pitiless - შეუბრალებელი, ულმობელი;

dauntless, fearless- უშიშარი; შეუპოვარი, გამბედავი;

Agreeable, enjoyable-სასიამოვნო, საამო, საამური.;

terrible, horrible- საშინელი, საზარელი.

scornful, disdainful - დამცინავი, ზიზღიანი;

dreadful, awful - საშინელი, საზარელი, შემზარავი.

gloomy, dreary - პირქუში, დარდიანი, დაღვრემილი.

cautious, judicious - ფრთხილი, წინდახედული;

infamous, scandalous - სამარცხვინო, სამრახისი, სააუგო.

ზმნები: sadden, grieve - დამწუხრება, დადარდიანება;

mock, taunt - დაცინვა, აბუჩად აგდება;

admire, adore აღტაცება, გაღმერთება;

shudder, frighten - თრთოლა, შეშინება;

frightened, scared, horrify, terrify; - შეაშინა, შეეშინდა, შეძრწუნება;

whimper, whine, chunter - წუწუნი;

abhor, hate, loathe, detest, abominate, execrate - ზიზღი, სიძულვილი...

call, calls, cries, cry - ყვირილი.

სახელზმნები:

Dejected, dispirited, low-spirited - დაამწუხრა, გულგატეხილი,

მოწყენილი, დათრგუნული;

fascinated, charmed - მოხიბვლა, მოხიბლული;

satisfied, contented;

astonished, amazed, surprised.

ზმნიზედები: dejectedly, dispiritedly - დამწუხრებულად, გულგატეხილად

Calmly- quietly- მშვიდად, წყნარად;

fast- speedily, fixedly სწრაფად, ჩქარა;

nicely- pleasantly - კარგად, სასიამოვნოდ.

შესაძლებელია, ვთქვათ, რაოდენობრივად ყველაზე მეტი სინონიმური ერთეული წარმოდგენილია ზედსართავი სახელითა და ზმნით, შედარებით ნაკლები - არსებითი სახელითა და სახელზმნით.

სინონიმთა ფორმოზრივ შემადგენლობაში, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში ცალკე ჯგუფს ქმნის ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც სახელებსა თუ ზმნებს

სინონიმებად უდგანან და საკმაოდ საინტერესო წყვილებს ქმნიან მათ გვერდით. მაგალითად, მოკვდა / სული განუტევა / თქვენი ჭირი წაიღო / ფეხები გაფშოკა; გაუჯავრდება / თავზე კაკალს დაამტვრევს; გამხდარი / ძვალტყავად ქცეული / ჩონჩხად ქცეული; აღფრთოვანება / ფრთების გამოსხმა; გაუხარდება / ცას დაეწევა სიხარულით; გაჩუმდება / ენაზე კბილს დაიდგამს, პირში წყალს დაიგუბებს; დამცინავი / სასაცილოდ ამგდები; სირცხვილი / თავლაფის დასხმა; უბედო / უბედურ ვარსკვლავზე (დღეზე) დაბადებული და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქართულს არც ინგლისური ჩამორჩება, ისიც საკმაოდ მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც მრავლად ქმნიან სინონიმურ ჯაჭვს ენაში:

luck , God's will, toss or throw of the dice - იღბალი;

feud, ill will, deadly feud - მტრობა, დაუძინებელი მტრობა

happy - Sunny smile - ბედნიერი;

comfortable- easy - Bed of roses - ადვილი;

die, faint, - Keel over — სიკვდილი;

Clam up – become silent, stop talking - გაჩუმება;

Flattery, brown-nosing - მლიქვნელობა;

Fool, arrant fool - სულელი, გამოჩერჩეტებული;

Frighten, make one's hair stand on end - შეშინება;

frivolous, two a penny - არასერიოზული;


fun, high jinks - მხიარულება;

furious, foaming at the mouth - გააფთრებული;


Die, meet one's Maker - სიკვდილი, შემქმნელთან შეხვედრა და ა.შ.

სურათის უკეთ წარმოსაჩენად დიაგრამის საშუალებით წარმოვადგინეთ სხვადასხვა მეტყველების ნაწილებით წარმოდგენილ სინონიმთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

სინონიმთა პროცენტული მაჩვენებელი ქართულში



სინონიმთა პროცენტული მაჩვენებელი ინგლისურში:



ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: ორივე ენაში რაოდენობრივად მეტი სინონიმური ერთეული წარმოდგენილია ზედსართავი სახელით (ქართულში - 34%, ინგლისურში - 30%), რომელსაც მოსდევს ზმნა (ქართულში - 31%, ინგლისურში 24%),

შემდეგ ქართულში რაოდენობრივად ჭარბობს სახელზმნა - 17%, რომელსაც მოსდევს არსებითი სახელი 12%, ზმნიზედა - 4% და შორისდებული - 2%; ინგლისურში არსებითი სახელი - 21%, სახელზმნა -14%, ზმნიზედა -9% და შორისდებული 2%.

1.3. სინონიმთა ფორმოზრიგ-სტრუქტურული მოდელები

როგორც კვლევამ ცხადყო, ყველაზე დიდ სინონიმურ ჯგუფებს ზედსართავი სახლები, ზმნები, არსებითი სახელები და სახელზმნები ქმნიან.

საინტერესო და მნიშვნელოვანია სინონიმების შესწავლა მორფოლოგიური შედგენილობის თვალსაზრისით, მით უფრო, კონტრასტულ ჭრილში. რაც შეეხება სინონიმთა მორფოლოგიური კონსტრუქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და კვლევას, იგი დამოკიდებულია მათ სტრუქტურულ აგებულებაზე.

მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, იქმნება სინონიმთა სამი ჯგუფი: მარტივი (ანუ ძირეული), წარმოქმნილი და თხზული (ანუ შედგენილი).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

I. მარტივფუძიანი სინონიმები:

შიში / ელდა; სევდა / ჯავრი / დარდი; ჭკუა / გონი; რიდი / კრძალვა; სენი / ჭირი; ავი / ანჩხლი / კაპასი / არჯალი / აშარი; ჯიუტი/კერპი; ხეპრე/ვირი; მახინჯი / ჯოჯო; სვე / ბედი; გიჟი / შმაგი / ხელი; კარგი / კაი; ლენჩი / ბრიყვი; მრისხანედ / გაჯავრებით; ოჩანი / ურჩი; მუდრეგი / ოხერი; ნამუსი / სინდისი; ნატიფი/სალუქი; პაჩი/კოცნა; ფლიდი / ქლესა; ნელა / დინჯად; ზნე/წირი; პროში / ტუჩი / ბაგე; ქალი / დედა; ქანცი / ძალა; ღვარძლი / გესლი; ყარტლი / ჭუჭყი; ყალბი / ტუფტა; შახი / ლაზათი; შფოთი / ჩხუბი; ჟამი / დრო; ცელქი / ანცი; ცმუცნა / ჭამა; ძალა / ღონე; ჭმუნვა / გლოვა და სხვ.

II. წარმოქმნილი სინონიმები:

წარმოქმნილ ფუძეში გამოიყოფა მარტივი ძირი და სადერივაციო აფიქსები. სინონიმთა მორფოლოგიური შესწავლის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს

წარმოადგენს სიტყვათწარმოება, სადაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მდიდარია ქართული ენა სიტყვათწარმოების შესაძლებლობებით. მ. ტუსკიას ნაშრომში - „სახელთა წარმოქმნის ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში“ - სახელთა წარმომქმნელი 58 აფიქსი აქვს აღნუსხული: -ა, -აკ, -ად, -ანა, -აჟ, -გან, -გვარ, -დელ, -(ა)-მდელ, -ება, -ებრ, -ებურ, -ედ, -ეთ, -ელ, -ელა, -ეულ, -ია, -იან, -იერ, -იგ, -თ, -იკო, -იონ, -ის, -იურ, -კეც, -მაგ, -მე-ე, -მე-ურ (მე-ულ), -მიერ, მო-ე, მო-ო, -ნარ, ნა-არ (ნა-ალ), ნა-ევ, -ნაირი, -ობ, -ობა, -ოდე, -ოდენ, -ოვან, -ოსან, სა-ე, სა-ეთ, სა-ო, სა-ურ (სა-ულ), სი-ე, უ-ე, უ-ეს, უ-ო, უ-ურ (უ-ულ), -უა, -უკა, -უნა, -ურ (ულ), -უც, -უჟ, -ფერი (ტუსკია, 1969, 25). სინონიმურ სახელთა შესწავლით წარმოჩინდება იმ შესაძლებლობათა მაქსიმუმი, რომელსაც იყენებენ სინონიმები ახალ ლექსიკურ ერთეულთა საწარმოებლად. სინონიმთა წარმოება ხორციელდება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისათვის დამახასიათებელი სიტყვათ წარმომქმნელი ელემენტების აქტივიზაციით.

წარმოქმნილ ფუძიანი სინონიმები მიიღება:

ა) ძირი + სუფიქსი: მტრობა / ქიშპობა; ვერაგობა / მუხთლობა / მზაკვრობა / ორგულობა...

ბ) პრეფიქსი + ძირი + სუფიქსი: სამწუხარო / სანადვლო / საწყენო / სავალალო / საუბედურო; უბედო / უიღბლო; უთვალადო / უშნო / ულამაზო...

გ) ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი/პირის ნიშანი): ქვითინ-ებ-ს / ქვითქვით-ებ-ს/სლუკუნ-ებ-ს / სლუკსლუკ-ებ-ს / ზლუქუნ-ებ-ს; კისკის-ებ-ს / კისკის-ობ-ს / ხითხით-ებ-ს / კუჭკუჭ-ებ-ს...

დ) ზმნისწინი + ფუძე + სუფიქსი (მწკრივის ნიშანი, თემის ნიშანი, პირის ნიშანი): შე-ს-ტრფ-ი-ს / შე-ს-ტრფ-ი-ალ-ებ-ს...

ე) ზმნისწინი + გვარის ნიშანი + ფუძე + თემის ნიშანი + პირის ნიშანი: მი-ე-ფერ-ებ-ა / მი-ე-ალერს-ებ-ა; მი-ე-სა-ყვარ-ლ-ებ-ა / მი-ე-სიყვარ-ულ-ებ-ა; ე-სტუმრ-ებ-ა / ე-ა-ხლ-ებ-ა / მი-ა-დგ-ებ-ა / მი-ე-ხეტ-ებ-ა / მი-ჩერჩეტ-დ-ებ-ა / მი-წანწალ-დ-ებ-ა; ე-წვევ-ა / ე-სტუმრ-ებ-ა / ე-ა-ხლ-ებ-ა...

ვ) ქცევის/პირის ნიშანი + სახელი ფუძე + თემის ნიშანი / პირის ნიშანი: ი-ცინ-ებ-ს / ი-კისკის-ებ-ს / ი-კასკას-ებ-ს / ი-ხითხით-ებ-ს; უყვარ-ს / ეტრფის; სძულს / სძაგს;

ისტორიულად განსაკუთრებით პროდუქტიულია სახელების ძირებისაგან ზმნათა წარმოება. ზმნური სიტყვათწარმოების საყრდენ ფუძედ უმთავრესად გამოყენებულია

სახელის ფუძე. როგორც ბესიკ ჯორბენაძე აღნიშნავს: „სახელის ფუძის გამოყენება ზმნურ ფორმათა წარმოებისას - შეუზღუდავია, რაიმე ამკრძალავი წესი აქ არ მოქმედებს და თუ რომელიმე სახელის ფუძე ზმნურ ფორმაში არ არის გამოყენებული, ამის მიზეზია არა წარმოების შეუძლებლობა, არამედ საჭიროების უქონლობა“ (ჯორბენაძე. 1980).

III. თხზული ანუ კომპოზიციით მიღებული სინონიმური ერთეულები:

სინონიმური ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად გვხვდება თხზვა ანუ კომპოზიცია. კომპოზიცია ქართულ ენაში სახელთა წარმოქმნის ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა, რაც ქართულ ენაში სხვადასხვა საშუალებით ხდება: ფუძის გაორკეცებით, ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით, ორზე მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით (შანიძე აკ. 1953:149). შინაარსის მიხედვით კომპოზიციები ერთცნებიანია, ორცნებიანი ან მრავალცნებიანი.

კომპოზიციის გზით წარმოქმნილი სინონიმური ერთეულები მიიღება:

1) **ფუძის გაორკეცებით (რედუქციაციით):** კომპოზიციები მიღებულია ფუძის გაორკეცებით. იგი ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიციების შესადგენად როგორც სახელებში, ისე ზმნებში. ასეთი კომპოზიციები სხვადასხვაგვარია: მარტივი, თანხმოვნის დისიმილაციით, თანხმოვნის ჩავარდნით ან ხმოვნის შენაცვლებით მიღებული. მაგ.: კისკისი / ხითხითი; კუჭკუჭი / ხარხარი; კაკკავი / თახთახი; ქვითქვითი / სლუკსლუკი; ცახცახი / ძაგძაგი / ბაბანი; ლასლასი / ლახლახი / ბაჯბაჯი / ტუსტუსი / ცუხცუხი / ლაწლაწი; ლაილაი / ლაქლაქი / ლაშლაში / ქაქანი / ბუტბუტი / ჩიფჩიფი / დუდუნი / ლულულდი / ჭუკჭუკი / ტიკტიკი / ლიკლიკი / როხროხი; ცახცახებს / ძიგძიგებს / კაკკავებს... ჩურჩული / ტარტალი; ჩერჩეტი / ქერქეტი; შუშუტი / შატაბუტა; ცეტი / ცერცეტი / ცანცარა; ჩანჩალი / ცანცარი / კინკილი / ცუნცული / წანწალი / ძუნძული / ტუნტული / ტანტალი / ღანღალი / კანკალებს / კანკალობს; მიჩანჩალებს / მიჩერჩეტობს / მიცანცალებს / მიტუნტულებს / მიწანწალებს; კანკალებს / კანკალობს...

კომპოზიტიდან სინონიმურ ლექსიკაში განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ნაირფუძიანი კომპოზიციები, რომელთაგან უმეტესობა მიღებულია სხვადასხვა ფუძის შეერთებით, სახელდობრ:

2) **კომპოზიტის პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, მეორე - ზედსართავი სახელი:** გულუხვი / ხელუხვი; გულდარდიანი / გულჯავრიანი /

გულნაღვლიანი; ენაბოროტი / ენაღვარძლიანი / ენაგესლიანი; ენამახვილი / ენაბასრი;
გულნაზი / გულჩვილი; ჭკუათხელი / თავთხელი / ჭკუნაკლები / ჭკუნაღრძობი /
ჭკუასუსტი / ჭკუამოკლე / ჭკუამსუბუქი / თავმსუბუქი / თავმჩატე / თავცანცარა;
გონებასუსტი / გონებაშეზღუდული / ტვინაღრძობი / გონებაჩლუნგი /
გონებადახშული...

3) კომპოზიტის ორივე კომპონენტი ზედსართავი სახელია: დიდგული /
დიდგულა; ავკაცი / შავზნელი; პატიოსანი / კეთილსინდისიერი; შავბედიანი / შავბედითი
/ შავსვიანი..

4) კომპოზიტის პირველი კომპონენტი სახელია, მეორე - სახელზმნა:
სახეგაბრწყინებული / სახეგაციცროვნებული / პირგანათებული; სახედაღრეჯილი /
სახედაღმეჭილი; გულდასერილი / გულდაკოდილი; ბედაღწყევლილი / ბედატეხილი;
გულგახსნილი / გულგაშლილი; სასოწარკვეთილი / სასომიხდილი; ზნედაცემული /
ზნეგაფუჭებული / ზნეობადაცემული / ზნეობადაკარგული / ზნეგახრწნილი;
მზედაბნელებული / სულგაცხებული; დღეკრული / ბედაგანწირულ; ქუდმოხდილი /
ლეჩაქმოხდილი / ჩიქილამოხდილი... გულმოწყალე / ყოვლადმოწყალე; შუბლშეკრული
/ შუბლმოქუშული / შუბლმოდრუბლული; ცნობისმოყვარე / ცნობისმოყვარული;
ცრემლშეუშრობელი / ცრემლშეუმშრალი; კისერმოდრეცილი / კისერმოდრეცილი;
პირმდიმარი / სახემომდიმარი / პირმციმარი / პირმოცინარი; პირმცინარე / პირმდიმარე /
პირმომდიმარე / პირმომცინარე; გულჩამკვდარი / თვალდამდგარი; გულმწუხარე /
პირმწუხარე; ყიამყრალი / პირმყრალი / ენამყრალი...

5) კომპოზიტის ორივე კომპონენტი არსებითი სახელია: თვალისჩინი, გულქვა,
გულქართლი, თავზარი;

6) კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, მეორე- არსებითი: ერთგული,
ორგული, ორპირი.

7) ტოლად შერწყმული სახელები: სვე-ბედი; ბედ-იღბალი, ოხერ-ტიალი; შიშველ-
ტიტველი; ქება-დიდება; სიცილ-კისკისი, სიცილ-ხარხარი, სიცილ-ხითხითი; ტანჯვა-
წამება, ტანჯვა-წვალება; მოთქმა-ტირილი, ვაი-ვაგლახი, მოთქმა-ზარი; სევდა-ნაღველი...
ნაცემ-ნაბეგვი; ღარიბ-ღატაკი.

მოძიებულ საანალიზო მასალაში კომპოზიტების პირველი კომპონენტი
წარმოდგენილია არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელითა და

სახელზმნით, მეორე კომპონენტი - ზედსართავი სახელით, სახელზმნით, იშვიათად არსებითი სახელით. მსაზღვრელად ძირითადად წარმოდგენილია თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელი, რომელსაც სახელბითი ბრუნვის ნიშანი -ი მოკვეცილი აქვს, ასევე ფუძის სახით არის მსაზღვრელად წარმოდგენილი ზედსართავი სახელი და რიცხვითი სახელი.

დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კომპოზიტის პირველი წევრი, არსებითი სახელი, თანაირ ან ებიან მრავლობითშია: ლამაზი / მზეთუნახავი, ავი / ძაღლთაპირა / მომაკვდავი / სულთმოზრმავი; პირფერი / ფეხთამლოკავი, გიჟი / კრამიტებდაჩოჩებული.

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც კომპოზიტი მიიღება ორზე მეტი ფუძის შეერთებით: თვალ(ებ)დავსებული / თვალისჩინდაკარგული; თავლაფდასხმა / თავლაფდასხმული; უბედო / დღებედშავი; ზარდაცემული / თავზარდაცემული.

ინგლისური ენასთან შედარება არაერთ მსგავსებას გვიჩვენებს. ქართულის მსგავსად აქაც დასტურდება:

1. მარტივფუძიანი სინონიმები:

ინგლისურ ენაში მარტივი ფუძე არის ერთი მთლიანი განუყოფელი სიტყვა, მასში არ გამოიყოფა ძირი და პრეფიქსი ან სუფიქსი, ე.ი. არ გაჩნია სპეციალური დაბოლოება (ებრალიძე. 1986): suave, polite - ზრდილობიანი, თავაზიანი;

good, nice - კარგი;

sick, ill, die - სიკვდილი;

crazy, mad - გიჟი, შეშლილი;

stupid, fool - სულელი;

harsh, rigid, - უხეში, ხისტი

course, rough, rude - უხეში...

beat, whip, flog - ცემა, გაწკეპლა, გამათრახება

bluff, dupe - მოტყუება, გასულელება,

yell, cry, shout, rave, roar, wail - კივილი, ყვირილი, ღრიალი

lie, fib - ტყუილი, ტყუის

lot, fate - ხვედრი, ბედი

2. წარმოქმნილფუძიანი სინონიმები:

ძირი+სუფიქსი ან პრეფიქსი:

merciless, ruthless, pitiless - შეუბრალებელი, ულმობელი

unhappy, unlucky, unfortunate - უბედური, უბედო

beautiful, lovely, pretty, handsome - ლამაზი

friendly, amicable - მეგობრული

amazing, marveiiious - საოცარი

enjoyable, pleasing - სასიამოვნო

attractive, appealing, lovable - მიმზიდველი

charming, glamorous - მომხიბვლელი

crazy, mad - გიჟი, შეშლილი

piggish, hoggish, swinish - ღორული (ჭამა)

hoggishness, piggishness - ღორობა

3. რთულფუძიანი სინონიმები:

ორი ან მეტი ძირი (+სუფიქსი (-ed), შედგენილი/რთული):

broken-hearted - heartbroken, downhearted, Disappointed - გულგატეხილი

light-heartedness - უდარდელობა

woebegone, low-spirited - დამწუხრებული, გუნებადამძიმებული, შეწუხებული

good-looking, fine-looking , nice-looking- მომხიბლავი, სიმპატიური

well-favoured - კეთილგანწყობილი

dim-wit, nitwit, halfwit - გონებასუსტი, სულელი

straightforward, above-board - პირდაპირი, უბრალო

ill-tempered, bad-tempered - ფიცხი, თავშეუკავებელი

fault-finding ill-natured - ავზნიაანი

stout-hearted, lion-hearted - გაბედული, ლომგული

raw-boned, hollow-cheeked - გამხდარი, ლოყებზაცვევნილი

open-handed high-minded გულუხვი, კეთილშობილი

good-natured, good-humoured, well-disposed- გულკეთილი, გულთბილი,

Trencherman, gormandizer - მჭამელი, გაუმაძრარი

half-hearted faint-hearted chicken-hearted - გაუბედავი, მშიშარა, მხდალი

საანალიზო ენებში სინონიმების წარმოქმნის მრავალი შემთხვევაა. ორივე ენაში სინონიმთა წარმოების ძირითადი საშუალება დერივაციაა. დერივაციული მაწარმოებლები ერთვიან მსგავსი სემანტიკის მქონე ფუძეებს და ვიღებთ სხვადასხვა სახის სინონიმთა სემანტიკურ ჯგუფებს.

სინონიმთა მორფოლოგიურ შედგენილობაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ მიმართებით საკვლევ ენებში, მეტი ალომორფიზმია, ვიდრე იზომორფიზმი. კონკრეტულად:

- მსგავსება ისაა, რომ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში იქმნება მარტივი (ანუ ძირეული), წარმოქმნილი და თხზული (ანუ კომპოზიტური) სინონიმური ჯგუფები.

რაც შეეხება განსხვავებას, კონპოზიტურ სინონიმურ ერთეულებში:

- ქართულ ენაში პირველ წევრად უმეტესად გვხვდება არსებითი სახელი, ხოლო ინგლისურ ენაში - ზედსართავი სახელი.

- ქართულ ენაში კომპოზიტის მეორე წევრი სუფიქსით ან პრეფიქს-სუფიქსის დართვით მიიღება, ინგლისურ ენაში - სუფიქსების დართვით.

- ქართულ ენაში რამდენიმე მაგალითში კომპოზიტის პირველი წევრი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით (თანიანი და ებიანი), ინგლისურ ენაში კი - მეორე წევრი.

- ქართულ ენაში გვაქვს შემთხვევა, როდესაც კომპოზიტი მიიღება სინონიმური მნიშვნელობის სახელთა შერწყმით (სვე-ბედი, ძალ-ღონე, ოხერ-ტიალი, შიშვეულ-ტიტველი, ბედ-იღბალი), მსგავსი ტიპის მაგალითები ინგლისურ ენაში არ დასტურდება.

ამრიგად, დაკვირვებამ სინონიმთა მიღების მრავალი შემთხვევა გამოკვეთა. დერივაციული მაწარმოებლები ერთვიან მსგავსი სემანტიკის მქონე ფუძეებს და ვიღებთ ახალ-ახალი სახის სინონიმური მნიშვნელობის სემანტიკურ ჯგუფებს.

თავი II

სინონიმთა სემანტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური მახასიათებლები

2.1. სინონიმთა სემანტიკური ასპექტები

თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. როგორც დიდი გერმანელი მოაზროვნე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი მიიჩნევს, ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. თითოეული ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც ფლობს. სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვას ნიშნავს (Humboldt 1996:64). ერების თავისებურება და ისტორია ენაში აისახება, კერძოდ, ენის ლექსიკაში (Humboldt 1996:67). აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც გვსურს სინონიმთა მეცნიერული შესწავლა და ანალიზი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თითოეულის ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურის თავისებურებები, ვინაიდან მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება სინონიმების სრულყოფილი დახასიათება.

როგორც ვიცით, სიტყვა ენის ლექსიკური დონის ძირითადი ერთეულია. მაგრამ იგი შეისწავლება არა მხოლოდ როგორც ლექსიკური ერთეული, არამედ, როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური ერთეული. იმის მიხედვით, თუ რაზე მიუთითებს სიტყვა, როგორც ნიშანი, ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის. რომელია სიტყვის ის ასპექტი, რომელზე დაფუძნებითაც იგი ასრულებს თავის ნიშნობრივ - ანუ ნომინაციის ფუნქციას? სიტყვის ეს ასპექტი არის სიტყვის სემანტიკა - ანუ სიტყვის მნიშვნელობა (ბიჭაშვილი მ. 2013:153). რა არის სიტყვის სემანტიკა?

სემანტიკა წარმოადგენს სემიოტიკის პირველად და ისტორიულად ყველაზე ადრე დამუშავებულ ნაწილს. სემანტიკის შესწავლის საგანია ნიშანთა შინაარსობრივი მხარე. სემანტიკის ძირითად კატეგორიას წარმოადგენს „მნიშვნელობა“. სემანტიკა სიტყვის მნიშვნელობას, მის ლექსიკურ მხარეს უკავშირდება. თითოეული სინონიმი

სემანტიკურად ენის ერთეულია, ზგერათა შენაერთია, რომელიც ამა თუ იმ აღსანიშნულ განსაზღვრავს (ბიჭაშვილი მ. 2013:162).

შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ სინონიმებს ორი ფორმა აქვთ: შინაგანი (ლექსიკურ-სემანტიკური) და გარეგანი (გრამატიკულ-სტრუქტურული). სინონიმების სემანტიკური კვლევა პირდაპირ კავშირშია შინაგან ფორმასთან. ლექსიკაში არსებული სინონიმები, თავიანთი მახასიათებელი ნიშნით, შესაძლებელია, სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს მივაკუთვნოთ. ერთ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი სინონიმები საერთო ნიშნით ხასიათდებიან. როდესაც ვიკვლევთ სინონიმურ სიტყვათა სემანტიკას ქართულსა და ინგლისურში, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ სიტყვის შინაარსობრივი მიმართება მოცემული ენის სხვა სიტყვებთან. სიტყვების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, თუ რა მიმართებაშია ის სხვა სიტყვებთან. სწორედ ამ მიმართებებს იკვლევენ ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში.

რა პრინციპით ერთიანდებიან სინონიმები სემანტიკურ ველში და რითი განსხვავდება იგი ე.წ. თემატური ჯგუფების გამოყოფის პრინციპისაგან? „ველის იდეა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სამყაროს ენისმიერი დანაწევრება (სამყაროს სახელდება) ხდება არა ცალკეული სიტყვების მეშვეობით, არამედ შინაგანად ორგანიზებული სიტყვათა ჯგუფების - ველების - საშუალებით, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან სემანტიკური ნათესაობა აკავშირებთ... სემანტიკურ ველს აქვს იერარქიული სტრუქტურა. იერარქიაში მაღალი დონისათვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობა” (გვენცაძე მ.2009:133). შემდეგ თანდათანობით იკლებს სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა და იმატებს მასში ჩართული სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

სინონიმები წარმოადგენენ სემანტიკურად დაკავშირებულ მინიმალური რაოდენობის სიტყვებს, რომლებსაც საერთო ლექსიკური მნიშვნელობა და საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ მსგავსი სემანტიკა აქვთ, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსობრივი დატვირთვით, გამოყენების სფეროთი, ემოციურ-სტილისტიკური შეფერილობითა და მნიშვნელობის საკუთარი განმასხვავებელი ელფერით.

სემანტიკური ველები შეიძლება გამოიყოს მეტყველების ნაწილებშიც, თუმცა, „ამგვარი ველები აბსტრაქტული ველებია, რომელთა შიგნით უნდა გამოიყოს უფრო

კონკრეტული სემანტიკური ველები. სიტყვათა სემანტიკური მიმართებები ველის შიგნით ატარებენ პარადიგმატიკულ ხასიათს - ველის წევრები ქმნიან ლექსიკურ პარადიგმას. პარადიგმის წევრებს კი აქვთ საერთო შინაარსი“ (ნებიერიძე გ. 1999:215).

ლინგვისტიკაში, სინონიმთა სემანტიკურ და სტილურ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე, განარჩევენ ზოგად სამ ჯგუფს: 1. სემანტიკური ანუ იდეოგრაფიული, ცნებითი სინონიმები; 2. სტილური/სტილისტიკური სინონიმები; 3. სემანტიკურ-სტილისტიკური სინონიმები.

1. სემანტიკური სინონიმები სტილისტიკურად ნეიტრალური სინონიმებია, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთი და იმავე მნიშვნელობის ნიუანსთა დიფერენციასთან (Виноградов В. В. 1953: 69). მიუხედავად ძირითადი სემანტიკური ერთიანობისა, თითოეულ სინონიმს საკუთარი გამოყენების არეალი, შეფერილობა და მიკროსემანტიკური ნიშნები აქვს. ერთი სინონიმი მეორეს ყოველთვის ვერ ენაცვლება. მათი შერჩევა შინაარსობრივი დატვირთიდან გამომდინარეობს (სანიკიძე თ. სანიკიძე ი. 2009). კერძოდ, ეს განსხვავება შეიძლება იყოს აღსანიშნი ცნების მოცულობაში, თვისების გამოვლენის ხარისხში და სხვ. მაგ.: მიაქვს / მიათრევს; ტეხა / მტვრევა / მსხვრევა და ა.შ. (გამყრელიძე თ. 2003:366).

2. სტილისტიკური სინონიმები, რომლებიც მნიშვნელობით იგივეობრივი არიან, მაგრამ განსხვავდებიან კონოტაციით - დადებითი ან უარყოფითი შეფასებით, ექსპრესიულ-ემოციური შინაარსით ან სტილისტიკური ელფერით. სტილისტიკური სინონიმები ექსპრესიულობის ხარისხს მატებენ ტექსტს, ან ნეიტრალურ გამომსახველობას სძენენ (სანიკიძე თ. სანიკიძე ი. 2009). გამოიყოფა ემოციურ-შეფასებითი და სტილური სინონიმები, მაგალითად: ხანდაზმული, ბებრუცანა. სხვადასხვა სტილურ ფენას განეკუთვნება, მაგალითად: ტანსაცმელი / სამოსი. Leave, abandon „დატოვება“, „მიტოვება“ და სხვა (გამყრელიძე თ. 2003:367).

3. სემანტიკურ - სტილისტიკური სინონიმები არის სინონიმები, რომლებიც განსხვავდებიან არა მარტო სტილისტიკური ელფერით, არამედ თითოეული მათგანისთვის საერთო მნიშვნელობის ნიუანსებითაც, მაგ.: პოსტი / თანამდებობა (Балли III. 1980:182).

აღნიშნულის გარდა, სინონიმები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ გრამატიკული თავისებურებებით და ხმარების სიხშირით.

სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ის კომპონენტები, რომლებიც გამოხატავენ სიტყვის ძირითად მნიშვნელობას. მაგალითად, თუ ავიღებთ **ძრწოლის** სინონიმებს **თრთოლა**, **კანკალი** და დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ორივე მათგანი გამოხატავს შიშს. ეს არის ამ სიტყვის ძირითადი, მთავარი მნიშვნელობა. მაგრამ ამგვარი დეფინიცია არ იძლევა ამ სიტყვების მნიშვნელობის სრულ სურათს და საჭირო ხდება, გავითვალისწინოთ დამატებითი მნიშვნელობა, რასაც ეწოდება „კონოტაცია“ (ლათ. con – „თან“, notation – „აღნიშვნა“). თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ მათ მნიშვნელობას, დავინახავთ, რომ „თრთოლა“ ნიშნავს სიცივით თრთოლას, კანკალს, ხოლო „კანკალი“ – შიშისაგან, ძრწოლისაგან კანკალს.

უნდა ითქვას, რომ სიტყვის ცნება და სიტყვის მნიშვნელობა იგივეობრივი არ არის. მაგალითად, ბებერი და დაჩაჩანაკებული ვერ ჩაითვლება სინონიმებად, რადგან ამ სიტყვების საფუძველი სხვადასხვა ცნებებია. ბებერი მიუთითებს ასაკზე, ხოლო დაჩაჩანაკებული - ფიზიკურ მდგომარეობაზე (ფოჩხუა ბ. 1974:34). ინგლისურ ენაში old (ბებერი) და feeble (დაჩაჩანაკებული) ვერ ჩაითვლება სინონიმებად, რადგან აქაც იგივე შემთხვევა გვაქვს, რაც ქართულში.

სინონიმთა სემანტიკურ სტრუქტურაში დენოტაციისა და კონოტაციის გაგებას ხელი შეუწყო აღსანიშნის (სიგნიფიკატის) სემებად დაყოფამ. სინონიმთა სემანტიკურ სტრუქტურაში მთავარ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ ის კომპონენტები, რომლებიც გამოხატავენ სიტყვის მთავარ მნიშვნელობას.

კონოტაციები სხვადასხვა სახისაა. იგი შეიძლება გამოხატავდეს: ა) შეფასებას და მას „შეფასებითი კონოტაცია“ (evaluative connotation) ეწოდება, მაგალითად სიტყვები notorious და celebrated, რომელთა დენოტაციური მნიშვნელობა არის „ცნობილი“, შეფასებით კონოტაციას შეიცავენ: notorious არის „ცნობილი რაღაც ცუდით (notorious thief, killer, criminal დაა.შ.) ხოლო celebrated – „ცნობილი რაღაც კარგით“ (celebrated author, actor, scientist დაა.შ.); ბ) ემოციას - მას „ემოციური კონოტაცია“ (emotive connotation) ეწოდება, მაგალითად, ზმნების to gaze, to glare დენოტაციური მნიშვნელობა არის „ყურება“, ხოლო ემოციური კონოტაციით ზუსტდება, რომ gaze – ნიშნავს „სიყვარულით, სითბოთი, ტკბობით ყურებას“, ხოლო glare – „ბრაზით ყურებას“; გ) მიზეზს - მას „მიზეზის კონოტაცია“ (causative connotation) ეწოდება. მაგალითად, ზმნების - to shiver და to shudder - დენოტაციური მნიშვნელობა არის „თრთოლა“, მაგრამ

მიზეზის კონოტაცია აზუსტებს, რომ shiver ნიშნავს „სიცივით თრთოლას“ („სიცივით კანკალს“), ხოლო shudder – შიშისგან, ძრწოლისგან კანკალს (თევდორაძე ნ. 2016:79).

ორივე ცნება - დენოტაცია და სიგნიფიკაცია - (ასევე კონოტაცია, თუ კი კონოტაციური ელემენტი აქვს სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას) ერთიანდება ნომინაციის ფუნქციაში, რომელიც სიტყვის ამოსავალი ნიშნობრივი ფუნქციაა. ყველა სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის რაღაც ნაწილს (სეგმენტს), ანუ ყოველი სიტყვა, თავისი მნიშვნელობის (სემანტიკის) საშუალებით, რაღაცას ასახელებს. ნომინაციის ფუნქცია კი, როგორც უკვე ვიცით, ამა თუ იმ სიტყვამ შეიძლება შეასრულოს ორნაირად: პირდაპირ (მაგ. „ოქროს ბეჭედი“) და ირიბად (მაგ. „ოქროს გული“). ირიბი ნომინაცია ყოველთვის ნაწარმოებია პირდაპირისაგან. ნომინაცია ყველა ენაში ხდება თავისებურად. სხვადასხვა ენაში სიტყვები სხვადასხვაგვარად ასახელებენ (ასახევენ) სინამდვილეს (სინამდვილის რომელიღაც სეგმენტს). მაგალითად, ქართულ ენაში ისეთი ორი ცნება, როგორიცაა „ენა“ როგორც საკომუნიკაციო საშუალება (language) და „ენა“ როგორც ადამიანის ორგანო, ერთი სიტყვით გადმოიცემა, ხოლო ინგლისურში ამ ორ ცნებას ორი სხვა და სხვა სიტყვა გადმოსცემს (language და tongue); ასე, მაგალითად, სიტყვები ქართული „თვალი“ და ინგლისური „eye“ მნიშვნელობით (სემანტიკით) ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ქართული სიტყვა „თვალი“ ისეთ კონტექსტში შეიძლება შეგვხვდეს („ურმის თვალი“, „ბეჭდის თვალი“), სადაც ინგლისური სიტყვა „eye“ არასოდეს გვხვდება. სამაგიეროდ, ინგლისური „eye“ რა კონტექსტშიც გვხვდება (მაგალითად, „eye of the needle“ - ნემსის თვალი), ქართულში არ დასტურდება (თევდორაძე ნ. 2016: 79).

სინონიმები წყვილ სიტყვას გულისხმობს, ამიტომ ასეთ სიტყვებს სინონიმურ წყვილებს უწოდებენ. სინონიმია ყველა ენაში არსებობს, იგი ენის ლექსიკური სიმდიდრის გამოვლინებაა. სინონიმია წარმოადგენს შინაარსის ერთი ელემენტის შესაბამისობის გამოხატვას რამდენიმე ელემენტთან.

სინონიმის კვლევისას გამოიყოფა რამდენიმე განსხვავებული მიდგომა:

1. შინაარსობრივი იგივეობა ან მსგავსება;
2. ლოგიკური ეკვივალენტურობა, რაც გულისხმობს სინონიმთა სრულ ან ნაწილობრივ ურთიერთ ჩანაცვლებადობას ტექსტში;
3. სტილისტიკური მახასიათებლები;
4. დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობა.

დენოტაციური მნიშვნელობის მომხრენი, მათ შორის გ. ნებიერიძეც, მიიჩნევს, რომ რეფერენციალური მნიშვნელობით სინონიმები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ სხვა დიფერენციალური მნიშვნელობა აქვთ. მას მოყავს მაგალითისთვის „ტუჩი“ და „ბაგე“, ეს სიტყვები ქართულში სინონიმებად არის მიჩნეული, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით ისინი განსხვავებულია. „ტუჩი“ აღნიშნავს მხოლოდ ფიზიოლოგიურ ორგანოს, ხოლო სიტყვაში „ბაგე“ ამავე ორგანოს კომუნიკაციის სემანტიკური კომპონენტია აქცენტირებული. ამით აიხსნება ისიც, რომ ჩვენ ვამბობთ ქოთნის ტუჩს და არა ქოთნის ბაგეს, ტუჩ-კბილს, მაგრამ ბაგისმიერს (ნებიერიძე გ. 1999:219-220).

მკვლევართა დიდი ნაწილი სინონიმურობის დასადგენ ერთ-ერთ სანდო კრიტერიუმად კონტექსტს მიიჩნევს. ლინგვისტიკაში ამ მეთოდს „სუბსტიტუციურს“ უწოდებენ (Шански 1972:53; ჩიქობავა 1967:79). სინონიმები ერთმანეთისაგან სტილისტიკურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც განირჩევიან, ამიტომ კონტექსტში ჩანაცვლების კრიტერიუმი აქ შეიძლება გამოყენებული იქნეს ლექსემათა სინონიმურობის დასადგენად (კვანტრიშვილი ვ. 2009:15).

ზოგი მეცნიერი სინონიმურობის დასადგენად ლექსიკურ ერთეულთა დისტრიბუციული მოდელების შედარებას მიიჩნევს (Звигенсев, 1963:137; Апресян 1957:84, Евгенева 1966:18), მაგრამ მხოლოდ დისტრიბუციულ მეთოდზე დაყრდნობით სინონიმურობის განმარტება ისევ ცალმხრივი რჩება.

ზემოთ განხილული მეთოდებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სინონიმების გამოყოფა ეფუძნება დიფერენციალურ ნიშნებსაც, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან აზრობრივი (ინტელექტუალური), სტილისტიკური (ფორმალური), თუ ექსპრესიულ-ემოციური ნიშნის მიხედვით განარჩევს.

სემანტიკური სინონიმები სტილისტიკურად ნეიტრალური სინონიმებია, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთი და იმავე მნიშვნელობის ნიუანსთა დიფერენციაციასთან. მიუხედავად ძირითადი სემანტიკური ერთიანობისა, თითოეულ სინონიმს საკუთარი გამოყენების არეალი, შეფერილობა და მიკროსემანტიკური ნიშნები აქვს. ერთი სინონიმი მეორეს ყოველთვის ვერ ენაცვლება. მათი შერჩევა შინაარსობრივი დატვირთიდან გამომდინარეობს (სანიკიძე, თ., სანიკიძე, ი. 2009). კერძოდ, ეს განსხვავება შეიძლება იყოს აღსანიშნი ცნების მოცულობაში, თვისების გამოვლენის ხარისხში და სხვა.

მნიშვნელობათა სიახლოვის მიხედვით ქართველი ენათმეცნიერები გამოყოფენ აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმებს ან დუბლეტებს და კვაზისინონიმებს. ინგლისურში გამოიყოფა აბსოლუტური (absolute), შემეცნებითი (cognitive), კონტექსტუალური (contextual) და სინონიმებთან მიახლოებული სიტყვები (near synonyms). განვიხილოთ თითოეული მათგანი როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში.

აბსოლუტურ სინონიმებთან დაკავშირებით ენათმეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მოვიყვანთ აბსოლუტური სინონიმის რამდენიმე განმარტებას: „სემანტიკურად იდენტური ლექსემები, რომლებიც თავისი არსით ნომინატიურია და განეკუთვნებიან მკაცრად განსაზღვრულ სტილს, აბსოლუტური სინონიმებია“ (Bakypov B. H. 1966:138). „იმგვარ სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონტექსტუალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინონიმებს ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან. აქ სინონიმურ წყვილთა მნიშვნელობა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს ანუ ნულოვანი ოპოზიცია ახასიათებს“ (დამბაშიძე რ. 1986:37).

ქართულ ენაშიც აბსოლუტური სინონიმების არსებობას ეჭვქვეშ აყენებენ ლინგვისტები. გ. მაჭავარიანი სალიტერატურო ქართულში პაპა/ ბაბუას აბსოლუტურ სინონიმებად არ მიიჩნევს, რადგან ისინი სინტაგმატური და კომბინატორული ანალიზის დონეზე ეკვივალენტური არ არიან; დასაშვებია მამა-პაპა, პაპანაქება სიცხე, მაგრამ დასახელებულ კომბინაციაში პაპა-ბაბუა ამ სიტყვათა ჩანაცვლება შეუძლებელია.

ქართულ ენაში აბსოლუტური სინონიმების არსებობას ეჭვქვეშ აყენებს კ. ჯორჯანელიც. იგი ყურადღებას ამახვილებს აბსოლუტურ სინონიმებად მიჩნეულ უცხოურ ტერმინებზე და მათ ქართულ შესატყვისებზე, ისეთებზე, როგორიცაა: ცდა-ექსპერიმენტი, ნაკლი-დეფექტი... იგი აღნიშნავს, რომ დასახელებული უცხოური სიტყვები უპირატესად იხმარება სამწერლობო ენაში, სპეციალურ ტერმინებსა და ინტელიგენტების მეტყველებაში. ამდენად, მათ შორის განსხვავება სტილისტურია, ცდა უფრო სასაუბრო მეტყველებაში იხმარება. სტილისტურ კურიოზს მივიღებთ თუ ვიტყვით „ექსპერიმენტი ბედის მონახვერეაო“ (ჯორჯანელი კ. 2003:6).

ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისის მომხრეა შ. აფრიდონიძეც. სინონიმური მნიშვნელობის ტოლშერწყმული კომპოზიტების მაგალითები, როგორიცაა: სინდის-ნამუსი, ღარიბ-ღატაკი, ადათ-წესი, სვე-ბედი, ბედ-იღბალი... მეცნიერი აღნიშნავს, რომ ისინი თავისუფლად ვერ ჩანაცვლებიან ერთმანეთს (აფრიდონიძე შ. 1988: 279-293).

დ. კრუზი აბსოლუტურ სინონიმის განმარტავს, როგორც მნიშვნელობის სრულ იდენტურობას და მიიჩნევს, რომ აბსოლუტურ სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ერთეული, რომლებიც „თანაბრადბუნებრივია“ ყველა კონტექსტში (Cruse D. 2000:157). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ულმანი (Ullman, 1967), რომელიც აბსოლუტურ სინონიმებად ისეთ სიტყვებს მიიჩნევს, რომლებიც სრულად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს ყველა კონტექსტში დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობების შეუცვლელად. ლაიონზის (Lyons J. 1995) თანახმად კი, აბსოლუტურ სინონიმებად ითვლება ისეთი სინონიმური წყვილები, რომლებიც სამ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ:

- ყველა მათი მნიშვნელობა იდენტურია;
- ისინი სინონიმებად გვევლინებიან ყველა კონტექსტში;
- ისინი სემანტიკურად ერთმანეთის ეკვივალენტები არიან. თუმცა, კრუზი ეჭვქვეშ აყენებს ამგვარი სინონიმური წყვილების არსებობას, რასაც ადასტურებს მის მიერ განხილული მაგალითებიც:

Brave - courageous : მამაცი- გულადი

Little Lilly was so brave at the dentist's this morning (+).

(ამ დილით პატარა ლილი კბილის ექიმთან იყო ძალიან მამაცი).

Little Lilly was so courageous at the dentist's this morning (-).

(ამ დილით პატარა ლილი კბილის ექიმთან იყო ძალიან გულადი).

კბილის ექიმთან ყოფნის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოთ brave (მამაცი), მაგრამ ვერ ვიტყვით courageous (გულადი).

როგორც ულმანი აღნიშნავს, აბსოლუტური სინონიმების პოვნა თითქმის შეუძლებელია ინგლისურ ენაში (Ullman 1967:108). ამ მოსაზრებას ეთანხმება ლაიონზი (Lyons 1981:198), რომელიც აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში აბსოლუტური სინონიმის შემთხვევები პრაქტიკულად არ არსებობს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულსა და ინგლისურ ენაში აბსოლუტური სინონიმია ძალზე იშვიათი მოვლენა. ლინგვისტთა უმეტესობა ეთანხმება ამ მოსაზრებას, რადგან ენობრივი ერთეულები (დუბლეტები) ხანგრძლივად არ შენარჩუნდება.

ინგლისურ ენაში გვაქვს კოგნიტური (cognitive - შემეცნებითი) სინონიმების ჯგუფი და ასევე კონტექსტუალური სინონიმების ჯგუფი. კოგნიტური (შემეცნებითი)

სინონიმები ისეთი სინონიმებია, რომლებიც განსხვავდებიან კონოტაციური მნიშვნელობით, ხოლო კონტექსტუალური სინონიმები ეწოდება ისეთ სინონიმებს, რომლებიც მხოლოდ ერთ კონტექსტში გვევლინებიან სინონიმებად. კოგნიტური (შემეცნებითი) სინონიმის მაგალითებია:

Pass away and die : გარდაცვალება/ სიკვდილი

Ali's father passed away/ died yesterday.

ალის მამა გარდაიცვალა / მოკვდა გუშინ.

უნდა ითქვას, რომ Pass away და die-ს შორის განსხვავება დამოკიდებულია მოუბარზე. პროპოზიციული სინონიმები გამოიყენება ისეთ სფეროებში, რომლებიც დამუხტულია განსაკუთრებული ემოციური თვალსაზრისით. მაგალითად, ტაბუსა და ევფემიზმის სფერო.

ინგლისურში კოგნიტურის (შემეცნებითის) შესატყვისს ქართულში რელატიური სინონიმები ეწოდება. რელატიური სინონიმები შინაარსით მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. მაგალითად: ლამაზი-კოხტა; ტურფა-მშვენიერი; ხარბი-გაუმადლარი; ფაქიზი-სათუთი; ძალი-ღონე; ძლიერი-ღონიერი...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში გვაქვს სინონიმები, რომლებიც მხოლოდ ერთ კონტექსტში გვევლინებიან სინონიმებად. მათ კონტექსტუალური სინონიმები ეწოდება. მაგალითად:

I will go to the shop and buy/ get butter

(წავალ მაღაზიაში და ვიყიდი/ავიღებ კარაქს)

He will go on a station and buy/ get the ticket

(ის წავა სადგურზე და იყიდის/ავიღებს ბილეთს)

ამ შემთხვევაში კონტექსტიდან მოწოდებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე ხდება get ზმნის მნიშვნელობის დავიწროება და მისი გადაქცევა buy-ს სინონიმად (ნიჟარაძე ნ. 2010: 64).

ქართულში გვაქვს კვაზისინონიმები, რომლებიც, დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რელატიური სინონიმების მსგავსად ინგლისურ კოგნიტურ (შემეცნებით) სინონიმებს მიემსგავსებიან, არა ყველა ასპექტში, მაგრამ ნაწილობრივ. „კვაზისინონიმები” - ამ ტერმინს ბ. ფოჩხუა იყენებს და მიუთითებს, რომ მათი მნიშვნელობები არ ფარავს ერთმანეთს. მკვლევარი ასეთ სინონიმებად მიიჩნევს

მნიშვნელობით იგივეობრივ ისეთ სიტყვებს, რომლებიც განსხვავდებიან კონოტაციის მიხედვით; ამაში იგულისხმება გრძნობითი ელფერი, ექსპრესიულობა, გამოყენების სტილი (ფუნქციური სტილი) და ა.შ. ს. ბერეჟანი კვაზისინონიმებს ნაწილობრივ სინონიმებს უწოდებს და დასძენს, რომ კვაზისინონიმთა არსებობის საფუძველია ის განსხვავებები, რომელიც მათ სემანტიკურ მოცულობაში არსებობს (Бережан С. Г. 1967:55). სწორედ ასეთ სხვაობათა არსებობა ქმნის სინონიმური რიგების აგების საფუძველს.

ინგლისურ ენაში არსებობს კიდევ ერთი ცნება სინონიმიასთან მიახლოებული სიტყვები (near synonymy). როგორც კრუზი (Cruse D. 2000) აღნიშნავს, ზღვარის დადგენა სინონიმიასა და ნაწილობრივ სინონიმიას შორის გაცილებით რთულია, ვიდრე პროპოზიციულ სინონიმიასა და სინონიმიას შორის. გაურკვეველია, რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს ამგვარი გამოიჯვნა, მაგრამ ენის ყველა მომხმარებელი საკუთარი ინტუიციით ახერხებს განასხვავოს არასინონიმური წყვილები სინონიმურისაგან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებობს გარკვეული სემანტიკური დისტანცია და სიტყვები, რომლებიც შედარებით ახლოსაა ერთმანეთთან სემანტიკურად სულაც არ წარმოადგენენ სინონიმებს.

სინონიმიასთან მიახლოებულ სიტყვებს შეიძლება წარმოადგენდეს:

foggy – misty (ნისლიანი - ბურუსიანი);

ასევე: laugh – chuckle (სიცილი - ქიჩილი);

Big – huge (დიდი - უზარმაზარი);

Disaster – catastrophe (უბედურება - კატასტროფა);

Weep – sob (ტირილი - ქვითინი);

Enemy – foe (მტერი - მოწინააღმდეგე);

Skinny – thin (მჭლე - გამხდარი);

ქართულ ენაშიც გვაქვს, რა თქმა უნდა, მსგავსი სინონიმების მაგალითები, თუმცა ლინგვისტები მას ასე ცალკე კატეგორიად არ გამოყოფენ, როგორც ეს ინგლისურშია მოცემული.

როგორც ვიცით, სინონიმების ძირითად ფუნქციას ჩანაცვლება და დაზუსტება წარმოადგენს. ზოგჯერ, „ლექსიკური გამეორების ნაცვლად, მეტატექსტის კონსტიტუენტების დასაკავშირებლად გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლება“, რომლის

არსი იმაში მდგომარეობს, რომ სინონიმები ან სინონიმური გამოთქმები გამოიყენება იქ, სადაც საჭიროა ლექსიკური გამეორება (სერგია ვ. 1989: 33].

საინტერესოა სხვადასხვა სისტემის ენებში არსებული სინონიმების სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და შესაძლო პარალელების გავლება, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა.

2.2. სინონიმთა სემანტიკური ველები

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, განვიხილეთ ემოციის გამომხატველი ისეთი სინონიმური ლექსიკა, რომელიც არა მარტო გამოხატავს ემოციას, არამედ აღწერს/გვიჩვენებს/მიგვანიშნებს სუბიექტის ემოციურ მდგომარეობაზე. ემოციათა კლასიფიკაციის შედეგად გამოვყავით სიხარულის, ბედნიერების, აღტაცების, გაოცების, სილამაზის, სიყვარულის, მოწონების, მოფერების, ალერსის, დალოცვის, მოძრაობის, სიცოცხლის შეწყვეტის, შიშის, გაბრაზების, ზიზღის, სიძულვილის, დაცინვა-დამცირების, სევდის, სიკვდილის, ავადმყოფობის, წყევლის სინონიმთა სემანტიკური ველები. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

2.2.1. სიხარულის/ბედნიერების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით „სიხარული“ არის გრძნობა, რომელსაც იწვევს სასიამოვნო რამე, სიამოვნების, კმაყოფილების განცდა, მხიარული განწყობილება. სულხან-საბა ორბელიანთან - „ესე არს ყოვლისა ჭმუნვისაგან თავისუფლება“ (ორბელიანი ს.ს.,1993:100). ქეგლში „ჭმუნვა“ განმარტებულია, როგორც **წუხილი, დარდი**. ე.ი. ჭმუნვისაგან თავისუფლება არის წუხილისაგან, დარდისაგან განთავისუფლება.

აღ. ნეიმანთან სიხარულის სინონიმებად წარმოდგენილია **გამხიარულება, მოღბენა, ლაღობა, შექცევა, ზეიმი, ზარ-ზეიმი, დღესასწაული, დაღბინება, სიმხიარულე, გახალისება...** ამდენად სიხარულის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ზეიმი, დღესასწაული. **სიხარული** - Random House Dictionary-ში განმარტებულია როგორც დიდი ბედნიერების, სიამოვნების, აღტაცების ემოციად, რომელსაც იწვევს კარგი ან კმაყოფილების გამომწვევი რამ.

აქედან გამომდინარე, სიხარულის სემანტიკის შემცველ სინონიმურ ველში ჩვენ განვიხილეთ არა მარტო **სიხარულის** სინონიმური რიგი, არამედ **ბედნიერების, აღტაცების**, რომელსაც იწვევს ბედნიერება; **ბედნიერი, მხიარული, გახარებული**; ვინც ან რაც სიხარულს იწვევს.

ინგლისურ ენაში სიხარული - **joy** (სიხარული) მიჩნეულია ემოციად, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დიდმა ბედნიერებამ და სიამოვნებამ (**pleasure**), რასაც თან ახლავს ისეთი ემოციები, როგორიცაა: **delight / rapture** (აღტაცება) / **elation** (აღფრთოვანება) / **ecstasy** (ზეშთაგონება), **satisfaction** (კმაყოფილება). სიხარულის სემანტიკის მქონე სინონიმებია:

pleasure / enjoyment (სიტკბოების გრძნობა), **gratification** (სიამოვნება) / **happiness** (ბედნიერება) / **felicity** (ბედნიერება, ნეტარება) / **gladness** (მხიარულება), / **elation** (აღფრთოვანება) / **exhilaration** (მხიარულება) / **exultation** (დიდი სიხარული) / **rapture** (აღტაცება);

Joyful / joyous / cheerful / merry / jovial / jocund (მხიარული) / **happy** (ბედნიერი) / **gleeful** (დიდად გახარებული) / **jubilant** (გახარებული, მოზეიმე) / **light-hearted** – (უდარდელი);

glad (სიხარულით აღსავსე) / **fortunate, happy, palmy** (ბედნიერი) / **pleased** (ნასიამოვნები, მხიარული), **contented / gratified / satisfied** (დაკმაყოფილებული, კმაყოფილი) / **delighted** (კმაყოფილი, მოხარული, აღტაცებული) / **thrilled** (აღელვებული, მღელვარე) / **gladsome** (მხიარული, სიხარულით სავსე) / **gleeful** (სასიხარულო, მხიარული, გახარებული, საზეიმო) / **overjoyed** (ძალიან კმაყოფილი, ბედნიერი; სიხარულისგან თავგზააზნებული);

კონკრეტულად სიხარულის სემანტიკურ ველში შემავალი სინონიმები ქართულში შესაძლოა დავყოთ ორ ნაწილად: 1. სინონიმები, რომელთა ფუძეც **ხარ-**ით არის წარმოებული: **გახარებულია, უხარია, უხარის, ხარობს, სიხარულით ფეხზე აღარ (ვერარ)**

დგას, სიხარულით ცას(ა) სწვდება, სიხარულისაგან ფეხზე აღარ (ველარ) დგება; 2. სინონიმები, რომლებიც ხიარ-ით არიან წარმოდგენილნი: მხიარული, გულმხიარული, პირმხიარული; მხიარულობა, მხიარულება; მხიარულობს...

სიხარულის დროს ადამიანის სახეზე ჩნდება ღიმილი ან სიცილი. სიხარული დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. როდესაც გახარებულია, იგი გარეგნულადაც გამოხატავს ამ ემოციას, ე.ი. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ვხვდებით ადამიანის შინაგან მდგომარეობას.

ძლიერი სიხარულის დროს ადამიანი: **ფეხზე ველარ (აღარ) დგას**, უჩნდება ფრენის სურვილი, რაც შემდეგი სინონიმებით არის გადმოცემული: **ფრთაშესხმული, ფრთებშესხმული, ფრთაგამოსხმული, ფრთების გამოსხმა; აღმაფრენა, ზეაღმაფრენა;** უზომო სიხარულის, აღფრთოვანების გამომხატველია შემდეგი ფრაზეოლოგიზმი: **სიხარულით ცას(ა) სწვდება, ცას ეწია სიხარულით. She is in the seventh heaven-** (სიხარულისაგან მეცხრე ცაზეა); **Float on a cloud** (ღრუბლებზე ტივტივი, სიხარული, ე.ი. მეცხრე ცაზე ყოფნა); **Lost in admiration** – (აღტაცებაში დაკარგული - სრულიად აღტაცებული); **Add wings** (ფრთების დამატება - აღმაფრენა); **Be (sit) on a cloud** (ღრუბლებზე ყოფნა); **over the moon** (მთვარის ზემოდან - ძალიან კმაყოფილი, ბედნიერი) და ა.შ.

სიხარულის გარდა, აღტაცება, აღფრთოვანება შეიძლება გამოიწვიოს ბედნიერების განცდამ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ბედნიერი არის: **კარგი ბედის მქონე, ბედკეთილი, ბედიანი, სვიანი, იღბლიანი; სიხარულით, სიამით სავსე; კარგი, კეთილი.** სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ბედი განმარტებულია: როგორც „სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლაზაკთა სიმკოდავისა და ეგე ვითარნი. კვალად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი რა ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ისე ვითარითა სახელად ბედი ეწოდების“ (ორბელიანი ს.ს. 1949:62). ძველ ქართულში **სვე**, რომელიც **კარგი სვის, კარგი ბედის მქონეს** ნიშნავდა, უმთავრესად მეფის ეპითეტად იხმარებოდა. იმავე ლექსიკონში ბედნიერება არის „**ბედნიერობა, ბედის მქონელობა**“.

ინგლისურ ენაშიც ბედნიერება უკავშირდება ბედს, იღბალს, რომელიც არის ღვთის ნება და რომელიც განსაზღვრავს თითოეული ადამიანის შემდგომ ბედნიერ თუ უბედურ მომავალს. ბედთან დაკავშირებული სინონიმებია: **fate** (ბედი, ბედ-იღბალი) / **to share the same fate** (ბედის გაზიარება) / **his fate is sealed** (მისი ბედი გადაწყვეტილია); **lot** (ხვედრი) /

luck (ბედნიერება, ილბალი), **chance** (რისკის გაწევა, შემთხვევა), **God's will** (ღვთის ნება) / **providence** (წინდახედულება) / **karma** ((სანსკრ.) ბედი, ბედისწერა, ხვედრი; ადამიანის კეთილ და ბოროტ საქმეთა ერთობლიობა, რომელიც ბუდისტური, ინდუისტური და სხვა წარმოდგენების თანახმად მის მომავალ ხვედრს განსაზღვრავს); **kismet** ((ბედისწერა) ყისმათი, ბედი, ილბალი), **toss or throw of the dice** (კამათლის თამაში) და სხვ.

ბედნიერის სინონიმად ქართულში წარმოდგენილია **ქუდბედიანი**, **ქუდბედდაყოლილი**. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „ქუდბედი იგივეა, რაც მომყოლი. მოსალოდნელია სანაყოფო კვერცხი მთლიანად დაიბადოს მთელი გარსებით, ავსებული წყლით და შიგ მცურავი ნაყოფით... მაშინ ამბობენ, რომ ბავშვი დაიბადა „ქუდბედით-ო“. „ქუდბედი დაჰყვება“, - იტყვიან ილბლიან ადამიანზე“. ქუდბედიანი, ილბლიანი - კარგი ბედის მქონეს ნიშნავს. ქართულ ცნობიერებაში ბედი, ილბალი დაკავშირებულია ვარსკვლავთან, რომელიც ადამიანის დაბადებისთანავე ჩნდება ცაზე, ხოლო ახალშობილს თავისი ბედი ბედისწერის წიგნში / ბედისწერის დავთარში ეწერება. ის, ვინც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, არის ბედიანი / ბედნიერი. ბედნიერება ქართულში უკავშირდება ოჯახის შექმნასაც. როდესაც ქალი ან ვაჟი ოჯახდება, გამბობთ ბედნიერდება / ბედი კარზე ეწვია / ბედი კარზე მიადგა.

ბედი შეიძლება იყოს კეთილი, რასაც შემდეგი გამონათქვამიც ადასტურებს: ბედკეთილი, თუმცა იგი შეიძლება იყოს ავი, შავი, მლაშე: ავბედითი / ბედშავი / შავბედ(იან)ი / შავსვიანი. თუ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (Be born under a lucky star) „ბედისმწერლის“ მიერ კარგ ბედზეა დაწერილი, უბედურ ვარსკვლავზე (დღეზე) დაბადებული (Be born under an unlucky star) - უნაწეროა, იგი ბედისაგან დაწყვეტილია / ბეკრულია / დღეკრულია. ე.ი. უბედოა / უბედურია / უილბლოა. ხალხის რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოელის ცხოვრებაში. ზოგი ვარსკვლავი კი უბედურია და მის სახელზე დაბადებული კაციც უბედურია. ამბობენ კიდევ: ეს კაცი უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული. ე.ი. ადამიანი აკეთებს იმას, რასაც ბედი განსაზღვრავს: **looph of the gods** (ღმერთების კალთა, ჩვენი კონტროლის მიღმა, ის რასაც ბედი განსაზღვრავს; ღმერთმა უწყის); **Follow one's star** (ვინმეს ვარსკვლავს გაჰყვე - ბედით განსაზღვრულის კეთება; საკუთარი ვარსკვლავის რწმენა); **Man proposes God disposes** (ღმერთი განკარგავს - შენი ბედი ღმერთის ხელშია);

ქართულში შეიძლება ადამიანს: ბედი კარზე მიადგეს / ბედი ეწვიოს / ბედი გაეხსნება / ბედი გაუღიმებს / ბედი უღალატებს / ბედი უმუხთოლებს / ბედი უმტყუნებს, მას მატერიალური სახე აქვს მიღებული.

ამ სემანტიკურ ველში საინტერესოა აგრეთვე ბედთან დაკავშირებული ისეთი სინონიმური ერთეულის არსებობა, როგორიცაა **kismet**. **Kismet** ორივე ენაში ნასესხებია არაბულიდან და უკავშირდება ყისმათს, ბედს, იღბალს.

ამდენად, მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა შემდეგი, ბედი დაკავშირებულია:

- ვარსკვლავთან: ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული; **Be born under an unlucky star; Be born under a lucky star;**

- ქუდთან: ქუდბედიანი / ქუდბედდაყოლილი;

- ფეხთან/გულთან: ბედნიერ ფეხზე ამდგარი; **Heart in your boots** (გული ჩექმებში-ძალიან უბედური); **Warm the cockles of your heart** (გულის ნაოჭების გათბობა - გულის გახარება, ბედნიერების შეგრძნება).

- წიგნთან/დავთართან: ბედისწერის წიგნი / ბედისწერის დავთარი;

- ავთან, ცუდთან: ავბედა / ავბედი(თი) / ბედგაცუდებული; **Hard cheese** (მაგარი ყველი - ცუდი ბედი);

- გემოს შეგრძნებათან: ბედმლაშე / სვეგამწარებული...

იგი შეიძლება იყოს:

- შავი, ბნელი: ბედშავი / შავბედი(ანი) / შავბედითი / შავსვიაანი / დღებედშავი / ბედგაშავებული / სვებენელი;

- გატეხილი, დამწვარი: ბედდამწვარი / ბედგატეხილი;

- დაწყევლილი, კრული: ბედდაწყევლილი / ბედკრული / დღეკრული; **Gurse one's star** (საკუთარი ვარსკვლავის წყევლა – საკუთარი ბედის წყევლა).

- უკუღმართი, უკეთური: ბედუკუღმართი / ბედუკეთური;

- განწირული, გატეხილი, დამწვარი: ბედგანწირული / ბედდამწვარი / ბედგატეხილი;

ამრიგად, ბედი შეიძლება იყოს კარგი, ავი, შავი, ტეხილი, მწარე, გატეხილი, დამწვარი... ე.ი. ბედნიერება/უბედურება გადმოცემულია სიმბოლოებით. თუმცა, ქართულ ენაში არსებულ ცნებებთან დაკავშირებული სინონიმური ლექსიკა უმეტესწილად ბედთან კავშირში წარმოგვიდგება. ინგლისურ სინონიმურ

ფრაზეოლოგიზმებში ერთ-ერთ კომპონენტად ვხვდებით „ღმერთს“, რაც ქართულში არ დასტურდება.

2.2.2. სიყვარულის/მოწონების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

„სიყვარული აგვამაღლებს!“ - წერდა შოთა რუსთაველი. ამ ორ სიტყვაში მან ჩადო დიდი სიბრძნე და ფილოსოფია და ასე ლამაზად გამოხატა ამ გრძნობის სიდიადე. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: სიყვარული არის - ვისიმე ან რისამე მიმართ ერთგულების, თავდადების, კეთილგანწყობილების გრძნობა, მოწონება; ადამიანი, ვის მიმართაც ასეთი გრძნობა აქვთ; რაიმეს ძლიერი სურვილი, ნდომა. „სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყმობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს (ბიბლია, კორინთელთა: 13:4-8).

რა არის სიყვარული? „სიყვარული დიდი ტვირთია, სუსტი, უძლური და უნიათო ვერ ასწევს, ვერ ატარებს“ (იოსელიანი ო). პაოლო კოელიო სიყვარულს დაუმორჩილებელ ძალად მიიჩნევს. „როდესაც მის კონტროლს ვცდილობთ, გვანადგურებს. როდესაც ვცდილობთ დავატყვევოთ, გვიმონებს. როდესაც ვცდილობთ გავიაზროთ, გვტოვებს გზააზნეულს და იმედგაცრუებულს“ (კოელიო პ.); ერიხ მარია რემარკის აზრით „სიყვარული სწეულებასავით არის. ნელა და შეუმჩნევლად ადნობს ადამიანს, ხოლო როცა შეამჩნევ და მისგან თავის დაღწევას მოინდომებ, ძალა გღალატობს“ (რემარკი ე.მ.). გოდერძი ჩოხელის მოსაზრებით „სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მართლა შარაგზა არის და ზოგისთვის კი, მიხვეულ-მოხვეული, ეკლიანი ბილიკი. სიყვარული კი ისეთი ღვთიური

გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ-მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია!!!” (ჩოხელი გ.).

სიტყვა „სიყვარული“ სხვადასხვა გრძნობას, მდგომარეობასა და დამოკიდებულებას გამოხატავს. იგი სხვადასხვა სახითა და ფორმით ვლინდება, არსებობს: დედაშვილური, მშობლიური, მეგობრული, ვნებიანი, სამშობლოს მიმართ და ა.შ. სიყვარული. ჩვენ განვიხილეთ ქალ-ვაჟის სიყვარული და ის ემოციური თუ ფიზიკური მდგომარეობა, გამოხატვის ინტენსივობა, რომელიც თან ახლავს ამ გრძნობას. ამ სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანდა: სიყვარული, ტრფობა, ტრფიალი, ტრფიალება, მიჯნურობა, მოყვარულობა, ეშხი; უყვარს, ეტრფის, ეტრფიალება, შესტრფის, შესტრფიალებს, გიჟდება, მზე და მთვარე (მასზე) ამოსდის, გულში უზის; მიჯნური, სატრფო, საყვარელი, შეყვარებული, გულის სწორი, გულის ტოლი, გულის ვარდი, საგულო; მოყვარული, მეყვარებელი, მოტრფიალე, მტრფობი, მოსიყვარულე, ჯიგრიანი, მოყვარე; შეყვარებული, მიჯნური, გამიჯნურებული, სიყვარულით აღმოცენებული, სიყვარულით მოხიბლული; არშიყობა, ტრფობა, სიყვარულის ალი, ტრფობის ალი, თავს დასტრფიალებს, თავს ევლება...

ინგლისურში აღნიშნული ემოციის გადმოსაცემად ვხვდებით შემდეგ სინონიმებსა და ფრაზეოლოგიზმებს: **love** (სიყვარული, ტრფობა, მიჯნურობა) / **affection** (სიყვარული, სითბო) / **attachment** (მიმაგრებულობა) / **attraction** (მიზიდულობა) / **fondness** (სინაზე, სიყვარული) / **tenderness** (სინაზე) / **devotion** (ერთგულება) / **adoration** (გაღმერთება) / **ardour** (ვნება, ჟინი, გატაცება) / **passion** (ვნება) / **fervour** (მგზნებარება), **rapture** / **admiration** (აღტაცება) / **infatuation** (ძლიერი და უგუნური, ბრმა გატაცება), **love-mate** / **lover** (შეყვარებული, სატრფო) / **loving** (მოსიყვარულე) / **affectionate** (მოყვარული) / **loves truck** (სიგიჟემდე შეყვარებული) / **warm** (თბილი) / **adoring** (თაყვანისცემა (აღმერთბს)) / **caring** (ყურადღებიანი, მზრუნველი) / **ve smb's heart** (გულის ამგერება) / **touch smb's heart** (გული აუტოკა, გული აუყუჩა) / **oblain smb's heart** (ვინმეს გულის დაპყრობა) / **keep an eye on smth. or smb.** (თვალი გეჭიროს ვინმეზე ან რამეზე) / **have got one's eye on smb. or smth.** (თვალი დაადგა (ვინმეს; რამეს)) / **dear to smb's heart** (ვინმეს გულის ვარდი) და ა.შ.

ორივე ენაში სიყვარული არის ძალა რომელიც მთლიანად იპყრობს ადამიანს, ის არის სიგიჟე, რომელიც გონებას აკარგვინებს: გიჟდება, აფრენს, გაგიჟებით უყვარს , **loves truck** (სიგიჟემდე შეყვარებული); ორივე ენაში იგი არის ძლიერი და ბრმა გრძნობა (სიყვარული ბრმაა, **Love is blind**), რომელიც მთლიანად მოიცავს შეყვარებულ ადამიანს:

შეყვარებული, სიყვარულმოდებული, სიყვარულით სავსე, ტრფიალით შეპყრობილი, **loving** (მოსიყვარულე), **affectionate** (მოყვარული); **be up to the ears in love** (ყურებამდე შეყვარებული); **Have a push for somebody** (ვინმეს მიმართ გატაცების ქონა- ყურებამდე შეყვარება); **Have someone's nose wide open** (ვინმეს ცხვირის ფართოდ გაღება - თავის დაკარგვა, ყურებამდე შეყვარება); **Head over heels in love** (თავიდან ქუსლებამდე შეყვარებული - ვინმეს მიმართ სიყვარულით მთვრალი); **lose one/s heart** (გულის დაკარგვა - შეყვარება, სიყვარულით ანთება); **To have get somebody in one's bones** (ჭკუას კარგავს მისთვის) და ა.შ. სიყვარულს კონკრეტული ობიექტის არსებობა განაპირობებს, რომელიც არის: გულის სწორი, გულის ტოლი, გულის ვარდი, **dear to smb's heart** (ვინმეს გულის ვარდი).

შეყვარებული სიყვარულის ობიექტს: თავს დასტრიალებს, თავს ევლება, იგი არის **attachment** (მიმაგრებულობა) / **attraction** (მიზიდულობა) / **fondness** / **tenderness** (სინაზე, სიყვარული) / **devotion** (ერთგულება) / **adoration** (გაღმერთება) / **ardour** (ვნება, ჟინი, გატაცება) / **passion** (ვნება) / **fervour** (მგზნებარება), **rapture** / **admiration** (აღტაცება).

სიყვარული არის: ცეცხლი, ალი, სიგიჟე, სიყვარულით ადამიანი: გიჟდება, ირევა, რომელიც ხშირად გაუაზრებელი მოქმედებისკენაც კი უბიძგებს.

სიყვარული ადამიანს ენერგიას მატებს, ახალისებს. იგი ქართველისთვის არის: ცეცხლი, რაც ასახულია შემდეგ გამონათქვამებში: **სიყვარულის ალი, სიყვარულით აღმოდებული, ტრფობის ალი, ტრფობის ცეცხლი**. „ჭეშმარიტი სიყვარული ტანჯვაა, განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვაა და ეს განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვა და ტანჯვა არაფრით არ ნაზღაურდება. უფრო სწორად, ყველაზე დიდი საზღაური ის არის, ამგვარი ტანჯვის განცდისა და ამგვარი მსხვერპლის გაღების უფლება რომ მოგეცა“ (ჭილაძე ო.).

აღნიშნული ემოციის გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გამოყენებულია გული, თავი, თვალი და ცეცხლი. ქართველის ცნობიერებაში იგი ცეცხლია, რომელიც იწყება „ალით“ და მთავრდება „წვითა და დაგვით“. ქართულისაგან განსხვავებით ინგლისურ ენაში არ ვხვდებით ცეცხლის მეტაფორიზაციას. სიყვარულის გრძნობის გადმოსაცემად, აქ უფრო ხშირად გამოიყენება გული.

2.2.3. მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის **ალერსიანი** (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან **ალერსი** განმარტებულია, როგორც **სიტყვით შექცევა** (ორბელიანი 1993 :23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ **ალერსი**, **ალერსიანი**, ის ვინც **ეალერსება** და ვისაც **ეალერსება**; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება; **პირფერი**, **პირფერობა**, **პირფერობს**; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში.

ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ღამუნი, ღაცცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი;

ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო;

მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭულა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუცნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო...

საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია **გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგევლე, (შენ) შემოგევლე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგევლე! შენ შემოგევლე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ.**

გენაცვალე - ქართულ ენაში ალერსის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლის საშუალებითაც მთქმელი გამოხატავს სურვილს „მის სანაცვლოდ იყოს“, ე.ი. მიმართვის ფორმით გამოხატულია სურვილი, გაიზიაროს ადრესატის ჭირი.

თავს შემოგევლე, შენ შემოგევლე - „ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ

ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი სწირავდნენ (წირვას აღავლენდნენ) ავადმყოფის გასაგონად (გრიშაშვილი ი. 1997:304).

ჭირიმე - გამოთქმა, რომელიც იხმარება ალერსით, სიყვარულით მიმართვისას, შედგენილია სიტყვებისაგან **ჭირი** და **მე**, მნიშვნელობით იგივეა, რაც **შენი (თქვენი) ჭირიმე. ჭირიმე!** - გამოთქმა იხმარება, როდესაც აღტაცებული არიან ვისიმე ვაჟკაცური მოქცევით (ქეგლ).

საალერსო მიმართვებია - **შენი კენესამე; კესანე**. ამ სიტყვა-ფორმების სემანტიკაც იგივეა, რაც **შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე**, რომლითაც მოქმელი გამოხატავს საყვარელი ადამიანის ჭირის გაზიარების სურვილს.

კესანე - პატარა, ცისფერყვავილებიანი, ლამაზი მცენარეა. ყვავილთან დაკავშირებით არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ყველა მცენარეს შემოქმედმა თავისი სახელი უწოდა. მათ შორის ერთი პაწაწინა მთის ყვავილი, რომელიც უსახელოდ იყო - ატირდა. ყვავილმა თქვა: „არ დამივიწყო უფალო“... ზუსტად მაშინ უფალმა მიუგო: „სწორედ ეგ იქნება შენი სახელი“, ანუ კესანე. ამის შემდეგ მას მსოფლიოს ყველა ენაზე „არ დამივიწყო“ ჰქვია... ჩვენთვის კი უბრალოდ კესანე... (<http://intermedia.ge/სტატია/74879>). ამ პატარა, ლამაზს ყვავილს ლექსი მიუძღვნა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ.

ალერსის გამომხატველ სინონიმებში ერთ-ერთ კომპონენტად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები. მეორე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები და პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც ქმნის კომბინაციებს გასუბსტანტივებულ ზედსართავსა და არსებით სახელთან: **შენ შემოგველე, შენი (თქვენი) ჭირიმე, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო ყველაფე, ჩემო სულისდგამე, ჩემო საყვარელო...**

ყველა საალერსო ფორმას ერთი სემანტიკა აქვს, ისინი მიმართვის ობიექტის ჭირის გაზიარების, მის ადგილზე ყოფნის, მისი ავადმყოფობის მორჩენის სურვილს გამოხატავენ.

ქართულ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები გადმოცემულია -ა, -ინა, -უნა, -ელა, -ული სუფიქსებით, რომლებიც ძირითადად ბავშვთან ასოცირებულ მოფერება-კნინობით სიტყვებს წარმოადგენენ: პაწია, პაწაწინა, პაწაწვინა, პაწაწვინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; მოცუცქნული და ა.შ.

მოფერება-ალერსის გარდა ზოგიერთი მათგანი უარყოფითი ემოციის გამომხატველია. უარყოფითი ემოცია, დაცინვა-დამცირება ან ირონია დაკავშირებულია ზომის სიმცირესთან: **კრუხის პალო, თითის სიგრძე, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა**, რომლებიც პატარა ტანის ადამიანის სინონიმებად გამოიყენება.

ინგლისურ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველ სინონიმთა სემანტიკური ველი შემდეგია: **caress** (მოფერება, ალერსი); **pat, stroke, touch** (ხელის თათუნი, ხელის გადასმა, შეხება, მიფერება); **fondling** (ეფერება); **pat** (მიფერება); **cuddle, embrace, hug** (გულში ჩაკვრა, ჩახუტება, მოხვევა, მაგრად მოხვევა, მაგრად ხელის მოხვევა); **To fold in arms** (გულში ჩაკვრა) და ა.შ.

ინგლისურ ენაში ვხვდებით მოფერება-ალერსის გამომხატველ ისეთ სინონიმურ სიტყვებს, როგორიცაა: **little / small** (პატარა) / **tiny** (პაწაწა) / **teeny** (ნამცეცა) / **minute** (უმცირესი) / **wee** (მცირე, ერთი ბეწო) / **infinitesimal** (უსასრულოდ მცირე) / **minuscule** (ძალიან პატარა, უმნიშვნელო) / **doll-sized** (თოჯიონის ზომის) / **diminutive, miniature, mini** (ჩვეულებრივზე ბევრად პატარა) / **baby** (ბავშვი) / **elfin** (ზღაპრული; ელფური) / **toy** (სათამაშო) / **itty-bitty / itsy-bitsy / teeny(-weeny) / teensy(-weensy)** (ნამცეცა, პატარა, პაწაწა, პაწაწინა) / **microscopic** (მიკროსკოპული), / **midget** (ჩვეულებრივზე ბევრად პატარა) / **teeny-weeny / teensy-weensy**.

აგრეთვე, მოფერება-ალერსის ფუნქციით გამოყენებულია შემდეგი სინონიმური მნიშვნელობის მიმართვის ფორმები და გამოთქმები: **darling** (ძვირფასო) / **sweetheart** (საყვარელო) / **beloved** (საყვარელი) / **love** (სიყვარული) / **true-love** (სატრფო) / **sweet** (ტკბილი) / **Honey** (თაფლი, ტკბილი, ძვირფასი) / **precious** (ძვირფასი) / **favourite** (საყვარელი) / **treasure** (საგანძური) / **Sweetie** (ძვირფასო, საყვარელო) / **sweetie-pie** (ტკბილი ღვეზელი) / **bit** (ერთი ბეწო) / **dollop** (თოჯინა) / **particle** (ნაწილაკი) / **spoonful** (სავსე კოვზი)... **My sweet! My Honey!** (ჩემო ტკბილო! ჩემო თაფლო!); **My love!** (ჩემო სიყვარულო!); **My dear!** (ჩემო ძვირფასო!); **My precious!** (ჩემო კარგო), **My pet** (ჩემო საყვარელო), **My cabbage** (ჩემო კომბოსტო – ჩემო ძვირფასო; ჩემო ფისო) და ა.შ.

ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც მოფერება-ალერსის სინონიმურ ველში ვხვდებით დაცინვა-დამცირების ან ირონიის გამომხატველ სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც, ძირითადად, ზომის სიმცირეს უკავშირდება: **Undersized, dwarf, midget, pygmy, minuscule, Lilliputian** (ჯუჯა; დაბალტანიანი; დადაბლებული, ჩვეულებრივზე ბევრად

პატარა, ლილიპუტი), **bantam** (პატარა ზომისა, მაგრამ ყოჩაღი და ჯანმრთელი, ქონდრის კაცი) და ა.შ.

როგორც სინონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ორივე ენაში უნივერსალურია საალერსო მიმართვის ფორმებში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელებისა და ზოონიმების გამოყენება. თუმცა, ადგილი აქვს ინდივიდუალებსაც, რაც, რა თქმა უნდა, თითოეულის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მაგ. სპეციფიკურია ინგლისურში მიმართვები: **sweetie-pie** (ტკბილი ღვეზელი), **bantam** (ბანტამი უკავშირდება შინაური ქათმის მომცრო ჯიშს), **minuscule** - (დამწერლობის ერთგვარი სახეობა, რომელიც ალერსის დროს გამოიყენება, როგორც ძალიან პატარა, უმნიშვნელო), ქართულში - **შენი კუჭისა! მიტირე / მტლად დაგედე / ჭირი მოგჭამე / ჭირი მოგპარე** და ა.შ.

2.2.4. დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

ამ გჯუფში განვიხილეთ, აგრეთვე, დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმთა შემდეგი ჯგუფები: ლოცვა - ის, ვინც ლოცვას აღავლენს ვინმეს შესაწევნად, ღვთისთვის შესავედრებლად, უფალს ვინმეს სიკეთეს, ბედნიერებას შეთხოვს; სიკეთის, ბედნიერების სურვება, გზის დალოცვა, კეთილი მომავლის სურვება, ცხოვრების გზის დალოცვა. დალოცვილი - ვინც (რაც) დალოცეს, დაილოცა; საყვედური ვინმეს მიმართ (შე დალოცვილო).

ლოცვა, ეს არის მიზანმიმართული სიტყვა-ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი დადებით ენერგიას აგზავნის კოსმოსში, იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ უკან დაუბრუნდება მლოცველსაც და მისი ლოცვის ობიექტსაც.

დალოცვის შემდეგ სინონიმებს ვხვდებით ქართულში: **კურთხევა, ლოცვა, ლოცვა-კურთხევა, დამწყალობლება, მადლი; დალოცვილი, კურთხეული, ნაკურთხი, მიმადლებული, მადლიანი, ბარაქიანი, ხელხავიანი, ხვავრიელი, გამოსავლიანი; დალოცავს, დაილოცავს, დაილოცება, ადღეგრძელებს; ნაკურთხი, კურთხეული, ნათელცხებული, მირონცხებული, ხელ(თ)დასმული** და ა.შ.

დალოცვა მრავალი სახისა არსებობს: „ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგაძლიეროს“, „ღმერთმა მოგანიჭოს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე“, „უფალმა არ მოგაკლოს თავისი წყალობა და მშვიდობა“, „ღმერთს ებარებოდეთ“, „წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული სუფევდეს შენ თანა“, „ღმერთმა გამარჯვებით გატაროს“, „ღმერთმა ხელი მოგიმართოს“ და მრავალი სხვა.

„მთავარია, დალოცვა გულიდან მომდინარეობდეს, მხოლოდ მაშინ შეიტანთ სხვის ოჯახში სიხარულსა და მშვიდობას, სანაცვლოდ კი თქვენი სახლიც ბარაქით, სიყვარულითა და სიხარულით აივსება“ (ილია II, ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი (ნაწილი III, 2005).

დალოცვა ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. ყველაზე გავრცელებული იყო საქორწინო და სუფრული დალოცვები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავათ მესტვირეთა რეპერტუარში (ბარდაველიძე ჯ. 1978: 351).

დალოცვის ერთ-ერთი ფორმა სადღეგრძელო, ანუ სუფრული დალოცვა, ჩვენს ყოფაში ძლიერად არის დამკვიდრებული. სპეციფიკური ნიშნების გარდა, სადღეგრძელოს გააჩნია დალოცვის ფუნქციაც. დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, აკაკი წერეთელმა, შესანიშნავად იცოდა, რომ ქართული სუფრის ერთ-ერთი ატრიბუტი სადღეგრძელოა. იგი სადღეგრძელოს აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებდა. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჩართული დალოცვა-სადღეგრძელოები პატრიოტულ, დიდაქტიკურ-აღმზრდელობით ფუნქციას ემსახურებოდა (ნიკოლაძე ნ. 2004:160).

ქართული დალოცვის ფორმებში აუცილებელ კომპონენტად წარმოდგენილია „ღმერთი“: **ღმერთმა დაგლოცოს, ღრერთმა მიცოცხლოს შენი (თქვენი) თავი**. დალოცვის დროს უსურვებენ გამრავლებას, ხვავს, ბარაქას; სიცოცხლეს, დღეგრძელობას: **იდღეგრძელოს! იცოცხლეთ! იდღეგრძელეთ!**

დალოცვის სემანტიკის შემდეგ სინონიმურ ველს ვხვდებით ინგლისურ ენაში: **blessing, prayer, benediction, consecrate, consecration** (ლოცვა, კურთხევა, დალოცვა), **bless, hallow** (დალოცვა), **sanctify** (კურთხევა), **extol, glorify** (განდიდება, ქება (აქებს), ხოტბის შესხმა (ხოტბას შეასხამს)); **praise** (ქება), **revere** (პატივისცემა), **adore** (გაღმერთება, თაყვანისცემა) და ა.შ.

ორივე ენაში დალოცვილია ის, ვისაც აქვს უფლისაგან წყალობა, კეთილგანწყობა (favour), რისი მაჩვენებელიც არის ბედი, ილბალი (lucky), კარგი ბედი (good fortune). როგორც ქართულში, ასევე ინგლიურში დალოცვის ფორმულებში ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია „ღმერთი“ (Good): Good bless you – (ღმერთმა დაგლოცოს, უფალი გფარავდეს), Bless your heart (დალოცვილი იყავი), May god bless you! (ღმერთი გფარავდეს!). დალოცვის სინონიმთა რიგში ვხვდებით extol (განდიდება), adore (გაღმერთება), რითაც იგი განსხვავდება ქართულისაგან. დასახელებული სინონიმები ქართულში აღნიშნულ სემანტიკურ ველში არ დასტურდება.

ზოგადად, დალოცვის სემანტიკის მქონე გამოთქმები დიფერენცირებულია ასაკის, ნათესაური დამოკიდებულების, სიტუაციის და ა. შ. მიხედვით.

2.2.5. შიშის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

შიშის სემანტიკურ ბუდეში განვიხილეთ შიში, რომელიც გამოწვეულია თავსდატეხილი ან მოსალოდნელი საფრთხის განცდით და წარმოადგენს ცუდ, შემაწუხებელ გრძნობას, უბედურება, რაიმეს მიმართ შიში; მოკრძალება, მორიდება; ღვთის წინაშე შიში.

აღნიშნული სემანტიკის მქონე სინონიმური ერთეულები, რომლებიც შიშს გამოხატავენ, შესაძლოა ორ ჯგუფად გავყოთ: შიშ და შინ-ით ნაწარმოები და სხვადასხვა ფუძით წარმოდგენილები.

შიშის სემანტიკის მქონე ერთეულები შეიძლება სახავასხვა სახით გამოიხატოს. მის განვითარებას ხელს უწყობს მუქარა ან საფრთხის მოლოდინი, რომელიც ვლინდება განსაზღვრული და სპეციფიკური ფიზიოლოგიური ცვლილებებით, ექსპრესიული ქცევითა და განცდებით; შიში, არის განცდილი ან მოგონებით გამოწვეული ემოცია განცდილ ან მოსალოდნელ შიშზე. რაც შეეხება შიშის წყაროს, იგი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე საგანი ან სიტუაცია.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, შიში უკეთ აღიქმება იმ მიმიკური გამოვლინებებით, რომელიც ამ დროს წარმოიქმნება. შიშის დროს წარბები აწეულია,

თვალეზი ფართოდაა გახელილი, პირი ოდნავ გაღებულია, დამახასიათებელია: ხანგრძლივი გაშეშება, შეშინებული გამომეტყველება, ცივი ოფლის დასხმა, კანკალი, მუხლების მოკვეცა, შეიძლება გულიც კი წაუვიდეს, ფერი ეცვლება, მეტყველების უნარი ეკარგება, ენა ებმის, ებორძიკება, ყვირის, არ შეუძლია განძრევა და კანი ეხორკლება, ბუსუსი, ტაო აყრის, რაც სისხლძარღვების შევიწროების შედეგია. აღნიშნული ემოციის განცდის დროს ადამიანი დუნდება და მისი ყურადღება მიმართულია იმ ობიექტის ან სიტუაციისადმი, რომელსაც შიშის მოახლოება ამცნობს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შიში განმარტებულია მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვეულ ცუდ, შემაწუხებელ გრძნობად.

თედო სახოკიას განმარტებით „შიში განყენებული ცნებაა, რომელიც წარმოდგენილია, როგორც კონკრეტული რამ, ვთქვათ, საჭმელი, რომელსაც შეუძლია სხეულში შესვლა მხოლოდ პირის საშუალებით“. აღნიშნულის ნიმუშად ასახელებს შიშის ჭამას, რაც ნიშნავს სახიფათო მდგომარეობის დროს შიშის განცდას.

ინგლისურ ენაში (Random House Dictionary) შიში დამთრგუნველი ემოციაა, რომელსაც იწვევს რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე, უბედურება, ბოროტება, ტკივილი, აგრეთვე, მოწიწება, კრძალვა უზენაესი ძალისადმი: Fear / dread / terror / panic / horror / trepidation / apprehension / diffidence / consternation / timidity (შიში; ძლიერი შიში, ტერორი, პანიკა, საშინელება, თრთოლა, ცუდი წინათგრძნობა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, თავზარი, მოკრძალება); afraid / fearful / scared intimidated / apprehensive / frightened / terrified / panic-stricken / timid (შეშინებული, შეაშინა, შემფოთებული, შეადრწუნა, შეძრწუნებული, პანიკით მოცული, მოკრძალებული); cowardly / faint-hearted / lily-livered / white-livered (მშიშარა, მხდალი, სულმოკლე); trembling / quiver / quivering (კანკალებს, ცახცახებს);

ორივე ენაში ვხვდებით შიშისაგან ადამიანის დამუნჯებას. მეტყველების უნარის დაკარგვა ქართულში გამოიხატება ენის მუცელში ჩავარდნით / დადუმებით, ინგლისურში კი - ენის გადაყლაპვით (to swallow a tongue with fea).

როგორც აღვნიშნეთ, შიშის დროს ადამიანი ერთ ადგილზე ქვავდება. ქართულში - მუხლები ეკეცება, ინგლისურში the legs got numb - ფეხები უშეშდება. შიშის დროს ადამიანს უჩნდება გაქცევის სურვილი - ინგლისურში ფრთები ესხმება - fear gives wing, თუმცა, ქართულში ფრთების გამოსხმა, ინგლისურისაგან განსხვავებით ასოცირდება

დადებით ემოციებთან (აღფრთოვანება / ზეაღმაფრენა / ფრთების გამოსხმა; აღფრთოვანებული / ფრთებშესხმული / ფრთებგამოსხმული). ინგლისურ ენაში ძლიერი შიშის გამომხატველია - Have one's heart at one's heels (შიშისაგან გული ქუსლებთან ჩაუვიდა), Heve one's heart in one's boots (ჩექმებში ჩაუვიდა), ხოლო ქართულში **სული კოჭებში გაეპარა, სული კბილით მეჭირა, წელი მოსწყდა, გული გადაუქანდა / გული გადაუბრუნდა / გული გადაუტრიალდა და ა.შ.**

როგორც ვხედავთ, შიშის ემოციის განცდით გამოწვეული რეაქციები სხვადასხვა სახით ვლინდება. ყოველივე ეს ასახული და გადმოცემულია როგორც ცალკეული სინონიმური სიტყვებით, ისე ფრაზეოლოგიზმებით. მაგალითად, შიშის სინონიმებია **ძრწოლა, ელეთმელეთი / ზარი / თავზარი / ელდა / შიშნეულობა; მშიშარა / მოშიშ(რ)ი / მხდალი / გულმხდალი / პანიკიორი / ფაფასუა / ფაფაცუა / ლაჩარი / ჯაბანი / სულმოკლე ... შეშინებულის - შიშნაჭამი, გულგახეთქილი, გულგადაბრუნებული, ზაფრანაცემი, ელდანაცემი, თავზარდაცემული / ზარდაცემული / შიშის ქარ დავლილი, შიშნაჭამი და ა.შ.**

ზოგი მათგანი შიშით გამოწვეული ადამიანის რეალურ ან ნაკლებად რეალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას აღწერს: **შიშმიცემული / შიშნაკრავი / გულგადაბრუნებული / ზარდაცემული / თავზარდაცემული; გონებას კარგავს / თმა ყალყზე უდგება / თავგზა ებნევა / ჭკუა ებნევა / ძარღვებში სისხლი ეყინება / შიშნაჭამი; Make one's hair stand on end (თმას აიძულეს ბოლოზე დადგეს) - ის, რაც გაძრწუნებს, გაშინებს; Blood turned into ice - (სისხლი ყინულად გადაექცა) - ძარღვებში სისხლი გაეყინა; Bring somebody's heart into his mouth - (ვინმეს გულის პირში ამოყვანა) - ძალიან შეშინება და სხვ.**

ძლიერი შიში ქართულში დაკავშირებულია **ზართან: თავზარი, ზარდაცემული, შიშის ზარი, შიშის ზარის დაცემა, თავზარის დაცემა. ზარი, რომელიც შიშის სინონიმია, წარმოადგენს უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით გამოწვეულ შეშფოთებას, შეძრწუნებას, ელდას. ის, ვინც ან რაც შიშსა და ძრწოლას იწვევს.**

შიშის ზარი აიტანს (დაეცემა) - ნიშნავს, რომ უზომო შიში შეიპყრობს. ზარი ძველად მიცვალებულის გასვენებისას უსიტყვო სამგლოვიარო გალობად იყო მიჩნეული; ნიშნავდა მოთქმით ტირილს.

შიშიანობა დაკავშირებულია რაიმე საფრთხით გამოწვეულ საყოველთაო შიშთან. ქართულში შიშიანობა უკავშირდება ლეკიანობას. კონკრეტულად, დროს, როდესაც

დადესტნის მაცხოვრებლები, ლეკები, თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას და აწიოკებდნენ (თოფჩიშვილი რ. 2007: 90).

ინგლისური ენის მსგავსად, შიშს ქართულ ენაშიც აქვს მოშიშის, მოკრძალების მნიშვნელობაც, რაც დადებითი კონოტაციის შემცველია და ღვთისმომში, თავმდაბალი ადამიანის სინონიმად გამოიყენება. ქართულ ენაში, ასევე, დადებითი ემოციის გამომხატველია უშიში / უშიშარი, რომელიც გულადის სინონიმია.

ამდენად, ქართულში და ინგლისურში შიში უარყოფითად ფასდება და სირცხვილად ითვლება, მით უფრო ეს ითქმის კაცზე. მშიშარა ადამიანის (მამაკაცის) მიმართ ქართულ ენაში გამოყენებულია შემდეგი სინონიმები: ლაჩარი, დიაცი, დედალი, სულმოკლე. მშიშარა ადამიანის სინონიმია აგრეთვე კურდღლის გულისა, ამ შემთხვევაში კურდღელი დაკავშირებულია შიშთან. ინგლისურ ენაშიც დასტურდება, მშიშარა ადამიანის აღმნიშვნელი, მსგავსი სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები: cowardice (სიმხდალე, სილაჩრე) / chicken-hearted (მხდალი, ქათმის გულისა) / lily-livered (მშიშარა, მხდალი) / rabbit-hearted (კურდღლის გულისა - მშიშარა, ლაჩარი, მხდალი) / yellow-livered ((სალ.) მშიშარა, სულმოკლე).

2.2.6. სირცხვილის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სირცხვილი არის „გრძნობა, განცდა, რომელსაც იწვევს რაიმე უხერხული, სათაკილო მდგომარეობა ან საძრახისი, შეუფერებელი საქციელის ჩადენის შეგრძნება; შერცხვენა, შეურაცხყოფა (ქეგლ 1986:408).

ჩ. დარვინის თანახმად, სირცხვილის დროს ადამიანების უმეტესობას უწითლდება სახე, ასევე ლოყები, ყურები, ნიკაპი, კისერი და გულმკერდის ზედა ნაწილი. აღნიშნული შეგრძნება შეიძლება მთელ სხეულს მოედოს, პულსი უხშირდება, ოფლიანდება, ყელში სპაზმი უჩნდება. ადამიანში სირცხვილის ემოცია, შესაძლოა,

გაჩნდეს, როდესაც ხვდება, რომ მისი ქცევა უადგილო ან შეუფერებელია. სირცხვილი, დარცხვენა შეიძლება გამოწვეული იყოს შექებით.

აღნიშნული ემოციის აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში გავაერთიანეთ გრძნობა, განცდა, რომელიც გამოწვეულია უხერხული, სათაკილო მდგომარეობით, ან დასაძრახი, შეუფერებელი საქციელის ჩადენით; შერცხვენა, შეურაცხყოფა, აგრეთვე ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოიყენება შერცხვენილი ადამიანის დასახასიათებლად. ქართულში სირცხვილი უკავშირდება სინდისს, ნამუსს. მაგალითად, შერცხვენილი ადამიანის აღსანიშნად გამოიყენება შემდეგი სინონიმები: **დარცხვენილი, სირცხვილუი, სირცხვილნაჭამი, გაწბილებული, თავლაფიანი, თავმოჭრილი, ქუდმოხდილი, ლეჩაქმოხდილი, ჩიქილამოხდილი.**

თავლაფიანი, ქუდმოხდილი, ლეჩაქმოხდილი, ჩიქილამოხდილი - სინონიმები უკავშირდება ძველად საქართველოში არსებულ სასჯელის ფორმებს. თუ ვინე უღირს საქციელს ჩაიდენდა, რომელიც მიუღებელი იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის, შერცხვენილ ადამიანს ტალახში სვრიდნენ, ვირზე უკუღმა სვამდნენ, ქუდს ან მანდილს ხდიდნენ და მთელ სოფელში დაყავდათ. სწორედ ამ წესთან არის დაკავშირებული შემდეგი გამონათქვამები: **ვირზე უკუღმა შესმა.** შერცხვენა, ასევე, დაკავშირებულია **სახელის გატეხვასთან, სირცხვილის ჭამასთან, პირის შერცხვენასთან, პირის გაშავებასთან.** პირის გაშავებაც სასჯელის ერთ-ერთი ფორმა იყო. ძველად, შერცხვენილ ადამიანს პირზე მურს უსვამდნენ. სწორედ ამ წესის აღსანიშნად გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეული - **პირის გაშავება.**

ინგლისურ ენაში მსგავსი სემანტიკის მქონე სინონიმებია: blemish / disgrace, opprobrium / shame / turpitude (სირცხვილი, შერცხვენა) / infamy/disrepute (სირცხვილი, უწესურობა, ცუდი სახელი) / dishonour (სახელის გატეხა, სახელგატეხილობა) / opprobrium (სირცხვილი, ღირსების დაკარგვა) / calumny (ცილისწამება) / contempt (ზიზღი, სიძულვილი) / scandal (სასირცხვილო, სამარცხვინო ფაქტი) / defamation (დიფამაცია (სხვა პირის შემარცხვენელი ნამდვილი ცნობების გაჟღერება)) / loss of face (სახის დაკარგვა) / brazen (უსირცხვილო); ashamed (შერცხვენილი) / shamed (შეარცხვინა, შერცხვენილი) / abashed (შეცბუნებული, დაბნეული) / embarrassed (შეაცბუნა, შეცბუნებული) / humiliated / humbled (დაამცირა, დამცირებული) / dishonoured (სახელი გაუტეხა, სახელგატეხილი), remorseful (სინანულით სავსე) / red-faced (აწითლებული, აჭარხლებული, ალექილი);

shameful / disgraceful / dishonourable (სამარცხვინო, თავისმომჭრელი, შეურაცხმყოფელი),
degrading (შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი) / indecent (უწესო, უშვერი, უხამსი).
inglorious (უსახელო, სახელგატეხილი, სამარცხვინო, სათაკილო) deplorable (სამწუხარო) /
disreputable (სამარცხვინო, თავისმომჭრელი) infamous (ცუდი რეპუტაციის მქონე) /
ignominious (უღირსი, სამარცხვინო, სასირცხვილო, დამამცირებელი); shameless
(უსირცხვილო) / uncontrolled (მართავი, უკონტროლო) / immodest (თავხედი), indecent
(უწესო) / rude (უხეში) / unblushing (ურცხვი, მოურიდებელი), Fling mud at somebody
(ვინმესთვის ტალახის სროლა - ვინმეს შერცხვენა), Hat in hand (ქუდით ხელში -
დამცირებულ მდგომარეობაში), Mud-slinging (ტალახის სროლა - ვინმეს შეურაცხყოფა
მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით) და ა.შ.

ამდენად, სინონიმებზე დაკვირვების შედეგად ნათლად ჩანს, რომ ორივე ენაში
სირცხვილი, ძირითადად, სამარცხვინო საქციელს, სახელის გატეხვას, შელახვას
უკავშირდება.

2.2.7. სიცოცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

სიკვდილი, მოკვდომა, მოკვდინება, გარდაცვალება, მიცვალება... ქართულში
სიცოცხლის შეწყვეტის ანუ სიკვდილის სემანტიკის მქონე სინონიმურ ლექსიკაში
გამოიყოფა ერთეულები, რომელთა უმეტესობა კვდ და ცვალ ძირიდან მომდინარეობს.

ქეგლში სიკვდილის შემდეგ დეფინიციას ვხვდებით: „სიცოცხლის შეწყვეტა,
მოკვდომა (ორგანიზმისა). სიკვდილი, რომელიც ბიოლოგიური ორგანიზმის სიცოცხლის
დასასრულია, მიუთითებს ცხოვრების დასრულებაზე, როგორც მოვლენაზე ან როგორც
მდგომარეობაზე“. სიტყვას მოკვდა უამრავი სინონიმი და სინონიმური ფრაზეოლოგიზმი
მოეპოვება. ესენია: მოკვდა, გარდაიცვალა, მიიცვალა, ღმრთივ//ღვთივ განისვენა,

გათავდა, აღესრულა, მიიძინა, სიცოცხლეს გამოესალმა, უფლისად მიიცვალა, ღვთივ განისვენა, გათავდა, განისვენა, წიაღსა შინა აბრამისასა განისვენა, აღესრულა, სიცოცხლეს გამოესალმა, სიცოცხლე შესწირა, სიცოცხლეს გამოეთხოვა, მზეს მოსწყდა, წუთისოფელს მოსწყდა, წუთისოფელმა ამოჭამა, წუთისოფელი მოჭამა, დღე გაუშავდა, სული განუტევა, სული დალია, სული ამოუვიდა, სული ამოხდა, სული ამოსძვრა, სული ღმერთს მიაბარა, სული გასძვრა, გაგრილდა, სამუდამოდ მიიძინა, მიწას ამოეფარა, მიწამ პირი უყო, თქვენი ჭირი წაიღო, ბუნებას ვალი მისცა, განვლო ცხოვრება თვისი, განვლო წელნი თვისნი, დაასრულა ცხოვრება, სამუდამოდ მიიძინა, ბოლო მოეღო, თავი გასწირა (შესწირა), თავი ანაცვალა, თავი შეაკლა, ვერ მოესწრო (საწყალი! შვილების ბედნიერებას ვერ მოესწრო), სიცოცხლე შეალია, სიცოცხლე გასწირა, გადაეგო, უშვილოდ გადაეგო, უშვილოდ ამოწყდა, არდასცალდა, ხელიდან გამოცლა (სალ-სალამათი ადამიანი უეცრად ხელიდან გამოგვეცალა), საიქიოს გაემგზავრა, მუცელს გადაჰყვა, მიწა ამოავსო, ჩაბარდა პატრონს, გაიგუდა, ჩაკვდა, ჩაიღრძო, ჩაძაღლდა, ძალივით ჩაკვდა, ირონ,ფეხები ფშკა, წაპარჭიკდა, შაბზე წავიდა, მარილზე წავიდა, წერილი წაიღო, წერილი დაწერა, ტყავი გაჭიმა, იმ სოფლიდან მოკითხვა შემოგითვალათ, მიქელ-გაბრიელი თავს წაადგა, საწუთრო დატოვა, ყალიონი მიაყუდა.

სიკვდილი არის სიცოცხლის დასასრული, სიცოცხლესთან გამოთხოვება, რომლის დროსაც მიმდინარეობს სულისა და ხორცის გაყრა. ეს შეხედულება გადმოცემულია შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით: სიცოცხლეს გამოეთხოვება, სიცოცხლეს გამოესალმება, სიცოცხლეს გაეყრება, სული ამოხდება, სულს დაღევს, სულს განუტეებს. ადამიანმა იცის, რომ ამ ქვეყნად ცხოვრება მოკლეა. ქართველის ცნობიერებაში სიცოცხლე ისეთი სწრაფწარმავალია, როგორც წუთი; ეს ქვეყანა ნათელი და მზიანია, ხოლო საიქიო - ბნელი. ამ შეხედულების გამოხატულებას წარმოადგენენ შემდეგი სინონიმური ფრაზეოლოგიზმები: წუთისოფელს ესალმება, წუთისოფელს მოსწყდა, წუთისოფელმა ამოჭამა, წუთისოფელი მოჭამა, მზე დაუბნელდება, მზე გაუქრება, მზეს გაიშავებს, დღეს გაიშავებს, დღე დაუბნელდება.

ადამიანი, რომელიც იბადება ამ ქვეყნად და აქვს თავისი დანიშნულება, სიკვდილის შემდეგ ბრუნდება, მიეშურება უფალთან, რომელიც მას განაგებს როგორც პატრონი - პატრონს ჩაბარდება, სული ღმერთს მიაბარა.

სიკვდილის დროს სხეული განიცდის კვდომას, ხოლო ადამიანის სული უკვდავია. სიკვდილი ეს არის გადასვლა ამ ცხოვრებიდან სხვა ცხოვრებაში. სიკვდილი სიცოცხლის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა ფორმით. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, სული არ კვდება, იგი **საიქიოს გაემგზავრა**, სხვა, იმქვეყნიურ სამყაროში გადავიდა, ე.ი. გადაინაცვლა ამქვეყნიური სამყაროდან იმქვეყნიურ სამყაროში. სწორედ აღნიშნული სემანტიკური დატვირთვა აქვს **გარდაცვალებას** - არა სრულიად გაქრობა, არამედ სხვა სახედ გადასვლა, გარდაქცევა.

ინგლისურ ენაში აღნიშნული ველის სინონიმებია: die (მოკვდომა, გარდაცვალება) / lose one's life (სიცოცხლის დაკარგვა), lay down one's life (სიცოცხლის შეწირვა, თავის დადება), perish (დაღუპვა), expire (დასრულება, გარდაცვალება), decease (მოკვდომა, გარდაცვალება), suffer death (დამარცხება), depart (გასვლა, დატოვება, ევფ.) give up the ghost (მოჩვენების მიტოვება - სიკვდილი) / be no more (აღარ ყოფნა) / (go to) meet one's Maker (საკუთარ შემქმნელთან შეხვედრა) / breathe one's last (უკანასკნელად ამოსუნთქვა) / go to the happy hunting-grounds, go to one's reward (საკუთარ ჯილდოსთან წასვლა გარდაცვალება), go to one's final or last resting-place (დასასვენებლად წასვლა - სამუდამო განსასვენებლის მოპოვება, გარდაცვალება) / go west (დასავლეთით წასვლა - მოკვდომა), pay the debt of nature / pay one's debt to nature (ბუნების ვალის გადახდა), pass through the pearly gates, pass away or on, join the majority (უმრავლესობასთან შეერთება - წინაპრებთან წასვლა, მოკვდომა), join the angels (ანგელოზებთან შეერთება), Depart to god (ღმერთებთან გამგზავრება), go the way of all flesh; bite the dust (უსულოდ დაცემა), kick the bucket (ვედროსთვის/სათლისთვის ფეხის ამორტყმა, სულის დაღევა) / croak, breathe one's last („უკანასკნელად ამოსუნთქვა) / in a bad way (ცუდ დღეშია, უკანასკნელ დღეშია) / one's number is up / (მისი დღეები დათვლილია) / at death's door (სიკვდილის კარზეა) და სხვ.

სიკვდილი ორივე ენაში დაუმარცხებელია. იგი ასოცირდება სიცოცხლის დაკარგვასთან, გარდაცვალებასთან, ამ ქვეყნიდან გასვლასთან, დატოვებასთან. აღნიშნულ ველში, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, გამოიყოფა ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი კონოტაციის გამომხატველი სინონიმური ერთეულები. ამ სინონიმებს ერთი სემანტიკა აქვთ და სიკვდილს აღნიშნავენ. სიკვდილთან

დაკავშირებული ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები ადამიანის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

2.2.8. წყევლის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

წყევლა არის დალოცვის საწინააღმდეგო სიტყვიერი ფორმულა, რომელიც შეიცავს ვინმეს ან რამის მიმართ ბოროტ სურვილს ან ლანძღვას. იგი ხშირად არის წარმოდგენილი ძველ ლიტერატურაში, კერძოდ, ბიბლიაში, როგორც რომელიმე ადამიანის ცოდვის განკითხვა. პირველი წყევლა, რომელსაც ბიბლიაში ვხვდებით, არის „ღმერთის“ მიერ გველზე წარმოთქმული (დაბ. 3:14). ასევე, აბელის სიკვდილის შემდეგ, კაენს მიესაჯა სამუდამო გადასახლება, მშობლიური სახლიდან შორს ყოფნა, განდევნა (დაბ.4:11-12). სწორედ აღნიშნული მოსაზრება უდევს საფუძვლად შემდეგ გამონათქვამს: the curse of Cain (კაენის წყევლა) - ე.ი. ვისიმე შეჩვენება, განდევნა. პირველი ადამიანი, ვისაც წყევლა უკავშირდებოდა ბიბლიაში, არის ნოე. წარღვნის შემდეგ, მან, ქამის ვაჟის, ქანანის მიმართ, თქვა, რომ ის სემისა და იაფეთის მონა გახდებოდა. ეს წყევლა რვა საუკუნის შემდეგ, სემიტური ისრაელის მიერ ქანანის დაპყრობის დროს, შესრულდა (დაბ.9:25-27). ბიბლიიდანვე ჩანს, რომ წყევლა არასასურველია, რასაც მოწმობს შემდეგი: როდესაც მეფე ბალაკი თხოვს ბალაამს დაწყევლოს ისრაელი, „რადგან ჩემზე ძლიერები არიან. იქნებ დავამარცხო და განვდევნო ამ მიწიდან; ვინაიდან კარგად ვიცი, რომ ვისაც აკურთხებ, კურთხეულია, და ვისაც წყევლი, დაწყევლილია“, უფალმა ბალაამს წყევლის ნაცვლად კურთხევა წარმოათქმევინა (22:6-24:25). წყევლა, აგრეთვე, მიჩნეულია შელოცვად, რომლის მიზანს, მაგიური ძალით არასასურველი პიროვნებისათვის ზიანის მიყენება წარმოადგენს.

არასასურველ წყევლასთან დაკავშირებით საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა ტრადიცია არსებობს. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შეხედულების თანახმად, თუ ვინმეს კაცი დაწყევლიდა, მაშინვე ეკლესიას მიაშურებდნენ ენერგეტიკული დაცვისგან განწმენდისთვის. მაწყევარს სთხოვდნენ, უკან წაეღო თავისი სიტყვები, დაელოცა და ამით წყევლა გაენეიტრალებინა. ხალხური გადმოცემით, ყველაზე საშიში მაწყევარი კაცი იყო. გარდა ამისა, თუ კი მაწყევარი გულით

იწყევლებოდა, წყევლა დაწყევლილის თაობებს გადაეცემოდა. ასეთი წყევლა მღვდლის წყევლაზე უარესად იყო მიჩნეული.

საუკუნეების წინ, ასევე განსაკუთრებით საშიშად წარმოედგინათ ბავშვის ან მოხუცის მიერ წარმოთქმული წყევლის ფორმულა. ბავშვი გაურყვნელი, ნაკლები ცოდვის მატარებელი და ალალია, ენერგეტიკულად სუფთაა. ბავშვი თუ დაიწყევლება, გულით დაიწყევლება. მოხუცი კი ემოციებისგან დაცლილია, მაგრამ თუ ძლიერ განვარისხებთ, მისგან წამოსული უარყოფითი ენერგია უთუოდ ზიანს მოგვითქმის. წყევლასთან დაკავშირებით სხვა ხალხური მოსაზრებაც არსებობს: თუ მაწყევარს წყევლისას მიაძახებ სიტყვას „ამინ“, ის წყევლა, რაც არ უნდა ხუმრობით იყოს ნათქვამი, უმოკლეს ვადაში აუცილებლად ასრულდება (ჩხარტიშვილი ი. 2010: 8).

წყევლა, ქრისტიანული რელიგიის საწინააღმდეგო ქმედებაა და იგი ყველაზე საშინელ ცოდვად ითვლება, რადგან წყევლა არის ღმერთის სახელით კაცის შეჩვენება. იგი სათავეს წარმართული და, შესაძლოა, უფრო ადრინდელი დროიდანაც იღებს. ისევე როგორც ლოცვის, დალოცვის დროს, ადამიანმა იცის, რომ იგი დადებით ენერგიას აგზავნის კოსმოსში, რომელსაც უკან იღებს. წყევლის დროსაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ მისი წყევლა მის მტერს, მოძულეს ზიანს მიაყენებს. ძველ აღთქმაში, „სიბრძნე ზირაქისა“ ვკითხულობთ: „ადამიანს თავს ნუ დაწყევლინებ, რადგან იმ ადამიანის ვედრებას, ვინც გამწარებული სულით დაგწყევლის, შეისმენს მისი დამბადებელი“. თუმცა ქართული და ინგლისური ანდაზა „წყევლა - მაწყევარისა“, „curses come home to roost“ (ავი სიტყვა ავის მთქმელსაო), მიუთითებს იმაზე, რომ წყევლა აზიანებს არა მარტო იმას, ვისაც წყევლიან, არამედ იმასაც ვინც **წყევლის, წყევლის და კრულავს, რისხავს, აჩვენებს, ქოლავს**.

საქართველოს ისტორიაში წყევლასთან დაკავშირებით ცნობილი ფაქტია ქართლის კათალიკოს მიქაელის მიერ ვახტანგ გორგასლის დაწყევლა. დაწყევლა, შეჩვენება, ანათემაზე გადაცემა დიდი ხნის წინ არსებობდა. წყევლა დღემდეა შემორჩენილი, როგორც წერილობით, ისე ზეპირი სახით. ზეპირ წყევლას საყოფაცხოვრებო ხასიათი ჰქონდა და ყოველდღიურ ურთიერთობაში იჩენდა თავს. წერილობითი სახის წყევლა საგვარეულო სახის წყევლა იყო და შთამომავლობით გადადიოდა. ასეთი სახის ქოქოლის დაყრა ჯერ კიდევ ძველბერძნულ-რომაულ იურიდიულ ძეგლებშია დაცული (ჩხარტიშვილი ი. 2010: 9).

ჯანდაბა - არაბულიდან შემოსული სიტყვაა (ჯაჰან-ნამ), რომელიც გამოიყენება წყევლის დროს, როდესაც უსურვებენ ჯოჯოხეთს, მოუსავლეთს, უბედურებას. სიტყვა „ჯანდაბა“-ს ქართველი ხალხი ძალიან ხშირად იყენებს. თუმცა, ცოტამ თუ იცის ამ სიტყვის წარმოშობა და განმარტება.

ჯანდაბა ქალაქია ინდოეთში, რომელიც შაჰ-ჯაჰანის აშენებულ ქალაქს უწოდეს. რამდენიმე საუკუნის წინ აღნიშნული ქალაქი ირანმა დაიპყრო, სადაც ქართველი ჯარისკაცებიც იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში ბევრმა ქართველმა ქალმა დაკარგა მამა, ძმა, შვილი, ქმარი. იქ ჩასვლა-ჩამოსვლას ვაჭრებისას თუ მეომრებისას წლები სჭირდებოდა, და ხშირად უკან ვერც ბრუნდებოდნენ ეპიდემიებისა თუ ცხოველთა თავდასხმის გამო, ჯაჰანაბადი იქცა ჯანდაბად. ქალაქის სახელმა განიცადა ტრანსფორმაცია. მე-18 საუკუნეში ქართლ-კახეთში ჩნდება გამოთქმა: **ჯანდაბაშიც წასულხარ, ჯანდაბამდეც გზა გქონია, ჯანდაბას იმისი თავი (და ტანიც).** იგი იხმარება სიტყვა დოზანასთან ერთად, **ჯანდაბა და დოზანა**, რომელსაც მსგავსი სემანტიკური დატვირთვა აქვს.

მწყევლელისათვის საძულველი ადამიანი არის: **სასიკვდილე, სასიკვდილო, სამიწე, ჩასაძაღლებელი, გასაქრობი, არგასაზრდელი, არდასაცალებელი, თავმკვდარი, გამოსაწყვეტი, დასამიწებელი, მიწადასაყრელი, მიწაგასახეთქი, კისერმოსატეხი, ენადასადუმებელი, მზედასაზნელებელი, სიკვდილის კერძი.**

ინგლისურში წყევლის სემანტიკური ველის სინონიმები და გამონათქვამებია: curse (წყევლა) / malediction (წყევლა, შეჩვენება) / denunciation (ავის წინასწარმეტყველება, გრამატ. მნიშვნ. დალახვროს ეშმაკმა!), / damnation (წყევლა) / Imprecation (წყევლა, წყევლის, სიკვდილის, უბედურების სურება) / execration (დაწყევლა, შეჩვენება) / oath (წყევლა, კრულვა) / cursed / cursedly (დაწყევლა, დაწყევლილი) / damn (დაწყევლა, წყევლის), execrate (არქ. დაწყევლა, შეჩვენება) anathematize (შეჩვენება, ეკლესიისაგან განკვეთა; დაწყევლა, კრულვა) / Excommunicate (ეკლესიისაგან განკვეთა) და სხვ. წყევლა - to call down (to lay) curses upon smb. to give one's malediction to smb. (ვინმეს დაწყევლა, ვინმესთვის წყევლა-კრულვის შეთვლა), malediction upon him! (წყეულიმც იყოს!), blast (ჯანდაბა! ეშმაკმა დალახვროს!).

მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ წყევლის სემანტიკის შემცველ გამოთქმებში, დალოცვის ფორმებისაგან განსხვავებით, არ ვხვდებით ღმერთის მოხსენიებას. თუმცა, მხატვრულ ლიტერატურაში, ზღაპრებში,

ზეპირსიტყვიერებაში, წყევლის დროს ადგილი აქვს ღმერთის მოხსენიებასაც (ღმერთმა დაგწყევლოს! (ვაჟა-ფშაველა - „ტყის კომედია“, შალვა დადიანი „უბედური რუსი“ და ა.შ.); რაც წყევლისათვის მეტი ექსპრესიის მისანიჭებლად არის გამოყენებული.

2.2.9. ბრაზის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

ამ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი სინონიმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: 1. სინონიმები, რომლითაც გამოხატულია გაბრაზების სიძლიერე და აღწერენ გაბრაზებული სუბიექტის ემოციურ მდგომარეობას: გაბრაზება / განრისხება / მძვინვარება... გაბრაზებული / გაჯავრებული / ჯავრიანი / მწყრალი / გამწყრალი / გულ(გა)მწყრალი / ბრაზიანი / ბრაზმორეული / ბრაზმოსული / გაბრაზიანებული / აღრენილი / აღრინებული / გულამღვრეული / გულმოსული / გაგულისებული / გაფხუკიანებული / შეფხუკიანებული / გაავებული / გაბოროტებული / მწყრომელი / მწყრომალე / მრისხანე / განრისხებული / დავეშებული / ადუღებული / გაცხარებული / აპილპილებული / გაწიწმატებული / გაანჩხლებული / აალმასებული / გაალმასებული / გამძვინვარებული / მძვინვარე / გამხეცებული / გააფთრებული / გაცოფებული / ცოფმორეული / დორბლმორეული / გამგელებული და სხვ. 2. სინონიმები, რომლითაც გადმოცემულია გაბრაზებული სუბიექტის დამოკიდებულება, მოქმედება ბრაზის ობიექტის მიმართ: ტუქსვა, გაწყრომა, ცემა... უჯავრდება / ტუქსავს / უწყრება / რისხავს / ურისხდება / უტატანებს / უცაცხანებს / უტევს / უშტიალებს / ცოფავს / ფეხებს უბაკუნებს / თავზე კაკალს ამტვრევს; ცემა / რტყმა / ბარტყაბურტყი / ცემა-ტყეპა... სცემს / ურტყამს / უპარტყუნებს / გალახავს / გატყეპს / დაჟეჟავს / გაასილაქებს / გაჯოხავს / გაამათრახებს / გვერდებს აუჭრელებს / ლავაშივით გააბრტყელებს / ძვალასა და რბილს ერთმანეთში აუზელს / დედის ხსენს არწყევინებს / თავ-პირს დაუმტვრევს / ცხვირ-პირს დაუნაყავს / ცხვირ-პირს მიუნაყავს / ცხვირ-პირს ჩაუნაყავს / ცხვირ-პირს ჩაუჩეჩქავს / ნიორწყლად აქცევს / კარგებისას უთავაზებს და სხვ.

ბრაზის სემანტიკის შემცველი სინონიმური ერთეულების შესახებ შემდეგ დეფინიციებს ვხვდებით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ბრაზი - ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა, გახელვა;

ბრაზიანობა - ბრაზის გამომჟღავნება, ძალზე გაჯავრება, გულის მოსვლა;

ბრაზიანი - ბრაზით აღსავსე: ძალიან გაჯავრებული, ძალზე გულმოსული;

გაბრაზებული - ვინც (რაც) გააბრაზეს ან გაბრაზდა;

ბრაზმორეული - ვისაც ბრაზი მოერია, - ბრაზით შეპყრობილი, ძალზე გულმოსული.

ინგლისურ ენაში გაბრაზება (anger) მიჩნეულია ძლიერ და უსიამოვნო გრძნობად, რომელსაც იწვევს ცუდი და უსამართლო რამ, რომელიც მისი გამომწვევი პიროვნების მიმართ ტკივილის მიყენებისაკენ გვიბიძგებს: angry (გაბრაზებული), / exasperated (გაბრაზებული) / Indignant (აღშფოთებული) / vexed (აწყენინა, ნაწყენი) / annoyed (უკმაყოფილო, გაღიზიანებული) / irritated (გააღიზიანა, გაღიზიანებული) / furious (მძვინვარე) / disgruntled (უკმაყოფილო, მოქანცული) / irate (განრისხებული) / angered (გაბრაზებული) / enraged (გაბრაზებული) / incensed (გააბრაზა, გაბრაზებული), wrathful (მრისხანე) / provoked (გააღიზიანა, გამოიწვია, პროვოცირება გაუწია) / piqued (გააღიზიანა, გაღიზიანებული) / mad (გიჟი, შეშლილი) / livid (მოლურჯო-მეწამული, ბრაზიანი) / indignation (აღშფოთება) anger (გაბრაზება, სიბრაზე) / fury (მძვინვარება) / rage (გაცოფება, მძვინვარება) / wrath (რისხვა, მრისხანება, გააფთრება) / exasperation (გაღიზიანება) / irritation / annoyance (გაღიზიანება) / resentment (აღშფოთება) / fierce (მძვინვარე) / ferocious (მრისხანე, სასტიკი) / savage (ველური, სასტიკი, ველური, სასტიკი ადამიანი) / wild (აღვზნებული, ველური) / truculent (მრისხნე) / brutish (მხეცური, სასტიკი) / tigerish (ვეფხვისებრი) / brutal (მხეცური, სასტიკი) / cruel (ულმობელი) და ა. შ.

ბრაზის სემანტიკის ჯგუფში შემავალი სინონიმები გამოხატავენ გაბრაზებული სუბიექტის ემოციურ დამოკიდებულებას, რაც, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ვინმეს არასასიამოვნო, არასწორი საქციელით, მოქმედებით ან რაიმე მოვლენით. ბრაზი, შესაძლოა, გამოიწვიოს ცუდმა, უსამართლო მოპყრობამ, სასტიკმა ან შეურაცხმყოფელმა შემთხვევამ, აგრეთვე, დასახული მიზნის მიღწევაში არსებულმა ნებისმიერმა წინააღმდეგობამ.

აღნიშნული ემოციის დროს მოძრაობა მკვეთრია, სუნთქვა მძიმე, ადამიანმა, შესაძლოა, დაკარგოს საკუთარი თავის კონტროლი. ამ დროს წარბები შეჭმუნულია, შუბლი მოჭიმული, ტუჩები/ყბები მაგრად მოკუმული (Get one's jaw's tight – ყბების მოჭერა), ნესტოები დაბერილი, ადამიანი კბილებს აღჭრიალებს, მეტყველება მკვეთრი და წყვეტილია, ხმა ძლიერი, ავის მომასწავლებელი, მომეტებული ნერწყვის გამოყოფის გამო შეიძლება, პირიდან დორბლებიც კი გადმოყაროს. ამ დროს ადამიანი ფეხებს აბაკუნებს, სისხლის მიმოქცევა ეცვლება, სახე უწითლდება, გულისცემა უხშირდება, მუშტები შეკრული აქვს, გამოხედვა ბრაზიანი და ა.შ. Black look – (შავი გამოხედვა) - მოღუშული, ბრაზიანი გამოხედვა.

თედო სახოკიას განმარტებით: „როცა კაცი აღშფოთებულია ბრაზისაგან გულმოსულია, შეშინებულია, ან კიდევ გახარებული, ეს სულიერი განცდა, პირველ ყოვლისა, მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, გარეთ გამოხტომას ლამობს. ძალიან გაბრაზების დროს სული გვიგუბდება და ისეთ გრძნობას განვიცდით, თითქო გული ბუდიდან დაიძრა, ყელში მიგვებჯინა ან შიგ ჩაგვეჩრა და გარეთ გამოსვლას ლამობსო (სახოკია 1979:117).

თუ დავაკვირდებით ბრაზის სემანტიკის შემცველ სინონიმებს, დავინახავთ, რომ ბრაზისაგან გამოწვეული ემოციური მდგომარეობა დაკავშირებულია:

გულთან/ცეცხლთან: გაცეცხლებული, გულზე ცეცხლი მოედება, გულზე ცეცხლი მოეკიდება, აღმური ასდის, გულაღრენილი, გულ(გა)მწყრალი, გულამღვრეული, გულმოსული, გაგულისებული, გულგამეხებული, გულს მოაყვანინებს... გულთან დაკავშირებული სინონიმების სიმრავლე გამომდინარეობს იქიდან, რომ ბრაზი პირველ რიგში მოქმედებს გულზე. უფრო ძლიერი ემოციაა მრისხანება, იგი ადამიანის სხეულში ცეცხლის არსებობასთან ასოცირდება და იგულისხმება, რომ იგი ისეთივე საშიში და სახიფათოა, როგორც ცეცხლმოკიდებული ადგილი და მის გარშემო მყოფი საგნები.

ყელთან/სისხლთან/ღუღილთან: სისხლი უდუღს, სისხლი ყელში ებჯინება, სისხლი ყელში აწვება, სისხლი აემღვრევა... Make somebody's blood boil – (ვინმეს სისხლის ადუღება) - ვინმეს გადარევა, განრისხება, აღშფოთება; Bad blood – (ცუდი სისხლი) - ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ სიძულვილს გრძნობენ ძველი უსიამოვნებების გამო;

პირთან/მეხთან: გამეხებული, პირგამეხებული, გულგამეხებული...

ცოფთან: გაცოფებული, ცოფმორეული, დორბლმორეული... Hopping mad - (მოხტუნავე გიჟი) - გაბრაზებული, განრისხებული, გაცოფებული;

მხეტან/ქვეწარმავალთან: გამძვინვარებული, გამხეცებული, გააფთრებული, გამგელეებული, გაასპიტებული... furious (მძვინვარე)

აფეთქებასთან/სკდომასთან/ვარდნასთან: აფეთქდება, ჭიპზე გასკდება, ახტება და დახტება, ავარდება და დავარდება... Be up in the air – (ჰაერში მაღლა ყოფნა) - მოთმინების დაკარგვა; გაგიჟება, გადარევა;

ბრაზი დაკავშირებულია გემოს შეგრძნებასთან და გადმოცემულია ისეთი სინონიმებით, როგორიცაა: **გაცხარება, გაწიწმატება, აპილპილება.**

ორივე ენაში ბრაზის ექსპრესია ხასიათდება აღმავალი გრადაციით, რომელიც იწყება ბრაზით და მთავრდება გამძვინვარებით. მრისხანება არის ზღვარი, როდესაც ადამიანი კარგავს საკუთარი თავის კონტროლს, ადამიანურ სახეს. ამიტომ იგი მიმსგავსებულია ცოფს, ცხოველს, ქვეწარმავალს. სწორედ ამგვარი მდგომარეობაა გამოხატული დასახელებული სინონიმური ერთეულებით.

2.2.10. მწუხარების სემანტიკის მქონე სინონიმური ველი

დარდის/მწუხარების მქონე სინონიმთა სემანტიკურ ბუდეში გამოვყავით: ცუდი, უბედურებით გამოწვეული ემოცია; ვინც / რაც ამ გრძნობას იწვევს, მწუხარების / დარდის / ჯავრის ემოციის მატარებელი ადამიანის გამომხატველი სინონიმები. აგრეთვე, ფრაზეოლოგიზმები, რომელიც გამოიყენება სინონიმებად ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც ჯავრს ამოიყრის, დამშვიდდება: გულს მოიფხანს, გულს მოიჯერებს, გულიდან ჯავრს გადაიყრის.

დარდი/მწუხარება ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ცუდი ხდება ან მოხდა. მწუხარება შეიძლება გამოწვეული იყოს ახლობელი ადამიანის დაკარგვით. დარდი, სევდა დაკავშირებულია მძიმე სულიერ მდგომარეობასთან, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს რამეზე ფიქრმა, ზრუნვამ, წუხილმა, შიშმა, ჯავრმა. იგი

ადამიანს გარეგნულადაც ემჩნევა. დარდი სახეზე, შესაძლოა, მცირე ხნით აღიბეჭდოს, თუმცა მისი განცდა დიდხანს გრძელდება. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რითია გამოწვეული და რამდენად ძლიერია ადამიანი. თითოეული სუბიექტი სხვადასხვაგვარად გამოხატავს ამ ემოციას.

აღნიშნულ ველში ხშირად გვხვდება სინონიმები, რომლითაც ამგვარი ფიზიოლოგიური მდგომარეობაა გადმოცემული: **დაღონებული, მოწყენილი, დაზაფრული, მჭმუნვარე, დაღრეჯილი, ნაღვლიანი, სევდიანი, დაღვრემილი, პირმწუხარე.** (*sad / sorrowed / sorrowful / mournful / crestfallen* (მწუხარე, სევდიანი, ნაღვლიანი, დამწუხრებული, დადარდიანებული) / *morose* (პირქუში, დაღვრემილი) / *glum* (შუბლშეკრული, დაღვრემილი) / *chap-fallen* (ყბაჩამოვარდნილი) / *woeful* (მწუხარე) და სხვ.

ამ სემანტიკურ ველში, ყველაზე ხშირად ემოციის გამოსახატად გვხვდება გული, პირი, ნაღველი, სული: **ნაღვლიანი, ნაღვლიანდება, დანაღვლიანებული, გულმწუხარე, გულდარდიანი, გულჯავრიანი, გულდამმარებული, პირმწუხარე...** *dejected* (დამწუხრებული, გულდამძიმებული) *disheartened / broken-hearted / heartbroken / downhearted* (გულგატეხილი) / *heartsick / despondent* (სულიერად დაცემული, სულით დაცემული) **heavy-hearted** (ნაღვლიანი).

გულთან და ნაღველთან დაკავშირებით თ. სახოკია წერს: „სულიერი განცდა პირველ ყოვლისა მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამოხტომას ლამობს... ნაღველი - ბრაზი, დარდი, სიცხარე. ნაღვლის სითხეს გამოჰყოფს ადამიანისა და ცხოველის ღვიძლი. იგი ინელებს ცხიმებს, მეტად მწარეა. ნაღველი გადაქცეულია სინონიმად ყოველივე მწარისა... გულის მოსვლის დროს, გულის ცემის გახშირების გამო, სიმპათიკური ნერვული სისტემა აგზნებულია, რაც იწვევს ნაღვლის სადინარის დახშობას. მაშასადამე, ნაღველი გროვდება ნაღვლის ბუშტში და ამ ბუშტის მოცულობა დიდება, ანუ, როგორც ხატოვნად ამბობს ჩვენი ხალხი, ნაღველი სივდებაო, რაც ნიშნავს უზომო სიბრაზეს“ (სახოკია თ. 1979:358).

ქართულ ენაში ამ ველში შეგვხვდა ორი სომატური ერთეულის გამოყენებით მიღებული სინონიმური კომპოზიტები, ესენია: თავი და პირი, ცხვირი და პირი -

თავპირჩამომტირალი, ცხვირპირჩამომტირალი, რომელიც სახენადვლიანი, მწუხარე გამომეტყველების მქონე ადამიანის სინონიმად იხმარება.

2.2.11. შეგრძნების გამომხატველ სინონიმთა სემანტიკური ველი

ნებისმიერი ემოციის გამოწვევას წინ უსწრებს ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა აღქმა და შეგრძნებები. თანამედროვე ფსიქოლოგთა მოსაზრების თანახმად, ადამიანს გააჩნია შეგრძნებათა შემდეგი მოდალობები: მხედველობითი, ანუ ოპტიკური ან ვიზუალური, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხების, ვიბრაციის და კინესთეტიკური შეგრძნებები (ბერეკაშვილი, იმედაძე, 2007: 264).

ჩვენ მიერ შესწავლილი სინონიმები ამ მიმართებით შემდეგნაირად დავაჯგუფეთ:

მხედველობითი: ხორცდაყრილი, გაკნაჭული, ტანთხელი, ტანხმელი; გაღიმებული, სახემომღიმარი, პირმცინარე; გაჯავრებული, ბრაზმორეული; დაბრმავებული, თვალისჩინდაკარგული; წარბაწეული, წარბებაზიდული, წარბებაჭიმული, წარბებაწკეპილი; შეუხედავი, ულამაზო, უშნო; შეშინებული, შემკრთალი; იცრემლება, იკურცხლება....

სმენითი: ტიტინი, ჩურჩული, ლულლული, ბლუკუნი, ჩიფჩიფი, ბურტყუნი, დუდლუნი, როხროხი, ხმას ამოიღებს; ხმაგაკმენდილი, დამუნჯებული; ახარხარებული; დაიწვივლებს, დაიკვივლებს, დაიღრიალებს; დაიკვნესებს, დაიგმინებს, დაიკრუსუნებს...

შეხების: ფერება, ფერობა, ლამუნი, ლაციცი, თათუნი, ცაცუნი; ჩაართყამს, ჩაჰკრავს, ჩასხცხებს, ჩასთხლემს..

სუნის: ყიამყრალი, პირმყრალი, ენამყრალი...

გემოს: აპილპილებული, გაწიწმატებული, მიეხმატკბილება, დამმარებული, გულდამმარებული, ბედმლაშე, სვეგამწარებული, ცხარდება...

ვიბრაციის: კანკალი, ცახცახი, ძაგძაგი, კავკავი, თრთოლა, ჟრჟოლა; გამოვა, გამოცქრიალდება, გამოგოგმანდება, გამოცუნცულდება, გამობაჯბაჯდება;

სინონიმებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში რაოდენობრივად ჭარბობს მხედველობითი და სმენითი შეგრძნების გამომხატველი სინონიმები. რაც შეეხება შეხების, სუნის, გემოს, ვიბრაციის შეგრძნებების გამომხატველ სინონიმებს, - შედარებით მცირეა.

ჩვენ მიერ შესწავლილი სინონიმები სემანტიკურად მრავალფეროვანია. ისინი შინაარსობრივად სხვადასხვა შეგრძნებებს გამოხატავენ. მათი საშუალებით გადმოცემულია შედარება, იგი გამოხატავს ერთგვარ შეფასებას, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ალ. ლლონტის მოსაზრებით „შედარება გულისხმობს ამა თუ იმ გარკვეული ნიშან-თვისების სიდიდე-სიძლიერის მთლიანად ან ნაწილობრივ შეტოლებას მეორე საგანთან“ (ლლონტი ალ. 1966:284). ჩვენ ნიმუშად მოგვყავს მხოლოდ მცირე ნაწილი იმ სინონიმებისა, რომლითაც გადმოცემულია შედარება:

ენაგესლიანი, ასპიტი - გადმოცემულია უარყოფითი შეფასება, მწარე, შხამიანი ენის პატრონი შედარებულია გველს, გველის გესლს.

აზვირთდება, აზოზოქრდება, ფაფარს აიყრის - სინონიმებით უარყოფითი შეფასებაა გამოხატული, გაბრაზებული ადამიანი შედარებულია აზოზოქრებულ, აზვირთებულ მდინარესა და განრისხებულ, გამძვინვარებულ ლომს.

ბატისტვინა, ვირისტვინა - გამოხატავს უარყოფით შეფასებას, უჭკუო, ჩერჩეტი ადამიანი შედარებულია ბატსა და ვირს.

გამოზაჯბაჯდება, გამოჩაქჩაქდება - სიარული შედარებულია ბატის/დათვის ბაჯბაჯსა და ცხენის რყევით სიარულს. გამოხატავს უარყოფით შეფასებას.

ჩონჩხად ქცეული - ძალიან გამხდარი ადამიანის შესადარებლად გამოყენებულია ჩონჩხი. გადმოცემულია უარყოფითი შეფასება, თუმცა გამოხატავს სინანულსაც.

ენა ჩავარდნილი - შემინებული, ვინც მეტისმეტი შიშისაგან/აღელვებისაგან დადუმდა.

აჭიხვინებული - გამოხატავს უარყოფით შეფასებას, ძალიან ხმამაღალი სიცილი შედარებულია ცხენის ჭიხვინს.

გამხეცებული, გამგელებული, გაცოფებული, გააფთრებული - ძალიან გაბრაზებული ადამიანი შედარებულია მხეცს, მგელს, აფთარს. გადმოცემულია უარყოფითი შეფასება.

ლომგული - გამოხატავს დადებით შეფასებას, მამაცი, გულადი, უშიშარი ადამიანი შედარებულია ლომს.

პირმზიანი, მოწყვეტილი ვარსკვლავი - ლამაზი ქალი შედარებულია მზეს, ვარსკვლავს. გადმოცემულია დადებითი შეფასება.

მაიმუნი, ჯოჯო - გამოხატავს უარყოფით შეფასებას, შეუხედავი ადამიანი (ქალი) შედარებულია მაიმუნს.

ამრიგად, როდესაც ვსაუბრობთ შეგრძნებებზე და შედარებაზე, აქ ჩვენთვის უმთავრესია/საინტერესოა ის, რომ წარმოდგენილი ნიმუშების გამოყენებით სინონიმები იძენენ სტილისტიკურ შეფერილობას, რაც ხელს უწყობს ექსპრესიულობის ზრდას.

2.3. სინონიმთა სტილისტიკური შესაძლებლობები

სინონიმურ მწკრივებში არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემს აღნიშნავენ, მაგრამ განსხვავებული ემოციური იერი აქვთ, რომლის საშუალებითაც სინონიმური მწკრივის წევრები სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე. განსაკუთრებული ემოციური იერი კი შედეგია იმისა, რომ სინონიმური მწკრივის კომპონენტები სხვადასხვაგვარად მიუთითებენ ობიექტურ მონაცემზე, ერთი და იგივე ძირითადი მნიშვნელობა სხვადასხვა სახით მიაქვთ მსმენელამდე. იმის მიხედვით, თუ როგორ არის აღნიშნული ობიექტური მონაცემი, სინონიმური მწკრივის წევრებს დანარჩენ წევრებთან შედარებით შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ემოციური იერი.

სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, იგი განსხვავებულ რეაქციას იწვევს სხვადასხვა მსმენელში. ხშირად მოსაუბრე ერიდება უხეში და არასასიამოვნო სიტყვების პირდაპირ გამოყენებას, უხერხული სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით იყენებს „ევფემიზმებს, არასასიამოვნო სიტყვების ან გამოთქმების უფრო მისაღები ფორმით ჩასანაცვლებლად. ევფემიზმები წარმოადგენენ სინონიმებს, რომელთა მიზანი რბილი/შერბილებული ეფექტის შექმნაა. ევფემიზმების ლინგვისტურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ყოველმა ევფემიზმმა უნდა აღადგინოს განსაზღვრული სინონიმი მსმენლის გონებაში (<http://doclecture.net/1-2155.html>).

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სინონიმურ მწკრივებში მრავლად ვხვდებით სხვადასხვა ემოციური იერის მქონე სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც ევფემიზმებს ან დისფემიზმებს წარმოადგენენ. ამ სიტყვა-თქმების ტრადიციული მნიშვნელობა ევფემიზაციის პროცესის შედეგად არის გამომუშავებული, ე.ი. ყოველი ევფემიზმი, რომელიც დამკვიდრებულია ენაში, ამავე დროს იმ სიტყვის (ან გამოთქმის) რელატიურ სინონიმს წარმოადგენს, რომელსაც ენაცვლება (ჯორჯანელი კ. 2003:7).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ევფემიზმებისადმი, როგორც სინონიმთა წარმოქმნის წყაროზე, მიძღვნილ გამოკვლევათა რიცხვი არც თუ ისე ბევრია. ქართულ ენაში კი, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობდა, ვიდრე კარლო ჯორჯანელმა არ შეკრიბა ქართული ევფემიზმები და მეცნიერულად არ შეისწავლა ისინი. როგორც თვითონ აღნიშნავს - „ნიმუშები სხვადასხვა ენებიდან შესაძლებლობას იძლეოდა უფრო ფართოდ გავცნობოდით სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ ევფემისტური ეფექტი გამოიწვიონ და აგრეთვე ევფემიზაციის სხვადასხვა ობიექტებს. ამის გამო უხვად მოვიშველიეთ ნიმუშები სხვა ენებიდან (ძირითადად რუსული და გერმანული ენებიდან) და ეს მით უფრო გაბედულად მოვიმოქმედეთ, რამდენადაც ერთი ნაწილი ამ ევფემიზმებისა პირველად ამ ნაშრომში იქცა მსჯელობის საგნად (ჯორჯანელი კ. 1977:3). რაც შეეხება თეორიულ საკითს, იგი საკუთარი თვალსაზრისის შემუშავების პროცესში ეცნობოდა სხვათა აზრებსაც. ამ მიზნით შეისწავლა ევფემიზმებთან დაკავშირებული საკითხის შესახებ მისთვის ხელმისაწვდომ ენებზე არსებული ლიტერატურა და მხოლოდ ამის შემდეგ, 1977 წელს, გამოსცა ევფემიზმთა თეორია წიგნად - „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“.

წიგნის შესავალში ვკითხულობთ, რომ ავტორი აღარ შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა „ევფემიზმთა სტილისტიკური ფუნქციები“, რადგან მისი თვალსაზრისით „ევფემიზმთა და სტილის ურთიერთობა საინტერესოა, მაგრამ რთული საკითხია. იგი მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს“ (ჯორჯანელი 1977: 4).

შევეცადეთ, სინონიმების შესწავლის დროს მოგვეჩვენა გარკვეული კანონზომიერებანი ევფემიზაციის შედეგად გამოწვეული სიტყვათმნიშვნელობის ცვლილებაში. განგვესაზღვრა, ქართულსა და ინგლისურ ენებში რომელი ენობრივი საშუალებების გამოყენება ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს მნიშვნელობათა ცვლისათვის. მართალია, ეს მაგალითები მთლიანად ვერ ასახავენ სინონიმთა

ევფემისტური ხმარების შედეგად გამოწვეულ ყველა ცვლილებას, მაგრამ კონკრეტული მაგალითების გამოყენებით შევეცადეთ, გვეჩვენებინა დადებით და უარყოფით სინონიმურ სიტყვათა ევფემიზაციის შედეგად გამოწვეულ ცვლილებათა სხვადასხვა შემთხვევა. სინონიმთა ევფემისტური ხმარების შედეგად გამოწვეული ყველა ცვლილების ასახვა მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ საგანგებოდ, ამ თვალსაზრისით, შევისწავლიდით მხოლოდ ერთი ენის ლექსიკურ შედგენილობას მისი ისტორიული განვითარების მთელ გზაზე.

საინტერესოა, იმ შთაბეჭდილების გარკვევა, რომელსაც ახდენენ მსმენელზე ერთი და იმავე ობიექტური მონაცემების აღმნიშვნელი ევფემიზმი და ის სინონიმური სიტყვა, რომელსაც იგი ენაცვლება. სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, იგი უშუალო კავშირშია მის ცხოვრებასთან, საქმიანობის ყველა სფეროსთან და ამიტომაც იწვევს ჩვენში ასეთ ძლიერ რეაქციას.

კ. ჯორჯანელი მიიჩნევს, რომ ევფემიზმების წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანში გამომუშავებულ ჩვევასთან, კონტროლი იქონიოს თავის ემოციებზე. ადამიანებს ცხოვრების გამოცდილებამ და პრაქტიკამ დაანახვა, რომ საჭირო იყო ემოციების კონტროლი, მისი დახვეწა, საჭირო გახდა სიტყვა ცენზურას დაქვემდებარებოდა. ადამიანმა მიმართა უსიამოვნო სინამდვილის ამსახველი სიტყვების ევფემიზმების საბურველში გახვევას. ასეა დღესაც.

ევფემიზაციის დროს ხდება მნიშვნელობის გადატანა, რის შედეგადაც ევფემისტური გამოთქმა იმ სიტყვის/ გამოთქმის მნიშვნელობას იძენს, რომელსაც ენაცვლება და იქცევა მის რელატიურ სინონიმად. ეს არის ევფემიზაციის შედეგად გამოწვეული სიტყვათმნიშვნელობის ცვლის აუცილებელი შედეგი. როგორც არ უნდა იყოს ევფემიზაციის შედეგად გამოწვეული სიტყვათმნიშვნელობის ცვლის საბოლოო შედეგი, რა შორსაც არ უნდა წავიდეს იგი, მაინც ამ პროცესის პირველი და გარდაუვალი ეტაპი იქნება შემცვლელი სიტყვის (ან გამოთქმის) შესაცვლელი სიტყვის (ან გამოთქმის) რელატიურ სინონიმად გადაქცევა. ქართულ ენაში ევფემიზმთა მთელი ერთობლიობა შედგება სიტყვა-თქმებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ სინონიმური მწკრივის წევრებს წარმოადგენენ. ასეთივე მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაშიც. თუ გავიხსენებთ, რამდენად დიდია ევფემიზმთა რაოდენობა ენებში, ნათელი შეიქნება

ჩვენთვის ის დიდი როლი, რომელსაც ევფემიზაციის პროცესი ასრულებს სინონიმთა წარმოქმნაში.

ტერმინი **ევფემიზმი** ბერძნულიდან მომდინარეობს და მიჩნეულია (euphēmos - შელამაზებული სიტყვები, eu „კარგად + phēmē „ვლაპარაკობ) სააუგოდ, საჩოთიროდ, სახიფათოდ ხმარებულ სიტყვა-თქმათა ნაცვლად გამოყენებულ უფრო ნატივ, ზრდილობიან და უვნებელ სიტყვა-თქმად. ზოგჯერ ადამიანები, გარკვეული მიზეზის გამო, შეგნებულად გვერდს უვლიან გარკვეული ობიექტური მონაცემის აღმნიშვნელი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას. მათ ან არ ასახელებენ, ანდა ამბობენ არაპირდაპირ, შემოვლით, აღწერით, შთაბეჭდილების შენელებით, რათა იგი მისაღები გახადონ ადრესატისათვის (<https://ka.wikipedia.org/wiki/>).

სიტყვა εὐφραίνω ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება და გულისხმობს ძველ წარმართულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვის და ლოცვების წარმოთქმის დროს მხოლოდ „კარგი მნიშვნელობის“ სიტყვები უნდა გამოეყენებინათ. შემდგომ ეს ჩვეულება ისე გავრცელდა, რომ წარმართული მღვდელმსახურების დროს საერთოდ აიკრძალა ლაპარაკი, რადგან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ამ საქმის თვით ყველაზე პედანტი შემსრულებელნიც კი შეცდომას უშვებდნენ და შესაფერის სიტყვებს ვერ ირჩევდნენ (ეს აზრია სწორედ ჩაქსოვილი რომაელთა ცნობილ გამოთქმაში - „favete linguis“). თვით მსხვერპლად შესაწირავ ცხოველის ბლავილსაც კი ახშობდნენ საკრავთა ხმებით, რადგან წარმართთა აზრით, მასაც ისევე, როგორც უხეში გამოთქმების ხმარებას, შეეძლო გაენაწყენებინა მათი ღვთაება (<https://ka.wikipedia.org/wiki/>).

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ევფემიზმებს განიხილავდნენ, როგორც ლინგვისტურ ფენომენს, მაგრამ ყოველი რიტორი ახარისხებდა მას განსხვავებულად. არისტოტელე განიხილავდა მას, როგორც მეტაფორის ქვეტიპს, ციცერონი უწოდებდა „verba tecta“-ს - დაფარულ სიტყვას, ხოლო კვინტილიანე ევფემიზმებს განიხილავს, როგორც ალეგორიის სპეციალურ ფორმას (http://is.muni.cz/th/369579/ffb/BA_thesis_Kovacova.txt). თანამედროვე კვლევებისთვის ეს განმარტებები არ არის ზუსტი.

ამჟამად სიტყვა „ევფემიზმი“ - ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინია და ეწოდება სიტყვას/გამოთქმას, რომელიც ისეთი სიტყვის (ან გამოთქმის) შემცვლელად იხმარება, რომელიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში სახიფათოა და უსიამოვნოდ, უხეშად,

სათაკილოდ ან უზრდელოდ მიიჩნევა. ევფემიზმი და ის სიტყვა (ან გამოთქმა), რომელსაც იგი ენაცვლება ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მსმენელზე (ჯორჯანელი კ. 1977:15).

თითქმის ყველა ენაში ვხვდებით ევფემიზმების გამოყენებას უსიამოვნო სიტყვების ნაცვლად. ევფემიზმები გვხვდება სასაუბრო გამოთქმებში, რომელიც ადვილად გასაგები და აღსაქმელია მშობლიურ ენაზე მოსაუბრისათვის, მაგრამ ძნელად გასაგებია სხვა ენაზე მოსაუბრისათვის. თუ უცხო კულტურის წარმომადგენელი გაიგებს გამოთქმის არსს, მაშინაც კი, მისთვის რთული იქნება მისი თარგმნა შესაფერისი ეკვივალენტით. მაგალითად, ქართულში გვაქვს ევფემიზმი „ხელმრუდე“, რომელიც გამოიყენება ქურდის სანაცვლოდ, მაგრამ მისი ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა სიძნელეებს წარმოშობს (ჯორჯანელი, 1977:18). მაშასადამე, ევფემიზმები შეიძლება დავყოთ უნივერსალურ და ეროვნულ ევფემიზმებად. ქართულში ეროვნული ევფემიზმის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ „ბატონები“, რომელიც ისეთ დაავადებათა ჩასანაცვლებლად გამოიყენება როგორიცაა: წითელა, ჩუტყვავილა, ყივანახველა. რაც შეეხება უნივერსალურ ევფემიზმებს, ისინი მრავლად მოგვეპოვება. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ორსული - მომლოდინე; ფეხმძიმე.

ორივე ენაში მრავლად მოიპოვება კონცეპტ „სიკვდილთან“ დაკავშირებული სინონიმები და მისი მონაცვლე ევფემისტური გამოთქმები. ყველა ცდილობს სიტყვა „სიკვდილი“, რომელსაც აქვს უამრავი რბილი სინონიმური შესატყვისი, ევფემისტური საშუალებებით ჩაანაცვლოს. ქართულ ენაში მის ნაცვლად ვიყენებთ შემდეგ სინონიმებს: გარდაიცვალა, მიიცვალა, განისვენა, თვალები დახუჭა, სული ამოხდა, სული დალია, სული ღმერთს მიაბარა, მიწას ამოეფარა, სიცოცხლეს გამოესალმა, სიცოცხლეს გამოეთხოვა, დაასრულა ცხოვრება, წუთისოფელს მოსწყდა, არ არის ცოცხალთა შორის, სამუდამოდ მიიძინა, საიქიოს გაემგზავრა, წერილი წაიღო, მარილზე წავიდა, გაღმა გავიდა, კაკას ხიდი გაიარა, სამუდამოდ დადუმდა, სამუდამოდ დაგვტოვა, მარადიული სიმშვიდე დაიმკვიდრა, რაც ევფემისტურია (ჯორჯანელი კ. 1977:74). ინგლისურში მას შემდეგი სინონიმური სიტყვები ენაცვლება: give up the ghost, expired, be no more, at death's door, will breathe one's last, passes away, pass away or on, will shorten one's life, go to one's

reward, go to one's final or last resting-place, go west, fall asleep, go west... write 'finis' to, put to death და ა.შ.

ქართულ ენაში ზოგიერთი სინონიმური სიტყვის მონაცვლე ევფემისტური გამოთქმა ძველ ამბავს ან ხალხურ რწმენას უკავშირდება. ასეთი ევფემიზმებია, მაგალითად, გარდაცვალების სინონიმი „მარილზე წავიდა“. თქმულების თანახმად, ძველად საქართველოში მარილი დეფიციტი იყო. მის მოსატანად მიდიოდნენ აღზევანს, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ზოგჯერ - სპარსეთში. გზას დიდი დრო სჭირდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ადამიანი უკან ვეღარ ბრუნდებოდა. ამიტომაც მარილზე წასული კაცი შედარებულია გარდაცვლილს, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება. ხალხურ რწმენასთანაა დაკავშირებული გარდაცვალების სინონიმი, ევფემისტური გამოთქმა, „წერილი წაიღო“. რწმენის თანახმად ახლად გარდაცვლილ ადამიანს სააქოდან საიქიოში შეეძლო ამბები მიეტანა. შესაძლოა, ამას, ასევე, რელიგიურ-ბიბლიური სარჩულიც ჰქონდეს, რაც წმიდა ანუ საღვთოწერილს უკავშირდება.

ორივე ენაში მრავლად მოიპოვება ის ევფემისტური გამოთქმები, რომელიც ადამიანის გარდაცვალების მოახლოებას ან მოკვდინების პროცესს ასახავენ. ქართულში გვაქვს შემდეგი გამოთქმები: უკანასკნელ დღეშია, ფეხებზე ბატკანი ჰყავს გამობმული, ჩაილულის წყალი დალია, მიქელ-გაბრიელი ესტუმრა, მაგისი დრო/დღეები დათვლილია, წერილი მიაქვს, ცალი ფეხი სამარეში უდგას. ასევე, მრავლად მოიპოვება ინგლისურ ენაშიც სტრუქტურულად და სემანტიკურად მსგავსი გამოთქმები: breathe one's last (უკანასკნელად ამოსუნთქვა), in a bad way (ცუდ დღეშია, უკანასკნელ დღეშია); one's number is up (მისი დღეები დათვლილია), at death's door (სიკვდილის კარზეა)(აღნიშნული გამოთქმები განხილული აქვს აგრეთვე შავლაძეს 2013:12).

საინტერესოა სინონიმთა რიგში თანაგრძნობით, სიბრალულით ან სულგრძელობით წარმოქმნილი ის ევფემიზმები, რომლებიც ფიზიკური ნაკლოვანებისა და გონებრივი შეზღუდულობის აღსანიშნად გამოიყენება. ქართულ ენაში კ. ჯორჯანელი შემდეგ მაგალითებს ასახელებს: ყრუ - სმენა დაზიანებული/დაქვეითებული; ბრმა - მხედველობა შეზღუდული, სუსტი მხედველობის მქონე; სულელი - გონებრივად შეზღუდული, გიჟი - ფსიქიკურად დაავადებული, სულით ავადმყოფი, ჯანსაღ გონებაზე არ მყოფი, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი; როგორც მ. ბალაძე აღნიშნავს, მსგავსი

სურათი გვაქვს ინგლისურ ენაში: Deaf - not able to hear, hearing impaired; Blind - not able to see, visually impaired, Visually challenged; Mad / crazy – insane, mentally Diseased; unbalanced, troubled, odd (ბალაძე მ. 2015:42)

ზოგადად, ჩვენ მიერ განხილულ სინონიმთა რიგში წარმოდგენილი ევფემიზმები შესაძლებელია ორ გჯუფად გავყოთ: 1) ევფემიზმები, რომელიც ემსახურება, ნაკლებად შეურაცხყოფელმა სიტყვებმა პირდაპირ ჩაანაცვლოს არასასიამოვნო სიტყვები, მაგალითად: მსუქანი – ჭარბწონიანი; მთვრალი – შეზარხოშებული, ნასვამი; მახინჯი – ულამაზო, შეუხედავი; სულელი/გიჟი: გულუბრყვილო, უჭკუო, შეზღუდული გონების პატრონი, ზედა სართულში ცოტა აკლია, აფრენს, თავში მწყრები ჰყავს, გონებაჩლუნგია, მხიარული ჭკუისაა; Fat – overweight, stout, full-figured; Drunk - tired and over emotional, intoxicated, tipsy; Deaf - not able to hear, hearing impaired; Blind - not able to see, visually impaired, Visually challenged; Mad/ crazy – insane, mentally Diseased; unbalanced, troubled; 2) ევფემიზმები, რომელიც შენიღბვის გზით ცდილობს, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაფაროს ამა თუ იმ პიროვნების ნაკლოვანი მხარეები, ასეთიებია, მაგალითად: ბრმა ადამიანის მიმართ გამოყენებული ევფემისტური გამოთქმები მხედველობა დაქვეითებული, უსინათლო; ყრუს მიმართ გამოყენებული - სმენადაქვეითებული; მახინჯის ნაცვლად - ულამაზო, შეუხედავი. ასევე განვიხილავთ მოხუცების მიმართ გამოყენებულ ევფემიზმებს, რომელიც თავაზიანობას გამოხატავს: ხანშიშესული, ხანდაზმული, ასაკოვანი. როგორც მ. ბალაძე (ბალაძე მ. 2015:42) აღნიშნავს, ინგლისურ ენაში მოხუცების მიმართ გამოიყენება - Crippled – handicapped, disabled - უნარშეზღუდული, ინგლისურში - Senior citizens|ან Seasoned men| (უფროსი მოქალაქეები) ნაცვლად - Old men (მოხუცი კაცისა). ინგლისელები გარეგნობასთან მიმართებით არ იყენებენ სიტყვებს ugly (მახინჯი) ან „awful (საშინელება), რომელთაც ძლიერი დამამცირებელი დატვირთვა აქვთ, მათ ნაცვლად იყენებენ plain-looking‘ ან not pretty‘ (არ არის ლამაზი).

ევფემიზმების წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ ფსიქოლოგიურ საფუძველად მიჩნეულია ტაბუ. ევფემიზმები დიდი ხანია გამოიყენება ამ თუ იმ ენაში და ის მჭიდროდაა დაკავშირებული ტაბუსთან.

სიტყვას ევფემიზმად გამოყენების შემთხვევაში ახალი შინაარსი ენიჭება, ვინაიდან ხდება მნიშვნელობის გადატანა. ამ თვალსაზრისით, ევფემიზმი, შესაძლებელია,

მივიჩნიოთ ჩვეულებრივ ტროპად, როგორც, მაგალითად, მეტაფორა, მეტონიმია, ჰიპერბოლა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ევფემისტური გამოთქმის დროს ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) ნაცვლად მეორეს ვიყენებთ და თანაც ახალი მნიშვნელობით, ადრესატისათვის გაგებინება მაინც ხდება. მაგრამ გაგებინება ამ შემთხვევაში არის არა უშუალო, არამედ შუალობითი, შემოვლითი. მსმენელისათვის იგი წარმოადგენს ამოსახსნელ გამოცანას: იგი უნდა მიხვდეს, რის შესახებ, რაზეა ლაპარაკი, რისი თქმა სურთ. სწორედ ეს წარმოადგენს ევფემიზმის მთელ საიდუმლოებას. აღნიშნული გარემოება უნელებს მსმენელს შთაბეჭდილებას, რადგან წინასწარ ამზადებს მას უსიამოვნო და უხერხულ სიტუაციასთან შესახვედრად (ჯორჯანელი კ. 1977:12).

აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ევფემიზმები დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც მსმენელზე, ისე მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ ევფემიზმი და ის სინონიმური სიტყვა, რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს, ევფემიზმებს შეუძლია სხვადასხვა ემოციური ეფექტი მოახდინოს მკითხველსა და მსმენელზე, ზოგიერთ შემთხვევაში მხიარულ განწყობაზეც კი შეიძლება დააყენოს ადამიანი. როგორც კ. ჯორჯანელი აღნიშნავს, სიტყვათა ემოციური იერის როლი კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: თუ სიტყვები - „საპყრობილე“, „საპატიმრო“, „სატუსაღო“ - გვახსენებს ნაცრისფერ კედლებს, რკინის მოაჯირიანი ვიწრო სარკმლებს, პატიმართა ჭლექიან სახეებს და ა. შ. ციხის ევფემიზმი - „ვირის აბანო“ - მხიარულ განწყობილებაზე გვაყენებს. ამაში წვლილი სწორედ ამ ევფემისტური გამოთქმის ემოციურ იერს მიუძღვის. ეს გამოთქმა შედარებით ახალია და არც თუ ისე ხშირად გვხვდება, თანაც მასში ხატოვანი თქმა დღემდე ცოცხალია – ყველა ეს მონაცემი შესაძლებლობას აძლევს ამ ევფემიზმს თავისი დანიშნულება დღესაც საუკეთესოდ შეასრულოს (ჯორჯანელი კ. 1977:13).

როგორც ვხედავთ, სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, მას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ინდივიდზე. სწორედ სიტყვების მეშვეობით ხდება სხვის გრძნობებზე ზემოქმედება. ზემოქმედების რა ფორმებს მიმართავს, იქნება ეს ევფემიზმი თუ დისფემიზმი, დამოკიდებულია ინდივიდზე.

ევფემიზმის საპირისპირო ტერმინს წარმოადგენს დისფემიზმი. თუ ევფემიზმი არის უხეში ან შეურაცხყოფელი სინონიმური სიტყვების ჩანაცვლება რბილი, შედარებით დადებითი გამონათქვამით, საპირისპირო პროცესს წარმოადგენს დისფემიზმი, რომლის

დროსაც მიმდინარეობს დადებითი ან ნეიტრალური სინონიმური სიტყვის უხეში, უარყოფითი, არასასიამოვნო ან შეურაცხყოფელი სინონიმური ერთეულით ჩანაცვლება. ე.ი. თუ ევფემიზაციის დროს მიმდინარეობს არასასურველი სიტყვების ჩანაცვლება თავაზიანი სინონიმური სიტყვებით, საპირისპირო პროცესს აქვს ადგილი დისფემიზაციის დროს - მოვლენა აღინიშნება მეტი ვულგარულობით, უხეშობით. სიტყვა „დისფემიზმი“ ბერძნულიდან (dys - ცუდი, არასწორი, რთული, pheme - საუბარი) მომდინარეობს და ნიშნავს განზრახ უხეში სინონიმური სიტყვის/გამოთქმის გამოყენებას ზრდილობიანის ნაცვლად. დისფემიზმი შეიძლება იყოს შეურაცხყოფელი ან ირონიულად დამაკნინებელი.

ალანისა და ბარიჯის თვალსაზრისით, დისფემიზმი შეიძლება იყოს შეურაცხყოფელი ან უბრალოდ ხუმრობით გამკილავი. როგორც ცნობილია, ზოგი სიტყვა ვულგარულია, მაგრამ არა მთლად უხამსი, ე.ი. არ არის სრულად ტაბუირებული საზოგადოების თავაზიან ნაწილში. დისფემიზმები შეიძლება იყოს შეურაცხყოფელი, მაგრამ არა შოკის მომგვრელი (puke, stinks, belly, crouk) (Allan, Burridge 2006:49).

შეიძლება ვთქვათ, რომ დისფემიზმები არის სინონიმური სიტყვები, რომლებიც განზრახ ეფექტის მოსახდენად გამოიყენება. დისფემიზმი ისევე ხშირია ყოველდღიურ ხმარებაში, როგორც ევფემიზმი. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება დისფემიზმის ან ევფემიზმის მნიშვნელობით გამოითქვას, მაგალითად **სიკვდილის** სინონიმურ რიგში არსებული სიტყვით - **გარდაცვალება** - მოიხსენიება ყველას მიერ პატივცემული ადამიანის სიკვდილი (ევფემიზმი), ხოლო მოძულეებული ადამიანისა - **მოჭამა ქირი** (დისფემიზმი) და ა.შ. ერთი და იგივე სინონიმური გამოთქმა ასევე შეიძლება ევფემიზმიც იყოს და დისფემიზმიც, კონტექსტის მიხედვით. მაგ.: **მიიღო უფალმა** ან კიდევ, **გავიდა გაღმა მარილზე** შეიძლება, კონტექსტის მიხედვით ან შერბილებული ევფემიზმი, ან ირონიზებული დისფემიზმი იყოს.

დისფემიზმები გამოიყენება პიროვნების დეგრადაციის ან დამცირების მიზნით. სათქმელი შეიძლება სხვადასხვა საშუალების გამოყენებით გამოიხატოს, მაგალითად, პიროვნების მიმართ გამოყენებული იყოს ცხოველის ან ფრინველის სახელი, რაც დისფემისტურია და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ზოონიმური დისფემიზმები.

ზოონიმების გამოყენებით ხაზი ესმება ადამიანის რომელიმე თვისებას. „ასეთი ტიპის დისფემიზმებს შეიძლება ვუწოდოთ მეტაფორული“ (ჯორჯანელი კ. 1977:20).

ქართულში ადამიანების მისამართით შემდეგი მეტაფორული დისფემისტური სახელების გამოყენებას ვხვდებით: გველი - ცბიერი და ავი სულის მქონე ადამიანის მიმართ; ღორი - ადამიანის მიმართ, რომელსაც ყველაფერი საკუთარი თავისთვის უნდა და რომელიც ბევრს/უზომოდ ჭამს. მაიმუნი - უზრდელი ადამიანის მიმართ; ვირი - უგუნური და ჯიუტი ადამიანის მიმართ; სპილო - უზომოდ მსუქანი ადამიანის მიმართ; ძაღლი - ავი ადამიანის მიმართ; გომბეშო - შეუხედავი ადამიანის მიმართ... ქართულის მსგავსად ინგლისურშიც ვხვდებით მეტაფორული დისფემისტური გამოთქმების გამოყენებას ადამიანის მისამართით, ესენია: Donkey - სულელი ან ჯიუტი ადამიანის მიმართ; Bull-headed - ჯიუტი, მოუქნელი ადამიანის მიმართ; Pig - უზომოდ მჭამელი ადამიანის მიმართ; Snake - არასანდო, ვერაგი ან ორგული ადამიანის მიმართ; Parrot - ადამიანი, რომელიც სხვის ნათქვამს იმეორებს და სხვ.

ა. რეაზანოვას თვალსაზრისით დისფემიზმების გამოყენებას აქვს თავისი კოგნიტური (შემეცნებითი) საფუძველი. მას ექვემდებარება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ძირითადად ფიზიკური და გონებრივი უარყოფითი მხარეების, ადამიანური მისწრაფებების, ფიზიოლოგიური ფუნქციების გამომხატველია (Рязанова А. Н. 2008:4).

აღნიშნული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, რეაზანოვა შესაძლებლად თვლის, გამოიყოს კონცეპტუალური სფეროები და ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიები, სადაც ყველაზე ხშირად გვხვდება დისფემიზმების გამოყენება, როგორც ევფემიზაციის განუყოფელი ნაწილი (Рязанова А. Н. 2008:4).

ბევრი დისფემისტური გამონათქვამი გვხვდება იმ სინონიმურ რიგში, რომელიც გამოიყენება ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდულობის მქონე პიროვნებების მიმართ. დისფემიზმების გამოყენების მიზეზი, შესაძლოა, იყოს ისეთი ემოციური მდგომარეობა, ისეთი უარყოფითი გრძნობები, როგორებიცაა: გაღიზიანება, გაბრაზება, მტრობა, რისხვა, ზიზღი...

„ამა თუ იმ სენზე, ფიზიკურ და სულიერ ნაკლზე მითითება ყოველთვის იყო (და დღესაც არის) საზოგადოებრივი კულტურის განსაკუთრებულად მგრძნობიარე თემა და ნებისმიერი ერის წიაღში იპოვება ადამიანის ნაკლულოვანებათა ამსახველი მასალის მრავალფეროვანი ნეგატიური, ნეიტრალური თუ პოზიტიური ლექსიკა-ფრაზეოლოგია“ (ტაბიძე მ. 2017:321). ქართულში დასტურდება დისფემიზმები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც მხედველობა

დაქვეითებული აქვს მოიხსენიებენ, როგორც ბრუტიანს, ბრუციანს, აბუეტს. დეფექტებსა და უარყოფით მხარეებს შეიძლება მიეკუთვნოს გონებაჩამორჩენილობა, სისულელე. ამ სინონიმურ რიგში აქცენტი გადადის ხასიათის თვისებების უარყოფით მხარეზე. მაგალითად: სულელი, ტუტუცი, ლენჩი, ბენტერა, ჩერჩეტი, ყეყეჩი, ვირისტვინა, ჭკუამოკლე... ninny - შტერი, ჩერჩეტი; nincompoop - ჩერჩეტი; ass - ვირი, dunce - შტერი, dolt - რეგვენი, ჩერჩეტი, შტერი; blockhead - ყეყეჩი, goose - ბატი, დოყლაპია; moron - დებილი, გონებაჩლუნგი...

ევფემიზმების მსგავსად, სინონიმების ლექსიკონში მრავლად გვხვდება „სიკვდილთან“ დაკავშირებული დისფემიზმები. ესენია: სული ამოხდა, სული ამოსძვრა, სული გასძვრა, ჩაკვდა, ჩაძაღლდა... ინგლისურ ენაშიც გვხვდება მსგავსი დისფემისტური გამოთქმები: Croaked- ჩაძაღლდა; Kicked the bucket - მოუსავლეთში წავიდა, ფეხები გაჭიმა/გაფშკია; Hop the perch - ქანდარაზე გადახტა - ფეხები გაჭიმა, სიკვდილი და სხვ.

როგორც ცნობილია, ადამიანები ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ხშირად გაურბოდნენ ისეთი არსებების, საგნებისა და მოვლენების ტრადიციულ სახელთა ხსენებას, რომელთა მფარველ სულებსაც, თითქოსდა, შეეძლოთ მთქმელისათვის ან მისი ოჯახისათვის ზიანის მიყენება. ამგვარი შედეგის თავიდან ასაცილებლად ადამიანები სრულებით არ ახსენებდნენ შესაბამის სახელებს და მათ ნაცვლად ხმარობდნენ ევფემისტურ სახელებს, ევფემისტურ გამოთქმებს, რომლებსაც საგანთა, არსებათა თუ მოვლენათა არანამდვილ და, ამდენად, არასახიფათო სახელწოდებად მიიჩნევდნენ (ჯორჯანელი კ. 1977:67). ევფემიზმების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტაბუ. ტაბუს ენობრივი მექანიზმი არსებითად გამოცანის ტიპისაა. იგი თავისებური გამოცანაა, გასაგებია მხოლოდ საზოგადოების გარკვეული წევრებისათვის. ტაბუს ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სიტყვის მაგიური ძალის რწმენა.

ქართველი ადამიანი ტაბუს მიმართავდა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. ტაბუ ქართველთა შორის წარმოადგენდა სისტემურ მოვლენას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის ცხოვრებაში. ტაბუს არსებობის სისტემურმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ გარკვეულმა სიტყვებმა ახალი სემანტიკა შეიძინეს, რამაც თავისთავად გამოიწვია ქართული ენის ლექსიკაში სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა, ტაბუირებული სიტყვების შემცვლელი ევფემისტური სიტყვებისა და გამოთქმების მკვეთრად განსხვავებული სემანტიკის გაჩენა.

ამრიგად, განხილული მასალა საფუძველს გვამლევს, დავასკვნათ, რომ დღეს ქართულშიც და ინგლისურშიც ტაბუირებული სიტყვები ჩვეულებრივად, ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე გამოიყენება, მისმა შემცვლელმა სიტყვებმა სტილისტიკური შეფერილობა შეიძინეს, საბოლოოდ კი სინონიმური ლექსიკის შემადგენელ ნაწილად იქცნენ.

2.4. ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა როგორც ლინგვისტიკის ახალი მიმართულება, მოიაზრებს ენის საშუალებით კულტურის შესწავლას, რაც განაპირობა ენის მჭიდრო კავშირმა კულტურასთან. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოჩენა და შესწავლა იმ კავშირისა, რომელიც ენასა და კულტურას შორის არსებობს.

„ენის მეცნიერულ შესწავლას არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე ენის შესწავლა, ერთი მხრივ, ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან კავშირში (ენა - ტომის, ხალხის, ერის არსებითი ნიშანია), ხოლო მეორე მხრივ, აზროვნებასთან კავშირში (სტატიკაშიც და დინამიკაშიც), ე.ი. კულტურის ისტორიასთან, აზროვნების ისტორიასთან კავშირში“ (ჩიქობავა არნ. 1967)

XX საუკუნეში ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებით დაინტერესებამ სპეციალური მიმართულებები წარმოშვა ლინგვისტიკაში: ი. ტრირისა და ლ. ვაისგერბერგის (Weisgerber Johann Leo) კონცეფცია გერმანიაში, ე. სეპირისა და ბ. უორფის - ამერიკაში. განსაზღვრული დებულება ზემოხსენებული კონცეფციებისათვის შემდეგია: ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც ფლობს. იმის გამო, რომ ენათა სტრუქტურები განსხვავებულია, განსხვავებული იქნება მათი მსოფლხედვაც. არსებითი პრინციპი, რომელსაც ემყარება ეს დებულება, შემდეგია: მატერიალური სამყარო ყველა ენისათვის ერთი და იგივეა. ე.ი. ის, რაც უნდა აისახოს, ერთი და იგივეა,

მაგრამ ნაირგვარია მისი ასახვა. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს (ჯორბენაძე ბ. 1997 :11-12).

ენის სტრუქტურის კვლევის ახლი მეთოდების მიხედვით კარგა ხანია შეასუსტა (მაგრამ არ შეუწყვეტია) ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევა (ჯორბენაძე ბ. 1997 :18), თუმცა ბოლო დროს ეს პრობლემა საგანგებო დაინტერესების ობიექტი გახდა.

თითოეული ერს აქვს ცხოვრობის განსხვავებული ბუნებრივი და სოციალური გარემო, განსხვავებული წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით. ყოველივე ეს ასახავს პოვნებს ენაში. ეს სხვაობა განსაკუთრებით კარგად ჩანს მაშინ, როდესაც ვადარებთ ორ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ კულტურას. შედარების დროს ნათლად ვხედავთ, რომ საზოგადოების მსგავსება და განსხვავება ყველაზე უკეთ გამოიხატება კულტურაში. როდესაც ვიკვლევთ სხვადასხვა სისტემის ენათა ტიპოლოგიას, ჩვენდა უნებურად მივმართავთ სხვადასხვა კულტურის შეპირისპირებას. შეპირისპირების დროს სირთულეს წარმოადგენს არა იმდენად ენათა სხვადასხვაობა, რამდენადაც, როგორც გ. რამიშვილი მიაჩნევს, „ენათა შინაარსობრივი სხვაობა“. შინაარსობრივ სხვაობას იწვევს განსხვავებული შეხედულება გარე სამყაროზე, რომელიც ხან თანხვედრაშია, ხან კი შეინიშნება სხვაობაც. რაც ნორმალური მოვლენაა, რადგან, როგორც ჰუმბოლდტი აღნიშნავს, ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. მისი აზრით, მართალია, მატერიალური სამყარო ყველა ერისთვის ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავდებიან ასახვის ენობრივი ფორმით. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ანაწევრებს და ასახავს ერთსა და იმავეს.

„ენას ჰუმბოლდტი ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან, აზროვნებასთან, კულტურასა და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. ჰუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებებად გვევლინება (გამყრელიძე თ. 2003: 465).

სპეციფიკურ-ლინგვისტური განხილვა მოცემული აქვს ვილჰელმ ჰუმბოლდტს კონცეფციაში, რომლის ძირითადი დებულებებია: 1. ენა არის მსოფლხედვა; 2. ენა არის

ერის სულის უშუალო გამოხატულება; 3. ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შეძენაა. ჰუმბოლდტის კონცეფციამ ხელი შეუწყო ენის რაობის კვლევას აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებით, რაც მრავალი ენათმეცნიერის მსჯელობის საგნად იქცა (Humboldt 1996).

როდესაც ვიკვლეთ ენაში სამყაროს ასახვის ენობრივ საშუალებებს, ვგულისხმობთ როგორც უნივერსალურს, ისე ეროვნულ-სპეციფიკურს, რომელიც განსაკუთრებით ნათლად ჩანს სინონიმურ ერთეულთა მიერ ემოციების ენობრივი გამოხატვის ფონზე.

ემოცია ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის, შემეცნებისა და შეფასების ერთ-ერთი ფორმაა. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგი შეისწავლის. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველა მეცნიერი მას მოტივაციის, კომუნიკაციის, სამყაროს შემეცნებისა და საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს.

ჩარლზ დარვინს მიაჩნდა, რომ ადამიანები ერთნაირად გამოხატავენ ემოციებს მიუხედავად კულტურული და რასობრივი განსხვავებებისა. ცნობილმა ანთროპოლოგებმა მარგარეტ მიდმა და რეი ბერდვისტერმა დაამტკიცეს, რომ შეიძლება ემოციები არ იყოს უნივერსალური. მათ მიაჩნდათ, რომ ემოციის გამოხატვის ათვისება ხდებოდა ენის მსგავსად. რადგან ენები განსხვავდება, ამიტომ სხვადასხვა კულტურაში ემოციას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. ქართველი ენათმეცნიერის ბესარიონ ჯორბენაძის თქმით: ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც, ენაში უკუფენილია ერის ისტორია (ჯორბენაძე ბ. 1997: 5-7). ენა კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ენასთან არის დაკავშირებული უდიდესი მონაპოვარი - ერის კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც შემონახულია ერის მახსოვრობასა და მისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ტრადიციებში.

1960-იან წლებში პოლ ეკმანმა და უოლის ფრიზენმა, ხოლო შემდეგ კეროლ იზარდმა, ჩაატარეს გამოკვლევები უნივერსალურობის შესახებ. კვლევის შედეგად დადგინდა ექვსი ბაზისური უნივერსალური ემოციის არსებობა: ბრაზი, შიში, დარდი, სიხარული, ზიზღი და გაოცება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზისური უნივერსალური ემოციების არსებობა არ ნიშნავს, რომ კულტურები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან ემოციის გამოხატვის, აღქმისა და განცდის ხერხებით. პირიქით, კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემოციის ყველა ასპექტზე.

ემოციების გამომხატველი სინონიმების ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის დროს ნათლად გამოიკვეთება ის განსხვავებები, რომელიც ენებს შორის არსებობს. განსხვავება განსაკუთრებით კარგად ჩანს სინონიმთა იმ ჯგუფებში, რომლითაც გადმოცემულია სხვადასხვა ემოცია. განსხვავება გამოწვეულია თითოეულ კულტურაში სხვადასხვაგვარად განსაზღვრული და გამოხატული ემოციებით.

ქართულ და ინგლისურ ენაში არსებულ სინონიმთა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლით შევეცადეთ, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ეროვნულ-სპეციფიკური კომპონენტების გამოვლენას და კლასიფიკაციას, მათ სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს. ქართული და ინგლისური ლინგვოკულტუროლოგიური სივრცის დახასიათებას.

ს. ომიაძე მიიჩნევს, რომ საკითხის კვლევის დროს ყურადღება მახვილდება ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ხალხის მენტალიტეტის ურთიერთმიმართებათა შესწავლასა და აღწერაზე, რაც ახალი სამეცნიერო დისციპლინის ლინგვოკულტუროლოგიის ამოცანაა. ლინგვოკულტუროლოგია ე. ბენვენისტის პროგნოზით: ენა, კულტურა, პიროვნება - ტრიადის საფუძველზე აიგო. „ამიტომ მის ბაზისურ ტერმინთა სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანია ენობრივი პიროვნებისა და კულტურული კონცეპტების ცნებები“ (ომიაძე ს. 2009:68).

„ენის სემანტიკურ სფეროში წარმოებულ კვლევას მოჰყვა სხვადასხვა ენათა სემანტიკური უნივერსალიების/კონცეპტების ძიება, რამაც ენათმეცნიერთა ყურადღება ენათა ტიპოლოგიური კვლევებიდან ენის ფუნდამენტური აზრის სტრუქტურებისა და შესაბამისად, მთელი კულტურის გააზრებაზე გადაიტანა. ლინგვოკულტუროლოგიაში ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ქონა სიტყვისთვის ის ნიშანია, რაც მას კონცეპტის სტატუსს ანიჭებს“ (ომიაძე ს. 2006: 68-69).

კონცეპტის ცნება მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან - *conceptus* - ცნება, კალკა. ცნება და კონცეპტი ერთი და იმავე რიგის კატეგორიებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან თავისი შიდა ფორმით სიტყვები - კონცეპტი და ცნება - ერთგვაროვანია. კონცეპტების არა მხოლოდ განსჯა შეიძლება, არამედ მათი განცდაც (Степанова 1953:40).

აღამიანი სამყაროსა და ენას შორის არსებული შუალედური რგოლია, სამყაროს შესახებ საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით. ლინგვისტიკაში არსებული შეხედულების თანახმად, სხვადასხვა კულტურები და ენები განსხვავებულად ახდენენ

სინამდვილის, მისი ცალკეული მონაკვეთების დანაწევრებას, რომელშიც ვლინდება მათი თავისებურება და ორიგინალობა.

შ. ბალის მოსაზრების თანახმად, არ შეიძლება ბოლომდე შეიმეცნო ენის ფუნქციური მხარე ისე, რომ არ დაუკავშირო მის შემქმნელსა და მომხმარებელს, მისი ისტორიული, სოციალური, ეროვნული თუ სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე (Валл 1961:23).

ზოგადად, ადამიანს თავისი პრაქტიკული საქმიანობის დროს საქმე აქვს არა უშუალოდ მის გარემომცველ სამყაროსთან, არამედ ამ სამყაროს კოგნიტურ (შემეცნებით) სურათებთან / პრეზენტაციებთან. ამვე დროს, სამყაროს ადამიანი ხედავს თავისი კულტურისა და ენის პრიზმის მეშვეობით (ლომია ნ. 2012:39).

„სიტყვების მათთვის უჩვეულო ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში, თუკი ეს ფუნქცია დაკავშირებულია შეფასებით არჩევანთან, შეფასების შემეცნებით ქმედებას უკავშირებენ არა მხოლოდ მის სამყაროსთან მიმართებას, არამედ ენობრივი ფორმების შერჩევასთან მიმართებას, უკვე მზა ან გამოყენებული ახალი სახელის როლში. ამიტომ ენობრივი ფორმა, უნდა შერჩეულ იქნეს იმ ფორმებს შორის, რომლებსაც სახელმდეები მიიჩნევენ ყველაზე გამოსადეგად ამ მიზნისათვის. ამ თვალსაზრისით სუბიექტის ფაქტორის როლი წამყვანია: სახელმდეები სუბიექტი, რომელიც ეძებს სახელს საგნისა თუ მოვლენის აღსანიშნავად, ცდილობს მოძებნოს მისი აზრით ყველაზე სარწმუნო მოტივი, რომ მოახდინოს სიგნიფიკატის ჩანაცვლება გადააზრებული ენობრივი ფორმით, გარე სამყაროსთან და საყრდენი მნიშვნელობის აზრობრივ შინაარსთან მიმართებაში“ (Телия 1996:185).

რამდენადაც ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ვიკვლევთ სინონიმებს, ვიკვლევთ იმ კულტურულ სივრცეს, რომელიც თითოეულისთვის ეროვნულ-კულტურულია, იგი მათ მიერ კოლექტიური ცნობიერებით შექმნილი და ასახული კულტურაა, რომელშიც ვლინდება თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი სამეტყველო მოქმედების, ეროვნული ცნობიერებისა და კომუნიკაციის თავისებურებები.

ამდენად, კონცეპტის ამომწურავი აღწერა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის კვლევა საკმაოდ საინტერესოა, ამავე დროს რთულია და გადაუწყვეტელ ამოცანად გვესახება ამ ეტაპზე ეროვნული კონცეპტების ზუსტი წრის განსაზღვრა, კონცეპტების აღწერა, მათი განხილვა დიაქრონიასა და სინქრონიაში.

ლინგოკულტუროლოგიური ანალიზი, რომელიც მოიაზრებს არა მარტო საკუთრივ ენობრივი მხარის, არამედ სემანტიკურ ანალიზსაც, გვეხმარება გამოვავლინოთ სინონიმთა ეროვნულ-კულტურული შემადგენლობა, შევისწავლოთ ფაქტორები, რომლებიც მათ ეროვნულ-კულტურულ თავისებურებას განსაზღვრავს.

ვიდრე განვიხილავდეთ საკითხს, რამდენად მსგავსია განსხვავებული კულტურული სამყაროს წარმომადგენელთა სინონიმური ლექსიკა-ფრაზეოლოგია, უნდა გავიხსენოთ, რომ ზოგჯერ ერთი ენის ფარგლებშიც კი ჭირს და პრობლემატურია სინონიმურ ერთეულთა მსგავსების დადგენა, ვინაიდან ერთი საგნის სახელის ჩანაცვლება მეორეთი ხშირად არსებითად აისახება და ცვლის გამონათქვამის შინაარსს.

როგორც ცნობილია, კონცეპტი, შესაძლოა, გადმოიცეს როგორც ერთი სიტყვით, ისე სიტყვათა მყარი გამოთქმით, ფრაზეოლოგიზმებით. ისინი აფართოებენ ემოციის ცნების სახელდებას ხატოვან-კონოტაციური ინფორმაციით, რომელშიც უშუალოდ აისახება ენობრივი კოლექტივის წევრთა შემეცნებითი პროცესები.

ქართული და ინგლისური ენების სინონიმთა ბუდეში არსებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმების შესწავლით მოგვეცა საშუალება, მიგვეღო ინფორმაცია სხვადასხვა კულტურული სივრცის წარმომადგენლების დამოკიდებულებაზე სამყაროს მიმართ. თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე, ქართული კულტურა, მსგავსად ქართული ლექსიკური სისტემისა, არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი. რაც ასახვას პოვებდა ლექსიკის გამრავალფეროვნებასა და განვითარებაზე. განსხვავებული კულტურული სივრცის წარმომადგენლებთან ურთიერთობა ხელს უწყობდა ენაში უნივერსალური ელემენტების შემოსვლას და დამკვიდრებას. სწორედ ამან განაპირობა სინონიმებს შორის ისეთი ლექსიკური ერთეულების არსებობა, რომლებიც არა მხოლოდ ეროვნულ-კულტურული, არამედ უნივერსალურ-კულტურული ინფორმაციის მატარებელნი არიან. სწორედ სინონიმთა კვლევის შედარება-შეპირისპირება წარმოადგენს კულტურათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენის ეფექტურ გზას, რამაც მოგვცა საშუალება, წარმოგვედგინა ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათი.

აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს, მაგალითად, სინონიმების ლექსიკონში მრავლად არსებული ბიიბლიიდან შემოსული და დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები. უნივერსალური კულტურული ინფორმაციის მატარებელია სინონიმთა ლექსიკონში

ბიბლიიდან შემოსული „მამა აბრამის ბატკანი“, „წერილი წაიღო“, „უფლისად მიიღვა“, „წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენა“, „სული ღმერთს მიაბარა“, „სამუდამოდ მიიძინა“, „საიქიოს გაემგზავრა“.

სინონიმურ ლექსიკაში შემავალ იმ ერთეულებს, რომლებიც ეროვნულ-კულტურული ინფორმაციით არიან დატვირთულნი, ყოველთვის ნაციონალური ხასიათი აქვთ. დაკვირვების შედეგად ჩვენ საანალიზო მასალაში გამოვყავით სინონიმთა ის წყვილები, რომლებიც სინონიმთა ლექსიკონში ლიტერატურულ ნაწარმოებთა ან ფოლკლორის გზით შემოსულ და დამკვიდრებულ პერსონაჟთა სახელებს, ან ემოციას ასახავენ. მაგალითად, ზაპრული პერსონაჟის საკუთარი სახელი - **ნაცარქექია**, რომელიც ქართულ სინონიმთა ლექსიკონში არის ზარმაცი, მცონარა, უქნარა, უსაქმური ადამიანის სინონიმი. ასევე - **კვაჭი** - მიხეილ ჯავახიშვილის რომანის - „კვაჭი კვაჭანტირაძის“ - პერსონაჟის სახელი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონში მოხერხებულის სინონიმად გვხვდება: ხერხიანი, კვაჭი, თავგზიანი, ფანდიანი. ასევე, ალერსის გამომხატველი ისეთი სინონიმები, როგორიცაა **შენი ჭირიმი, გენაცვალე, შემოგველე, კესანე, შენი კუჭისა** და ა.შ. ეროვნულად სპეციფიკურია.

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, უნივერსალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ იმ სინონიმებისა თუ ფრაზეოლოგიზმების არსებობა, რომელთა შემადგენლობაშიც სომატური სახელებია გამოყენებული ადამიანის შინაგანი სამყაროს აღსანიშნად ან ფსიქიკური პროცესების გადმოსაცემად. სინონიმების და ფრაზეოლოგიზმების შესწავლამ, რომელთა შემადგენლობაშიც ვხვდებით სომატურ ერთეულებს, მოგვცა საშუალება გამოგვევლინა თითოეული მათგანის ცნობიერებაში არსებული ლინგვოკულტუროლოგიური სტერეოტიპები.

სინონიმურ ლექსიკაში ძალზე ხშირია ისეთი კომპოზიტები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაწილებზე სხვადასხვა არსებითი სახელის დართვის შედეგად არის მიღებული და ეს ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენ შევისწავლეთ ის სინონიმები, რომლებიც ძირითადად აღწერენ ადამიანის გრძნობებს, ქცევას, ფსიქიკურ მდგომარეობებს, რომელთა სემანტიკა მოიაზრებს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე მინიშნებას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ფსიქოლოგიის კლასიკოსი ჯეიმსი მიუთითებდა, რომ შეუძლებელია აღწერო ემოცია სხეულებრივი გამოვლინების აღწერის გარეშე. მართლაც,

თუ აღწერ შიშს, არ შეიძლება არ ახსენო კანკალი, ცივი ოფლი, აჩქარებული გულისცემა. თუ ჩამოვაშორებთ კანკალს, აჩქარებულ გულისცემას, გაფითრებას, თმის ყალყზე დადგომას და ა. შ. შიშისაგან არაფერი დარჩება. დარჩება მხოლოდ ცნობიერი შეფასება, რომ, მაგალითად, შენკენ მორბენალი ვეფხვი საშიშია. რეალური ემოცია განუყოფელია სხეულებრივი ვცლილებისაგან (ჯეიმსის მოყვანილი მოსაზრებები დაემთხვა დანიელი ფიზიოლოგის ანალოგიურ მოსაზრებებს და აღნიშნული თეორია ფსიქოლოგიის ისტორიაში შევიდა ჯეიმს-ლანგეს თეორიის სახით). ჯეიმსის თქმით, ემოციები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ჩვენი სხეულებრივი ვცლილებების გაცნობიერებას და მეტს არაფერს (ბერეკაშვილი, იმედაძე 2007:236).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სინონიმთა უმეტესობა ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებების შემცველია:

თავი / Head	თავთხელი, თავმჩატე, თავფქვილა, თავცარიელი, თავცანცარა; თავზარდაცემული, თავლაფდასხმული, თავლაფიანი; თავისქეიფა, თავწვერა; თავმომაბეზრებელი, თავშემაწყენელი; თავს აიშვებს, თავს აიწყვეტს; თავს გავა, თავს წავა, თავს გაუვა; თავს ირცხვენს, თავზე ლაფს ისხამს; თავის მოჭრა, თავმოჭრილი; თავზე კაკალს ამტვრევს, თავ-პირს დაუმტვრევს; თავს ისახელებს, თავს გამოიჩენს; თავს ილანძღავს, თავზე ხელს გადაუსვამს... Handicap, underhand, even-hended, headlong, wrong-headed, pigheaded, headstrong, Hotheaded, bull-headed, muddle-headedness, pinhead, fat-head, chuckle-head, light-headed, light-headedly, light-headedness, clear-headed, cool-headed, empty-headed, level-headed, soft-headed, hick-heade, empty-headed, over head and ears, lose one's head
გული Heart	გულჯავრიანი, გულდარდიანი, გულნაღვლიანი, გულმწუხარე; გულდია, გულქართლი, გულმოწყალე, გულგამლილი; გულქვა, გულბოროტი; გულდამძარებული, გულმოკლული, გულგატეხილი;

	გულმოსული, გულგამეხებული, გულამღვრელი; გულგახეთქილი, გულგადაბრუნებული; გულმკვდარი, გულჩამკვდარი; გულდაკოდილი, გულზელახვარსობილი; გულზეახატია, გულშიუზის; გულსგადაუტრიალებს, გულსგაუხეთქავს... Hearten, Hard-hearted, stonuhearted, heartless, cold-hearted, sweetheart, dishearten, stout-hearted, light-hearted, light-heartedness, light-heartedly, downhearted, heartbroken, broken-hearted, heavy-hearted, disheartenment, disheartened, hearty, heartfelt, tender-hearted, black-hearted, soft-hearted, warm-hearted, kind-hearted, open-hearted, lion-hearted, beg-hearted, good-hearted, simple-hearted, heardbreak, heartache, heartless, half-heather. faint-hearted, half-hearted, half-heartedly, chicken-hearted Half-hearted way, single heart, to have one's heart in one's mouth, With all one's heart, give one's heart to smb, smb's heart at his mouth, with a heavy heart, aching heart, from one's heart, out the heart,...
თვალი / Eye	თვალდამსებული, თვალდამდგარი; თვალისჩინი დაეკარგება, თვალეზი დაუბრმავდება, თვალეზი დაეცემა; თვალეზი უჟუჟუნებს, თვალეზი უციმციმებს; თვალს გაახარებს, თვალს წყალს დააღვინებს; თვალს დაადგამს, თვალს ვეღარ მოაშორებს, თვალს ვეღარ მოსწყვეტს; თვალში ამოიღებს; თვალი უჭირავს (რამეზე), თვალში მოსდის; სამუდამოდ დახუჭავს თვალებს....თვალეზზე ცრემლი მოადგება, Argus-eyed, boss-eyed, eyecatching, eyeing, eyeless, eyesore, one-eyed, round-eyed, Argus-eyed, eagle-eyed, goggle-eyed, starry-eyed, squint-eyed, skew-eyed, protruding eyes, naked eye, shifty eyes, starry eyes, swimming eye, to cast down one's eyes to, to screw up one's eyes
ფეხი/ feet	ფეხთამლოკ(ავ)ი; ბედნიერ ფეხზე ამდგარი; ფეხებს გაფშევს, ფეხებს გაჭიმავს; ფეხს წაიკრავს, ფეხს წაიტეხს, ფეხს წაიმტვრევს ფეხი აუცდება;

	სიხარულით ფეხზე აღარ (ვეღარ) დგას, სიხარულისაგან ფეხზე აღარ (ვერარ) დგება; ფეხებს უბაკუნებს... under feet, fall on one's feet, drag one's feet
პირი/ Mouth	პირგაბადრული, პირგანათებული; პირმომღიმარი, პირგაღიმებული; პირმომცინარი, პირმცინარე, პირმომღიმარე; ეპირფერება, პირმოქუშული, პირგამეხებული; პირმწუხარე; პირში წყალს ჩაიგუბებს, პირზე კლიტეს დაიდებს; პირსირცხვენს, პირსიშავებს... foul-mouthed, mealy-mouthed, open-mouthed, gold-mouthed, hard-mouthed, big mouth, to have one's heart in one's mouth...
ენა / Tongue	ენაგესლიანი, ენაღვარძლიანი; ენამყრალი, ენაწანკლიანი; ენაზე კბილს დაიდგამს, ენას კბილს დააჭერს, ენას კბილს დაადგამს, ენაზე კბილს დაიდგამს; ენა ებმის, ენა უბორძიკდება; ენა დასადუმებელი... ენაგაქლესილი... smooth-tongued, tongue-tied, tongue-in-cheek, Tongueless
ცხვირი Nose	ცხვირაწეული, ცხვირაბზეკილი; ცხვირში (წ)ამოადენს, ცხვირ-პირს დაუნაყავს, ცხვირ-პირს მინაყავს, ცხვირ-პირს ჩაუნაყავს, ცხვირ-პირს ჩაუჩეჩევავს... hard-nosed, turn one's nose up at
წარბი	წარბშეკრული, წარბშეკმუხვნილი, თვალ-წარბშიშესცქერის...
შუბლი	შუბლშეკრული, შუბლმოქუშული, შუბლმოღუშული, შუბლმოღრუბლული, შუბლშეკმუხვნილი...
სახე /Face	სახეგაბრწყინებული, სახეგაციკროვნებული, სახეგაბადრული, სახემომღიმარი; უსახური...

	faceless, facetious, facetiously, facetiousness, poker-face, pudding-face, two-faced, brazen-faced
ხელი / Hand	ხელმრუდე, სინდისზე ხელადებული; ხელის შეწყობა (დახმარება), ხელის გამართვა, ხელს გაუწოდებს, ხელს გაუმართავს, ხელით შეეხება (გაართყამს); ხელმოკლე, ხელმრუდე, ხელიფაფას (ხელი არ ახლო), ხელითშეეხება... ხელგამლილი, ხელუპყარი, ხელმოკლე, ხელი ფაფას (ხელი არ ახლო), empty-handed, even-handed, handier, handily, heavy-handed, high-handed, light-handed, open-handed...
ტანი	ტანთხელი, ტანხმელი;
წელი	წელგაწყვეტილი;
ძვალი / Bone	ძვალსა და რბილს ერთმანეთში აურევს; ძვალი და ტყავი. bone-dry, bone-head, bone-idle, boneless, bones, bone-lazy
ჩონჩხი	ჩონჩხადქცეული, ჩონჩხა(რა);
კუჭი	კუჭს ივსებს, კუჭს იძლებს, კუჭს იყორავს...
სისხლი / Blood	სისხლს გაუმრობს; bloodcurdling, blooded, bloodless, bloodlessly, bloodshed, bloodshot, bloody, cold-blooded, hot-blooded, warm-blooded, it makes one's blood run cold


რამდენიმე სინონიმში ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება ტვინი, ჭკუა/გონება, სული.

ტვინი	ტვინნაღრძობი, ტვინთხელი, ტვინდამთხვეული, ტვინი შეერყევა...brainstorm
ჭკუა/გონება mind	ჭკუათხელი, ჭკუნაკლები, ჭკუნაღრძობი, ჭკუასუსტი, ჭკუამოკლე, ჭკუამხიარული, ჭკუამსუბუქი, ჭკუიდან (ჭკუაზე) შეიშლება, ჭკუიდან აიწევა, ჭკუაზე შეირყევა, ჭკუაზე ვერ არის, ჭკუაზე თხლად არის, გონებაშეზღუდული, გონებადახშული, გონებასუსტი .. absent-minded, absent-mindedly, bloody-minded, evil-minded,


	fair-minded, feeble-minded, high-minded, light-minded, minder, mindful, mindless, mindlessness, narrow-minded, narrow-mindedness, noble-mindedness, right-minded, simple-minded, strong-minded, persons of unsound mind
სული	სულგაცხებული, სულმოკლე, ავი სული, ბოროტი სული, სულს ლევს, სულს დაფავს, სული ხდება, სული ამოსდის, სული აღმოხდება, სულს დალევს, სულს განუტევენ, სულს გააფრთხობს, სულს გააცხებს, სული არ დაჰყვება, სულს ამოხდის (შეაწუხებს), სულს ამოაძრობს... soulful, soulless, soul-stirring

ქართული და ინგლისური ენების სინონიმთა შედარებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე დიდი ოდენობით ვხვდებით სომატური ელემენტების შემცველ სინონიმებსა და სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაგან უმეტესობა დაკავშირებულია თავთან, გულთან და თვალთან, აგრეთვე ჭკუასთან და სულთან, ხოლო სხვა სომატური სახელების გამოყენება შედარებით იშვიათია. სომატური სინონიმური ფრაზეოლოგიზმების შედარებით შემდეგი საინტერესო მონაცემები მივიღეთ: განხილული სინონიმებიდან და ფრაზეოლოგიზმებიდან ქართულში 68%, ხოლო ინგლისურში - 56% სომატური სახელების შემცველია.


სომატური სინონიმებისა და სინონიმური ფრაზეოლოგიზმების პროცენტული მაჩვენებელი ქართულში:



სომატური სინონიმებისა და სინონიმური ფრაზეოლოგიზმების პროცენტული მაჩვენებელი ინგლისურში:



თუ შევადარებთ სომატური ერთეულების გამოყენებით არსებულ სინონიმთა პროცენტულ მაჩვენებელს, ქართულსა და ინგლისურში, შემდეგ სურათს მივიღებთ:



სომატური ერთეულების გარდა, სინონიმებში ემოციის გამოსახატად ვხვდებით ციური სხეულების აღმნიშვნელი სახელების გამოყენებას: მზე, ცა, ღრუბელი, ვარსკვლავები. მზე და მთვარე (მასზე) ამოსდის, სიხარულით ცას(ა) სწვდება, ცას დაეწევა (სიხარულით), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, have got one's head in the clouds – თავით ღრუბლებში დაფრინავს.

საინტერესო სურათი წარმოჩინდება **ზოონიმური სიტყვების** გამოყენებით შექმნილი სინონიმური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმების შესწავლით. აქ შევეცადეთ შეგვესწავლა და გამოგვევლინა, თუ რა კანონზომიერებანი და თავისებურებანი უდევს საფუძვლად განსხვავებული ლინგვოკულტუროლოგიური სივრცის წარმომადგენლების მიერ ზოონიმების ხმარების გადატანით მნიშვნელობათა წარმოქმნას. ასევე, შევეცადეთ, დაგვეძებნა ორივე ენაში არსებული ეკვივალენტები, რომლებიც ემსახურება ერთი და იმავე აზრის გადატანითი მნიშვნელობის გამოხატვას.

ზოონიმების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ხშირად არ ემთხვევა სხვადასხვა ენაში, თუმცა ზოგიერთი ზოონიმი, რომლებიც ერთსა და იმავე ცხოველს ასახელებენ, წარმოქმნიან ერთნაირ გადატანით მნიშვნელობებს. როგორც ცნობილია, ზოონიმების ემოციურ-ექსპრესიულ მნიშვნელობებში განსხვავება დაკავშირებულია სახელდების

მოტივაციასა და ადამიანის ცნობიერებაში წარმოშობილ ასოციაციებთან, რომელსაც განაპირობებს ხალხის ფსიქოლოგია, კულტურა, ისტორიული განვითარება, ყოფითი თავისებურებები, რწმენა-წარმოდგენები და ა.შ. აღნიშნული გარემოებები განსაზღვრავს ერთი და იმავე ცხოველის ქცევის, ჩვევის თავისებურებების ერთნაირად ან განსხვავებულად აღქმას. სხვადასხვა ლინგვოკულტუროლოგიური სივრცის წარმომადგენლისთვის შეიძლება გარკვეული ცხოველი კარგად იყოს ცნობილი, ხოლო უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მეორისთვის. ყველა ეს ფაქტორი განსაზღვრავს ზოგიერთი ზოონიმისა და ზოომორფიზმის გადატანით მნიშვნელობათა ნაწილობრივ დამთხვევას ან დაუმთხვევლობას. მაგალითად: Mad as a badger (მაჩვივით გიჟი) – სულელი, არანორმალური, Mad as a hornet – (კრაზანასავით გიჟი) – ძალიან გაბრაზებული; Act (play) The goat (თხასავით მოქცევა) – სულელურად, უპასუხისმგებლოდ მოქცევა; An old fox (ბებერი მელა) – გაიძვერა; As crazy as a jaybird (ჩხიკვივით სულელი) – ძალიან სულელი; As crooked as a dog's leg (ძაღლის უკანა ფეხივით დაგრეხილი) – უწესო, უპატიოსნო; Be on the pig's back – (გოჭის ზურგზე ყოფნა) – როდესაც ხარ ბედნიერი/კმაყოფილი/შესანიშნავ ფორმაში; Big bad wolf – (დიდი ცუდი მგელი) – სახიფათო, საშინელი პიროვნება; Bull-headed – (ხარისთავა) – ჯიუტი, მოუქნელი; Crocodile tears – ნიანგის ცრემლები; eat like a wolf – მგელივით ჭამა; Have a cow – (ძროხის ყოლა) – გაბრაზება, აღელვება, აჟიტირება; Laugh like a hyena – (ჰიენასავით სიცილი) – გამკინავი სიცილი, ხორხოცი....

ჯეიმსს ენა მიაჩნია ემოციათა შესწავლის გასაღებად, რომლის საშუალებით ხდება, როგორც ემოციათა გამოხატვა და აღწერა, ისე მათი სტრუქტურირება. როგორც იგი აღნიშნავს, სამართლიანად არის შენიშნული, რომ „გრძნობათა ბურუსით მოცული სამყაროს ინტერპრეტირებისას ყოველი ენა საკუთარ კოორდინატთა ბადეს იყენებს. თუ ვინმე შეეცდება, თითოეულ ემოციას, რომელსაც ადამიანი განიცდის, სახელი დაარქვას, ბუნებრივია, იგი გამოიყენებს საკუთარ ლექსიკონს. რადგან თითოეულმა ერმა მიაგნო ისეთ ელფერს, როგორიც სხვა ერის მიერ შემჩნეული და გამოყოფილი არ არის“ (James 1950). **bibliografiaSi ar aris?**

ინგლისური და ქართული ენების სინონიმების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში მსგავსი ემოცია უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იმავე კომპონენტით არის გადმოცემული. მაგ: To Lose one's head – თავგზის აბნევა, თავის

დკარგვა; Have the heart - გული შეუვარდა ვინმეზე; Gain smb's heart - ვინმეს გულის მოპოვება; Obtain smb' heart - ვინმეს გულის დაპყრობა; Dear to smb' heart - ვინმეს გულის ვარდი; Lose one's own mind on smb. - ჭკუა მეკეტება; Enter smb's mind - გონების არევა; To make one's blood turn - სისხლის აჩქროლება; Move smb's hear - გულის აძგერება; Touch smb's heart - გული აუტოკა; Gladden smb's heart - გულის გახარება; Curse one's star - საკუთარი ვარსკვლავის, საკუთარი ბედის წყევლა; Extol somebody to the skies - ვინმეს ცამდე განდიდება - ქებით ცამდე აყვანა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის თანახმად, სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას. თითოეული მათგანი წარმოადგენს საგანთა თავისებურ აღქმას, რასაც ადასტურებს შემდეგი სომატური ფრაზეოლოგიზმების არსებობა, მაგალითად: Break leg (მოიტეხე ფეხი) - ინგლისელები ამ მიმართვას იყენებენ, როდესაც ვინმეს წარმატებას, იღბალს უსურვებენ, ქართულში კი იგი ასოცირდება წყევლასთან - მოგტყდეს ფეხები. to have heart set on something - თვალი დავადგი (რაიმეს, ვინმეს). ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ერთი და იმავე საგანს, ინგლისურ და ქართულ ენაზე მოაზროვნე ადამიანები განსხვავებული სომატური კომპონენტით გადმოსცემენ. ინგლისელები იყენებენ სომატიზმს - გული, ხოლო ქართველები - თვალი. თუმცა ამ კომპონენტებს საერთო სემანტიკა აქვთ. ასევეა შემდეგ მაგალითებშიც: to fold in arms - გულში ჩაკვრა, to have get smb. in one's bones - ჭკუას კარგავს მისთვის, to jump out of one's skin - სიხარულისაგან ფეხზე არა დგას.

სხვადასხვა კულტურა კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. მაგალითად, თუ გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სინონიმებს და ფარზეოლოგიურ გამოთქმებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ მსგავსების გარდა ადგილი აქვს განსხვავებასაც. კერძოდ, ქართველების წარმოდგენაში სიკვდილის ანგელოზი კაცია, რომელსაც მიქელ-გაბრიელის სახელით მოიხსენიებენ, ინგლისელთა წარმოდგენით კი ის უკავშირდება ქალს, რომელსაც ხელში ცელი უკავია (Great reaper - დიდი მთიბავი - ბებერი ქალი ცელით, სიკვდილი).

ემოციის გამომხატველ სინონიმთა კვლევის საფუძველზე, შევეცადეთ, გვეჩვენებინა ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტთა სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში. როგორც აღ. გვენცაძე აღნიშნავს, „სინონიმია დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს ადამიანის აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. სინონიმების შერჩევა მკვეთრად ატარებს

მთქმელის, ინდივიდის, შემოქმედებითი ხასიათის იდეურ-ესთეტიკური მრწამსის ელფერს; ენის ფაქტში ამახვილებს ზეგავლენის ძალას, ამაღლებს ექსპრესიულ მხარეს, ამკვეთრებს მეტყველების საკომუნიკაციო ფუნქციას..." (გვენცაძე აღ. 1974: 63).

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროს აქცენტი ძირითადად გადატანილია იმაზე, თუ რას ნიშნავს მოცემული ცნება სხვადასხვა ენაში, რას გულისხმობს, რას გამოხატავს; რამდენად განსხვავდება ერთი სამყაროს ენობრივი სურათი მეორე ენის სამყაროს ენობრივი სურათისაგან.

ჩვენ მიერ შესწავლილი ფრაზეოლოგიზმები დავაჯგუფეთ, რომელთაც აქვთ:

1. ერთნაირი კონსტრუქცია და ერთნაირი სემანტიკა:

To Lose one's head - თავზის აბნევა, თავის დკარგვა;

Have the heart - გული შეუვარდა ვინმეზე;

Gain smb's heart - ვინმეს გულის მოპოვება;

Obtain smb' heart - ვინმეს გულის დაპყრობა;

Obstinate as a mule – ვირივით ჯიუტი

Lose one's own mind on smb. - ჭკუა მეკეტება;

Enter smb's mind - გონების არევა;

To make one's blood turn - სისხლის აჩქროლება;

Move smb's hear - გულის აძგერება;

Touch smb's heart - გული აუტოკა;

Gladden smb's heart -გულის გახარება;

Crocodile tears - ნიანგის ცრემლები;

Foam at the mouth (პირზე ქაფი) - ძალიან გბრაზებული; გაცოფებული.

2. ერთნაირი კონსტრუქცია და განსხვავებული სემანტიკა:

Stretch one's legs (ფეხების გაჭიმვა - ფეხის გაშლა გასეირნება); ქართულში: ფეხები გაჭიმა - მოკვდა;

Tail up (აწეული კუდიტ)- ამაღლებულ განწყობაზე, ქართულში: კუდაბზიკა, კუდაბზეკილი - ამპარტავანი;

Fly high (მაღლა ფრენა- ქედმაღლობა, დიდგულობა) - ქართულში უკავშირდება სიხარულს, ბედნიერებას ;

Vent your spleen (ნაღვლის გამოშვება - მთელი გაბრაზების/ბრაზის ჩვენება) - ნაღველი ქართულში უკავშირდება დარდს/მწუხარებას.

3. განსხვავებული კონსტრუქცია და ერთნაირი სემანტიკა:

Dear to smb' heart - ვინმეს გულის ვარდი;

With all one's **soul** - მთელი გულით;

Win somebody's **hand** (ვინმეს ხელის მოგება) - ვინმეს გულის მოგება;

To cut one's own **throat** - თავის დაღუპვა;

To cast smth. In smb's **teeth** - საყვედურის პირში მიხლა;

Bun in the oven (ფუნთუსა ღუმელში) - ფეხმძიმე ქალი;

Get off with a whole skin - თავის დაძვრენა;

To leave one's gust behind - სულით დაცემა;

Have someone's nose wide open (ვინმეს ცხვირის ფართოდ გაღება) - თავის დაკარგვა, ყურებამდე შეყვარება);

My cabbage (ჩემო კომბოსტო) – ჩემო ძვირფასო;

out of heart - ცუდ გუნებაზე;

All sugar and honey – (სულ შაქარი და თაფლი)არაგულწრფელი ადამიანი;

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმრავლესობის წარმოშობას საფუძვლად ეროვნული ნიადაგი უდევს, რომელთაც განასხვავებს წარმოშობის წყარო და დრო, მატერიალურ-კულტურული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება.

ფრაზეოლოგიზმებში ასახვა პოვა თითოეული ერის ისტორიამ, ყოფა-ცხოვრებამ, კულტურამ, რომელთა საშუალებით გვექმნება წარმოდგენა წარსულზე, ისინი გვაცნობენ თითოეული ერის ადათ-წესებსა და ეროვნულ ხასიათს.

ამრიგად, ენათა შორის მსგავსებებიც ბევრია და განსხვავებებიც. შეიძლება ვთქვათ, რომ ენა უნივერსალურია, მაგრამ სხვადასხვაგვარი სტრუქტურული სისტემებით წარმოგვიდგება სხვადასხვა ერში.

თავი III

სინონიმთა ექსპრესია და მათი გამოხატვის მოდელები

3.1. ექსპრესიის ცნების გააზრებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში

მეორე თავში ჩვენ ვისაუბრეთ და ყურადღება გავამახვილეთ სინონიმთა სემანტიკურ ასპექტებზე, კერძოდ, სემანტიკურ ველებზე, ხოლო მოცემულ თავში განვიხილავთ სინონიმებს, მათი ემოციებისა და ექსპრესიის ხარისხის მიხედვით.

ექსპრესია ლათინური სიტყვაა და რაიმე გრძნობის, განცდის გამოხატვის ძალას, გამომსახველობას გულისხმობს (სანიკიძე თ. სანიკიძე ი. 2006:31-32).

ემოციურ-ექსპრესიულობა სიტყვის ორი სხვადასხვა მხარეა. ემოცია სიტყვის სემანტიკას უკავშირდება, ხოლო ექსპრესიულობა - სიტყვის ადგილს, შესიტყვების ძალას და მის მხატვრულ ფუნქციას. რაც უფრო გაძლიერებულია სიტყვის ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია, მით მეტია სიტყვის ძალა, მისი ქმედითობა და შთაბეჭდილება (სანიკიძე თ. სანიკიძე ი. 2006:32).

ტერმინ „ექსპრესიის“ გამოყენებას ვხვდებით ფსიქოლოგიაშიც და ლინგვისტიკაშიც. ფსიქოლოგიაში ექსპრესია ნიშნავს შინაგანი განცდის გარეგანი გამოვლინების გამოხატვას, ლინგვისტიკაში კი - გრძნობებისა და აზრების გამოვლენას. ერთი და იმავე აზრის მქონე ენობრივი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალებით ემოციური მდგომარეობის გამოხატულებას.

„ექსპრესიულობა, როგორც ენობრივი ერთეულის ერთ-ერთი ფორმა განიხილება როგორც ენის სემანტიკურ-სტილისტიკურ ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი აქვს კომუნიკაციურ აქტში გამოხატოს მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულება მეტყველების აქტის ან მისი ადრესატის მიმართ“ (დიდი ენათმეცნიერული ენციკლოპედიური ლექსიკონი 1998:591). [bibliografiaSi ar aris](#).

ექსპრესიულობა - წარმოადგენს ინფორმაციას ენის ექსპრესიული თვისებების შესახებ, რომლის ცნებაშიც მოიაზრება ენობრივ საშუალებათა გამომხატველი ძალა. ამრიგად, ექსპრესიულობის კატეგორიას ჩვენ ვუკავშირებთ გამომხატველობას.

სინონიმთა ენობრივი ექსპრესიის არსი მდგომარეობს შემდეგში: მოსაუბრემ იქონიოს გარკვეული ზემოქმედება მეტყველების მიმღებზე სავარაუდო ეფექტის მიღებით. რისთვისაც იგი ირჩევს ისეთ საშუალებას, რომელსაც თავისი გამომსახველობითი ძალით შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მეტყველების ობიექტზე.

როდესაც ვსაუბრობთ ემოციურობასა და ექსპრესიულობაზე, მათ მიმართებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ემოციურობა ექსპრესიულობის წარმოქმნის საშუალებაა. ენის ემოციური საშუალებები ყოველთვის ექსპრესიულია (დლონტი აღ. 1964:39).

ექსპრესიულობისა და ემოციურობის ერთმანეთისაგან განსხვავების საფუძველს წარმოადგენს ექსპრესიის კავშირი წარმოდგენებთან, ხოლო ემოციურობას - ემოციურობასა და შეგრძნებებთან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციითაც: ექსპრესიულობა გამონათქვამის საშუალებით შთაბეჭდილების, ზემოქმედების გაძლიერებაა, ემოციურობისა - ადამიანის ემოციების, დამოკიდებულების ენობრივი საშუალებით შეფასების გამოხატვა.

ბოლოტოვი მიიჩნევს, რომ „ექსპრესია, ექსპრესიულობა დაკავშირებული ენაში უფრო ფართეა ემოციურობაზე, რადგანაც ექსპრესია დაკავშირებულია გამომხატველობასთან და ნათქვამის ზემოქმედების ძალის გაზრდასთან“. იმისათვის, რომ არსებობდეს ექსპრესიულობა, არსებითია ოპოზიცია - უფრო ძლიერი - უფრო სუსტი. ემოციურობისათვის კი არსებითია ოპოზიცია: კარგი - ცუდი. ემოციურობა - მეტყველების კატეგორიაა და არა ენის. ის გულისხმობს ადამიანებზე ზემოქმედებას და წარმოადგენს ადამიანის გრძნობით რეაქციას ტექსტზე, ექსპრესიულობა კი - ენის კატეგორიაა“ (ბოლოტოვი 1981:15). **bibliografiaSi ar aris.**

ემოციურობა ადამიანის მიერ სინამდვილის მოვლენებისადმი მისი შეფასებითი დამოკიდებულების, აღზნებული მდგომარეობის გამოხატვაა, ემოციური ელემენტები ენაში ადამიანის ემოციების გამოხატვას ემსახურება, ექსპრესიული კი - როგორც ემოციების, ისე ნებისა და აზრის გამოხატვის გაძლიერებას.

სინონიმების შესწავლის დროს განვიხილეთ როგორც ემოციების გამომხატველი, ისე ემოციების აღმწერი სინონიმური ლექსიკა. ვ. შახოვსკის თანახმად „ნებისმიერი ენობრივი წრის კოლექტივის ემოციები სამ ლექსიკურ ჯგუფში აისახება. ესენია: ლექსიკა, რომელიც ემოციებს ასახელებს; ლექსიკა, რომელიც ემოციებს აღწერს და ლექსიკა, რომელიც ემოციებს გამოხატავს. ეს ტიპოლოგია შემდეგი თეორიული პოსტულატების

საფუძველს გვაძლევს: 1) ადამიანის ემოციები სხვებისთვის გასაგები ხდება სიტყვის წყალობით; 2) სიტყვას არა მხოლოდ ემოციის გამოხატვა შეუძლია, არამედ ის შეიძლება თავად იყოს ემოციური სტრესი, ანუ გამოიწვიოს ემოცია; 3) ემოცია შეიძლება იყოს შეფასების საგანი, და მაშასადამე, შეიძლება აღვწეროთ სიტყვებით“ (Шаховский 1987:171).

ემოციების გამომხატველი სინონიმების გამოყენების დროს ვლინდება სუბიექტის შინაგანი ემოციური მდგომარეობა. აღნიშნული მიზნით ნებისმიერი ენობრივი კულტურის მატარებელთა ლექსიკონში ერთი და იმავე ემოციის გამოსახატავად მოიპოვება ემოციათა სინონიმური ერთობლიობა.

სინონიმთა ექსპრესიულობის გამოვლენა შეიძლება ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ დონეზე. სინონიმთა ექსპრესიულობა ფონეტიკურ დონეზე ვლინდება სიტყვის ბგერათა განზრახ დამახინჯებაში გარკვეული ეფექტის მოსახდენად, მაგალითად, „მიკალხარ“ ნაცვლად „მიყვარხარ“, „სიკალულო“ ნაცვლად „სიყვარულო“ და ა.შ. ექსპრესიულობა მორფემულ დონეზე თანაეფარდება სიტყვათწარმოების პროცესს: ექსპრესიული საშუალებები იქმნება არსებული სიტყვათწარმომქმნელი მოდელების ბაზაზე (ავაქოვა 1993:9).

სინონიმთა ექსპრესიულობა სემანტიკურ დონეზე განპირობებულია წარმოებულობით: სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის არსებობა წარმოადგენს სიგნალს მისი ექსპრესიულობის არსებობის შესახებ. სინონიმთა ექსპრესიული გადატანის სემანტიკურ ფაქტორს წარმოადგენს შესაპირისპირებელი საგნების საერთო ნიშნების გამოვლენა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სინონიმთა ექსპრესიულობის წარმოსაქმნელად წარმოადგენს ხატოვანება. „სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც ხატოვანი გააზრების შედეგად არის წარმოქმნილი, სემანტიკური სტრუქტურის ორპლანიანობა ახასიათებთ: მათთვის დამახასიათებელია სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობა. სწორედ სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობის შეპირისპირების შედეგად დასტურდება სინონიმთა ხატოვანება“. ნაზარიანი მიიჩნევს, რომ „ხატოვანება, რომელიც მეტონომიურ და მეტაფორულ გადააზრებას წარმოადგენს მეტონომიური და მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების შექმნისაკენ მივყავართ“ (ნაზარიანი 1974:171).

როდესაც ვსაუბრობთ ხატოვანებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო მეტაფორულობას, არამედ ბგერათმიმამკვასა და სიტყვის შინაგანი ფორმის საფუძველზე წარმოქმნილ ხატოვანებასაც. მეტაფორული ხატოვანება წარმოიქმნება სინამდვილის საგანთა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე (გააფთრებული, გამგელეხული, გაცოფებული - გაბრაზებული ადამიანი). ბგერით ხატოვანებას საფუძვლად უდეს ბგერათმიმამკვა (ჭიკჭიკი, ტიკტიკი, ბარტყაბურტყი, ჩიფჩიფი). სინონიმთა შინაგანი ფორმის ხატოვანება თვით ექსპრესიული სიტყვის მნიშვნელობაშია (ზნედაცემული, ზნეგაფუჭებული).

ხატოვანების კატეგორიასთან ერთად სინონიმთა ექსპრესიულობის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ინტენსიურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის ზრდას ან შემცირებას.

ავაქოვა ექსპრესიულ ლექსიკას სამ ჯგუფად ყოფს (ავაქოვა 1993). ჩვენც ვითვალისწინებთ ამ კლასიფიკაციას და სინონიმთა მთელ ექსპრესიულ ლექსიკას ვყოფთ სამ ჯგუფად: ექსპრესიული სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ინტენსიურობის კატეგორიას კონოტაციური ელემენტის სახით და რომლებიც ინტენსიურობის გავლენით ქმნიან ექსპრესიულობას (ჭამა-შესანსვლა; შევა - შეეხეტება - შეჩერჩეტდება; უყვირის - უკივის - უწივის); ექსპრესიული სიტყვები, რომლებიც კონოტაციურ ელემენტებად შეიცავენ ინტენსიურობისა და ხატოვანების კატეგორიებს (ჭამა - ხეთქვა - განადგურება; შეჭამს - შესანსლავს - გადასანსლავს); ექსპრესიული სიტყვები, რომლებიც შეიცავენ კონოტაციური ელემენტების სახით მხოლოდ ხატოვანების კატეგორიას (პირქურუში - პირმოქურუშებული - პირქუფრი - ქურუხა - ჩამოქურუხებული - მოქურუხებული - მოშავბეებული).

ემოციურობისა და ექსპრესიულობის კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი ბუნებით, შემადგენელი კომპონენტებით, მეტყველების სუბიექტისა და ობიექტის ფსიქოლოგიური განწყობით. სინონიმთა ემოციური ლექსიკა გამოხატავს ინდივიდის ან მხოლოდ ემოციას, ან განწყობას, ან ემოციურ-შეფასებით დახასიათებას. ექსპრესიული ლექსიკა ემსახურება გამოთქმის ზეგამვლენი, შთამბეჭდავი ძალის გაძლიერებას, მის დახასიათებას. ექსპრესიული სიტყვის სემანტიკაში აუცილებელ კონოტაციურ კომპონენტს წარმოადგენს ხატოვანება და ინტენსიურობა. ამიტომ ექსპრესიული სიტყვა ხასიათდება ასოცირებითა და ოპოზიციით „უფრო ძლიერი“,

„უფრო სუსტი“. ექსპრესიული სიტყვა მუდამ მოტივირებულია. ექსპრესიულობა, ემოციურობისაგან განსხვავებით, წარმოადგენს მეტყველების არა მარტო გამოხატვის, არამედ გამოსახვის საშუალებასაც (ავაქოვა 1993:10).

ემოციურობისა და ექსპრესიულობის კატეგორიები შეიძლება ახლდნენ ერთმანეთს, და შეიძლება განცალკევებულადაც იქნან წარმოდგენილნი. მათ შეუძლიათ წარმატებით თანაიარსებონ ერთი ენობრივი ერთეულის ფარგლებში სიტყვის სემანტიკაში კონოტაციური კომპონენტის სახით. მაგალითად, სიტყვები: გიჟი, გადარეული; ბეჩავი, დებილი, უბედური, უზრდელი, nice, pretty - ემოციურებია, რადგან მათში ვლინდება მეტყველების სუბიექტის მხოლოდ გრძნობები და დამოკიდებულება გარკვეული ობიექტისადმი; ექსპრესიულობას შეიცავენ: დამთხვეული, შეურაცხადი - გიჟის მნიშვნელობით, dig up - გარეგნობის აღნიშვნისას, cool - ცემის მნიშვნელობით.

სინონიმურ ლექსიკაში ემოციურობისა და ექსპრესიულობის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსპრესიულ სურვილებს, დალოცვას, წყევლას. მათ სემანტიკაში არის ხატოვანება, ემოციურობა, ინტენსიურობა და ხშირად შეფასებითობაც. მეტყველების ეს ერთეულები მუდამ ექსპრესიულია. ემოციურობა, რასაც შეიცავენ სურვილები, დალოცვა, წყევლა, გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას მეტყველების ობიექტისადმი, მის შეფასებას, იმ გრძნობას, რომლებსაც ის იწვევს. ექსპრესიულობა, რომელსაც შეიცავენ მოცემული სინონიმები, ავლენენ ინტენსიურობას, ემოციის ძალას, თავისი ხატოვანებით ხელს უწყობენ ადრესატზე ზემოქმედების ეფექტის გაძლიერებას: გენაცვალე! შენი ჭირიმე! მოისპეთ! თქვენი სინსილა გაწყდა! Go to the hell! God bless you!...

ხატოვანება, ინტენსიურობა, მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე, ემოციურობისა და შეფასებითობის კატეგორიები, სინონიმების გარდა ასახვას პოვებს ფრაზეოლოგიზმებში.

სინონიმთა ექსპრესიულობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მეტყველების ისეთ ერთეულებში, როგორიცაა ფრაზეოლოგიზმები და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები. ექსპრესიულობა წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. შედარება მხატვრული დახასიათების წარმოსახვის ისეთი საშუალებაა, რომელშიც ორი მოვლენა ერთმანეთთან შეფარდებულია რაიმე ნიშნის მსგავსების ნიადაგზე. ხატოვანი შედარება მუდამ ექსპრესიულია. ექსპრესიულობასთან ერთად

შედარებებს და შედარებით კონსტრუქციებს შეუძლიათ შეითავსონ თავის სემანტიკაში ემოციურობისა და შეფასებითობის კონოტაციური კომპონენტები: ყვავივით დასჩხავის...

ემოციური და ექსპრესიული სინონიმური ლექსიკა დიდ როლს თამაშობს აზრების, გრძნობების, შეფასებების გადმოცემის დროს. ის აძლიერებს გამოთქმის ზემოქმედების ეფექტს. ემოციური და ექსპრესიული ლექსიკა მნიშვნელოვანია არა მარტო ერთი ენის მატარებლებს შორის მისი გამოყენებისას, არამედ მისი ზომიერად გამოყენება აუცილებელია ეროვნებათშორის ურთიერთობის დროსაც, რათა უცხო ენაზე მოსაუბრემ ზუსტად და შესაფერის ადგილას გამოიყენოს ემოციური და ექსპრესიული ლექსიკა.

3. 2. ემოციების კვლევის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტები

ემოცია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის გრძნობას, განცდას, სულიერ მდელვარებას, რომელიც შეიძლება იყოს შიში, სიხარული, განრისხება, სიყვარული, სიძულვილი, წუხილი, დარდი//ჯავრი და სხვა. იგი გრძნობის ერთ-ერთი სახეა და სუბიექტის (ან სუბიექტების) გრძნობით მდგომარეობას გადმოსცემს,

რისთვის გვაქვს ემოციები? რა ფუნქციას ასრულებენ ისინი ჩვენთვის? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში, შესაძლოა, დაგვეხმაროს ჩვენი ცხოვრებიდან ერთი დღის გახსენება და იმის წარმოდგენა, თუ რამდენად განსხვავებული იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ემოციების განცდის, ან გაგების უნარის გარეშე (ზიმბარდო ფ. 2010:514).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემოციების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მათ როლზე, ბუნებასა და მნიშვნელობაზე. მეცნიერთა ნაწილი ემოციებს მიიჩნევს ხანმოკლე ფენომენად, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ ადამიანები მუდმივად იმყოფებიან ამა თუ იმ ემოციის გავლენის ქვეშ.

ემოციები ხშირად იძლევიან იმპულსს მოქმედებისათვის; ემოციებს აქვთ მოტივაციური ფუნქცია, იწვევენ რა ადამიანში მოქმედების განხორციელებისაკენ სწრაფვას, გარკვეული რეალურად განცდილი, ან წარმოდგენილი მოვლენების საპასუხოდ. ემოციური რეაქციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცხოვრებისეული გამოცდილების ორგანიზებასა და კატეგორიზაციაში (ზიმბარდო ფ. 2010:517).

ემოციის ცნება უკავშირდება სუბიექტურ გამოცდილებას, გრძნობას და გრძნობის გამოხატვას. ემოციის ეს ორი ასპექტი - სუბიექტური და ექსპრესიული პირველად განხილულია ჩ. დარვინისა და უ. ჯეიმსის შრომებში.

ლინგვისტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს აღქმა, შემეცნება და შეფასება განსხვავებულია. ეს განსხვავება ყველა ენაში თავისებურად აისახება, რადგან თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. გერმანელი მოაზროვნე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი მიიჩნევდა, რომ ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. თითოეული ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც ფლობს. სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვას ნიშნავს. ერების თავისებურება და ისტორია ენაში აისახება, კერძოდ, ენის ლექსიკაში (Humboldt 1996:64-67).

„სიტყვის მნიშვნელობა (ისევე როგორც სიტყვა, როგორ მხატვრული მეტყველება ან ენა საერთოდ) არის ისტორიული განვითარების შედეგი: იგი ყოველთვის გამოხატავს სინამდვილის აღქმის თავისებურ (განსაკუთრებულ) ფორმებს და სინამდვილის თავისებურ გაგებას. მოცემულ კონკრეტულ სიტყვას აქვს „საკუთარი“ ან „არასაკუთარი“ მნიშვნელობა მოცემულ ენობრივი კოლექტივის ცოცხალი სამეტყველო პრაქტიკის შესაბამისად მისი სამეურნეო და კულტურული განვითარების მოცემულ საფეხურზე“ (დონდუა კ. 1969:210-211).

ემოციები, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე რთულად ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს, ადამიანის შინაგან, არახილვად სამყაროს განეკუთვნება. მათი კვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. ბოლო ხანებში განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა ემოციების სხვადასხვა კუთხით შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია როგორც ფსიქოლოგთა, ისე ენათმეცნიერთა შრომები.

ჩარლზ დარვინმა წამოაყენა იდეა, რომ ემოციები გარკვეული კატეგორიის განმეორებად სიტყვებზე საპასუხოდ განვითარდა. კროსკულტურულმა გამოკვლევებმა განამტკიცა ევოლუციური მიდგომა, უზრუნველყო რა ის ფაქტებით, რომ სახის ექსპრესიები და მათი ცნობა უნივერსალურია. მიუხედავად ამისა, კულტურებს აქვთ განსხვავებული ნორმები იმის შესახებ, თუ როგორ და სად არის შესაძლებელი ემოციების გამოვლენა. ფსიქოლოგები ცდილობენ, განსაზღვრონ კაუზალური ურთიერთკავშირი ფსიქოლოგიურ აგზნებასა და ინდივიდის ემოციურ განცდებს შორის; უფრო და უფრო

ხშირად აღნიშნავენ, რომ კოგნიცია, შეფასების სახით, გარკვეულ როლს თამაშობს გრძნობების ინტერპრეტაციაში. ემოციები ხშირად ადამიანების მოტივირებას ემსახურებიან, ისინი, ასევე, ასრულებენ გარკვეულ როლს სოციალური ურთიერთობის რეგულაციასა და კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების შინაარსისა და ეფექტურობის განსაზღვრაში (ზიმბარდო ფ. 2010 : 519).

კ. იზარდის თეორიის მიხედვით, ემოცია განიხილება, როგორც რთული ფენომენი, რომელიც მოიცავს ნეიროფიზიოლოგიურ, სამოძრაოგამომხატველობით კომპონენტებსა და სუბიექტურ განცდას. აღნიშნული კომპონენტები გავლენას ახდენენ ინტრაინდივიდუალურ პროცესზე, ხელს უწყობენ ემოციის წარმოქმნას, რომელიც ეცოლოგიურ-ბიოგენეტიკური მოვლენაა. ამ თეორიის თანახმად იზარდი მიიჩნევს, რომ ადამიანს თანდაყოლილი აქვს როგორც ემოციის განცდის, ისე მისი გამოხატვის უნარი, რომელიც ზოგადკულტურული და უნივერსალურია (Izard 2002:69).

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ „ემოცია სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს“ (უზნაძე 2010:132).

ემოციები ადამიანის გამოცდილების ქვაკუთხედიანია. ისინი ადამიანებთან ურთიერთობის პროცესს ამდიდრებენ, ხოლო მეხსიერების შინაარსებს თვისობრიობასა და მნიშვნელობას ანიჭებენ (ზიმბარდო ფ. 2010:503).

თანამედროვე ფსიქოლოგები ემოციას განსაზღვრავენ, როგორც სხეულებრივი და მენტალური ცვლილებების რთულ პატერნას, რომელიც მოიცავს ფიზიოლოგიურ აგზნებას, გრძნობებს, კოგნიტურ (შემეცნებით) პროცესებსა და ქცევით რეაქციებს, რომლებიც პიროვნულად მნიშვნელოვნად აღქმულ სიტუაციაზე საპასუხოდ ჩნდება (ზიმბარდო ფ. 2010:503).

კ. იზარდის განმარტებით „ემოცია არის ნერვული პროცესების განსაკუთრებული ერთიანობა გამოწვეული რეფერენტული (ცენტრალური) პროცესებით, რომელიც შესაძლოა იწვევდეს ან არ იწვევდეს შესამჩნევ გამოხატულებას, მაგრამ ყოველთვის იწვევს გრძნობით გამოცდილებას. იგი ემოციის სამ სახეს განიხილავს: ნერვულს, ექსპრესიულსა და ემპირიულს“ (Izard 2000:256).

ფსიქოლოგიაში ერთმანეთისაგან ასხვავებენ ემოციისა და გრძნობის ცნებებს. ემოციის ცნებაში მოიაზრება სუბიექტის ისეთი განცდა, მისი ისეთი შინაგანი

მდგომარეობა, როგორიცაა: სიხარული, ბედნიერება, შიში, მწუხარება, დარდი, სევდა, ბრაზი და ა.შ. გრძნობაში კი - ობიექტზე გადატანილი განცდა. გრძნობები ემოციებთან შედარებით უფრო ობიექტურია, მაგრამ გრძნობები სუბიექტურია შეგრძნებებთან შედარებით. ერთი და იგივე ფერი ან საქციელი ერთ ადამიანს დადებითად, ლამაზად ან საინტერესოდ ეჩვენება, მეორეს კი - საზიზღრად. ამ აზრით გრძნობა სუბიექტის შთაბეჭდილებას წარმოადგენს და არა საგნის ობიექტურ თვისებას (ბერეკაშვილი, იმედაძე 2007:248).

ა. ვეჟბიკას თვალსაზრისით, ემოციების კონცეპტუალიზაციისათვის აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორ ხდება სხვადასხვა ენებში ემოციის ლექსიკალიზაცია და ემოციების გაგება უნდა იწყებოდეს მშობლიური ხედვიდან (Wiezbicka, 1992:545).

თუკი ვინმე შეეცდება თითოეულ ემოციას, რომელსაც ადამიანი განიცდის, დაარქვას სახელი, ბუნებრივია, რომ იგი გამოიყენებს საკუთარ ლექსიკონს. იმდენად, რამდენადაც თითოეულმა ხალხმა მიაგნო გრძნობის ისეთ ელფერს, როგორიც სხვა ხალხის მიერ გამოყოფილი არ არის (ჯეიმსი 1890:68).

ამდენად, ემოციების დაჯგუფება პირობითია, ვინაიდან, ნებისმიერი ენის ემოციური ტერმინები გამოავლენს ნათესაობის კომპლექსურ კავშირს და მათი კლასიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მიუხედავად ამისა, სემანტიკური განზომილებები ერთიანდება, როგორც კლასიფიკაციისა და დისკუსიის ბუნებრივი საფუძვლები (Wiezbicka 1992:550). ა. ვეჟბიკას მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი ენებსა და კულტურათაშორისი ემოციების კონცეპტების კლასიფიკაციისა ეყრდნობა შემდეგ ტერმინებს: bad and good (ცუდი და კარგი), happen and do (შემთხვევა და გააკეთე), wont and don't want (მინდა და არ მიდა) (Wiezbicka 1992:551).

ვეჟბიკას მიაჩნია, რომ არსებობს მსოფლიოს ყველა ენაში იდენტიფიცირებული ემოციათა კონცეპტები. იგი თვლის, რომ ისეთი კონცეპტები, როგორებიცაა ტანჯვა და სევდა ენობრივად სპეციფიკურია, ხოლო კარგი ან ცუდი, სურვილი, ფიქრი, შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად. მაგრამ თუ ენამ ესა თუ ის ემოცია ცალკე სიტყვით არ ასახა, არ ნიშნავს, რომ ამ ენაზე მოსაუბრეს არ შეუძლია ამ ემოციის აღქმა, როგორც მკაფიო, საცნობო გრძნობა ან არ შეუძლია მასზე საუბარი. როგორც ცნობილია, არსებობს უთვალავი ემოცია, რომელიც გამოხატული და სიტყვებით აღწერილია ამა თუ იმ ენაში,

მაგრამ ყველა ენას აქვს ემოციური სიტყვების საკუთარი მარაგი, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული კულტურის წევრებისათვის (Wiezbicka 1992:121-124).

აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერთა შორის ბაზისურ ემოციებთან დაკავშირებით. აზრთა სხვაობას იწვევს ბაზისურ ემოციათა რაოდენობა, ასევე, თუ რომელი ემოციები უნდა იქნეს მიჩნეული ბაზისურად და რატომ. არსებობს ემოციათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, რომელთაგან ყველაზე მცირე ორი, ხოლო ყველაზე დიდი თერთმეტი ემოციისაგან შედგება. ვაინერი გამოყოფს ორ ემოციას: Happiness (ბედნიერება), sadness (სევდა/მწუხარება), ასევე ორ ემოციას გამოყოფს მიურერი: Pain (ტკივილი), pleasure (სიამოვნება); უოტსონი სამს: Fear (შიში), love (სიყვარული), rage (გაბრაზება); ტომსონი ცხრა ემოციას: Anger (გაბრაზება), interest (ინტერესი), contempt (სიძულვილი), disgust (ზიზღი), distress (უბედურება), fear (შიში), joy (სიხარული), shame (სირცხვილი), surprise (გაოცება); არნოლდი თერთმეტ ემოციას: Anger (გაბრაზება), aversion (ზიზღი), courage (გამბედაობა), dejection (დარდი), desire (სურვილი), despair (სურვილი), fear (შიში), hate (სიძულვილი), hope (იმედი), love (სიყვარული), sadness (მწუხარება).

ემოციების ლინგვისტური შესწავლის პირველი მცდელობა დაკავშირებულია ვ. შახოვსკის სახელთან.

„ენა წარმოადგენს ადამიანის ემოციების შესწავლის გასაღებს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება ემოციების გამოხატვა, აღწერა, იმიტირება, კლასიფიცირება, სტრუქტურირება და, კომენტირება. სწორედ ენა ახდენს ამა თუ იმ ლინგვოკულტუროლოგიური სამყაროს ემოციური სურათის ფორმირებას“ (Шаховский В.И. 1987: 68).

ბოლო დროს ლინგვისტიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ემოციების კვლევისადმი, კერძოდ კი, ემოციათა უნივერსალებისა და ეროვნული სპეციფიკის საკითხისადმი. თითოეული ენა ეროვნულად სპეციფიკურია. მასში აისახება, როგორც კულტურის თავისებურებები, ისე მისი მატარებლის ეროვნული ხასიათიც (იაკობიძე ნ. 2015:4)

თუ თვალს გავადევნებთ ემოციურ განცდათა ერთობლიობას, ორი მკვეთრად განსხვავებული ჯგუფის არსებობას დავადასტურებთ. ერთ ჯგუფს ისეთი ემოციები წარმოადგენენ, როგორიცაა, მაგალითად, სიყვარული, სიძულვილი, შიში, რისხვა, ჯავრი, სიხარული და სხვა. სულ სხვა ტიპის განცდაა სიამოვნება, რომელსაც, მაგალითად,

ვარდის სუნი გვგვრის, ან უსიამოვნება, რომელსაც მწარე გემოსაგან ვგრძნობთ. პირველ შემთხვევაში ჩვენ ისეთ სულიერ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც თითქმის სუბიექტის მთელ ვითარებას ეხება და მის მთლიან დახასიათებას უფრო იძლევა, ვიდრე რომელიმე ნაწილობრივი განცდისას. მეორე შემთხვევაში, პირიქით, უთუოდ რაიმე ნაწილობრივი შინაარსის განცდა გვაქვს (უზნაძე 1998 :105).

ემოციების აღსაწერად არსებობს აზრობრივი და მეტაფორული მიდგომა, უპირატესობა ენიჭება ე.წ. სიმპტომატურ ლექსიკას, რომელიც უფრო ადეკვატურად აღწერს ფრაზეოლოგიურ, ადამიანის მიერ განცდილ რეაქციას ამა თუ იმ ემოციაზე (Апресян 1993:169).

ემოციათა აღმნიშვნელ ლექსიკას ექსპრესიულად და დესკრიფციულად ყოფს ზ. კოვეშევი. „დესკრიფციული იყოფა პირდაპირ (ბაზისურ-არაბაზისურ) და ფიგურალურ ენად (მეტაფორა-მეტონიმია). ემოციათა აღმნიშვნელი ზოგიერთი სიტყვა გამოხატავს ემოციას, ზოგი - აღწერს მას“ (Kovecses, Z. 1990: 197).

„ენა გამოიყენება ადამიანის აზროვნების, მისი ფსიქიკური ბუნების ასახსნელად. ენა, როგორც სოციალური ფენომენი ერის თავისებურებათა გამოვლენას ემსახურება“ (Ельмсева Л . 1960:30).

გრძნობები იყოფა დადებითი ემოციური ტონის შემცველ და უარყოფითი ემოციური შეფერილობის მქონე გრძნობებად. ისეთი გრძნობები, როგორებიცაა სიხარული, ბედნიერება, მხიარულება იწვევს დადებით ემოციებს, ხოლო ზიზღი, სიძულვილი, სევდა, დარდი, ბოროტება - უარყოფით ემოციებს. კ. იზარდის აზრით: „ნაცვლად იმისა, რომ ვილაპარაკოთ უარყოფით და დადებით ემოციებზე, უფრო მართებული იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ არსებობს ისეთი ემოციები, რომლებიც ამსუბუქებენ კონსტრუქციულ ქცევას. მსგავსი მიდგომით ამა თუ იმ ემოციას ვაკუთვნებთ დადებითს თუ უარყოფთს იმის მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი პიროვნების და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების პროცესებზე (Izard 2000 :67).

სინონიმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ემოციურობის თვალსაზრისითაც, გამოიყოფა დადებითი და უარყოფითი ემოციის მქონე სინონიმური გჯუფები. უარყოფითი ემოციის მქონეა, მაგალითად: გაბრაზების, გაშმაგების, ზიზღის, სიძულვილის ტიპის სინონიმები. დასახელებულ სინონიმებს ცალ-ცალკე აღებული,

აქვთ მიკრო სემანტიკური ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ერთ დიდ ოჯახში შემავალ სინონიმებს (სანიკიძე 1999 :103).

იზარდი თვლის, რომ ემოცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამყაროს აღქმის, შემეცნებისა და შეფასების პროცესში (Izard 2000:69). ემოციის შესახებ არსებული მრავალი გამოკვლევის მიუხედავად, მისი ბუნება დღემდე ამოუხსნელი რჩება. თუმცა ყველა მეცნიერი თანხმდება ერთ საერთო აზრზე - ემოციები უმნიშვნელოვანესია ადამიანის მოტივაციისათვის, კომუნიკაციისათვის, სამყაროს შემეცნებისა და საქმიანობისათვის.

ტერმინი „ემოციური გამოხატვა“ პირველმა ჩარლზ დარვინმა გამოიყენა (Darwin 1965: 366). მას მიაჩნდა, რომ „ემოცია არის ბოლო წერტილი, რომელიც გამოიხატება სხეულის მიერ განცდის შემდეგ“. აღსანიშნავია, რომ ემოციური ელემენტები ენაში ადამიანის ემოციების გამოხატვას ემსახურება, ხოლო ექსპრესიული საშუალებები - როგორც ემოციების, ისე ნებისა და აზრის გამოხატვის გაძლიერებას (ლომია 2012:46). „ექსპრესიულობა, როგორც ენობრივი ერთეულის ერთ-ერთი თვისება განიხილება როგორც ენის სემანტიკურ-სტილისტურ ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი აქვს კომუნიკაციურ აქტში გამოხატოს მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულება მეტყველების აქტის ან მისი ადრესატის მიმართ“ (დიდი ენათმეცნიერული ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1998:591).

ემოციის სპეციფიკურ ბუნებას მათი განსხვავებული ხასიათი შეადგენს. ყველა გრძნობა განსხვავებულ ელფერს ატარებს იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, სიამოვნების თუ უსიამოვნების, რომელიც ვლინდება: სიხარულსა თუ მწუხარებაში; სიყვარულსა თუ სიძულვილში და ა.შ.

ადამიანები სხვადასხვა ემოციას განსხვავებულად გამოვხატავენ: ვილიმებით, როცა გვიხარია, ვილიმებით ან ვტირით, როცა ვდარდობთ, ვფითრდებით და ვცახცახებთ, როცა გვეშინია; წარბებს მაღლა ვეწევით, თვალებს ფართოდ ვაღებთ როცა გვიკვირს, ე.ი. გარეგნულადაც გამოვხატავენ ემოციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემოციებს - შიში, სიხარული, რისხვა და სხვა, თან ახლავს სხეულის მდგომარეობის ცვლილებები, რომელიც ნაწილობრივ დამკვირვებლისათვისაც თვალსაჩინოა. ამდენად, ექსპრესიულობა უკავშირდება ემოციის გამოხატვის

სხეულებრივ ცვლილებას, რასაც მოწმობს მაგალითად, შიშის დროს ადამიანის გაფითრება, კანკალი და ა.შ.

ისეთი ძირითადი ემოციები, როგორიცაა სიხარული, დარდი, შიში, ზიზღი, ბრაზი, გაკვირვება ზოგადად ადამიანურია და მსგავსად გამოიხატება მთელს მსოფლიოში (ბერეკაშვილი, იმედაძე 2007:243). თუმცა, სხვადასხვა კულტურები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ემოციების გამოხატვის ინტენსივობით და იმით, თუ რა ტიპის ემოციების გამოხატვაა მათთვის უფრო მისაღები.

3.3. დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები

სინონიმთა ლექსიკონებში მრავლად ვხვდებით, როგორც სინონიმურ სიტყვებს, ისე ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ემსახურებიან აზრის ზუსტად, მხატვრულად, ემოციურად გადმოცემას. თითოეული მათგანის უკან დგას აზრობრივი და სტილისტიკური ნაირსახეობა, სიტყვის ემოციურობა, ექსპრესიულობა. სიტყვები ამ უნარით მეტ-ნაკლებად არიან დატვირთულნი. ყოველი სიტყვა შეიძლება დავახასიათოთ მნიშვნელობისა და სტილისტიკური თვალსაზრისით. თითოეულ სინონიმურ რიგს, მნიშვნელობის გარდა, აქვს გარკვეული სტილისტიკური ელფერი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეთვე, პროდუქტიულობის თვალსაზრისით.

ერთ ბუდეში შემავალი სინონიმები შეიძლება, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ წარმომავლობით, დანიშნულებით, ხანდაზმულობით, გავრცელებულობით. რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ენაში ერთმანეთის იდენტური სინონიმები არ არსებობს, ისინი რაღაცით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს რაღაც საგნის, მოვლენის, სიტუაციის დაზუსტებას ემსახურება. სინონიმები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოების თვალსაზრისით, ემოციურობით, ექსპრესიულობით, გამოყენების სიხშირით, პროდუქტიულობით და სხვა. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, აბსოლუტური ტოლობის დასმა სინონიმთა შორის შეუძლებელია. „სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის

ორი სიტყვა ფაქტობრივად არ არსებობს: ან ობიექტური ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას“ (ჩიქობავა არნ. 1952:189).

როგორც ვხედავთ, სინონიმურ წყვილებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

ანალიზის შედეგად შემდგომისდაგვარად შევქმენით დადებითი და უარყოფითი ემოციების გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები.

შევცადეთ გაგვეჩვენა ძირითადად რომელი გრამატიკული საშუალებების, როგორი სტრუქტურული მოდელებისა და რომელი მხატვრული ხერხების გამოყენებით აღწევს სინონიმური ლექსიკა ექსპრესიულობას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სინონიმურ ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმებში გრამატიკულ საშუალებებთან ერთად შევისწავლეთ მხატვრული ხერხები, რომლებიც ექსპრესიულობის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

ქართულ ენაში დადებითი ემოცია შეიძლება გამოხატული იყოს ისეთი ლექსიკური ერთეულებით, რომლებსაც: 1) თავიდანვე აქვთ დადებითი სემანტიკური მნიშვნელობა, მაგალითად: **ლამაზი, კარგი, კოხტა, ქება, ლალი, მშვიდი, მხნე, გმირი, ზეიმი** და ა.შ. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ყოველთვის ასოცირდებიან დადებით ემოციასთან, ამიტომ მათ ვიყენებთ დადებითი ემოციის გადმოსაცემად, დადებით კონტექსტში. ასევე, სინონიმური ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც დადებითი კონოტაცია აქვთ, მაგალითად: **ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ბედის ნებიერი, ბედი აქვს, ბედი სწყალობს, ბედნიერ ფეხზე ამდგარი** და სხვ.

2) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება ნაწარმოები იყოს სხვადასხვა საშუალებით, რომელთაგან აღსანიშნავია: აფიქსაცია და კომპოზიცია ანუ თხზვა. სინონიმები წარმოიქმნება აფიქსების დართვით ან წარმოდგენილია კომპოზიტის სახით. ამის მიხედვით ძირითადად შემდეგი ტიპის სინონიმური ჯგუფები ჩამოყალიბდება: 1. უაფიქსო, მარტივფუძიანი სინონიმები; 2. პრეფიქსით ნაწარმოები; 3. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები და 4. კომპოზიტები.

სინონიმურ ლექსიკაში გამოიყოფა მარტივი სტრუქტურის მქონე ერთეულები, აღსანიშნავია, რომ მარტივფუძიანი დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა რაოდენობა ერთობ მცირეა: **ქება - ხოტბა; ლამაზი, კოხტა, ტურფა...** როგორც კვლევამ

გვიჩვენა, ჭარბობს წარმოქმნილი და კომპოზიტური შემადგენლობის სინონიმური ლექსიკა.

აფიქსების გამოყენებით ნეიტრალური სინონიმური სიტყვები იძენენ ემოციურ/ექსპრესიულ შეფერილობას, რაც მათი ნეიტრალური მოდელისაგან განსხვავების საფუძველს წარმოადგენს. ნეიტრალური სინონიმური მოდელისაგან დადებითი ექსპრესიის გამოსახატად ქართულისათვის დამახასიათებელია სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. რომელია ის აფიქსები, რომელებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სინონიმებში და ხელს უწყობს დადებითი ექსპრესიის გამოვლენას.

სინონიმურ წყვილებში ექსპრესიის გამოსავლენად ამ მხრივ ყველაზე აქტიური აღმოჩნდა:

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი **-ობა**: ზნეობა-ზნეობრიობა; ზნეკეთილობა-კეთილზნეობა; ტრფობა - მიჯნურობა - მოყვარულობა; ხალისობა / ხალისიანობა; ამაყობა / მედიდურობა / ზვიადობა / დიდგულობა / გულდიდობა; ბედიანობა / იღბლიანობა / სვიანობა / ბედსვიანობა; მორიდებულობა / მორცხვობა / მოკრძალებულობა და ა.შ.

ყოლა-ქონების მაწარმოებელი სუფიქსი **-იან**: სინდისიანი-ნამუსიანი; ბედიანი / იღბლიანი / სვიანი / სვესვიანი / ბედსვიანი / ქუდბედიანი; ბოდიშიანი / ხათრიანი; უნარიანი / შნოიანი / მარიფათიანი / გერგილიანი და სხვ.

მოფერებით-კნინობით სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები: პაწაწა - პაწია - პაწაწუნა - პაწაწკინტელა - პაწაწკინა - კიკნელა.

სახელზმნის მაწარმოებელი სუფიქსი **-ულ**: სახეგაბრწყინებული / სახეგაცისკროვნებული / პირგანათებული; ახითხითებული / გაცინებული / აკისკისებული; გალამაზებული / გაკოხტავებული / გამშვენებული / გამშვენიერებული; დამშვენებული / გალამაზებული; გახარებული / მოხარული; ფრთაშესხმული / ფრათეშესხმული / ფრთეგამოსხმული; დამშვენებული / დაწყნარებული / მიწყნარებული /; დადინჯებული / დაშოშმინებული / დაყუჩებული / დაარხეინებული / გულდამშვიდებული / გულდადინჯებული; აღტყინებული / აღტაცებული / აღფრთოვანებული / ფრთაშესხმული / ფრთეგამოსხმული; გაღიმებული / პირგაღიმებული; მორიდებული / მოკრძალებული და სხვ.

ექსპრესიულობის გამოსახატად ქართულში პროდუქტიულია პრეფიქს-სუფიქსების გამოყენება, რომელთა შორის რაოდენობრივად ჭარბობს დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსი **სა-ო**: სალადობო / სატრფიალო / სასიყვარულო; სანაქებო / სახოტბო; მიჯნური / სატრფო / საგულო; საარშიყო / სასიყვარულო / სამიჯნურო; გმირული / საგმირო; საკეთილდღეო / საბედნიერო; სატრფო / საბედო; სალაპარაკო / სასაუბრო; სამამაკაცო / სამამაცო / სავაჟკაცო; სატიკტიკო / სატიტინო; საზეიმო / სადღესასწაულო; სამხიარულო / სალადობო; საოხუნჯო / სახუმარო; სანდო / საიმედო; სანეტარო / სასიამო(ვნო); სასახელო / საამაყო / სასიქადულო და ა.შ.

გარდა აფიქსაციისა, ექსპრესიის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კომპოზიცია. ამისათვის ექსპრესიის მისაღწევად კომპოზიტები ქართულში ქმნიან შემდეგ ძირითად მოდელებს:

ფუძის გაორკეცვით მიღებული სინონიმური კომპოზიტების ექსპრესიული მოდელები:

კისკისი / ხითხითი / კუჭკუჭი / ხარხარი; ტიკტიკი / ლიკლიკი.

დადებითი ემოციის გამომხატველი სინონიმების ექსპრესიისათვის განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევიან ნაირფუძიანი კომპოზიტები, რომელთაგან უმეტესობა სხვადასხვა ფუძის შეერთებით არის მიღებული, სახელდობრ:

არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

სიცილ-კისკისი, სიცილ-ხარხარი, სიცილ-ხითხითი.

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:

გულნაზი / გულჩვილი; გულუხვი / ხელუხვი; გულზვიადი / გულდიდი; გულმართალი / გულწმიდა; პირმშვენიერი / პირლამაზი / პირკეთილი; თვალეგაბრწყინებული / თვალეგაცისკროვნებული;

არსებითი სახელი + სახელზმნა:

სახეგაბრწყინებული, სახეგაცისკროვნებული, პირგანათებული; გულგახსნილი, გულგაშლილი; გულახდილი / გულწრფელი / გულღია; ენატკბილი / ენაჟღურტულა / სიტყვატკბილი/ენაჭიკჭიკა; გულახდილობა/გულწრფელობა / გულღიაობა. ქედმაღალი / ქედმაღლური; თვალეგაბრწყინებულა / თვალეგაბრწყინებულა;

კომპოზიტის პირველი კომპონენტი მარტივი სახელია, მეორე - წარმოქმნილი:

პირმდიმარი, სახემომდიმარი, პირმცინარი, პირმოცინარი; პირმცინარე, პირმდიმარე, პირმომდიმარე, პირმომცინარე; პირგაღიმებული / პირმოღიმარი / პირმომდიმარე / პირმდიმარი / სახემ(ო)მდიმარი; ენამოთაფლული / ენადაშაქრული / ენამოქარგული და ა.შ.

ექსპრესიულობის გამოსავლენად ქართული ენის სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებში გამოვყავით იდიომატური გამოთქმები. გამოიყოფა იდიომური გამოთქმების ორი ტიპი: სახელური (NP) და ზმნური (VP). იდიომთა კომპონენტების კვლევა შესაძლებელია სიტყვა-ფორმისა და შესიტყვება-ფორმის შესწავლის გზით. პირველი გულისხმობს ნებისმიერი სახის იდიომური გამოთქმის კომპონენტთა შიდაქმედებისა და ურთიერთმიმართების კვლევას, ხოლო მეორე - იდიომური კონსტრუქციების ქმედებას წინადადებაში. ჩვენ იდიომებს შევისწავლით, როგორც სიტყვა-ფორმას, რაც გულისხმობს სახელური თუ ზმნური იდიომური გამოთქმების შესწავლას შესიტყვებაში შემავალი ერთეულების გრამატიკული კავშირებისა და შიდამიმართებების გათვალისწინებით.

ქართულ ენაში გამოიკვეთა დადებითი ემოციის გამომხატველი სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი ექსპრესიული მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა ექსპრესიული მოდელები

ა) ორკომპონენტიანი სინონიმური მოდელები

არსებითი სახელი + არსებითი სახელი (N+N):

გულის ვარდი; ღვთის წყალობით, ღვთის შეწევნით; ღვთის მადლმა; ადამის ჟამისა, ადამის ხნისა. ბედისწერის წიგნი, ბედისწერის დავთარი; ბედის ვარსკვლავი;

არსებითი სახელი + ზედსართავი (N+ADJ):

გულის ტოლი; გულის სწორი; ბედის ნებიერი;

რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი (NUM +ADJ): ერთი ციდა / ერთი ციცქნა / ერთი წიწკნა / ერთი ბეწვა / ერთი ბეწო;

არსებითი სახელი + სახელზმნა (N+ADV): ფრთების გამოსხმა; გულის ფანცქალი, გულის ძგერა, გულის ფრიალი; კალმით ნახატი;

ნაცვალსახელი + ზედსართავი (PR+ADJ): ჩემო ძვირფასო; ჩემო საყვარელო.

ბ) სამკომპონენტო მოდელები

ზმნიზედა/ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + სახელზმნა (ADV/ADV+N+ADV): ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული; ბედნიერ ვარსკვლავზე ამდგარი;

არსებითი სახელი + სახელზმნა + არსებითი სახელი (N+ADV+N): ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.

სახელზმნა + არსებითი სახელი + არსებითი სახელი (ADV+ N+N): მოსიყვარულე გულის პატრონი.

სახელური იდიომური გამოთქმების უმრავლესობის პირველ წევრს არსებითი სახელი წარმოადგენს, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით. არსებითი სახელი განსაზღვრავს სხვა კომპონენტებს და მათგან კონკრეტულ გრამატიკულ ფორმას ითხოვს. შედარებით იშვიათია ისეთი მაგალითები, სადაც წამყვან კომპონენტს ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ან სხვა მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ.

სახელზმნის შემცველი სინონიმური იდიომური გამოთქმების განხილვა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სახელურ იდიომურ გამოთქმებთან. მართალია, სახელზმნათა სტრუქტურას ახასიათებს, როგორც სახელის, ასევე, ზმნის ზოგიერთი კატეგორია (შანიძე ა. 1953). მართალია, ის ზმნის ფუძისაგან არის მიღებული, რომელსაც შერჩენილი აქვს ზმნის ზოგიერთი კატეგორია, მაგრამ სემანტიკურად ის სახელის ფუნქციას ასრულებს და წინადადებაში ქვემდებარედ და დამატებად გვხვდება და არა შემასმენლად (ღლონტი ალ. 1964:32).

ლექსიკონში წარმოდგენილი იდიომების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სინონიმთა რიგებში ყველაზე მრავლად ზმნური იდიომებია წარმოდგენილი.

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა ექსპრესიული მოდელები

ა) ორკომპონენტო მოდელები:

არსებითი სახელი + ზმნა (N+V):

სიცილით კლავს; ბედი სწყალობს; ბედი გაეხსნა; ბედი გაუღიმებს; გული უმხიარულებს; გული უხალისდება; გული მისწევს; თვალები უჩუქუნებს; თვალები

უციმციმებს; თვალში მოუვა; თვალი დარჩება; თვალს დაიჭერს; თვალს დაადგამს; ხოტბას შეასხამს; ქება-დიდებას შესძღვნის; სევდას გაიქარვებს, სევდას უკუიყრის; სულს ამოართმევს, სულს ამოხდის; გულს გადაუტრიალებს; გულს გაუხეთქავს, ფერს უცვლის; ანგელოზებს დაუფრთხობს; ბედი ეწვევა; ბედი აქვს, ბედი სწყალობს ბედს შეჰყრის, ბედს სწვევს, ბედში ჩააგდებს,; სიცილი აუტყდება, სიცილი აუვარდება, სიცილი წასკდება; დროს გაატარებს, გულს გადააყოლებს და ა.შ.

ნაცვალსახელი + ზმნა (PR+V):

შენი კვნესამე; შენ გენაცვალე; შენ შემოგვევლე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინონიმთა ლექსიკონში ყველაზე მეტი ზმნური იდიომური გამოთქმა დასტურდება, რომელთა შორის რაოდენობრივად ორკომპონენტური მოდელი ჭარბობს. ორკომპონენტური ზმნური იდიომური მოდელი ძირითადად წარმოდგენილია არსებითი სახელითა და ზმნით (N+V).

მოძიებულ მასალაში ზმნა ძირითადად ბოლოკიდურ პოზიციაშია წარმოდგენილი. არ. თაყაიშვილის მოსაზრების თანახმად, „ქართულში ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: გული მოუღბო...“ (თაყაიშვილი ა. 1961: 22). დასახელებულ მოდელებში ზმნა ძირითადად პირველი და მეორე სერიის ფორმით გვხვდება. პირველ სერიაში აწმყოსა და მყოფადის მწკრივებით, ხოლო მეორე სერიაში - წყვეტილის ფორმით არის წარმოდგენილი. ზმნური იდიომების მორფო-სინტაქსური ანალიზის დროს გასათვალისწინებელია ზმნის პოლიპერსონალიზმი (მრავალპირიანობა), რომელთანაც დაკავშირებულია ზმნის გარდამავლობა და გარდაუვალობა, ერგატიული კონსტრუქცია მეორე სერიის ფორმებთან, კონვერსია და ინვერსიული წყობა მესამე სერიაში.

ბ) სამკომპონენტური მოდელები

ზმნიზედა/ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + სახელზმნა/ზმნა (ADJ/ADV +N+ADV/V): დიდი დღე მისცეს.

ზმნა + ნაცვალსახელი + არსებითი სახელი (V+PRN+N): დამირჩა შენი თავი.

არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზმნა (N+ N +V) ბედი კარზე ეწვია, ბედი კარზე მიადგა.

არსებითი სახელი + ნაწილაკი + ზმნა (N+PTC+V): თვალს ვეღარ მოაშორებს; თვალს ვეღარ მოსწყვეტს.

არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ნაცვალსახელი + ზმნა (N+N+PRN+V): მზე და მთავრე (მასზე) ამოსდის.

გ) ოთხკომპონენტური სინონიმური მოდელები

არსებითი სახელი + ზმნა + ნაცვალსახელი + არსებითი სახელი (N+V+PRN+N): ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი.

სახელზმნა + არსებითი სახელი + ნაწილაკი + ზმნა (ADV+N+PTC+V): სიხარულით ფეხზე აღარ (ვეღარ) დგება.

მოძიებულ მასალაში ზმნა ძირითადად ბოლოკიდურ პოზიციაშია წარმოდგენილი, იშვიათია შემთხვევა, როდესაც ზმნა უსწრებს სახელს ან იწყებს იდიომს. სულ შგვხვდა ერთი შემთხვევა: დამირჩა შენი თავი.

ინგლისურ ენაში, მსგავსად ქართულისა, გამოიკვეთა სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

ა) ორკომპონენტური მოდელები

PR+N - My love! (ჩემო სიყვარულო!);

PR+ADJ My dear! (ჩემო ძვირფასო!); My sweet! (ჩემო ტკბილო!) My precious! (ჩემო კარგო); My Honey! (ჩემო ტკბილო!);

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა შემდეგი მოდელები

ა) სამკომპონენტური მოდელები

V+ PR+ N sing./ pl. - move smb's heart – გულის აძგერება, touch smb's heart – გული აუტოკა, გული აუყუჩა, oblain smb's heart – ვინმეს გულის დაპყრობა; gladden smb's heart – გულის გახარება; dear to smb's heart – ვინმეს გულის ვარდი; win one's heart – ვისიმე გულის მოგება; believe one's eyes - თვალებს ვერ ვუჯერებ

ბ) ოთხკომპონენტური მოდელები

prep.+ V+prep.+Npl. - to fold in arms – გულში ჩაკვრა

Pr+V+PRN+N - to turn one's head – თავბრუსდახვევა

გ) ხუთკომპონენტური მოდელები

V+PRN+Art.+ADJ+N - give smb. a glad eye – კარგი თვალით უყურებს,

V+PRN+N+Prep +PRN - lose one's heart to smb. – გული მისდის ვინმეზე; give one's heart to smb. – გულის მიცემა

V+Prep +Prep +PRN+N - jump out of one's skin – სიხარულისაგან ფეხზე არა დგას.

დ) ექვსკომპონენტური მოდელები

V+PRN+N+Prep+Artc.+Npl - have one's head in the clouds – თავით ღრუბლებში დაფრინავს.

N+Prep+N +Prep+N +Prep - head over heels in love with – თავდავიწყებით შეყვარება.

სხვა მრავალ ფაქტორს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სინონიმთა ექსპრესიულობის წარმოსაქმნელად წარმოადგენს ხატოვანება. ხატოვანების კატეგორიასთან ერთად სინონიმთა ექსპრესიულობის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ინტენსიურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის ზრდას ან შემცირებას.

ენაში, გრამატიკულის გარდა, არსებობს სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალება, რომელიც სიტყვას ემოციურ იერს ანიჭებს და ზრდის მის ექსპრესიულობას. დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმებში ექსპრესიის გამოვლენის საშუალებას წარმოადგენს ისეთი სტილისტური საშუალება, როგორიცაა ტროპული მეტყველება. ტროპული მეტყველებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეტაფორა და მეტონიმია. მეტაფორებად გამოყენებულია შემდეგი სიტყვები:

კეთილი, თბილი, მოწყალე, ტკბილი. მაგალითად: კეთილი, გულკეთილი, გულთბილი, კეთილმოწყალე - გამოიყენება სხვისთვის კარგის მსურველის, კარგი გულის მქონე ადამიანის სინონიმად.

ტკბილი, თაფლი, შაქარი: ენატკბილი, ტკბილენა, ენადათაფლული, ენამოთაფლული, ენადაშაქრული, სიტყვატკბილი - აღნიშნული სინონიმები გამოიყენება

ტკბილად მოსაუბრე, ტკბილად მოლაპარაკე პიროვნების აღსანიშნად. ამ სინონიმებში გვხვდება აგრეთვე, სმენითი შეგრძნების გამომხატველი შემდეგი სინონიმები: **ენაჟღერტულა, ენაჭიკჭიკა**, რომელიც ტროპული მეტყველების ნიმუშს წარმოადგენს. ტკბილად მოლაპარაკე ადამიანი შედარებულია ტკბილად, საამოდ მაგალობელ, ტკბილი ხმის გამომცემ ფრინველს.

სინონიმურ ლექსიკაში დადებითი ემოციურ-ექსპრესიული იერის გასაძლიერებლად ვხვდებით ადამიანის სხეულის ნაწილების გამოყენებას, რაც სომატურია. სომატური ერთეულებიდან ყველაზე ხშირად მეტაფორული მეტყველებისათვის დამახასიათებელია შემდეგი არსებითი სახელების გამოყენება: **თავი, გული, თვალი, ფეხი, ენა, პირი**.

თავი გვხვდება შემდეგ მეტაფორულ სინონიმურ გამონათქვამებში: ეკეკლუცება, თავს აწონებს;

გული: გულუბრყვილო, გულმართალი, გულახდილი, გულღია, გულწრფელი, გულითადი;

თვალი: თვალი უჭირავს (რამეზე), თვალები უჟუჟუნებს, თვალები უციმციმებს, თვალს გაახარებს, თვალს წყალს დააღვინებს, თვალს დაადგამს, თვალს ვედარ მოაშორებს, თვალს ვედარ მოსწყვეტს, თვალში ამოიღებს, თვალში მოსდის,

ფეხი: სიხარულით ფეხზე აღარ (ვედარ) დგას, სიხარულისაგან ფეხზე აღარ (ვედარ) დგება, ბედნიერ ფეხზე ამდგარი,

ენა: ენატკბილი, ტკბილენა, ენადათაფლული, ენამოთაფლული, ენადაშაქრული,

პირი: პირგაბადრული, პირგანათებული, პირმომღიმარი, პირგაღიმებული, პირმომცინარი, პირმცინარე, პირმცინარე, პირმომღიმარე,

კომპოზიტებში ერთ-ერთ კომპონენტად ყველაზე ხშირად ვხვდებით **გული, თვალი, ენა, პირი, ფეხი** ფუძის გამოყენებას. ამ არსებითი სახელების შემცველი სინონიმური კომპოზიტები ძირითადად აღნიშნავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას, განწყობას, აგრეთვე გადმოსცემენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პროცესებს.

საინტერესო სურათს გვაძლევს ექსპრესიული ზოონიმები და ზოომორფიზმები. ზოონიმებისა და ზოომორფიზმების არჩევა განპირობებულია იმით, რომ მათში ყველაზე ნათლადაა წარმოდგენილი ის ნიშან-თვისება, რომლებიც აუცილებელია კონოტაციური

მნიშვნელობის შესაქმნელად. ისინი გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას, მის შეფასებას.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სინონიმურ ლექსიკაში დადებითი ემოციურ-ექსპრესიული იერის გასაძლიერებლად იშვიათად ვხვდებით ზოონიმური სახელების გამოყენებას. შეგვხვდა მხოლოდ: ლომი და მაიმუნი. ლომი გვხვდება გულადის სინონიმად შემდეგ კომპოზიტი - **ლომგული, მაიმუნი** - ცელქის სინონიმურ ჯგუფში.

დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმებში ექსპრესიის გასაძლიერებლად მეტაფორებში ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულია ბუნების მოვლენების, ციური სხეულის აღმნიშვნელი შემდეგი სიტყვები: **მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ცა, ღრუბელი**. მაგალითად: მზე და მთვარე ამოსდის (ამოუდის); ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, სიხარულით ცას(ა) სწვდება, ცამდე აყვანა/ცამდე აწევა.

ასევე ვხვდებით ზღაპრულ-მითოლოგიური შინაარსის პერსონაჟის აღმნიშვნელი სიტყვის - **მზეთუნახავი, კუდიანი, ეშმაკის ფეხი, ჭინკა** - გამოყენებას. **მზეთუნახავი** კულტურული უნივერსალია და აღნიშნავს ფიზიკური და სულიერი მშვენიებით გამორჩეულ ქალს. ქართულში იგი ლამაზის სინონიმია და ასოცირდება უმანკოებასთან, ისეთ ხელშეუხებელ სილამაზესთან, მშვენიებასთან, რომელიც თვით მანათობელ მზესაც კი არ უნახავს არასოდეს.

3.4 უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები

როდესაც ვსაუბრობთ ემოციურობასა და ექსპრესიულობაზე, მათ მიმართებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ემოციურობა ექსპრესიულობის წარმოქმნის საშუალებაა. ენის ემოციური საშუალებები ყოველთვის ექსპრესიულია (ლლონტი აღ. 1964:39).

დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელების მსგავსად, შევისწავლეთ უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიული მოდელები. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სხვა მრავალ ფაქტორთა შორის, უარყოფითი ემოციის

ექსპრესიის გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებას აფიქსაცია წარმოადგენს, რომელთა გამოყენებით ნეიტრალური სიტყვები იძენენ ექსპრესიულ შეფერილობას, რაც მათი სინონიმური რიგის ნეიტრალური წევრისაგან განასხვავების საფუძველს წარმოადგენს.

უარყოფითი ემოციის ექსპრესიის გამოვლენისათვის სინონიმებში დასტურდება სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსურ წარმოება, რომელთა შორის ყველაზე პროდუქტიულია **სუფიქსები**:

ყოლა-ქონების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი **-იან**: ნაღვლიანი - დარდიანი - ჯავრიანი - სევდიანი; შარიანი - შფოთიანი; ენაგესლიანი / ენაწანკლიანი / ენადვარძლიანი;

აბსტრაქტულ სახელთა და სახელზმნის მაწარმოებელი სუფიქსები: **-ობა; -ულ, -ილ**: ავენობა / ენამყრალობა/ ავყიაობა; თავდაუქერლობა / თავშეუკავლებლობა; ბაქიბუქობა / ბაქიაობა; თავაშვებულობა / აღვირახსნილობა / აღვირწყარილობა / ლაგამახსნილობა / ლაგამაწყვეტილობა / წრეგადასულობა; უმოწყალობა / დაუნდობლობა; უჟმურობა / უზნეობა; ურგობა / უსარგებლობა; ურცხვობა / უსირცხვილოზობა; უმსგავსობა / უგვანობა / უგვარობა; ვერაგული / მუხანათური / მზაკვრული; იმედდაკარგული / იმედგაწყვეტილი / სასოწარკვეთილი; თავაშვებული / თავაწყვეტილი; აღვირახსნილი / აღვირაშვებული; ლაგამაწყვეტილი / ლაგამახსნილი / ლაგამწყარილი; დაჩაჩანაკებული / მიხრწნილი / დავარდნილი; დაუძღურებული / დამაბუნებული / მომაბუნებული; დასუსტებული / შესუსტებული / მისუსტებული...

პრეფიქს-სუფიქსები:

დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსი **სა - ო**: სავაებო - სავაგლახო - სამწუხარო - სანადვლო - საწყენო - სავალალო - საუბედურო; სააუგო - სათაკილო...

უყოლობა-უქონლობის სახელების მაწარმოებელი **უ-ო**: უბედო / უიღბლო / უყისმათო / უნაწერო; უგერგილო / უფხო / უნიათო; უსირცხვილო / უკდემო / უღვთო / უღმერთო; უწესო / უპატიოსნო / უხეირო; უხალისო / უგუნებო; უთვალადო / უშნო / ულამაზო / ულაზათო; უსასო / უიმედო; უსინდისო / უნამუსო / უპატიოსნო; უზნეო / უხასიათო; დაუნობელი - უმოწყალო; უნდა აღვნიშნოთ, რომ **უ-ო** ცირკუმფიქსი უარყოფითი ემოციის გარდა გამოიყენება დადებითი ემოციის გამომხატველ ისეთ სინონიმებში, როგორიცაა: უშიშო; უმზაკვრო / უბოროტო; უნაკლო / უზადო / უხინჯო / უწუნო / უაუგო.

აღსანიშნავია, რომ მარტივფუძიანი დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა მსგავსად, უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა რაოდენობა ენაში მცირეა: ავი, ბოროტი, ზიზღი, შური, ურვა, დარდი, ღრძო, ბილწი, ზანტი, ფინთი და ა.შ. როგორც კვლევამ გვიჩვენა, აქაც ჭარბობს კომპოზიტიური შედგენილობის სინონიმური ლექსიკა.

უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა ექსპრესიის მისაღწევად მრავლად ვხვდებით კომპოზიტების გამოყენებას, რომლებიც ქართულში ქმნიან შემდეგ ძირითად მოდელებს:

ფუძის გაორკეცებით მიღებული მარტივფუძიანი სინონიმური კომპოზიტების ექსპრესიული მოდელები: კანკალი, ცახცახი, ძაგძაგი, კავკავი, ჟრჟოლა - აღნიშნული მოდელით სინონიმებში ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ფუძის გაორკეცებაა გამოყენებული.

უარყოფითი ემოციის გამომხატველი სინონიმების ექსპრესიის გამოსახატად განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევიან ნაირფუძიანი კომპოზიტები, რომელთაგან უმეტესობა სხვადასხვა ფუძის შეერთებით არის მიღებული, სახელდობრ:

არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

გულქვა; თავზარი; ბატისტვინა / ვირისტვინა;

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:

ბედშავი; სვებნელი; ენამწარე; ენაგესლიანი; ენადვარდლიანი; პირკუმტი; პირქუში; ყიამყრალი; გულბილწი; გულბოროტი; ბედმლაშე; გუდამშიერი;

არსებითი სახელი + სახელზმნა:

სვეგამწარებული; იმედმოსპობილი; სასომიხდილი; ბედდაწყევლილი; ენაგაქლესილი; ბედგამავებული; ბედგაცუდებული;

კომპოზიტის პირველი კომპონენტი სახელია, მეორე - წარმოქმნილი:

დორბლმორეული; კისერმოღრეცილი; კისერმოგრეხილი; გულგადაბრუნებული; პირმწუხარე; დრომოჰმული; გულმოწყლული; ზნეუწვრთნელი; პირმწუხარე; გულმწუხარე...

დავინტერესდით ასევე, რა საშუალებების გამოყენებით ხდება ექსპრესიულობის მიღწევა უარყოფითი ემოციის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში გამოვყავით იდიომატური

გამოთქმები. გამოიკვეთა უარყოფითი ემოციის გამომხატველი სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი ექსპრესიული მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა ექსპრესიული მოდელები

ა) ორკომპონენტური სინონიმური მოდელები

არსებითი სახელი + არსებითი სახელი (N+N): - ჯოჯოხეთის მაშხალა, ეშმაკების მაშხალა; კრუხის პალო, სიკვდილის კერძი (სასიკვდილე);

არსებითი სახელი + მიმღობა: გულის გასახეთქი;

ზედსართავი + არსებითი სახელი (ADJ+ N): ავი სული, ბოროტი სული;

არსებითი სახელი + სახელზმნა (N+ADV): თავის მომჭრელი, მიწასთან გამ(ა)სწორებელი; ჯავრის ამოყრა; სისხლის ძიება, სისხლის აღება, სასაცილოდ ამგდები, მასხრად ამგდები; სიცოცხლესთან გამოთხოვება; გულზე ლახვარსობილი, ჩონჩხად ქცეული...

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა ექსპრესიული მოდელები

ა) ორკომპონენტური მოდელები:

არსებითი სახელი + ზმნა (N+V):

ქოშებსა ყრის (ჯავრობს), ქოშებს ისვრის; ფეხებს გაფშეკს, ფეხები გაჭიმა, წერილს წაიღებს; შაბზე წავა; ჭირს მოგჭამს; დღეს გაიშავებს; მიწა დაეყრება; სული გაფრთხება, სული ამოხდება; სულს გააფრთხოვს; მზე გაუქრება, სიცოცხლეს გაეყრება; სიცოცხლეს გამოეთხოვება; შხამად ამოადენს, შხამად შეარგებს, შერცხვენილს ხდის, თავსა სჭრის, სახელს უტეხს, აბრუს უტეხს, ფაფარს აიყრის, სისხლი აუჩქროლდება, სისხლი აუდუღდება, ჭკუიდან (ჭკუაზე) შეიშლება, ჭკუაზე შეირყევა, ჭკუიდან აიწევა, ტვინი (ჭკუა) შეერყევა, ჭკუას დაკარგავს, ჰოპოპებს დააფრენს, ოფოფებს (მწყრებს) დააფრენს, მასხრად აგდება, მასხრად აგდებული, თავს მოიაშრებს, დორბლი გადმოუვა, დორბლებს გადმოყრის, ლავაშივით გააპრტყელებს, კარგებისას უთავაზებს, სირცხვილში აგდებს); ცხვირში ამოადენს, თავლაფს ასხამს, გაღმა გავა;

ბ) სამ კომპონენტური მოდელები:

არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზმნა (N+ N + V): კბილს კბილზე აცემინებს, ბუნებას ვალს მისცემს, სიცოცხლის ძაფი გაუწყდება, ცრემლი ღაპალუპით სცვივა, დედის ხსენს არწყევინებს,

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ზმნა (NUM+N+V) - ორი პარასკევილა დარჩა.

ნაცვალსახელი + არსებითი სახელი + ზმნა (PRN+N+V): შენს ჭირს წაიღებს,

ზედსართავი + არსებითი სახელი + ზმნა /სახელზმნა (ADJ+N+V/ADV): უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს, თავზე კაკალს დაამტვრევს, თავზე ლაფს ისხამს, პირიდან ცეცხლს ყრის, ვირზე უკუდმა შესვამს, ვირის ბაგაზე დააბამს, პირიდან ცეცხს ისვრის, პირიდან ცეცხლს აფრქევს, პირიდან ცოფებს ყრის; სამუდამოდ დახუჭავს თვალ(ებ)ს...

გ) ოთხ კომპონენტური სინონიმური მოდელები:

არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ნაწილაკი + ზმნა (N+N+ Ptc+V): სააქაოს პირი აღარ უჩანს;

არსებითი სახელი + ზმნა + ნაცვალსახელი + არსებითი სახელი (N+V+Prn+N):
ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი;

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ზმნიზედა+ ზმნა (Num+N+Adv +V) - ერთი ფეხი სამარეში უდგას.

ქართული ენის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც გამოიყო უარყოფითი ემოციის გამომხატველი სინონიმების ექსპრესიული მოდელები. ინგლისურ ენაშიც გამოიკვეთა სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

ა) ორკომპონენტური მოდელები

N+ ADJ – stone deaf – (ქვასავით ყრუ) სრულიად ყრუ; Sup sorrow – (დარდის მოსმა/დაღევა) - მწუხარების, ჭირ-ვარამის გამოცდა, გამოვლა;

PR+ ADJ - My Honey! My dear! (ჩემო ძვირფასო!); My sweet! (ჩემო ტკბილო!) My precious! (ჩემო კარგო).

ADJ+N – **old fox** – ბებერი მელა (გაიძვერა); **Big nose** – დიდი ცხვირი- ადამიანი, რომელსაც სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა უყვარს; სულელი; **Black look** – შავი გამოხედვა- მოღუშული, ბრაზიანი გამოხედვა; **Black man** – შავი კაცი – ბოროტი სული, ეშმაკი, სატანა; **Hard cheese** – მაგარი ყველი – ცუდი ბედი; **Great reaper** – დიდი მთიბავი – ბებერი ქალი ცელით, სიკვდილი;

N + N – **Crocodile tears** – ნიანგის ცრემლები; **Jeck Adams** – (ჯეკ ადამსი) – სულელი, ვირი; **Jack Sprat** – (ჯეკ სპრეტი)- ჯუჯა, დაბალი ადამიანი; **Bird brain** – ჩიტის ტვინი.

ბ) სამკომპონენტოანი მოდელები:

ADJ+ ADJ + N – **Big bed wolf** – (დიდი ცუდი მგელი) – სახიფათო, საშინელი პიროვნება;

N + Prep + N – **Bag of bones** – (ძვლების ტომარა) – ზედმეტად გამხდარი;

N + Pr + N – **Curse one's star** – (საკუთარი ვარსკვლავის წყევლა) – საკუთარი ბედის წყევლა; **Bag of nerves** – (ნერვების ტომარა) – ძალიან შეწუხებული ან განერვიულებული;

Pr + N + N – **At death's door** – სიკვდილის კართან (როდესაც ვინმე ძალიან ცუდად გამოიყურება, შეიძლება მოკვდეს);

Pro + Adj + N – **His Sable Excellency** – მისი ბნელი/შავი უდიდებულესობა – ეშმაკი, სატანა;

გ) ოთხკომპონენტოანი მოდელი

N + Prep + Pro + N – **Heart in your boots** – გული ჩექმებში – ძალიან უბედური; ნამცეცა;

N + like+ Art.+ N – **laugh like a hyena** – ჰიენასავით სიცილი – გამკინავი სიცილი;

Conj. + Adj – conj +N – **As cold as stone** – ქვასავით ცივი- უემოციო;

დ) ხუთკომპონენტოანი მოდელი:

N+ like +art. + Adj + N – **laugh like a little Audrey** – პატარა ოდრივით სიცილი- გამკინავი სიცილი, როხროხი;

ე) ექვსკომპონენტოანი მოდელი:

Conj + adj+ conj +art+adj+N – **As crazy as a jay bird** – ჩხიკვივით სულელი – ძალიან სულელი;

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

V + N - Break leg – (მოიტეხე ფეხი) - ვინმესთვის წარმატების, იღბლის სურვილი; **Go west** – (დასავლეთით წასვლა) - მოკვდომა;

ა) სამკომპონენტური მოდელები

V+ PR+N sing./pl. -break one's neck – კისრის მოტეხვა; **VB + can't - believe one's eyes** – თვალებს ვერ ვუჯერებ;

Prep +V+N – to lose heart – (ყურების ჩამოყრა) - შეშინება;

N + Pr +N - Meet your Maker – (საკუთარ შემქმნელთან შეხვედრა) - სიკვდილი, გარდაცვალება;

ბ) ოთხკომპონენტური მოდელები

Prep +V+PRN+N – to lose one's legs – ფეხების წართმევა; **It breaks my heart** – გული მისკდება;

Artc.+ADJ+ADJ+ N – the big bed wolf – დიდი ცუდი მგელი – სახიფათო, საშინელი პიროვნება;

Artc.+ N+Prep+ADJ – The gentlemen in black – (შავებში ჩაცმული ჯენტლმენი) – ეშმაკი, სატანა;

N + V + Prep + N - Blood turned into ice - სისხლი ყინულად გადაექცა - მარღვებში სისხლი გაეყინა;

V + Art + N + adj - Be a shingle short – ერთი ყავარი აკლია – ცოტა აკლია; აფრენს;

V+N+ prep+PRN - Fling mud at somebody – ვინმესთვის ტალახის სროლა – ვინმეს შერცხვენა;

V + Prep +N/N +Adj – Have a slate/tile loose – მოშვებული/დაცურებული შიფრის ქონა – სულელი, „ცოტა აკლია“;

გ) ხუთკომპონენტური მოდელები

V+N + Prep+Prp+Prn + N – rush blood into one's cheeks - სისხლის ყელში ავარდნა;

V+PRN)+Art.+ADJ+N - give smb. a glad eye – კარგი თვალით უყურებს,

Artc.+ ADJ+N+V+Prep+PRN+N – the black dog is on one's beck - ვინმეს ზურგზე შავი ძაღლია (ნაღვლიანობა, მოწყენილობა);

V+PRN+N+Part. + N - lose one's heart to smb. – გული მისდის ვინმეზე; give one's heart to smb. – გულის მიცემა

V + prp + art + Adj+N - Be in a cold sweat - ცივ ოფლში ყოფნა (შიშისაგან) საშინელ მდგომარეობაში ყოფნა.

Adj + N + Prep + Pron + N - Bad taste in your mouth - ცუდი გემო პირში- არასასიამოვნო შთაბეჭდილება; ზოზღი.

V+PRN+Prep+Artc.+N – get it in the neck - კინწისკვრით გაგდება

დ) ექვსკომპონენტიანი მოდელები

V+PRN+N+Prep+Artc.+Npl - have one's head in the clouds – თავით ღრუბლებში დაფრინავს.

(N)+(Prep)+(N) +(Prep)+(N) +(Prep) - head over heels in love with – თავდავიწყებით შეყვარება.

უარყოფითი ემოციურ-ექსპრესიული იერის მისაღწევად ვხვდებით ადამიანის სხეულის ნაწილების გამოყენებას. სომატური ერთეულებიდან ყველაზე ხშირად მეტაფორული მეტყველებისათვის დამახასიათებელია შემდეგი არსებითი სახელების გამოყენება: გული, სული, თვალი, ენა, თმა, სახე.

დადებითი ემოციის გარდა, გულის შემცველი მეტაფორები, გვხვდება უარყოფითი ექსპრესიის გადმოსაცემადაც: გული გადაუბრუნდება, გული გადაუტრიალდება, გული გადმოუვარდება, გული გაუსკდება, გული გაუჩერდება. გვხვდება აგრეთვე სულის შემცველი სინონიმური ფარზეოლოგიზმები: შიშით სული სცვივა, სული კოჭებში გაეპარა. აგრეთვე, თვალისა და ენის შემცველი მეტაფორები: ენა წაერთმევა, ენა (მუცელში) ჩაუვარდება. უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმებში ექსპრესიულობის გასაძლიერებლად გვხვდება თმის შემცველი მეტაფორები: შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგება, თავზე თმა აებურძგლება.

აღნიშნული ჯგუფის სინონიმებში ექსპრესიულობის გასაძლიერებლად გამოყენებულია ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი მეტაფორები: შეაშინებს / ფერს უცვლის; შერცხვება / პირი გაუშავდება; წუხს / თავ-პირი ჩამოსტირის; ჯავრობს / დორბლებსა ყრის / ნაღველა უსივდება; მარცხი მოუვა / ფეხს წაიმტვრევს / ფეხს წაიტეხს; გაჯავრდება / ახტება და დახტება; შეეშინდა / კანკალმა აიტანა და სხვ.

უარყოფითი ემოციის გამომხატველ სინონიმებში ექსპრესიის გასაძლიერებლად მეტაფორებად გამოყენებულია შემდეგი სიტყვები: **ავი, მწარე, შავი, უბედური, ცეცხლი, გული, სისხლი, ყელი, ცოფი**, მაგალითად: ავყია / ავსიტყვა; ავზნიანი / უხასიათო; ავბედობა / უბედურება; ავი / გულბოროტი; გული ეტკინება / გული დაეთუთქება; გულდარდიანი / გულჯავრიანი; უიმედო / გულგატეხილი / გულნატკენი / გულზე ლახვარსობილი; გაჯავრდება / გაცეცხლდება / გაცოფდება; ბედშავი / შავბედითი / შავსვიანი/ სვებნელი / შავბედიანი/უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული;

უარყოფითი ემოციის გამოხატვის ერთ-ერთ ძლიერ ექსპრესიულ სახეს წარმოადგენს წყევლა. თუ უარყოფითი ემოციის (სიძულვილი, ზიზღი, ბრაზი და ა.შ.) გამომხატველი სიტყვებით მიმართვა გამოიყენება დამცირების მიზნით, წყევლა უბედურების სურვებაა, რომელსაც ისევე, როგორც დალოცვას, მაგიის დანიშნულება ჰქონდა. მრავალფეროვანია წყევლის ფორმულები, რომელთა ანალიზი ბევრ ეროვნულ-სპეციფიკურ ნიშანს ავლენს, რითაც დასტურდება ამგვარი ენობრივი მასალის ლინგვოკულტუროლოგიური მნიშვნელობა.

წყევლა შოკის მომგვრელია, ბადებს შიშს, იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას, რადგან აგრესია, რომელიც სიტყვიერად არის მატერიალიზებული, თითქოს იმ უბედურების მომტანია, რომელსაც ადრესატი უსურვებს მას.

საინტერესო სურათს გვაძლევს ექსპრესიული ზოონიმები და ზოომორფიზმები. შევეცადეთ გამოგვევლინა ზოონიმებისა და ზოომორფიზმების ხმარებისას გადატანით ექსპრესიულ მნიშვნელობათა წარმოქმნასთან დაკავშირებული კანონზომიერებანი და თავისებურებანი. როგორც ავაქოვა აღნიშნავს (ავაქოვა 1993)ი?, ზოონიმებისა და ზოომორფიზმების არჩევა განპირობებულია იმით, რომ მათში ყველაზე ნათლადაა წარმოდგენილი ყველა კატეგორია, კომპონენტი და ნიშან-თვისება, რომლებიც აუცილებელია კონოტაციური მნიშვნელობის შესაქმნელად. ემოციურობის, ექსპრესიულობის, შეფასებითობის კატეგორიები, ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ხატოვანება და ინტენსიურობა და ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა მოტივირება და ასოცირება. ექსპრესიულ ზოონიმებსა და ზოომორფიზმებში ყოველთვის სახეზეა ხატოვანება, რასაც ხშირად თან ახლავს ინტენსიურობა. ისინი ყოველთვის გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას მინიშნებული რეალიისადმი და თითქმის ყოველთვის - მის შეფასებას. თითქმის ყველა ზოონიმს შეუძლია გამოვიდეს ზოომორფიზმების

ფუნქციით, ე.ი. ადამიანის, მისი გარეგნობის, შინაგანი თვისებისა და ქცევის დახასიათების გამოხატვის ფუნქციით. ზოონიმებისა და ზოომორფიზმების საფუძველზე იქმნება მყარ სიტყვათშეთანხმებათა, ფრაზეოლოგიური და შედარებითი კონსტრუქციების გამოთქმების ექსპრესიული ფუნქცია.

სინონიმურ ლექსიკაში უარყოფითი ემოციურ-ექსპრესიული იერის გასაძლიერებლად ვხვდებით ისეთი ზოონიმური სახელების გამოყენებას, როგორიცაა: **გველი** - ბოროტი ადამიანის სინონიმად; **ვირი/ჯორი** - ჯიუტი, შეუზნებელი ადამიანის აღსანიშნად; **მგელი** - ბოროტი, სასტიკი, ადამიანის მიმართ; **დათვი** - მოუხეშავი, ტლანქი ადამიანის მისამართით; **ბატი** - უჭკუო, დაბნეული ადამიანის აღსანიშნად; **ცხენი** - ტლანქი, უხეში ქალის მიმართ, რაც ზოონიმურია. მაგალითად, ცხენი - მსხვილფეხა შინაური ცხოველი, თავის ნომინაციურ მნიშვნელობასთან ერთად მოცემული ზოონიმი ზოონიმის ექსპრესიულ ფუნქციაში იხმარება ტანსრული, მოუქნელი ქალის აღსანიშნავად. შედარებაში ცხენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძლიერი, ხმამაღალი სიცილის აღსანიშნავადაც: **ცხენივით ჭიხვინებს**.

ასევე ვხვდებით ზღაპრულ-მითოლოგიური შინაარსის პერსონაჟის აღმნიშვნელი სიტყვების - **კუდიანი, ეშმაკის ფეხი, ჭინკა** - გამოყენებას.

კუდიანი - ქართულ მითოლოგიაში უკავშირდება მოხუც, ბოროტ ქალს, რომელსაც შემზარავი სახე და კუდი აქვს. მას ნებისმიერ არსებად გადაქცევა და ადამიანის მოჯადოება შეუძლია. კუდი სიმბოლურად განასახიერებს ფიზიკურ სიმახინჯეს და მკვეთრ კონტრასტს ქმნის სიკეთესა და მშვენიერების კონცეპტებთან მიმართებაში. **ეშმაკის ფეხი** - ითქმის ბოროტი, ეშმაკი ხასიათისა და ქცევის ადამიანზე, **ჭინკა** - წარმოდგენილი ჰყავდათ ავ, მავნე პატარა არსებად, დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმებში კი აღნიშნული სიტყვები (ეშმაკის ფეხი, ჭინკა) მეტაფორულია და ცელქ, ცქვიტ, მოხერხებულ ბავშვზე ითქმის.

3.5. სინონიმთა ექსპრესიული გრადაცია და მისი მიღწევის საშუალებები

ტერმინი „გრადაცია“ ლათინური სიტყვიდან (Gradation) მომდინარეობს და გულისხმობს ნაბიჯის ზრდას, ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლას,

გაძლიერებას, ზეასვლას (www.nplg.gov.ge/gwdict/index). გრადაციის სინონიმია კლიმაქსი, რომელიც ბერძნულად კიბეს ნიშნავს და ერთ სუბიექტთან დაკავშირებული აზრის თანმიმდევრულად გაზრდას გამოხატავს (გვენცაძე ალ. 1974:74).

სინონიმთა ექსპრესიულობის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ინტენსიურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის ზრდას ან შემცირებას. გრადაციის დროს მიმდინარეობს ემოციურობის თანდათან ამაღლება ან, პირიქით, შესუსტება, რომლის დროს სინონიმები ისეა განლაგებული, რომ ყოველი მომდევნო სიტყვის შინაარსი წინამდებარეზეა დამოკიდებული, „მისგან გამომდინარეობს და ასე გრძელდება მანამ, ვიდრე არ დასრულდება წინადადება ან სიტყვა“ (სანიკიძე თ. 1999:103). სინონიმებში გრადაცია ვლინდება მხატვრული სიტყვის გამომხატველობით საშუალებათა თანდათანობით აზრობრივ თუ ემოციურ გაძლიერებასა ან/და შესუსტებაში. მაგალითად:

აქებს / ადიდებს / განადიდებს / აქებ-ადიდებს / ხოტბას ასხამს;

აღეგზნება / აენტება / იფეთქებს / ფაფარს აიყრის / სისხლი აუჩქროლდება / სისხლი აუდუღდება და ა.შ.

სინონიმთა ექსპრესიულობასთან მიმართებით ჩნდება კითხვა: განირჩევიან თუ არა მეტყველების ნაწილები ექსპრესიულობის თვალსაზრისით? რომელს უკავია მათ შორის უპირველესი ადგილი?

აღსანიშნავია, რომ სინონიმთა ექსპრესიულობას მრავალი მომენტი განსაზღვრავს. ელენე კოშორიძის თქმით, „რთულია ჩვენება იმისა, თუ რომელიმე სიტყვა „უბრალო“ და „ჩვეულებრივი“, როგორ იტვირთება გრძნობითი ელფერით; ერთ შეხამებაში შეუმჩნეველი, მეორეში გამომსახველობითი ძალის მქონეა“ (კოშორიძე ე. 2005:131).

სინონიმთა ექსპრესიული გრადაციის მიღწევის საშუალებებზე საუბრის დროს მხედველობაში გვაქვს როგორც გრამატიკული, ისე - სტილისტიკური საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სინონიმები აღწევენ ექსპრესიულ გრადაციას. ფონეტიკურ და მორფოლოგიურ საშუალებებთან ერთად, სინონიმთა ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას ლექსიკო-სემანტიკური დონე წარმოადგენს. მაგ.: გამოვა / გამოხვანხვალდება / გამოლასლასდება / გამოფანფალდება / გამოზოზინდება; ალელდება / ამლელვარდება / აზობოქრდება / აზვირთდება; გათავხედდება / გაკადნიერდება / თავს აიშვებს / თავს აიწყვეტს და სხვ. სემანტიკური გამოხატვის დროს აღვიქვამთ აზრს,

შინაარსს, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ, რა საშუალებებით არის აზრი გადმოცემული.

რაც მეტია სინონიმურ ლექსიკაში სტილისტიკური ხერხები, მით მეტი ემოცია და ექსპრესია გროვდება. სწორედ სტილისტიკური საშუალებების გამოყენებით ხდება ექსპრესიულობის გაძლიერება გრამატიკული საშუალებებიდან ლექსიკურ დონეზე.

სინონიმებს ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალება ანიჭებს. ნეიტრალურ სინონიმურ სიტყვებთან შედარებით ექსპრესიულად შეფერილი მნიშვნელობა, კერძოდ, კონოტაციური სემანტიკის მქონე სიტყვა, უფრო რთულ აზრობრივ სტრუქტურას ქმნის. გრადაციის ნიმუშები ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად გადმოსცემენ ემოციას აღმავალი თუ დაღმავალი მიმართულებით და აღწევენ კულმინაციას. სინონიმურ რიგში უფრო მეტად გვაინტერესებს სტილისტური სინონიმები, როგორც უფრო მეტი კონოტაციის მატარებლები, რადგანაც „დენოტაციური მნიშვნელობის მიღმა რჩება ენის შინაარსობრივი მხარის უზარმაზარი ექსპრესიულ-ემოციური ასპექტი, რის გარეშეც არც ერთი ცოცხალი ენა არ არსებობს და რის გარეშეც გაურკვეველი დარჩებოდა სინონიმთა განმასხვავებელი ნიშნები. ამგვარი დამატებითი მნიშვნელობები განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სხვადასხვა ფორმის ერთი და იმავე დენოტაციური მნიშვნელობის შემთხვევაში. ფორმათა მნიშვნელობის სწორედ ამ ასპექტს განიხილავს შენდელსი, როგორც კონოტაციურს. მისი განმარტებით, კონოტაცია გულისხმობს სხვადასხვა სახის სუბიექტურ შრეებს - გარკვეულ მნიშვნელობათა ექსპრესიულობას და ინტენსიფიკაციას, გრამატიკულ ხატოვანებას (მეტაფორულობას), ემოციურ ეფექტს და ა. შ. (ნიჟარაძე, 2005:191).

ენაში არსებობს სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალება, რომელიც სიტყვას ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს ანიჭებს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს ტროპი. „ტროპული მეტყველების ნიმუშები - მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა... სინონიმურ ლექსიკას ემოციით ავსებს“ (გელდიაშვილი 2013:10). ტროპული მეტყველება სინონიმებს ხატოვანებას სძენს, რის შედეგადაც სიტყვის ექსპრესიულობა მატულობს.

ყოველი ენა მდიდარია ტროპებით, რომლებშიც მოცემულია კოგნიტური, ხატოვანი და შემფასებლური ფუნქციები (Телия, 1986:22). ტროპების სიტყვაკაზმულობა მნიშვნელოვანია არა მარტო ცნებათა გადატანით, არამედ ხატოვანი სიტყვიერებითაც, სადაც ხატოვანება თითქმის მთლიანად გარდაისახება ცნებებად (ბახტაძე 2010:173). მაგ.:

გაჯავრებული / გაბრაზ(იან)ებული / განრისხებული / გამძვინვარებული / გამხეცებული / გააფთრებული / გაცოფებული / გამგელბებული / გამეხებული / პირგამეხებული / გულგამეხებული; გიჟი / შმაგი / შლეგი / კრამიტბაძოჩებული; გულნატკენი / გულდაკოდილი / გულზე ლახვარსობილი; გამხდარი / გამვალტყავებული / მვალტყავადტყეული / ხორცდაყრილი / ჩონჩხა(რა) და ა.შ.

ტროპების შესწავლას საფუძველი ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა. მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს თქმით, „ტროპი არის სიტყვის ან სიტყვიერი გამოთქმის საკუთარი მნიშვნელობის შეცვლა მეორეთი, რომლითაც ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“ (Античные теории языка и стиля 1936:215). ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში ტროპი განმარტებულია, როგორც „სახელწოდების სტილისტიკური გადატანა, სიტყვის ხმარება გადატანითი (არაპირდაპირი) მნიშვნელობით დიდი მხატვრული გამომეტყველების მიზნით“ (Ахманова О. 1966). გამოყოფენ ტროპის რამდენიმე სახეს: მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოქა, სიმბოლო, ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა და ა.შ.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სხვადასხვა კონსტრუქციით მიღებული სინონიმთა და სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთა მოდელები სემანტიკურად მრავალფეროვანია. როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი გრადაცია მიიღწევა, როგორც აბსტრაქტულ სახელთა, ისე ზედსართავისა თუ მიმღეობის მაწარმოებლების, თანდებულებისა თუ ზმნისწინების გამოყენებით. მაგ.: ხალისი / სიხალისე / ხალისიანობა;

ანცი / ცელქი; ანცობა / ცელქობა;

ანცობს / ცელქობს;

ლაპარაკი / ტიტინი / ტიკტიკი / ლიკლიკი / ჭუკჭუკი;

სიცილი / კისკისი / სიცილ-კისკისი;

გაღიმებული / პირგაღიმებული / პირმომღიმარი / სახემომღიმარი;

გაცინებული / მოცინარი / პირმოცინარი / პირმომცინარე / აკისკისებული / ახითხითებული / ახარხარებული;

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული / ბედნიერ ვარსკვლავზე ამდგარი;

სიხარულით ცას(ა) სწვდება;

გაიძვერობა / გველაძეობა / გველობა / ქვეშქვეშობა / ქვებუდანობა;

დასაწყევლი / დასაკრულავი / შესაჩვენებელი;

ზარმაცი / მცონარა / უსაქმური / ნაცარქექია;

გაქალაქუნებული / გადიაცებული / გადედლებული და ა.შ.

მათი გამოყენებით სინონიმები გამოხატავენ ამა თუ იმ ემოციას და აძლიერებენ ექსპრესიას.

ამგვარი სიტყვების გამოყენებით სინონიმები გამოხატავენ ექსპრესიას ლექსიკო-სემანტიკურ დონეზე, ხოლო სიტყვათშეთანხმებებისა და კომპოზიტების წყალობით აღწევენ გრადაციას.

გრადაცია, როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი, სინონიმთა ექსპრესიულობის გამოვლინების საუკეთესო საშუალებაა.

აღსანიშნავია, რომ ექსპრესიულობით განსაკუთრებით გამოირჩევა ის სინონიმური ჯგუფები, რომლებშიც ვხვდებით კომპოზიტებს და ფრაზეოლოგიზმებს, მაგალითად: უხარია / ხარობს / სიხარულით ფეხზე აღარ (ველარ) დგას / სიხარულით ცას სწვდება;

აღფრთოვანება / მოჯადოება / გრძნობისმორევა / თვალისწარტაცება;

ლამაზი / პირლამაზი / პირმზიანი / მშვენიერი / პირმშვენიერი / მწყაზარი / პირმწყაზარი / პირწყლიანი / კალმითნახატი / ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი / მზეთუნახავი;

ლამაზი / კოხტა / მშვენიერი / კალმით ნახატი / ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი / მზეთუნახავი;

ქება / ქებათა ქება / დიდება / ქება-დიდება / ხოტბა / გადიდება / შემკობა / ხოტბის შესხმა;

ქებული / შექებული / ნაქები / განდიდებული / შემკობილი / შემკული;

აქებს / ადიდებს / განადიდებს / აქებ-ადიდებს / ხოტბას ასხამს / ცამდე აჰყავს;

გამხიარულდება / მოილხენს / მოიქეიფიანებს;

ეაღერება / ეფერება / ესიყვარულება / თავზე ხელს უსვამს;

გაიცინებს / აკისკისდება / ახითხითდება / ახარხარდება;

გაღიმებული / პირგაღიმებული / სახეგაღიმებული და სხვ.

წარმოდგენილი სინონიმური ნიმუშები აღმავალი გრადაციის მაჩვენებელია. შემდეგი ნიმუშები კი დაღმავალი გრადაციით ხასიათდება:

სირცხვილი / შერცხვენა / თავისმოჭრა;

ტირის / ქვითინებს / სლუკუნებს / ფშლუკუნებს / იცრემლება / ცრემლადიღვრება / ცრემლი ღაპაღუპით სცვივა;

ლაპარაკი / ჩიფჩიფი / ბუტბუტი / ჯუჯღუნა;

ლაშლაში / ქაქანი / ყაყანი;

სიმძულვარე /მძულვარება /შემძულება /ძულვა /ღვარძლი / შემაგება /ზიზღი / შეზიზღება
 /ჯავრება /თვალის დასანახავად ეჯავრება;
 აყვირდება /აკივლდება /აწივლდება /აყივლდება /აჩხავლდება /აბღავლდება
 /აღრივლდება /აღმუვლდება /აყმუვლდება;
 აშინებს / აკრთობს / აფრთხობს /აფეთებს / ზარავს / თავზარს(ა) სცემს / ელეთმელეთს
 ჰგვრის / ანგელოზებს უფრთხობს / გულს უხეთქავს;
 გიჟი /დამთხვეული / კრამიტებადმოჩეხული / სულით ავადმყოფი;
 ღარიბი / რატაკი / ღარიბ-ღატაკი / ხელმოკლე / გაჭირვებული / არაფრის მქონე /
 უქონელი / უპოვარი / ჯიბეგახვრეტილი / ჯიბეგაფხეკილი / ჯიბემსუბუქი / გუდამშიერი
 / კონკიაჟრარუნე; ღვარძლიანი / გულღვარძლიანი / გესლიანი;
 შერცხვენილი / სირცხვილნაჭამი / თავლაფიანი / თავლაფდასხმული / თავმოჭრილი /
 ქუდმოხდილი (კაცი) / ლეჩაქმოხდილი (ქალი) / ჩიქილამოხდილი;
 შურიანი / მოშურნე / თვალბოროტი / თვალმანკიერი;
 წიხლს ჰკრავს / წიხლს არტყამს / წიხლს ესვრის / წიხლს დააზელს / წიხლს მიაზელს /
 წიხლს ჩააზელს;
 გაკვირვებული / გაოცებული/ სახტად დარჩენილი;
 გულნატკენი / გულდაკოდილი / გულზე ლახვარსობილი და ა.შ.

ჩვენ მიერ მოყვანილ სინონიმთა გრადაციის აღმავალ ნიმუშებს უშუალოდ მოსდევს
 დაღმავალი გრადაცია. დაღმავალი გრადაციის შექმნაში გამოიყენება, როგორც
 უარყოფითი ნაწილაკები, უქონლობის ფორმები, ასევე ტროპული მეტყველება. მაგ.:
 სასიკვდილე / არდასაცალებელი / არგასაზრდელი;

არასაქებ(არ)ი / არასაქებური / არასასახელო;

ულამაზო / უთვალადო / უმწო / უსახური / ულაზათო / ჯოჯო / ჯოჯოხეთის
 მაშხალა / ეშმაკების მაშხალა;

დაუნდობელი / უმოწყალო;

უნამუსო / უსინდისო;

უსირცხვილო / უკდემო;

უუნარო / უმწო; უნდობელი / უნდო;

უპატიოსნო / უსინდისო;

უწესო / უწესიერო / უსაქციელო;

უხასიათო / უზნეო და ა.შ.

რაც შეეხება ქართულ ენაში სინონიმთა ექსპრესიულ გამოვლენას, იგი შესაძლებელია ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ დონეზე. ფონეტიკურ დონეზე ვლინდება სიტყვის ბგერათა განზრახ დამახინჯებაში; მორფემულ დონეზე თანაეფარდება სიტყვათწარმოების პროცესს: ექსპრესიული საშუალებები იქმნება არსებული სიტყვათწარმომქმნელი მოდელების ბაზაზე. სემანტიკურ დონეზე განპირობებულია წარმოებულობით: სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის არსებობა წარმოადგენს სიგნალს მისი ექსპრესიულობის არსებობის შესახებ. სინონიმთა ექსპრესიული გადატანის სემანტიკურ ფაქტორს წარმოადგენს შესაპირისპირებელი საგნების საერთო ნიშნების გამოვლენა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სინონიმთა ექსპრესიულობის წარმოსაქმნელად წარმოადგენს ხატოვანება. სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც ხატოვანი გააზრების შედეგად არის წარმოქმნილი, სემანტიკური სტრუქტურის ორპლანიანობა ახასიათებთ: მათთვის დამახასიათებელია სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობა. სწორედ სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობის შეპირისპირების შედეგად დასტურდება სინონიმთა ხატოვანება. ნაზარიანი მიიჩნევს, რომ „ხატოვანება, რომელიც მეტონომიურ და მეტაფორულ გადააზრებას წარმოადგენს მეტონომიური და მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების შექმნისაკენ მივყავართ“ (ნაზარიანი 1974:171).

მეტაფორული ხატოვანება წარმოიქმნება სინამდვილის საგანთა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე. ხატოვანების კატეგორიასთან ერთად სინონიმთა ექსპრესიულობის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ინტენსიურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის ზრდას ან შემცირებას.

სინონიმთა მთელი ექსპრესიული ლექსიკა, ავაქოვას კლასიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: ექსპრესიული სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ინტენსიურობის კატეგორიას კონოტაციური ელემენტის სახით და რომლებიც ინტენსიურობის გავლენით ქმნიან ექსპრესიულობას (ჰამა-შესანსვლა); ექსპრესიული სიტყვები, რომლებიც კონოტაციურ ელემენტებად შეიცავენ ინტენსიურობისა და ხატოვანების კატეგორიებს (ჰამა, ხეთქვა, განადგურება); ექსპრესიული სიტყვები,

რომლებიც შეიცავენ კონოტაციური ელემენტების სახით მხოლოდ ხატოვანების კატეგორიას (ფაფარაყრილი, ფაფარაშლილი).

ხატოვანება, ინტენსიურობა, მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე, ემოციურობისა და შეფასებითობის კატეგორიები, სინონიმების გარდა ასახვას ჰპოვებს ფრაზეოლოგიზმებში.

სინონიმთა ექსპრესიულობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მეტყველების ისეთ ერთეულებში, როგორიცაა ფრაზეოლოგიზმები და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები. ექსპრესიულობა წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას.

რაც შეეხება სინონიმთა ექსპრესიული გრადაციის მიღწევის საშუალებებს, მხედველობაში გვაქვს როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სინონიმები აღწევენ ექსპრესიულ გრადაციას. ფონეტიკურ და მორფოლოგიურ საშუალებებთან ერთად, სინონიმთა ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას ლექსიკო-სემანტიკური დონე წარმოადგენს. სემანტიკური გამოხატვის დროს აღვიქვამთ აზრს, შინაარსს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ, რა საშუალებებით არის აზრი გადმოცემული.

ამრიგად, რაც მეტია სინონიმურ ლექსიკაში სტილისტიკური ხერხები, მით მეტი ემოცია და ექსპრესია გროვდება. სწორედ სტილისტიკური საშუალებების გამოყენებით ხდება ექსპრესიულობის გაძლიერება გრამატიკული საშუალებებიდან ლექსიკურ დონეზე.

ემოციების სიღრმით სინონიმები მსჯელობისათვის დიდ მასალას იძლევა, რასაც ხელს უწყობს ქართულისთვის დამახასიათებელი კომპოზიტთა სიღრმე, დახვეწილობა და ფრაზეოლოგიზმთა უჩვეულო გრადაცია.

წარმოდგენილი მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდია გრადაციის როლი სინონიმთა ექსპრესიის გამოვლინებაში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ექსპრესიის გამოხატვა ხდება არა ერთი რომელიმე კონკრეტული ენობრივი საშუალების გამოყენებით, არამედ მის გამოვლენას ხელს უწყობს როგორც ფონეტიკურ-მორფოლოგიური, ისე სტილისტიკური საშუალებები. სიტყვაწარმოება, კომპოზიციასთან და ტროპულ მეტყველებასთან ერთად სინონიმთა ექსპრესიული გრადაციის გამოვლენის საშუალებებს წარმოადგენს. სინონიმური რიგის სიტყვების გამოყენებით იქმნება

ერთგავრი გარემო, რომელიც საბოლოოდ სინონიმებში ექსპრესიული გრადაციის გამოხატვას ემსახურება.

ექსპრესიული გრადაციის შექმნაში მნიშვნელოვანია დადებითი და უარყოფითი ემოციით გაჯერებული სინონიმების როლი, რომლებიც ნეიტრალური სიტყვებიდან სხვადასხვა მაწარმოებლის დართვით, კომპოზიციის წყალობით თუ სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთა გამოყენებით აღწევენ გრადაციას. სწორედ მათი გამოყენებით იქმნება ის ძლიერი ემოციურობა, რომელიც თითოეულ ჩვენგანში დადებითი ან უარყოფითი ფორმით ვლინდება.

თავი IV

სინონიმები თანამედროვე დისკურსში

4.1. სინონიმთა მოხმარების აქტუალობა თანამედროვეთა დისკურსში და მათი სტილისტიკური ფუნქციები

მოცემულ თავში შევეცადეთ ისეთი საკითხის განხილვას, როგორიცაა: სინონიმების მოხმარების აქტუალობა თანამედროვეობაში, კერძოდ, თანამედროვეთა დისკურსში და მათი სტილისტიკური ფუნქცია. ტრადიციულად ცნობილია 1. სამეცნიერო სტილი; 2. ოფიციალურ-საქმიანი სტილი; 3. პუბლიცისტური სტილი; 4. საყოფაცხოვრებო სამეტყველო სტილი და 5. მხატვრულ-ბელეტრისტული სტილი. ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია.

აღსანიშნავია, რომ სინონიმების გამოყენებას ნებისმიერ სტილში ვხვდებით, მაგრამ განსხვავებულია მათი მოხმარების სიხშირე. სინონიმებისა და ფრაზეოლოგიზმების მრავლად გამოყენება სასურველია მხატვრულ-ბელეტრისტულ და საყოფაცხოვრებო-სამეტყველო სტილში, რითაც მაღლდება მათი მხატვრულობა, ექსპრესიულობა, ხოლო, ისინი სასურველია, შეზღუდულად იქნეს წარმოდგენილი სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიან სტილში.

სინონიმთა სტილისტიკური ფუნქცია გულისხმობს შემოქმედებით პროცესს, რომელიც ენობრივ არჩევანს ეფუძნება სტილის სრულყოფისა და სასურველი გამომსახველობითი საშუალების მისაგნებად. არჩევანის შესაძლებლობაში კი მოიაზრება სინონიმების არსებობა (არაბული ა. 2006:219)..

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სინონიმური ერთეულები, მსგავსების მიუხედავად, ერმანეთისაგან განსხვავდებიან მნიშვნელობის ნიუანსებით. ნებისმიერი შემოქმედის ოსტატობა იმაში ვლინდება, „თუ რამდენად ზუსტად მიაგნებს იგი კონტექსტისათვის აუცილებელ ამ ნიუანსობრივ მნიშვნელობას და როგორ ორგანულად შეუხამებს მას მთლიან სათქმელს“ (არაბული ა. 2006:219).

სინონიმების სტილისტიკური ფუნქციის დროს ყურადღება მახვილდება ძირითადად არაზუსტ, სტილისტურ სინონიმებზე, რომელთა გამოყენების დროს ვლინდება შემოქმედის მიერ ენის გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოყენების ოსტატობა და ცოდნის დონე. ამრიგად, სინონიმების გამოყენებით ტექსტი იძენს გამომსახველობით ძალას, მაღლდება ექსპრესიულობა.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი კონკრეტულად ქართულ ინტერნეტსივრცეში არსებული სინონიმების ენობრივი გამოხატვის საშუალებების განხილვაა. დავაკვირდით, რომელი ლექსიკური ერთეულები გამოიყენება ქართულში არსებული დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების სინონიმებად, როგორ ხდება ექსპრესიის გამოვლენა. რამდენად მდიდარია ახალგაზრდების ლექსიკური მარაგი, რამდენად კარგად და თავისუფლად ფლობენ მას და რამდენად სწორად უნაცვლებენ სინონიმურ ერთეულებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საანალიზო წყაროდ შევარჩიეთ ინტერნეტსივრცე, კერძოდ, „facebook“-ი, ყურადღება ძირითადად გავამახვილეთ ოფიციალურ-საქმიანსა და საყოფაცხოვრებო-სამეტყველო სტილზე. განვიხილეთ საინფორმაციო ცნობები, ჩატარებული კონფერენციების, სიმპოზიუმების, სესიის, პრეზენტაციის შესახებდა ა.შ. სოციალურ ქსელზე დაყრდნობით შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, აღგვერიცხა და გაგვეანალიზებინა ყველა ის ენობრივი საშუალება, რომლითაც ინტერნეტ მომხმარებელი გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით ემოციას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის დროთა განმავლობაში ვითარდება, რაც აისახება კიდევ ლექსიკის ცვლაში - ხმარებიდან გადის ძველი სიტყვები და ფორმები, შემოდის ახალი. ცვლილება ენაში დამოკიდებულია ისტორიულ ვითარებაზე, იმაზე, თუ რომელი სახელმწიფოსა და ენის გავლენას განიცდის.

ნებისმიერ ენაში მუდმივად ხდება უცხო სიტყვების შემოღინება, რომელსაც ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე არსებული რეალობა და ახალი ცოდნის შემოტანა განაპირობებს, რასაც თან ახლავს ახალი ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი სიტყვების შემოსვლა.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ახალ სიტყვებს წარმოშობს კულტურის, მეცნიერების, ეკონომიკის, ტექნიკის განვითარება. ახალი სიტყვები და გამოთქმები ჩნდება სხვადასხვა ენის მცოდნე ადამიანთა აქტიური კავშირებით. კულტურა სწრაფი ტემპით განიცდის ცვლილებას, შესაბამისად, იცვლება კულტურის ამსახველი ლექსიკაც. ნაკლებად განიცდის ცვლილებას ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, უმნიშვნელოდ - ენის სემანტიკური ველები.

ახალი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სესხებისათვის საკმარისია მინიმალური კონტაქტი ენათა შორის, რათა მოხდეს სიტყვის სესხება. ცნობილია სიტყვათა სესხების ორი გზა: 1. როდესაც ნასესხები სიტყვები თავისუფალ ადგილს იკავებენ მსესხებელ ენაში; 2. როდესაც სინონიმურ წყვილებს ქმნიან მსესხებელი ენის სიტყვებთან (ფოჩხუა 1974:233).

ყოველი ენა ლექსიკის გამდიდრების საკუთარ საშუალებებს იყენებს, მათ შორისაა ქართულიც, რომლისთვისაც ლექსიკის გამდიდრების ძირითად საშუალებას წარმოადგენს: სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. აღნიშნულ საშუალებას ქართული იყენებდა მთელი არსებობის მანძილზე და იყენებს დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ნასესხები სიტყვები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, იგი რაოდენობრივად ცოტაა და ენის ლექსიკური მარაგის მხოლოდ მცირე პროცენტს შეადგენს (ფოჩხუა, 1974:205).

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ასობით ნასესხები სიტყვა შეეთვისა ქართული ენის ლექსიკურ ფონდს და დროთა განმავლობაში გახდა მისი ორგანული ნაწილი, რადგან ქართული ნასესხებ სიტყვებს საკუთარ სტრუქტურულ-სემანტიკურ ნორმებში აქცევდა.

სესხება თავდაპირველად ცალკეული პიროვნების ან პიროვნებების მიერ ხდება, რომელიც შემდეგ ვრცელდება მსესხებელ ენაში და გარკვეული ჯგუფის, ხოლო შემდეგ მთელი კოლექტივის საკუთრებად იქცევა.

დღეს, გლობალიზაციის პირობებში, თითქმის არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკურ მარაგში გარკვეული ადგილი არ ეჭიროს ინგლისური ენიდან შემოსულ სიტყვებს. როგორც ცნობილია, ერთი ენიდან მეორე ენაში სიტყვათა შემოსვლას, სესხებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. არსებული ენებისათვის იგი ბუნებრივი პროცესია, რომლის გამოყენებასაც ზოგი ენა მეტად, ზოგი ნაკლებად მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ სტილისტიკურ შესაძლებლობად უნდა ჩაითვალოს ყველაფერი, რაც ჩვეულებრივი ანუ პირდაპირი დანიშნულებისა არაა, ე.ი. განსაკუთრებული შესაძლებლობაა. განსაკუთრებულ შესაძლებლობად უნდა მივიჩნიოთ სინონიმია. მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს შესწევს უნარი, გადმოსცეს სათქმელი, მაგრამ ამას ყველა თავისებურად ახერხებს.

შევისწავლეთ ინტერნეტსივრცეში მოპოვებული კომენტარები, რომელიც სხვადასხვა ასაკის მომხმარებლის მიერ იყო გამოყენებული. დაკვირვების შედეგად შევნიშნეთ, რომ ქართულ ენაში ყოველდღიურად ახალი სიტყვა ჩდება. ინტერნეტსივრცეში ემოციის ენობრივი გამომხატველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია.

დადებითი ემოციის გამოსახატად გამოყენებულია მიმართვის ფორმები, რომელითაც გადმოცემულია: **ალერსი, სითბო, სიყვარული, მონატრება, შექება, მილოცვა, დალოცვა, თანაგრძნობა, მადლიერება.** მაგალითად:

ალერსი/სითბო/სიყვარული: მიყვარხარ, როგორ მიყვარხართ, მსიამოვნებს თქვენთან ურთიერთობა ♥♥♥; სიცოცხლე ხარ ბებო შენ; გაკოცე; Sayvarleboooo (საყვარლებოოო); ბიგოო მომენატრე; ვაი შემოგვევლე ჩემო საყვარელო; Giji gadareuliii gogoo vinario netavioooo; ჩემოოო ტკბილოოო.... ჩემი ტკბილი და თბილიიი ♥♥♥♥♥ ჩემი კუდრაქა და საყვარელი გოგო♥♥; ოდა ახლა ვიღიმები და ვიღიმებიიი :D (და ბევრი ბევრი კოცნის ღიმილაკები...) და სხვ.

შექება: რა კარგია ეგ ოხერი ბიჭი; გილოცაავთ! Sagol muhbed; Martla sicocxleeeeeee; Sayvareli; ნაის როგორც ვხედავ რჩევას ითვალისწინებ; გილოცავთ ყველას, ულაიქო ვარ და ვერ დაგილაიქეთ; Maladeeec, yochaaaaax, braaaaaaavoioooo... mixaria!!! მადლობა ყველას ვინც შენს ნიჭს შენს, შენს ცოდნას და კარგ ადამიანობას ასე აფასებენ, მიყვარხარ და მემამყები.; ლიკუუუუუშ, რა ხუმარა ხარ გენაცვალეეე; დაუნდობელო და ულამაზესო შეუდარებელი ხარ ♥♥♥♥♥ ლი სუპერ.♥♥♥; ჩემი ლამაზი და დახატული მული ხარ ♥♥♥ ჩემი ტკბილი და თბილიიი....

მილოცვა, დალოცვა: დილა მშვიდობისა დილა სიკეთისა დილა ჯანმრთელობისა....მიყვარხართ და ყოველი პოსტის მერე უფრო და უფრო მიყვარდებით; მადლობა, გაიხარეთ გილოცავთ დღევანდელი დღის მადლი გფარავდეთ; იხარეთ და

იბედნიერეთ თქვენს ოჯახებთან ერთად! უამრავი სიკეთე და ღვთის წყალობა თქვენ მამო, ზუსტი შეფასება მისცა პირველ პრეზიდენტს, გაიხაროს ამ კაცმა; გილოცავ, მეყოლე!!! მიყვარხარ ჩემო გოგო; Daglocot yfalma; დიდხსნს სიცოცხლეს და დღე მზიანობას გისურვებთ,თქვენს მეგობრებთან ერთად. როგორ ახერხებთ, ბატონო არსენ, ასე აადელვოთ და მონუსხოთ მკითხველი? მოშენდით და მომრავლდით მამაო გეხაროთ თქვენს მონაგარში; გილოცავთ, ასეთი სილამაზე და სიუხვე ფერთა, ბედნიერება თქვენ!!და ა.შ.

კნინობით-ალერსობითი კონოტაციის მქონე ნიშნები, რომელიც სიტყვას დადებით ემოციურ შეფერილობას აძლევს: გაიხარე ეკაკო; Lamazuna (ლამაზუნა); Genacvalet chemo gogoshkeboo (გერნაცვალეთ ჩემო გოგოშკებო); რა საყვარელია ეს პაწია; chemi lamazukebi (ჩემი ლამაზუკები); Chemi gochunebi (ჩემი გოჭუნები);

ჩვენ მეორე თვში ვსაუბრობდით სინონიმთა ექსპრესიული გამოხატვის საშუალებებზე და აღვნიშნეთ, რომ ერთ-ერთ საშუალებას ფონეტიკური დონე წარმოადგენს, რომელიც სიტყვების განზრახ დამახინჯებაში ვლინდება. აღნიშნულის დადასრურებას წარმოადგენს შემდეგი მაგალითები: Sada cavida dediko mogenatlaaa; mikarqaaart... მამის უყვარხარ გულში; სიკალულოოო; ვაი, რა საკალელიაა...

ადამიანის გარეგნული მომხიზვლელობის გამოსახატად გავრცელებულია შემდეგი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მიმართვები, რომელიც გამოხატავს შედარებას და ქმნის დადებით ემოციას: ამომავალი მზე; Daxatuli gogo... ვარსკვლავი; Mzesavit anateb chemo gogo; chemo lamazo, sayvarelo, gilcav; Angelosebi xart mravalc daecwarit; Mze gogo; უმშვენიერესი ხარ საყვარელო; You are so beatifu; სუპერ გოგო ხარ; საოცარი ხართ! ზეციური და ლაჟვარდოვანი მშვენიერება; gimilgviriliano; mindvris yvavilivit lamazoo; მაგ გვირილებივით ლამაზი და სპეტაკი ხარ; Ufalma daglocot gagamravlot da sul samshoblos gamarjvebebi gazeimot emzari; შენ რჩეულთა შორის რჩეული ხარ! შენ გენაცვალე დახატულოო;

უარყოფითი ემოციის გამოსახატად გამოყენებულია გაკვირვების, აღშფოთების, გაბრაზების/ზიზღის, შიშის, სევდის გამომხატველი სინონიმური ერთეულები, რომლებიც სიტყვას უარყოფით ემოციურ შეფერილობას ანიჭებს. მაგალითად, გაკვირვება: ვაიმეეე, რა სადისტობაა; Vaiai shens patrons debiloooooooo; Aferisti maimuni.. abolebs xalxs; აზრზე ხარ! აზრზე მოდი, ბიჭო! მე რომ ვნახე და გავგიჟდი იმიტომ დავპოსტე ამდილაადრიან...

აღშფოთება: მარაზმია; თუმცაღა უნდა აღინიშნოს ის რომ ბერია სტალინზე ჭკვიანი იყო ყველა სფეროში და ჯულავეიდან განსხვავებით კარგიც აქვს განაკეთები საქართველოსთვის, ამოუწურავი თემაა ეს ორი სატანის იარაღი; გასაგებია შოვინისტი მეგრელოფობი ხარ, მაგრამ სახლში ინერვიულე... ბოლმას ნუ აფრქვევ; არ გესმის ეს საკითხები და ნუ ბოჟიალობ ანდა თუ გნებავთ ნუ რუჟრუჟებთ; ჩემზე იჭორიკნა ორლობის პუტანკასავით, ნარცისული ვყოფილვარ. არადა, სადაც სცენას ნახავს, იქ აბობლდება ხოლმე, დაეტაკება მიკროფონს და გვტენის თავის მიშისტურ იდეებს ან მღერის და ა.შ. წაიღო ყურთა სმენაც და გულთაც;

გაბრაზება/ზიზღი: უვარგისი არაადამიანი ყოფილხარ, თავიდანვე არ მევასებოდი, ეხლა ხომ საერთოდ, როგორც რუსთავი 2 არ უყურებ ისე შენ; ქვეყნის სირცხვილები, ჩრჩილის პეპლები! გულის ამრევია; გაუგონარია, წარმოუდგენელია; სადაა ახლა ის არანორმალური დედაკაცი, სიცოცხლის უფერულ და ავ კანონებზე, დარდებსა და ტკივილებზე როგორ დაწერე, სადისტი ხარო; ტფუი, დებილების, იმბეცილების, ტვინგამორეცხილი ბრმადმადიდებლების ბრბო; მსუნაგო! ფუი, გაუმაძღარო! იდიოტო! დებილო ☹ ბოთე!☹

შიში: შემზარავი ფრიდა კალო. ყველანაირად. შემადრწუნებელი. საშიში, შემაცბუნებელი. ის სიცოცხლეს იღებს და გამოსახავს ისეთს, როგორიც იყო მისთვის და მაინც უყვარს – ასეთი მტკივნეული, ამაზრზენი, დაუნდობელი, განმაქიქებელი, დამანაწევრებელი, მოღალატე, გაუმაძღარი, სილის გამწვნიელი, გამრყვნიელი, გამრიყველი, შემაშინებელი – სიცოცხლე სიცოცხლის ნელ–ნელა მკვლეელი.

სევდა: თანდათან დაინახავს, როგორ ნელ–ნელა უთეთრდება წითელი ბეწვი თავზე და თაფლისფერი თვალები უფერმკრთალდება, ნოემბრისფოთლისფერი უხდება; იმედი დავიტოვოთ, რომ ეს პატარა "დორბლიანი ბიჭი" შეცვლის თავის მომავალს, მხარში ამოუდგება მოხუც მშობლებს და მანამდე განცდილ ტკივილებს და სევდას სიხარულით შეუცვლის; ნიავი კი, საამო და გრილი, ერთნაირად აფრიალებს ყურჩამოვარდნილ და სუფთა, სპეტაკ ფარდასაც, რა ძნელია და რა საზარელია სიბერე... შორიდან ვიზიარებ შენ გულის ტკენას და მწუხარებას, და მოგისამძიმრებ შორიდან; უშენოდ, ჩემო მეგობარო, აღარ იქნება ძველებური ხალისი და სიხარული, უშენოდ დიდი სიცარიელე და ტკივილია ☹☹ და ა.შ.

ირონია: აგი უბედურ, შავ დღეზე გაჩენილი აბდალა, აგიო :))))))))))))))))); უიმე, რა საშინელი სიტყვაა ექსპერტი :)))))))))))))) ჩვენს რეალობაში ძალად ყოვლისმცოდნე იდიოტის სინონიმია; ჩვენი მშვიშარა და მხდალი მოქალაქეები არ მიუვარდნენ და აქცია არ გაუმართონ; მეგობარიც ამას ჰქვია...))) შევჩივლე: - გავგიჟდი, გაცოფებული ვარ-მეთქი და წამოდი, ტეტანუსის აცრაზე წაგიყვანო...[]; იტყვიან ხოლმე დიდთვალეობა კაცზე რა ხორცის ბუზივით აბრიალებს მაგ თვალეობსო; მაშინ ის დეპუტატი ილია აღვირახსნილი მანიაკის გარდა დებილიც ყოფილა; ჰაჰაჰაჰაჰა, ყველაზე იაფიიი, საწყალი ქმარი, საწყალი ქმარუკა; რა იყო საქმე მოგეცა, მაგარი და უშიშარი ბიჭი ხარ? საუკუნო ტალახის სასროლი ხალხი.... ვაი ამათ განათლებას..... შემოქმედებას.... ნაშრომებს... ნაწერებს... როლებს.... და ა.შ.

გაოცება: მაი გად; ოჰოოო; ვაა, შენ აღარ ხუმრობ! ვაა, რა მაგარია! ქუულ)))); ვაიმე, ჰაიმეე, ერიჰააა!

უარყოფითი ემოციის გამოხატვის დროს ადგილი აქვს წყევლის ფორმულების გამოყენებასაც, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ექსპრესიას: ერთხელ იმ ვაი პოეტმა და ვაი მუსიკოსმა ე.დელსადემ თქვა ასეთი ფრაზა? თქვენ არ მოგწონთ, არ გიყვართ რასაც ვქმნიო? ((ნეტავ რას ქმნის [][] ის მიუვიდეს მის შამქმნელს რა[][]))))); პუტჩისტებო... თქვენი გაწყვეტა ერთად!!! როდის გადაშენდებით ამ ქვეყნიდან??? თქვენი ბრალია ჩემი სამშობლოს ასეთი მდგომარეობა... გაქრით; ძალდი მიაკვდა ყველას....ცოცხალს... მკვდარს. ამათ გამო. ამათიუგნურობის....გამო იძირება დღეს ჩემი სამშობლო..... გადაშენდით აქიდან და ა.შ.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ინტერნეტ სივრცეში ემოციის გადმოსაცემად, ძალიან ხშირად ადგილი აქვს შორისდებულების გამოიყენებას. შორისდებულები: სიტყვა (ზოგჯერ ბგერა, ან ბგერათა კომპლექსი), რომელიც ადამიანის მომეტებულ აფექტურ განცდას გადმოგვცემს (დლონტი. 1988). ა. შანიძე შინაარსის მიხედვით შორისდებულების სამ სახეს გამოყოფს: 1. გამომხატველი ამა თუ იმ გრძნობისა: ოჰ! ოი! ვაჰ! ავაჰმე! უჰ! ყოჩაღ! იჰ! იჰ! ჰეე! ოი, ოი! ბიჭოს! ერიჰაა! აბა-ბა-ბა! ახ! ეჰ! ოჰ,ოჰ! იფ,იფ! ჰი, ჰი! 2. მოუბრის ნება-სურვილის გამომხატველი: სუ, სსუუ! ვუი, ვუი! ჩუ! ჰა,აჰა! ჰაი, ჰაი!... 3. გამომხატველი ფიცილისა და ალერსისა: ღმერთმანი, დედა-შვილობა, ჩემმა მზემ, მშვიდობით, გამარჯობა, გენაცვალე, გეთაყვა, ჭირიმე... შორისდებულების

გამოყენებით ფეისბუკ მომხმარებლები კომენტარებისა და პოსტების საშუალებით სხვადასხვა ემოციას გამოხატავენ, მაგალითად:

გაკვირვებას: - ოჰო! ჰოოო! ვაი!ვაიიი! ჰოი, აჰ...

აღტაცება-სიხარულს: ვაშაა! ურაა! სუპერ!

ზიზღს: ფუ, ფუი; ფუ!ფუ! ფუჰ! ჰაჰა რა მახინჯი სულის პატრონი ხარ ფუუუუ.

მწუხარებას:ეჰ, ოჰ, ვაჰ..

გაღიზიანება-დანანებას: აფსუს, ვაგლახ!

მოწონება-შექებას: ყოჩაღ! მალადეც! უხ, ჭირიმე თქვენი,

„facebook“-ის სივრცეში პოსტებსა თუ კომენტარებში ხშირია მოკლე პასუხები, რეპლიკები, რომელიც წარმოდგენილია სიტყვის ან ფრაზის გამოყენებით. **სიტყვებით:** გილოცავთ! მიხარია! მიყვარხართ! ვიზიარებ! მეწყინა! **ფრაზებით:** ღმერთმა უწყის, დასწყევლოს ღმერთმა, ჩუმაღ, ჩუ, ღმერთო მოგვხედე; ჯანდაბა, წყეულიმც იყოს! და სხვ.

ემოციის გამოხატვის დროს გამოყენება სიტყვები, რომელიც ცხოველთა სამყაროს უკავშირდება. უარყოფითი შინაასისი მქონე ზოონიმები სიტყვას უარყოფით ემოციურ შეფერილობას აძლევს: მაგალითად: მხეცი, მხეცური, მგელი, გააფთრებული; აი..ინგა გომბეშომ რომ ვერ მონუსხა ბ. გიორგი; იქ ყველას ერთი ჯგუფის სისხლი აქვს და მაგ ჯგუფს ქვია-,,-- ნაცხროვა; კუს შვილები კი ისევ მოდიან.. მხარს უმშვენიებენ დედალ-კაცები...; „რით ვერ გაძეხით?!“ ნიკა ქათამია; ქართველმა სიტყვა *ჩაძაღლება* სტალინის ხსენების დროს არ უნდა გამოიყენოს! ნიანგივით დადარაჯებული ნაცები კვლავ გამოსრიალდნენ ჭაობებიდან... მელია - მელასავით უნდა ჩვენი გაცურება; ნამდვილი მახრჩობელა გველია; კურდღელივით მშიშარა, რასაც ეტყვიან თუთიყუშივით იმას იმეორებს; არადა, ჩვენ, ნამდვილმა პატრიოტებმა, ამ ქათმისტვინა ცრუპატრიოტებისაგან განსხვავებით ვიცით... და სხვ.

შედარება-მეტაფორის საშუალებით ცხოველისა თუ ფრინველის გამოყენებით წარმოდგენილ მაგალითებში უფრო ხშირად ჭარბობს უარყოფითი შინაარსი, იშვიათად-დადებითი (გოჭუნია).

ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ვხვდებით გაორმაგებული ფორმების გამოყენებას, მაგ.: ვაი! ვაიიიი! ფუ! ფუუუ! ფუუუუჰ!.

მოძიებულ მაგალითებში ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ვხვდებით სინონიმური სიტყვების გამეორებას:

თუ გსურს მესაუბრე წესებზე, ნორმებზე, მოგისმენ, მოგისმენ!

ბებერი, ჩლუნგი, შტერი, გროვა ქვიშისა;

რომ იხრჩობიან ხალხის ზიზღში, კვნესაში, გესლში;

საიდან მოდის ეს სიავე, შური და მტრობა?

სად დაიკარგა ქართველობა და ვაჟკაცობა?

გამიფრთხილდით, მომიარეთ, მანუგეშეთ, მიდარაჯეთ, არ გასრისონ ეს სული;

მიჭირდა... მიმძიმდა.... თვალდახუჭული გეძახდი... უხმოდ... გულში და გულით
გეძახდი ბე....

ხშირია ხმოვნების მრავალჯერ დაწერა, რაც მიუთითებს არსებული ემოციის
ექსპრესიაზე, მაგალითად: უი, უიიი, შენ გაჭირვებულოო; ჰაჰა, ჰაჰაააააა; ვაიმეე,
ვაიმეეე; გილოცააავთ! სიცოცხლე, მართლა სიცოცხლეეეეე და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი სტილისტიკური ხერხის გამოყენება, როგორიცაა
სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა, ძახილის ან კითხვის ნიშნის, წერტილის მრავალჯერადი
გამეორება, ქართული სიტყვის ლათინური ასოებით ჩაწერა, რასაც სუბიექტი აზრის
ექსპრესიის გასაძლიერებლად მიმართავს: ვაი ამათ განათლებას..... შემოქმედებას....
ნაშრომებს... ნაწერებს... როლებს..... პუტჩისტებო... თქვენი გაწყვეტა ერთად!!! როდის
გადაშენდებით ამ ქვეყნიდან??? საინტერესო შემთხვევაა, როდესაც ერთი და იმავე
შორისდებულთ სხვადასხვა ემოციაა გადმოცემული. მაგალითად, გაკვირვების,
აღტაცების, შიშის გამოსახატად გამოიყენება: ო, ღმერთო ჩემო; ო, მაი გად და ა.შ.

აღსანიშნავია ე.წ. „ღიმილაკების“ ხშირი გამოყენება, რომელსაც ინტერნეტ-
მომხმარებელი იყენებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციის გამოსახატად,
რითაც სიტყვის, აზრის ექსპრესიულობას აძლიერებს. ჩვენს რეალობაში ემოციის
გამოხატვა „ღიმილაკების“ საშუალებით ძალიან აქტიურია, ამით ინტერნეტ
მომხმარებელი ზოგავს დროს, არ იწუხებს თავს სიტყვების შერჩევაზე, საკმარისია
მაუსზე ერთი დაწკაპება, რათა გამოხატოს სასურველი ემოცია. ეს ხელს უწყობს
ვირტუალურ სივრცეში კომუნიკაციის დამყარებას, ემოციების გაცვლა-გამოცვლას
სიტყვების გარეშე.

„ღიმილაკების“ არსებობა 35 წელზე მეტს ითვლის და ის უკვე ყოველდღიური
ელექტრონული ურთიერთობის შეუცვლელი ატრიბუტია, რომლის გარეშე თითქმის
წარმოუდგენლად იქცა მიმოწერა. მომღიმარი და მოწყენილი ნიშნებიდან „ღიმილაკებმა“

ევოლუციის საკმაოდ დიდი გზა განვლეს, საოცრად დაიხვეწნენ, გამრავალფეროვნდნენ და გაფერადდნენ. დღეისათვის მრავალი „ღიმილაკი“ არსებობს, რომელთა იერსახესაც განსაზღვრული დატვირთვა აქვს.

ჩვენ საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ ონლაინკომუნიკაციის დროს გამოყენებული „ღიმილაკები“, სადაც ინტერნეტმომხმარებელი ვერბალურს სინონიმად უნაცვლებს სიმბოლოებს, გამოხატავს თავის დადებით თუ უარყოფით ემოციას. მაგალითად:

	სიყვარული	
	სიხარული	
	მოწონება	
	გაბრაზება	
	სევდა/ტირილი	
	ზიზღი	
	გაოცება	
	ირონია	

წარმოდგენილი სიმბოლოები მოხერხებულად ენაცვლება დადებითი თუ უარყოფითი ემოციის გამომხატველ სიტყვას სინონიმად და შესწევს უნარი გამოხატოს ექსპრესია. მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლოები მიმოწერას ალამაზებენ, სასურველ ემოციას აღძრვენ, გვეხმარებიან უკეთ გავიგოთ ჩვენი თანამოსაუბრის განწყობა, სურვილები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტენდენცია საკმაოდ საშიშია ქართული ენისათვის. აკრძალვით, რა თქმა უნდა, ვერ მივიღებთ რაიმე შედეგს, თუმცა, სასურველია, რიგი ღონისძიებების გატარება, სადაც შეფასდება ვებ-გვერდების ქართული.

სინონიმების ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სალიტერატურო ერთეულის დილექტური ან უცხოენოვანი სიტყვით ჩანაცვლება, მაგ.:

ვაი კაცები, „მიქვებს,, იხდიან; ყოჩაღ. არ გესმის ეს საკითხები და ნუ ბოჟიალობ, ანდა, თუ გნებავთ ნუ რუჟრუჟებთ; ეგ მართლა ზღაპარიაა... ყველაზე კლიოზნიკი ტიპიც რომ ვერ დასდებს წუნსს.. მაგარიაა-სუპერრ!!!! და სხვ.

კომენტარები ასევე მოვიძიეთ უნივერსიტეტების, განათლების სამინისტროს, პარლამენტის, კერძო თუ საჯარო სამსახურების ვებგვერდებზე. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს: ილიაუნის პროფესორები.... 12 ივლისს გამართავენ ვორკშოპს ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტში; 16 ივლისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეწარმეობით დაინტერესებული სტუდენტებისთვის გაიმართა ბუთქემფის ინტენსიური სესია; ღონისძიებაზე სტუდენტები პრაქტიკული ვორკშოპებით გაეცნენ სტარტაპის შექმნის, ბიზნესის დაგეგმვის, იდეების გენერაციისა და პიჩინგის პრინციპებს; 18 და 19 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის Venture Elevator ფარგლებში გაიმართა პროექტის მონაწილე გუნდებთან მენტორინგ სესიები და ჯგუფური სამუშაოები; ფინალური დაპირისპირება მოლოდინისამებრ ძალიან დამაბული გამოდგა, Mama Mia-სა და Black Star-ს შორის მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ჩემპიონი დამატებით სეტში გამოვლინდა. მესამე სეტის დასაწყისში Mama Mia-მ უპირატესობა მოიპოვა და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა; ჩემი განცხადება ნამდვილად არაკორექტულია ასე, რომ არ გამაპრავოთ (გამამართლოთ) არავინ; თანაც თავისი ქვეყნის პრეზიდენტის ლავსტორიც (სიყვარულის ისტორია) გაიხსენოს! და ა.შ.

ხელოვნურად შექმნილ სიტყვას ნაკლებად შესწევს ძალა ენის ლექსიკურ მარაგში დამკვიდრებისა. ინდივიდის მიერ შემოტანილი სიტყვა მაშინ შეიძენს ძალას, თუ მის არსებობას საზოგადოება დაადასტურებს, აქტიურად მოიხმარს, რითაც მას ენის ლექსიკურ მარაგში დამკვიდრების საშუალება მიეცემა. ალ. ღლონტის სიტყვებით რომ ვთქვათ: ეს პროცესი მარტივი რომ იყოს, მაშინ თითოეული ინდივიდი ენას საკუთარი გემოვნების სიტყვებით შეცვლიდა: „ენა ყველაზე ცვალებადი და განვითარებადი ნაწილია ენისა... იგი განუწყვეტლივ მდიდრდება. მაგრამ ინდივიდს არ ძალუძს თავს მოახვიოს ენას მის მიერ ხელოვნურად გამონაფიქრი სიტყვა“ (ღლონტი ალ. 1964:66)..

ქართულ ენაშიც, მსგავსად სხვა ენებისა, ვხვდებოდით და ვხვდებით ნასესხები სიტყვების გამოყენებას. ვინაიდან ენის ისტორია განუყოფელია ერის ისტორიისაგან და ენის ლექსიკაში აისახება ერის ისტორიული ყოფის ყოველი ეტაპი. სწორედ ამიტომ არის თანამედროვე ქართულ ენაში სპარსული, არაბული და თურქული ნასესხები სიტყვები.

ასევე გასაგებია, ამდენი რუსული სიტყვის არსებობა ქართულ ენაში, როდესაც ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად ორენოვანი იყო ორი საუკუნის განმავლობაში. მართალია, უცხო სიტყვების გამოყენებას ქართულ ენაში ადრეც ვხვდებოდით, მაგრამ ეს პრობლემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ რუსულიდან შემოსულ ბარბარიზმებს (საკმაო რაოდენობით ვხვდებით ენაში), რომლებსაც საკმაოდ ღრმად აქვს ფესვები გადგმული, ინგლისური ენიდან შემოსული დაემატა, რის შედეგადაც ენა კიდევ უფრო დამახინჯდა.

დღეს ეს ცვლილება ჩვენ თვალწინ ხდება. დღეს, ენაში უკვე არსებული, დროთა განმავლობაში დამკვიდრებული სიტყვებისა და ტერმინების ჩანაცვლება მიმდინარეობს ინგლისურიდან შემოსული სიტყვებითა და ტერმინებით. პრობლემას წარმოადგენს არა ის, რომ ენა ახალ ლექსიკას ითვისებს, არამედ ის, რომ მათი გამოყენება ხდება იქ, სადაც არსებობს ქართული შესატყვისი.

ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება. სწორედ ინტერნეტი და სოციალური ქსელები უწყობენ ხელს ინგლისური სიტყვების სწრაფად გავრცელებას. ენაში ახალი სიტყვების შემოსვლის დროს ენას შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი ლექსიკური ერთეული, მაგრამ უცხო სიტყვა მაინც შემოვიდეს და დამკვიდრდეს, რადგან კონკრეტულ კონტექსტში ის ახალი სიტყვა უფრო მისაღებია მომხმარებლისათვის.

მაგალითები წარმოვადგინეთ ინტერნეტსივრცეში დამკვიდრებული ფორმებით, შემდეგ მათი საწყისი ინგლისური ფორმებით, ბოლოს კი - მათი შესატყვისი ქართული განმარტებებით:

	ბარბარიზმი	სწორი ფორმა	ქართული შესატყვისი
1	პროფილი	profile	პროფილი, მოკლე ბიოგრაფია
2	პოსტი/დაპოსტვა	post	რამის გაკვრა, დაწერა, სტატუსის გამოქვეყნება
3	დათაგვა	To tag	მონიშვნა
4	თიმი	Team	გუნდი, ჯგუფი
5	დალაიქება, ლაიქი	to like, like	მოწონება
6	გაშეარება/დაშეარება	share	გაზიარება
7	გაიდლაინი	Guideline	რეკომენდაცია, მითითება
8	დაკლიკება	To klick	დაწკაპება

9	ლაითი	Light	მსუბუქი
10	ივენტი	Event	ღონისძიება, შეკრება
11	სენსიტიური	Sensitive	მგრძნობიარე
12	ოქეი	ok	კარგი
13	დალინკვა	To link	
14	დაბუსტვა	To boost	ინტერნეტ ბმულის შექმნა, გაზიარება რეკლამის გაკეთება ფეისბუქზე
15	სმაილი	Smiley	ღიმილის მცირე ზომის გამოსახულება
16	ემოჯი	Emotion	ინტერნეტ ემოციების ამსახველი მცირე ზომის გამოსახულება
17	დაჰაჰავება		დაცინვა ფეისბუქის ლიმილაკით
18	ქრაშ ტესტი	Crush test	საავარიო გამოცდა
19	დატროლვა	trooll	დაცინვა, გასულელება
20	დასინვა	To see	პირადი შეტყობინების ნახვა პასუხის გარეშე
21	კრეატიული	Creative	შემოქმედებითი
22	დაკომენტარება	To comment	კომენტარის გაკეთება
23	დაჩექინება	To check in	ადგილმდებარეობის დაზუსტება
24	დაფორვარდება	To forward	შეტყობინების გადაგზავნა
25	ჩელენჯი	Challenge	გამოწვევა
26	ჰაილაითი	Highlight	მნიშვნელოვანი მომენტი
27	ფრენდი	friend	მეგობარი
28	ქავერი	Cover	საფარი

ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს ენაში, იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება. ინგლისური ენიდან ახალი სიტყვები მოიტანა კონკრეტულმა რეალობამ. ქართულში დღეს ძირითადად ინგლისური ენიდან ხდება ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა. ჩვენ შემოსულ სიტყვებს პირდაპირ, თარგმნის გარეშე ვიყენებთ.

სიტყვებს, რომელსაც პირდაპირ, თარგმანის გარეშე ვიყენებთ და არის ამა თუ იმ ენის ბუნებისათვის შეუფერებელი გამონათქვამი ან სიტყვები, შექმნილი სხვა ენის წესის მიხედვით ბარბარიზმად იწოდება. ბარბარიზმი (ბერძ. Barbarous – უცხო) წარმოადგენს უცხო ენიდან შემოსულ სიტყვას, იგი ისეთი კალკია, რომელიც არღვევს მოცემული ენის

სალიტერატურო ნორმას. ბარბარიზად არის მიჩნეული აგრეთვე საჭიროების გარეშე გამოყენებული უცხო სიტყვა. მხატვრულ ლიტერატურაში ბარბარიზმს მიმართავენ პერსონაჟის ადგილობრივი კოლორიტის გადმოსაცემად (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.2. გვ.203, თბ., 1977).

საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ ინტერნეტ სივრცეში, კონკრეტულად, „Facebook” - ში არსებული ყველაზე პოპულარული ბარბარიზმების მხოლოდ მცირედი, რომლითაც ყოველდღიურად სარგებლობენ „Facebook” მომხმარებლები. აღნიშნული მაგალითებით შევეცადეთ, გვეჩვენებინა ქართული ენობრივი სურათის ერთი ასპექტი.

ცალკეული სიტყვების გარდა ხშირად ვხვდებით ფრაზების გამოყენებასაც, მაგალითად: პოზიტიური განწყობა - დადებითი განწყობის მაგივრად, ჰეფი ენდი - ნაცვლად კეთილი დასასრულისა, ლავ სთორი - ნაცვლად სიყვარულის ისტორიისა და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი ბარბარიზმებისა, რომელსაც იყენებს ინტერნეტ მომხმარებელი. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მაგალითებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ ინგლისური ძირის სიტყვებს აქვთ ბუნებრივი ქართული შესატყვისები, შესაძლოა, ზოგჯერ რამდენიმეც კი. მათ ქართულ შესატყვისებს იგივე კონოტაციური მნიშვნელობა გააჩნიათ, როგორც ინგლისურ სიტყვებს. შესაბამისად, ინგლისურ სიტყვებსა და მათ ქართულ შესატყვისებს ერთი და იგივე ასოციაციური მნიშვნელობა აქვთ. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ენაში მათი ამგავრი ფორმით შემოტანის საჭიროება და სინონიმურ ერთეულებად დამკვიდრება. მაგალითებიდან ჩანს, რომ ინგლისური სიტყვების უმეტესობა გაფორმებულია ქართული აფიქსებით და, შესაძლოა, დროთა განმავლობაში, მათი დამკვიდრება მოხდეს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მრავალი მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთი სემანტიკით.

თუმცა არის ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომელთა შესაბამისი თარგმანი, ამ სიტყვით აღნიშნული საგნის, ან ცნების არარსებობის გამო, ქართულს არ გააჩნია და ესენი უკვე ნეოლოგიზმებია და არა ბარბარიზმები (Skype, Winchester, Windows...).

ეს პროცესი, რა თქმა უნდა, საყურადღებოა, რადგან ადრე შემოსული ბარბარიზმების ანალოგებიც იყო ქართულ ენაში, თუმცა ამით მათ არ შეშლიათ ხელი, კარგად მოეკიდებინათ ფეხი და დამკვიდრებულიყვნენ ქართულ ლექსიკაში.

უქმნის თუ არა საფრთხეს აღნიშნული სიტყვები ენას? შეიძლება ამ ეტაპზე ძალიან დიდ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ არც მარტივ პროცესთან გვაქვს საქმე. დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან ენა სისტემაა, რომესაც თავისი შინაგანი კანონები აქვს. თუმცა ენა გარკვეული საფრთხის წინაშე დგას: არსებული რეალობიდან გამომდინარე, მცირედი თუ კეთდება ენის სიწმინდის დაცვის მიზნით.

სამწუხაროდ, დღეს ძალიან მცირედი კეთდება ამ მიმართებით. აღსანიშნავია, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის ცენტრის მიერ შექმნილი „ბარბარიზმების ლექსიკონის“ ონლაინ ვერსია, რომელსაც წინ უძღვოდა მოძრაობა „არა ბარბარიზმებს“.

საანალიზო წყაროდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითები განსხვავებულია გამოყენების სფეროს მიხედვითაც, თუმცა მათ აერთიანებთ ემოციის გამოხატვის ფუნქცია. სინონიმების გამოყენებას განსაზღვრავს კონკრეტული ინდივიდის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მარაგი და მიზანდასახულობა.

ცალკე გამოყავით ირონიის გამოხატველი სინონიმები. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ირონიული ელფერის მქონე ლექსიკა, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას, მდგომარეობას ირონიულად ასახელებს.

მოყვანილი მაგალითები მხოლოდ მცირედი ნაწილია ლექსიკისა, რომელიც ფართოდ გამოიყენება დღევანდელობაში. წარმოდგენილი სინონიმების ერთი ნაწილი ექსპრესიას სიტყვათწარმოებითი და პუნქტუაციური ნიშნების საშუალებებით აღწევს, მეორე ნაწილის ექსპრესიულობას კი თვით სიტყვის სემანტიკა განაპირობებს.

ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითები გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: დღეს, თანამედროვეთა მეტყველებაში, რაოდენობრივად ჭარბობს უარყოფითი ემოციის გამოხატველი ლექსიკა. მოძიებულ მაგალითებში დადებით და უარყოფით შეფასებათა შორის დაპირისპირება აშკარაა. უარყოფითი ემოციის გამოხატვა ჭარბობს საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკოსების, პიროვნებების შეფასების დროს. განსაკუთრებით მწვავედ და ექსპრესიას აღწევს მძაფრი პოლიტიკური ქმედებების დროს. რაც შეეხება დადებითი ემოციის მქონე სინონიმებს, ისინი რაოდენობრივად შედარებით ცოტაა, აქტიურად ვხვდებით პირადი ნაცნობების, მეგობრების წრეში გამოხატულ კომენტარებში.

ამდენად, ჩვენი ენა რომ არ დაკნინდეს, სწორ წერასა და მეტყველებას მიეჩვიოს მომავალი თაობა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში) ქართული ენის სწავლებას. ვინაიდან ადამიანის სიტყვა და საუბარი, თითოეული ჩვენგანის შინაგანი სულიერი სამყაროს გამოხატულებაა.

არსებული რეალობიდან გამომდინარე: „აუცილებელია სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ გააცნობიეროს, რომ სახელმწიფო ენა არის ქვეყნის ღირსების საზომი და... სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტიც. გასააზრებელია ისიც, რომ, პარალელურად, ქართული ენა არის ქართველთა იდენტობის საფუძველი“ (ფუტკარაძე 2019:175).

ჩვენი პატრიარქის, ილია II-ის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს. ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლადქმა და აზროვნების წესი... ქართული ენის სისავსეს მის დიალექტთა, კილოკავთა მრავალფეროვნებას ქართველი კაცის განცდის სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს... ენა ეს არის სამიწკველი და მტკიცე საფუძველი ჩვენი ერთიანობისა, ეროვნულობისა და დარაჯი ჩვენი ერის რწმენის, ერთობისა და გამთლიანებისა“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე).

დასკვნა

სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლების, ექსპრესიული შესაძლებლობების კვლევისა და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის შედეგად ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ:

❖ საანალიზო ენებში რაოდენობრივად ყველაზე მეტი სინონიმური ერთეული წარმოდგენილია ზედსართავი სახელითა და ზმნით, შედარებით ნაკლები - არსებითი სახელითა და სახელზმნით.

სინონიმთა მორფოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

❖ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში დასტურდება მარტივფუძიანი, წარმოქმნილი და თხზული სინონიმური ჯგუფები. მათი პროცენტული მაჩვენებელი შემდეგია:

ქართულ ენაში: ძირეული - 20%, წარმოქმნილი - 37%, თხზული - 43%;

ინგლისურ ენაში: ძირეული 17%, წარმოქმნილი - 47%, თხზული - 36%.

❖ ქართულში ჭარბობს პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (უთვალადო / უმზო / ულამაზო), ინგლისურში - სუფიქსური (merciless, ruthless, pitiless).

❖ მორფოლოგიური შედგენილობის თვალსაზრისით გამოიკვეთა, რომ კომპოზიტებში ქართულ ენაში პირველ წევრად უმეტესად არსებითი სახელია წარმოდგენილი (ენადვარძლიანი / ენაგესლიანი), ინგლისურ ენაში - ზედსართავი სახელი (good-looking, fine-looking).

❖ ქართულში რამდენიმე მაგალითში კომპოზიტის პირველი წევრი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით (თანიანი და ებიანი: ლამაზი / მზეთუნახავი; გიჟი / კრამიტებდაჩოჩებული), მსგავსი შემთხვევა ინგლისურ ენაში არ დასტურდება.

❖ ქართულ ენაში კომპოზიტის მეორე წევრი სუფიქსით ან პრეფიქს-სუფიქსის დართვით მიიღება, ინგლისურ ენაში ძირითადად- სუფიქსების საშუალებით.

❖ ქართულ ენაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც კომპოზიტი მიიღება სინონიმური მნიშვნელობის სახელთა შერწყმით (სვე-ბედი, ძალ-ღონე, ოხერ-ტიალი, შიშვეულ-ტიტველი, ბედ-იღბალი), მსგავსი ტიპის მაგალითები ინგლისურ ენაში არ შეგვხვდა, არ მოიძებნა.

❖ ინგლისურში გამოიყოფა აბსოლუტური (absolute), კოგნიტიური (cognitive), კონტექსტუალური (contextual) და სინონიმებთან მიახლოებული სიტყვები (near synonyms). ქართულში გვაქვს კვაზისინონიმები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რელატიური სინონიმების მსგავსად ინგლისურ კოგნიტიურ სინონიმებს მიემსგავსებიან, არა ყველა ასპექტში, მაგრამ ნაწილობრივ. გამოიკვეთა, რომ ინგლისურ ენაში უფრო მეტი სინონიმური ჯგუფია გამოყოფილი. მაგალითად, ისინი განასხვავებენ კოგნიტიურ და კონტექსტუალურ სინონიმებს, როცა ქართული რელატიური სინონიმები ორივე მათგანს თავის თავში მოიაზრებს;

❖ სინონიმების მიღების ერთ-ერთ წყაროა ევფემიზმებისა და დისფემიზმების გამოყენება, რომელთა წარმოქმნასაც ხელს ტაბუს არსებობა უწყობს. ორივე ენაში დასტურდება უნივერსალური და ეროვნული ევფემიზმებისა და დისფემიზმების ნიმუშები, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად გვხვდება სიკვდილის მონაცვლე სინონიმებში (ჩაილულის წყალი დალია, გავიდა გაღმა მარილზე; სული ღმერთს მიაბარა, Hop the perch).

სინონიმთა სემანტიკური ველების ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი:

❖ სიხარულს ორივე ენაში იწვევს კმაყოფილების განცდა, ქართულში - სასიამოვნო რამ, მხიარული განწყობილება, ღზინი, ღაღობა, დღესასწაული, ზეიმი, ინგლისურში - დიდი ბედნიერება, სიამოვნება. ორივე ენაში უნივერსალურია უზომო სიხარულის გადმოცემა შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით: **სიხარულით ცას(ა) სწვდება, ცას ეწია სიხარულით. She is in the seventh heaven-** სიხარულისაგან მეცხრე ცაზეა.

❖ ბედნიერება ორივე ენაში უკავშირდება ბედს, ილბალს, რომელიც დამოკიდებულია ღვთის ნებაზე. ამ სემანტიკურ ველში უნივერსალურია ისეთი სინონიმური ერთეულის არსებობა, როგორიცაა kismet. Kismet ორივე ენაში ნასესხებია თურქულიდან და უკავშირდება ყისმათს, ბედს, ილბალს. საინტერესოა ბედთან დაკავშირებული სინონიმები, რომლებიც სპეციფიკურია ქართულისათვის: **ქუდბედიანი, ქუდბედაყოლილი**; ინგლისურისთვის - **Lost in admiration** - აღტაცებაში დაკარგული - სრულიად აღტაცებული).

❖ საანალიზო ენებში დასტურდება მოფერება-აღერსის გამომხატველი მიმართვის ფორმები, აგრეთვე, დაცინვა-დამცირების ან ირონიის სემანტიკის მქონე სინონიმური

ერთეულები, რომლებიც ძირითადად ზომის სიმცირეს უკავშირდება. სპეციფიკურია **ქართულში**: გენაცვალე, კესანე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, შენი კუჭისა, კრუხის პალო, **ინგლისურში** - sweetie pie, bantam, miniscule.

❖ ორივე საკვლევ ენაში ვხვდებით შიშისაგან ადამიანის დამუნჯებას. მეტყველების უნარის დაკარგვა ქართულში გამოიხატება ენის მუცელში ჩავარდნით / დადუმებით, ინგლისურში კი - ენის გადაყლაპვით (to swallow a tongue with fea). შიშის დროს ადამიანი ერთ ადგილზე ქვავდება. ქართულში - მუხლები ეკეცება, ინგლისურში the legs got numb - ფეხები უშეშდება. შიშის დროს ადამიანს უჩნდება გაქცევის სურვილი - ინგლისურში ფრთები ესხმება - fear gives wing, თუმცა, ქართულში ფრთების გამოსხმა, ინგლისურისაგან განსხვავებით ასოცირდება დადებით ემოციებთან (აღფრთოვანებული /ფრთებშესხმული/ფრთებგამოსხმული). ინგლისურ ენაში ძლიერი შიშის გამომხატველია - Have one's heart at one's heels (შიშისაგან გული ქუსლებთან ჩაუვიდა), Heve one's heart in one's boots (ჩექმებში ჩაუვიდა), ხოლო ქართულში სული კოჭებში გაეპარა, სული კბილით მეჭირა, წელი მოსწყდა, გული გადაუქანდა / გული გადაუბრუნდა / გული გადაუტრიალდა და ა.შ.

❖ შიშს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში აქვს მოშიშის, მოკრძალების მნიშვნელობაც, რაც დადებითი კონოტაციის შემცველია და ღვთისმოშიში, თავმდაბალი ადამიანის სინონიმად გამოიყენება. შიში ორივე ენაში უარყოფითად ფასდება და სირცხვილად ითვლება. მშიშარა ადამიანის (მამაკაცის) მიმართ ქართულ ენაში გამოყენებულია შემდეგი სინონიმები: **ლაჩარი, დიაცი, დედალი, სულმოკლე**. მშიშარა ადამიანის სინონიმია აგრეთვე კულრდლის გულისა, ამ შემთხვევაში კურდღელი დაკავშირებულია შიშთან. ინგლისურ ენაშიც დასტურდება, მშიშარა ადამიანის აღმნიშვნელი, მსგავსი სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები: **chicken-hearted** (მხდალი, ქათმის გულისა) / **rabbit-hearted** (მშიშარა, ლაჩარი, მხდალი). უნივერსალურად უნდა მივიჩნიოთ შესადარებლად ერთი და იმავე ობიექტის არსებობა.

❖ სირცხვილი ორივე ენაში ძირითადად სამარცხვინო საქციელს, სახელის გატეხვას, შერცხვენას უკავშირდება, ინგლისურში - დამცირებასაც, თავხედობასაც. უნივერსალურია - Mud-slinging (ტალახის სროლას). სპეციფიკურია ქართულისათვის ძველად არსებული სასჯელის ფორმასთან დაკავშირებული შემდეგი სინონიმური ფრაზეოლოგიზმები - ვირზე უკუღმა შესმა, პირის გაშავება.

❖ სიკვდილთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციები ადამიანის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასთან დაკავშირებით უამრავი სინონიმი და სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი დასტურდება, რომელთაგან ნაწილი მსგავსი, ნაწილი კი ეროვნულად სპეციფიკურია. სპეციფიკურია ქართულში მაგ.: მარილზე წავიდა, შაბზე წავიდა, წაპარჭიკდა, ინგლისურში - kick the bucket. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით სიკვდილის ანგელოზთან მიმართებაში. ქართველთა წარმოდგენით იგი კაცია და მას მიქელ გაბრიელის სახელით მოვიხსენიებთ, ინგლისელები კი მას ქალს უკავშირებენ, რომელსაც ხელში ცელი უკავია.

❖ ბრაზი ქართულში არის ძლიერი გაჯავრება, გულის მოსვლა, გახელება, ინგლისურში - უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც იწვევს ცუდი და უსამართლო რამ. ბრაზი ორივე ენაში დაკავშირებულია სისხლთან, ყელთან, დუდილთან, ცოფთან, მხეცთან. ქართულში იგი უკავშირდება გემოს შეგრძნებებს, რაც გადმოცემულია შემდეგი სინონიმებით: გაცხარება, გაწიწმატება, აპილპილება. განსხვავებულია ზოონიმების გამოყენება ქართულში: აფთარი - გააფთრება, მგელი - გამგელება, ინგლისურში ვეფხვი - tigerish (ვეფხვისებრი). ქართულისათვის სპეციფიკურია ჭიპზე გასკდება.

❖ მწუხარება უკავშირდება მომენტს, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ცუდი ხდება ან მოხდა. ქართულში აღნიშნული ემოციის გადმოსაცემად გამოყენებულია შემდეგი ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი სინონიმი - ყურებჩამოყრილი, ინგლისურში - chap-fallen (ყბაჩამოვარდნილი).

❖ ქართულში გამოვყავით შეგრძნების - მხედველობითი, სმენითი, ყნოსვის, გემოს, და ა.შ. გამომხატველი სინონიმები, რომელთაგან რაოდენობრივად მხედველობითი შეგრძნების გამომხატველები ჭარბობს.

უნივერსალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ორივე ენაში ადამიანის შინაგანი სამყაროს აღნიშვნა, ფსიქიკური პროცესების გადმოცემა იმ სინონიმებით, რომელშიც ადამიანის სხეულის ნაწილებია გამოყენებული. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა, რომელშიც სომატური ერთეულებია გამოყენებული, საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ თითოეულის ცნობიერებაში არსებული ლინგვოკულტუროლოგიური სტერეოტიპები. შესწავლის საფუძველზე გამოვყავით ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც:

❖ აქვთ მსგავსი სტრუქტურა და მსგავსი სემანტიკა: Gladden smb's heart -გულის გახარება;

❖ გადმოცემულნი არიან ერთნაირი სტრუქტურითა და განსხვავებული სემანტიკით: Tail up (აწეული კუდით)- ამაღლებულ განწყობაზე, ქართულში: კუდაბზიკა, კუდაბზეკილი - ამპარტავანი;

❖ აქვთ განსხვავებული სტრუქტურა და მსგავსი სემანტიკა: With all one's soul - მთელი გულით

ენათა შორის მსგავსებაც ბევრია და განსხვავებაც. ეს არის შედეგი იმისა, რომ ენა უნივერსალურია, თუმცა სხვადასხვაგვარი სტრუქტურული სისტემით წარმოგვიდგება სხვადასხვა ერში.

საინტერესო სურათი გამოიკვეთა იდიომთა მოდელების კვლევის დროს. კონკრეტულად:

სახელურ სინონიმურ იდიომურ გამოთქმებში:

❖ ქართულ ენაში შეგვხვდა ორ, სამ და ოთხ კომპონენტიანი, ინგლისურში - ორ, სამ ოთხ და ხუთ კომპონენტიანი.

ზმნურ სინონიმურ იდიომურ გამოთქმებში:

❖ ქართულ ენაში იდიომთა უმეტესობა იწყება არსებითი სახელით, ზმნა ძირითადად ბოლოკიდურ პოზიციაშია წარმოდგენილი, იშვიათად იწყებს იდიომს.

❖ ინგლისურ ენაში ზმნა ძირითადად იწყებს იდიომს, ასევე, იდიომი იწყება წინდებულით, ბოლო წევრი უმეტესად გადმოცემულია არსებითი სახელით.

❖ ქართულში გვაქვს ორ, სამ და ოთხ კომპონენტიანი, ინგლისურში - სამ, ოთხ, ხუთ და ექვს კომპონენტიანი. კომპონენტების მიხედვით შესწავლილი იდიომების სტრუქტურა განსხვავებულია, რაც ძირითადად ენის ბუნებაზეა დამოკიდებული - ანალიზურია ის თუ სინთეზური. ქართულისაგან განსხვავებით ინგლისურში იდიომთა მრავალწევრიანობას წინდებულისა და არტიკლის გამოყენება იწვევს.

რაც შეეხება ქართულ ენაში სინონიმთა ექსპრესიული გამოვლენის შესაძლებლობებს, მისი გამოვლენა შეიძლება ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ დონეზე. ფონეტიკურ დონეზე ვლინდება სიტყვის ბგერათა განზრახ დამახინჯებაში, მორფემულ დონეზე თანაეფარდება სიტყვათწარმოების პროცესს, სემანტიკურ დონეზე განპირობებულია წარმოებულობით: სიტყვის გადატანითი

მნიშვნელობის არსებობა წარმოადგენს სიგნალს მისი ექსპრესიულობის არსებობის შესახებ.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სინონიმთა ექსპრესიულობის წარმოსაქმნელად წარმოადგენს ხატოვანება.

ხატოვანების კატეგორიასთან ერთად სინონიმთა ექსპრესიულობის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ინტენსიურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის ზრდას ან შემცირებას.

ხატოვანება, ინტენსიურობა, მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე, ემოციურობისა და შეფასებითობის კატეგორიები, სინონიმების გარდა ასახვას პოეზებს ფრაზეოლოგიზმებში, სადაც ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ექსპრესიულობა.

რაც შეეხება სინონიმთა ექსპრესიულ გრადაციას, იგი მიიღწევა როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური საშუალებებით. ფონეტიკურ და მორფოლოგიურ საშუალებებთან ერთად, სინონიმთა ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას ლექსიკო-სემანტიკური დონე წარმოადგენს, რომელიც ვლინდება ტროპული მეტყველებით, იქნება ეს მეტაფორა, მეტონიმია, ევფემიზმი, დისფემიზმი თუ ლექსიკური გამეორება თანამედროვეთა მეტყველებაში. ასევე ექსპრესიულობას აძლიერებს არქაიზმები, დიალექტიზმები, უცხოენოვანი გამოთქმები.

ინტერნეტსივრცეში მოძიებული მაგალითები გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: უარყოფითი ემოციის გამოხატვა ჭარბობს საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკოსების, პიროვნებების შეფასების დროს. განსაკუთრებით მწვავედ და ექსპრესიას აღწევს მძაფრი პოლიტიკური ქმედებების დროს. დადებითი ემოციის მქონე სინონიმებს, აქტიურად გამოიყენება ფიზიკური მომხიბვლელობის, მნიშვნელოვანი მოვლენების გადმოსაცემად. ასევე ხშირია თანაგრძნობის, თანადგომის გამომხატველი სამგლოვიარო სემანტიკის მქონე სინონიმები. მოვლენების შეფასების დროს თანამედროვეთა მეტყველებაში ადგილი აქვს ხუმრობას უხეში და ვულგარული სიტყვებით.

სხვადასხვა ემოციის ექსპრესიულობის გამოსავლენად, თანამედროვეთა მეტყველებაში შეინიშნება საკმაოდ საინტერესო ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, მაგ: ბებერი, ჩლუნგი, შტერი, გროვა ქვიშისა; მიჭირდა... მიმპიმდა.... თვალდახუჭული

გემახდი... უხმოდ... გულში და გულით გემახდი ბე.... არადა, რამდენ დარდს, ტკივილს, სევდას იტევს. ჰო, დიდ სიყვარულს იტევს, დიდ, ტკივილიან სიყვარულს.

ლექსიკონში წარმოდგენილ სინონიმებთან შედარებით, საკმაოდ რაოდენობით გვხვდებით შორისდებულების გამოყენებას. ასევე ხშირია პუნქტუაციის ნიშნებისა და „სმაილაკების“ გამოყენება, რითაც მთქმელი ამაღლებს ექსპრესიულობას.

რაც მეტია სინონიმურ ლექსიკაში სტილისტიკური ხერხები, მით მეტი ემოცია და ექსპრესია გროვდება. სწორედ სტილისტიკური საშუალებების გამოყენებით ხდება ექსპრესიულობის გაძლიერება გრამატიკული საშუალებებიდან ლექსიკურ დონეზე.

სინონიმთა სემანტიკურ ველებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაოდენობრივად მეტი სინონიმური ერთეული გვხვდება შიშის, მწუხარებისა და მოკვდინების პროცესის ამსახველ ლექსიკაში. რასაც, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული წარსული განაპირობებს, რამაც შესაბამისი ასახვა პოვა კიდევ სინონიმთა ლექსიკონში.

სინონიმების შედარება-შეპირისპირებამ მოგვცა საშუალება, წარმოგვედგინა კულტურათა შორის არსებული მსგავსება-განსხვავება, ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათი. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს საანალიზო ენებში უნივერსალური კულტურული ინფორმაციის მატარებელი სინონიმები.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ცხადია, რომ ემოციების სიღრმით სინონიმური ლექსიკა მსჯელობისათვის დიდ მასალას იძლევა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულისათვის დამახასიათებელია კომპოზიტთა სიღრმე, დახვეწილობა და ფრაზეოლოგიზმთა უჩვეულო გრადაცია.

ამდენად, სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლებისა და ექსპრესიული შესაძლებლობების შესწავლამ ქართულში და ლინგვოკულტუროლოგიურმა ანალიზმა ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით მოგვცა საშუალება, წარმოგვეჩინა ორ ენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავება და დაგვანახა ზოგიერთი საკითხის შემდგომი სიღრმისეული კვლევის აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **არაბული 2006:** არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, „უნივერსალი“, თბილისი.
2. **აფრიდონიძე 1988:** აფრიდონიძე შ., ე. წ. „აბსოლუტური სინონიმის“ შესახებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 8, „მეცნიერება“, თბილისი.
3. **ბალაძე 2015:** ბალაძე მ., ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები ინგლისურენოვანი და ქართული პრესის დისკურსში. დისერტაცია, ბათუმი.
4. **ბახტაძე 2010:** ბახტაძე დ., ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები, „მწიგნობარი“, თბილისი.
5. **ბაბუნაშვილი 1959:** ბაბუნაშვილი ე., სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში: თსუ შრ., ტ. 71, თბილისი.
6. **ბარდაველიძე 19783:** ბარდაველიძე ჯ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 3. თბ.
7. **ბერეკაშვილი, იმედაძე 2007:** ბერეკაშვილი, იმედაძე ფსიქოლოგიის საფუძვლები, „მწიგნობარი“, თბილისი.
8. **ბიჭაშვილი 2006:** ბიჭაშვილი მ., პოლიტიკური თეორია და ანალიზის პრაქტიკა, თბ.
9. **გამსახურდია 1998:** გამსახურდია ლ., ენათა შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპები (თეორიული ფონეტიკა), შესავალი ენის სპეციალობაში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. **გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003, 2008:** გამყრელიძე თ, კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.
11. **გელდიაშვილი 2013:** გელდიაშვილი ნ., სინონიმური მწკრივები დავით კლდიაშვილის პროზის ენაში. დავით კლდიაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი.
12. **გერსამია 2003:** გერსამია რ., ლექსიკური სინონიმია მეგრულში, თბილისი.
13. **გვანცელაძე 2005:** გვანცელაძე გ., ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი I. "უნივერსალი", თბილისი.
14. **გვანცელაძე 2009:** გვანცელაძე გ., ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II. "უნივერსალი", თბილისი.

15. გვანცელაძე 2009: გვანცელაძე გ., ადამიანი და ცხოველები. ცხოველთა სახელებთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი. "უნივერსალი", თბილისი.
16. გვენცაძე 1974: გვენცაძე ალ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბილისი.
17. გვენცაძე 2009: გვენცაძე მ., ლინგვისტური გერმანისტიკა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. გრიშაშვილი 1997: გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი, სამშობლო; თბილისი.
19. დანელია 1966.1822: დანელია კ., სინონიმურ წყვილთა ხმარება ვეფხისტყაოსანში, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული. თბილისი.
20. დანელია 1998: დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.
21. დონდუა 1969: დონდუა კ. Метафора в широком смысле и метафора поэтическая, რჩეული შრომები, I, თბილისი.
22. ზიმზარდო 2010: ზიმზარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, გამომცემლობა „თბილისი“.
23. თაყაიშვილი 1961: თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.
24. თევდორაძე 2016: თევდორაძე ნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.
25. თოფურია 1959: თოფურია ვ., ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი.
26. თოფჩიშვილი 2007: თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბილისი.
27. იაკობიძე 2015: იაკობიძე ნ., ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში, დისერტაცია, თბილისი.
28. კვაჭაძე 1992: კვაჭაძე ლ., ქართული ენა, გამომცემლობა. „განათლება“, თბილისი.
29. კვანტრიშვილი 2009: კვანტრიშვილი ვ., ლექსიკური სინონიმია ძველ ქართულში (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), დისერტაცია.
30. კვიცარიძე 1888: კვიცარიძე პ., ქართული სწორმეტყველება ზ. ჭიჭინაძის გამოცემით, ქუთაისი.
31. კიკვიძე 1964: კიკვიძე ც., კვლავ სინონიმთა ლექსიკონის შესახებ: „მაცნე“, #1, თბ.
32. კიკვიძე 1967: კიკვიძე ც., მასალები ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“ (ე/ლ), #3, თბილისი.

33. **კოდუხოვი 1982:** კოდუხოვი ვ., ზოგადი ენათმეცნიერება, „განათლება“, თბილისი.
34. **ლომია 2012:** ლომია ნ., ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში, დისერტაცია, თბილისი.
35. **მათეშვილი 2017:** მათეშვილი ო., იდიომების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
36. **მალანია 2016:** მალანია თ., ნისანთა სამყარო. (სემიოტიკური ფსიქოლოგია, მაქსიმალურად რელატიური ზმნების თეორია). თბილისი.
37. **ნებიერიძე 1991:** ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, „განათლება“, თბ.
38. **ნეიმანი 1951:** ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
39. **ნეიმანი 1961:** ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი - მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
40. **ნიკოლაძე 2004:** ნიკოლაძე ნ., „აკაკი წერეთელი და მცირე ფოლკლორული ჟანრები“, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, თბილისი.
41. **ნიჟარაძე 2010:** ნიჟარაძე ნ., საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა, დისერტაცია, ქუთაისი.
42. **ომიაძე 2009:** ომიაძე ს., ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.
43. **ონიანი 2003:** ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი.
44. **ორბელიანი 1991:** ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. I, „მერანი“, თბილისი.
45. **ორბელიანი 1993:** ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. II, „მერანი“, თბილისი.
46. **ორბელიანი 1965:** ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი, ტ. IV,1, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი.
47. **ორბელიანი 1949:** ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.
48. **სანიკიძე 1999:** სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი.

49. **სანიკიძე, სანიკიძე 2009:** სანიკიძე თ. სანიკიძე ი., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, გამომც. „ინტელექტი“, თბილისი.
50. **სახოკია 1979:** სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.
51. **სერგია 1989:** სერგია ვ., ტექსტის ლინგვისტიკა- ახალი ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი „განათლება“
52. **სილაგაძე 1981:** სილაგაძე ჯ., ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, თსუ-ს გამოც., თბილისი.
53. **სოსიური 2002:** ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, „დიოგენე“.
54. **ტაბიძე 2017:** ტაბიძე მ., ადამიანის ფიზიკური (ან სულიერი) ნაკლის აღნიშვნის ლექსიკური ტრადიცია ქართულში და თანამედროვეობა; ქართველური მემკვიდრეობა, XXI, ქუთაისი.
55. **ტუსკია 1969:** ტუსკია მ., სახელთა წარმოქმნის ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში“, თბილისი.
56. **უზნაძე 1998:** უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი.
57. **ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ-ს გამოც., თბილისი.
58. **ფოჩხუა 1980:** ფოჩხუა ბ., ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იკე, XXII, „მეცნიერება“, თბილისი.
59. **ფუტყარაძე 2019:** ფუტყარაძე ტ. ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, „უნივერსალი“, თბილისი.
60. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციული , I-VIII, თბილისი.
61. **ქეგლ 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9.
62. **ღამბაშიძე 1986:** ღამბაშიძე რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.
63. **ღლონტი 1964:** ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი.
64. **ღლონტი 1988:** ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, „განათლება“, თბილისი.

65. **შავლაძე 2013:** შავლაძე თ., ეპიტაფია როგორც ტექსტობრივი ფენომენი და მისი ძირითადი ტიპები ქართულ და ანგლო-ამერიკულ კულტურაში. ბათუმი.
66. **შანიძე 1953:** შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი.
67. **შარაშენიძე 1958:** შარაშენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბილისი.
68. **ჩიქობავა 1952:** ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თსუ-ს გამოც., თბილისი.
69. **ჩიქობავა 1983:** ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება ტ.II, ძირითადი პრობლემები, თსუ-ს გამოც., თბილისი.
70. **ჩიქობავა 1950:** ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერების დახასიათება, ქეგლ, I, თბილისი.
71. **ჩიქობავა 1967:** ჩიქობავა არნ. ენათმეცნიერება როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ. კრ-ში: “თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები”. ტ.2.
72. **ჩუბინაშვილი 1961:** ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი ქართული თარგმანითურთ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
73. **ჩხარტიშვილი 2010:** ქართული წყევლის ფორმულების შინაარსობრივ-მხატვრული ბუნება.
74. **ჩხეიძე 1993:** ჩხეიძე მ., ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა, თბილისი.
75. **ძიძიგური 1941:** ძიძიგური შ., ცნება სინონიმური პარალელიზმისა: სმამ.,ტ. II,#7, თბილისი.
76. **ძიძიგური 1947:** ძიძიგური შ., სიტყვის სესხება: „მნათობი“ #7, თბილისი.
77. **ძიძიგური 1975:** ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები, „ნაკადული“, თბილისი.
78. **ჭუმბურიძე 1996:** ჭუმბურიძე ნ., ლექსიკური სინონიმები ძველ ქართულ მრავალთავებში, საენათმეცნიერო ძიებანი #5, თბილისი.
79. **ჯორბენაძე 1980:** ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.
80. **ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბილისი.
81. **ჯორჯანელი 1974:** ჯორჯანელი კ., სინონიმთა საკითხისათვის, თსუ-ს შრ., 9-9, თბ.

82. **ჯორჯანელი 2003:** ჯორჯანელი კ., ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, გამომცემლობა მერანი, თბილისი.
83. **Алекторова 1972:** Алекторова Л. П., Об оттенках значений лексических синонимов, Синонимы русского языка и их особенности, Ленинград,
84. Античные теории языка и стиля, М.-Л., 1930.
85. **Апресян 1975:** Апресян Ю. Д., Проблема синонима: ВЯ, № 6.
86. **Апресян 1974:** Апресян Ю. Д., Лексическая синонимика (синонимические средства языка) «Наука», М.
87. **Бенвенист 1974:** Бенвенист Э., Общая лингвистика, М.
88. **Бережан 1967:** Бережан С. Г., К семантической интерпретации явления синонимии: Лексическая синонимия, «Наука», М.
89. **Бережан 1967:** Бережан С. Г., Теория семантических полей и синонимия. – В кн. «Проблемы языкознания», М.
90. **Вакуров 1966:** Вакуров В. Н., К вопросу о лексико-фразеологической синонимике. – Вопросы стилистики, М.,
91. **Васильев 1967:** Васильев Л. М., Проблема лексического значения и вопросы синонимов: Лексическая синонимия, «Наука», М.
92. **Виноградов 1953:** Виноградов В. В., О некоторых вопросах русской исторической лексикологии. В. журн. – Изв. ОЛЯ АН СССР, т. XII, вып. 3, М.
93. **Евгенева 1964:** Евгенева А. П., Проект словаря синонимов, «Советская энциклопедия», М.
94. **Евгенева 1966:** Евгенева А. П., Основные вопросы лексической синонимииб Очерки по синонимике современного русского литературного языкаюМ. Л.
95. **Звегинцев 1963:** Звегинцев В. А., Замечания о лексической синонимии, Вопросы теории и истории языка, Л.
96. **Изард 2000:** Изард к.Э. Психология эмоций (<http://book-online.com.ua/read.php?book=1404>)
97. Лингвистический энциклопедический словарь. 1990., «Советская энциклопедия», М.,
98. **Павлов – Шишкин, Степановский 1931:** Шишкин В. Д. и Степановский П. А., Учебный словарь синонимов русск. лит. языка, изд. второе, испр. и дополн. Предисловие Павлова-Шишкина, М.

99. **Новиков 1990:** Новиков Л. А. Синонимия. Лингвистический энциклопедический словарь. Москва: «Советская энциклопедия».
100. **Рязанова 2008:** Рязанова А.Н. Классификация дисфемизмов по лексико-семантическим разрядам. М.
101. **Розенталь, Теленкова 1985:** Розенталь Д. Э., Теленкова М. А. Словарь-справочник лингвистических терминов. Москва «Просвещение»,
102. **Степанова 1953:** Степанова М.Д., Словообразование современного немецкого языка, М.
103. **Соленино 1934:** Соленино М. А., Английская лексикология, М.
104. **Телия 1986:** Телия В.Н. Что такое фразеология? М.: Наука.
105. **Телия 1996:** Телия В.Н. Русская фразеология. Семантический; прагматический и лингвокультурологический аспекты. М.: Школа: Языки русской культуры.
106. **Ульман 1970:** Ульман Ст. Семантические универсалии, Новое в лингвистике, вып. V, М.,
107. **Уфимцева 1967:** Уфимцева А. А., Некоторые вопросы синонимии, Лексическая синонимия, «Наука», М.
108. **Черняк 1973:** Черняк В. Д., Лексические синонимы в русском языке (глагольные синонимические ряды), лекции по курсу «Лексикология современного русского языка» (Ленинградский пед. инст. им. А.И. Герцена), Ленинград.
109. **Шаховский 1987:** Шаховский В.И. Категоризация эмоций в лексико-семантической системе языка. Воронеж.
110. **Шанский 1969:** Шанский Н.М. Фразеология современного русского языка. Москва: Высшая школа.
111. **Шендельс 1970:** Шендельс Е. И., Многозначность и синонимия в грамматике, М.
112. **Фонвизин 1783:** Фонвизин Д. И., Опыт российского словника, М.
113. **Kovecses 2010:** Kovecses Z. „Metaphor and Culture”, Acta Universitatis Sapientiae, Philologica.
114. **Балли 1961:** Балли Ш. Французская стилистика. М.
115. **Bloomfield 1914.** Bloomfield, L. Sentence and Word. New York...
116. **Encyclopedia of Language. 1987.** Cambridge: Cambridge University Press.
117. **Cruse 1986:** Cruse D. A. Lexical Semantics. Cambridge: Cambridge University Press,.
118. **Crystal 1997:** Crystal V., English as a Global Language, Cambridge University Press, Cambridge.
119. **Davis 2003:** Davis W.A. Meaning, expression and Thought. New York: Cambridge University Press.

120. **Dictionary of the English Language.** 2009 Fourth Edition, The American Heritage: Houghton Mifflin Company,. available from <http://dictionary.reference.com/browse/expletive>
121. **Duranti 1997:** Duranti A., Linguistic Anthropology, Cambridge University Press, Cambridge,
122. **Domotor 2003:** Domotor A. Structural synonymy and formal variants: relative clauses and their parallels in six Early Hungarian translations of the Bible. *ActaLinguisticaHungarica* 50 (3-4).
123. **Dowty 1991:** Dowty D. R. Thematic Proto-Roles and Argument Selection. *Language* 67.
124. **Dolezal 2013:** Dolezal F., Synonymy and Sameness of Meaning: An Introductory Note (link: https://www.researchgate.net/publication/274163890_Synonymy_and_Sameness_of_Meaning_An_Introductory_Note) მოძიებულია 16.03.2017
125. **Edmonds 2002:** Edmonds P, Hirst G, Near synonymy and lexical choice. Toronto
126. **Edmonson 1981:** Edmonson W. Spoken Discourse: A Model for Analysis. London: Longman,
127. **Fillmore 1968:** Fillmore C. J. The Case for Case. In Bach E. and Harms R.T. (eds.) *Universals in Linguistic Theory*. New York: Holt, Rinehart and Winston.
128. **Glynn 2010:** Glynn D., Synonymy, Lexical Fields, and Grammatical Constructions. A study in usage-based Cognitive Semantics (link: [http:// www. linguistics.ath.bielsko.pl/ Glynn/Publications/ Glynn_Synonymy.pdf](http://www.linguistics.ath.bielsko.pl/Glynn/Publications/Glynn_Synonymy.pdf)) მოძიებულია 17.03.2017
129. **Grice 1975:** Grice H. P. Logic and conversation. New York: Academic Press,
130. **Gugan 2002:** Gugan K. Syntactic Synonymy: A Case Study. *ActaLinguisticaHungarica* 49 (1),
131. **Harris 1973:** Harris R. Synonymy and linguistic analysis. Oxford: Oxford University Press,
132. **Jacobson 1979:** Jacobson S. Issues in the study of syntactic variation. In S. Jacobson (ed.), *Papers from the Scandinavian Symposium on Syntactic Variation*, Stockholm,
133. **Jespersen 1933:** Jespersen O. *Essentials of English Grammar*. London: Allen & Unwin,
134. **Katz 1972:** Katz J. *Semantic Theory*. New York: Harper & Row.
135. **Leech 1974:** Leech G. *Semantics*. Harmondsworth: Penguin,
136. **Lonngren 2001:** Lonngren L. Cross-level synonymy. Nordlyd. Tromsø University working papers on language & linguistics (29) s. available from <http://www.hum.uit.no/a/lonngren/synonym.pdf>
137. **Lyons 1996:** Lyons J. On Competence and performance and related notions. In: G. Brown, K. Malmkjaer and J. Williams (eds.) *Performance and Competence in Second Language Acquisition*. Cambridge: Cambridge University Press.
138. **Lyons 1995:** Lyons J. *Linguistic Semantics*, Cambridge University Press.
139. **Ullmann 1967:** Ullmann S., *Semantics, An Introduction to the Science of Meaning*, Basil Blackwell, Oxford.

140. **Taylor 2002:** Taylor J. R. Cognitive Grammar, Oxford: Oxford University Press,
141. **Ullmann 1967:** *Ullmann S. The Principles of Semantics. Oxford: Basil Blackwell,*
142. **Fallows 1808:** Fallows Samuel. A complete dictionary of synonyms and antonyms. London
143. **Fraeley 1992:** Fraeley W., Linguistic Semantics, Hillsdale, New Jersey, Lawrence EarthaumAssociates, Inc.
144. **Humboldt 1999:** Humboldt W. The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind. Cambridge: Cambridge University Press.
145. **Kates 1980:** Kates C. Pragmatics and Semantics. Ithaca, N. Y.: Cornell University Press.
146. **Kovecses 1990:** Kovecses z, emotion concepts, New York, etc., Springer-Verlag.
147. **Lacoff, Johnson Lacoff 1980:** Johnson M., Metaphors We live by, Chicago.
148. **Lacoff, Koveeses 1987:** Lacoff G., Koveeses Z., The cognitive model of anger inherent in american English//Cultural models in lanugage and though. Cambridge. Cambridge University Press.
149. **Lakoff, Johnson, 1999:** Lakoff G. Johnson M. Philosophy in the Flesh: The embodied mind and its challenge to Western thought. New York: Basic Books,
150. **Leech 1983:** Leech G. Principles of Pragmatics. London: Longman,
151. **Lewis 1972:** Lewis D. General Semantics. In Davidson D. and Harman G. (eds.) Semantics of Natural Language.
152. **Lyons 1977:** Lyons J. Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
153. **Lyons 1981:** Lyons J. Language, Meaning and Context. London: Fontana.
154. **Oxford 1976:** Oxford English Dictionary, Oxford University Press,
155. **Palmer 1976:** Palmer F.R. Sematnics. A New Outline.cambridge. cambridge university Press. london-New York – Melborne.
156. **Russell 1990:**Russell B.On denoting.In The Philosophy of Language.Oxford:Oxford University Press.
157. **Sapir 1949:** Sapir E. Culture, Language and Personality, Berkeley and Los Angeles, University of California Press.
158. **Seidl 1998:** Seidl J. McMordie W. English Idioms. A fifth edition of English Idioms and How to use them. Oxford university Press.
159. **Smith 1996:** Smith A. Communication and Culture, New York, “Holt”.
160. **Talmy 2000:** Talmy L. Toward a Cognitive Semantics, Vol I: Concept Structurering Systems: vol 2: Typology and Process in Concept Structuring, Cambridge, Mass.
161. **Taylor 2002:** Taylor J. R. Cognitive Grammar (“Oxford Textbooks in Linguistics”). Oxford: “Oxford University Press”.

- 162. Wierzbicka 1985:** Wierzbicka, A. Different cultures, different languages, different speech acts. Berlin: Mouton de Gruyter.
- 163. Wierzbicka 1991:** Wierzbicka A. Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction. New York: Mouton de Gruyter.
- 164. Wierzbicka 2003:** Wierzbicka A. Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction. Berlin: Mouton de Gruyter.
- 165. Wood 1986:** Wood M.M.A Definition of Idiom. Bloomington: Indiana University Linguistics Club.
- 166. Kovecses 1990:** Kovecses Z. Emotion concepts. New York etc.: Springer-Verlag.
- 167. kristiansen 2006:** Kristiansen G., Achard M., Dirven R., Francisco J. Ruiz de Mendoza Ibanez Cognitive Linguistics: Current Applications and Future Perspectives. Berlin / New York: Mouton de Gruyter.